

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი
წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის,
ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს
მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც
წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ
ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიც
არ მოეჩვენება.“

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის
მ თ ა მ ბ ე

**NEWSLETTERS
OF
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA**

Nº20

თბილისი - **TBILISI**

2021

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ ხონელიძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, **როინ მეტრეველი** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, **ნათელა ვასაძე** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, **ავთანდილ ასათიანი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, **გიორგი სოსიაშვილი** - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, **ლიუდმილა ბეჟენარუ** - იასის უნივერსიტეტის პროფესორი (რუმინეთი), **სერგეი ბოგდანოვი** - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), **რაფაელ გუსმან ტირადო** - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), **დენ დევიდსონი** - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების პრეზიდენტი (აშშ), **იან კე** - გუანჯოუს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ჩინეთი), **ვენტა კოცერე** - ლატვიის აკადემიური ბიბლიოთეკის დირექტორი, **ირენა კუდლინსკა** - ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი (პოლონეთი), **კლავდია ლასორსა** - რომის უნივერსიტეტის (ლა საპიენცე) ემერიტუს – პროფესორი (იტალია), **სვეტლანა ტერ-მინასოვა** - მოსკოვის მ. ლომოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, რუსეთის პედაგოგთა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ასათიანი - მთავარი რედაქტორი

ნათელა მაღლაკელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე

მარინე აროშიძე, რევაზ ბალანჩივაძე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, როზა გაბეჩავა, ლია მენტეშაშვილი, ნათელა მოსიაშვილი, ლამარა ქადაგიძე, ინდირა ძაგანია.

ჟურნალის გამოცემა უზრუნველყო გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა (რექტორი გიორგი სოსიაშვილი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი).

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal `Moambe of the Georgian Academy of Education Sciences~is issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences

Editorial Board:

Zurab Khonelidze - Head of the Editorial Board, President of the Georgian Academy of Education Sciences, rector of Sokhumi State University, **Roin Metreveli** – Vice-president of the Science Academy of Georgia, **Natela Vasadze** – Honored president of the Georgian Academy of Education Sciences, **Avtandil Asatiani** – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, **Giorgi Sosiashvili** - Vice- President of the Academy of Educational Sciences of Georgia, rector of Gori State Teaching University, **Ludmila Bezhenaru** – Professor at IAS University (Romania), **Sergey Bogdanov** – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), **Rafael Gusman-Tirado** – Professor at Granada University (Spain), **Dan Davidson** – President of the American Councils for International Education (USA), **Yan Ke** – Professor at Guanjo University (China), **Claudia Lasorsa** – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), **Svetlana Ter-Minasova** – Honored President of Moscow Lomonosov State University, President of Russia’s United Association of Teachers.

Editors:

Avtandil Asatiani – editor in chief

Natela Maghlakelidze – deputy editor in chief

Marine Aroshidze, Revaz Balanchivadze, Lia Menteshashvili, Natela Mosiasvili, Imer Basiladze, Luba Bibileishvili, Roza Gabechava, Lamara Kadagidze, Indira Dzaganina

ზოგადი პედაგოგიკა

იმერი ბასილაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო მამრიკიშვილი
განათლების აკადემიური დოქტორი,
ქალაქ ქუთაისის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი

სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობა მოზარდთა შორის ძალადობის რისკების შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი

უკანასკნელ წლებში, მოზარდთა შორის ძალადობის გახშირებულმა შემთხვევებმა, საზოგადოება რთული ამოცანის წინაშე დააყენა. ბავშვთა შორის აგრესია არასრულწლოვანთა ურთიერთობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმად იქცა და მათი არც თუ ისე მცირე ნაწილი დამნაშავეობამდე მიიყვანა.

2017 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, საქართველოს 109 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე, ანგარიში წარმოადგინა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მონიტორინგის დროს ბავშვებმა ფიზიკური აგრესიის არაერთი შემთხვევა დაასახელეს: ჩხუბი, ფეხის დადება, ხელის გადატრიალება, დაჯახება, პირადი ნივთების განზრახ დაზიანება ან წართმევა, უმცროსკლასელების ფანჯრიდან გადაკიდება, ფულის გამოძალვა ტუალეტში შეშვების საფასურად, სიგარეტის მოწევის იძულება. გავრცელებულია უფროსკლასელების მიერ სკოლის ტუალეტთან პატარა ბავშვების „გამოჭერა“ და მათი ჩხუბში ჩართვა. ყველაზე ხშირად სახელდება გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვის შემთხვევები. ძალადობრივ ქმედებათაგან მოსწავლეები გაცილებით ხშირად („ზოგჯერ“) მიმართავენ შემდეგს: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა (34.1%), უხეში კომენტარების გაკეთება (28.6%), დაცინვა (27.8%), გართობის მიზნით პირადი ნივთების დამალვა (38.5%), ხელის დარტყმა/წიხლის ჩარტყმა (20.8%), ძალით შეჯახება (19.9%). მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ხშირია ბავშვთა შორის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ძალადობის შემთხვევები; სუსტია მათი ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ, პასუხისმგებელ პირთა კომპეტენცია ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით კი ძალიან დაბალია.

სახალხო დამცველის ანგარიში გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ყოველდღიურად მზარდი ძალადობრივი შემთხვევები სახელმწიფოსაგან კონკრეტული პრევენციული ნაბიჯების გადაგმას საჭიროებს.

უკანასკნელ წლებში, მოზარდებს შორის პოზიტიური ურთიერთობების განმტკიცების, ძალადობისა და უსაფრთხოების მიმართულებით, სახელმწიფოს მხიდან არაერთი ღონისძიება გატარდა. **ეროვნული სასწავლო გეგმით** განისაზღვრა ძირითადი მეთოდური ორიენტირები, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლა უნდა მიმდინარეობდეს ისეთ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებს. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას, რადგან ხშირად კონფლიქტის თანმდევი პროცესია ძალადობაც. ამის გათვალისწინებით, სკოლის საერთო კულტურა ხელს უნდა უწყობდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის ფენომენის გააზრებას, ძალადობასა და კონფლიქტს შორის არსებული განსხვავებების გაცნობიერებასა და კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის გზების სწავლებას. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი დამრიგებელს დაეკისრა. პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ - სოციალური განვითარებისაკენ მიმართული საადმინისტრაციო მუშაობა დამრიგებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად განისაზღვრა. მშობლებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გზით მოზარდთა სწორი სოციალური განვითარება კი ერთ - ერთი პრიორიტეტი გახდა. დამრიგებელი უნდა იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში; მან რეგულარულად უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ“ (ბრძანება 2016).

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფად დამტკიცდა ასევე „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ (ბრძანება 2019). აღნიშნული დოკუმენტი სკოლას ავალდებულებს განახორციელოს ღონისძიებები ძალადობის, ძალადობის პრევენციისა და ძალადობის განმეორების საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ამისათვის სასწავლო წლის განმავლობაში მცირე ორჯერ რუნდა აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო - საინფორმაციო კამპანია, ძალადობის წინააღმდეგ; ხოლო სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის როლიზავშვის განათლებაში და აღზრდაში; შვილთან ეფექტური კომუნიკაცია და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას (ბრძანება 2019). მსგავსი ხასიათის ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, სკოლა უფლებამოსილია: მიმართოს მანდატურის სამსახური სფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრს (სამმართველოს); მოიწვიოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიის/სამართლის/სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ან/და მაგისტრანტები; მართლწესრიგის ოფიცერი ან/და უზნის ინსპექტორი; მოიძიოს ღონისძიების ორგანიზატორი საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. გარდა ამისა მოსწავლეებში ძალადობის რისკების შეფასების საფუძველზე, მანდატურის სამსახურს ევალება შეიმუშავოს და უზრუნველყოფს შესაბამისი სკოლისათვის ძალადობის რისკების შემცირებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მიცემა, წერილობითი ან/და ზეპირი ფორმით (ბრძანება 2019).

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებებისა, რეალური ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოზარდთა შორის ძალადობის პრევენციისათვის კიდევ უფრო მეტი, ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი. კაცობრიობა, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ყოველთვის ეძებდა ძალადობის თავიდან აცილების ოპტიმალურ გზას. ადამიანის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცვლებოდა ძალადობის ხასიათი, სახე, მასზე რეაგირებისა და მისი თავიდან აცილების საშუალებები. დღეს, თანამედროვე საზოგადოებაში, პრევენციის საკითხებზე მსჯელობა მისი გამომწვევი მიზეზების კვლევით იწყება, რადგან პრობლემის გადაწყვეტა, მისი მიზეზების ახსნაში მდგომარეობს.


იმის დასადგენად, თუ როგორია საზოგადოების აზრი მოზარდებში ძალადობრივი ქცევის მიზეზებთან დაკავშირებით, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომელიც მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისობრივი კვლევა, გამოყენებული იქნა ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა, მონაწილეობდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა (მე-11, მე-12 კლასი) და სხვა პირებისაგან (სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები) შემდგარი სამი ფოკუს - ჯგუფი (სულ 35 რესპოდენტი). თვისობრივი კვლევის შედეგები გამოვიყენეთ კვლევის მეორე ეტაპისათვის (რაოდენობრივი კვლევა) კითხვარის სტრუქტურის აგებისას. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 40 მოსწავლე (მე-11, მე-12 კლასი), 40 მასწავლებელი, 20 სხვა პირი (ადმინისტრაციის თანამშრომლები).

კვლევის არეალი: ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (№6, №8, №9, №16, №19, №20, №26, №28, №32, №34, №35 საჯარო სკოლები).

კვლევის ჩატარების დრო: 2019 წლის დეკემბერი და იანვარი.

ანალიზმა მოგვცა შემდეგი შედეგი:

გრაფიკული გამოსახულება №1



კვლევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა, მოზარდებში ძალადობრივი ქცევის მიზეზებად ასახელებს ფაქტორებს, რომლებიც ოჯახს და სკოლას უკავშირდება, კერძოდ, 15% - ოჯახში მძიმე სოციალურ პირობებს, 29% - ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებებს, ხოლო 21% - სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებებს მოზარდთა ძალადობრივი ქცევის გამომწვევ ძირითად ფაქტორად მიიჩნევს.

კვლევის შედეგები რამდენადმე ემთხვევა ჩვენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოზარდთა პიროვნების სწორად ფორმირების საქმეში გადამწყვეტი როლი სწორედ სკოლას და უპირველეს ყოვლისა ოჯახს აქვს. არც ერთმა სხვა სოციალურმა ინსტიტუტმა არ შეიძლება იმხელა გავლენა მოახდინოს პიროვნების ფორმირებაზე, როგორც ოჯახმა. მაგალითად, აგრესიულ ოჯახში ხშირად იზრდება აგრესიული ბავშვი, ოჯახის ამბიციურობა ხშირად ხდება მოზარდის კომპლექსების მიზეზი და ა. შ. უნდა გავიზიაროთ მოსაზრება, რომ „ერთი კულტურისა და კლასის შიგნით ადამიანის ქცევას ოჯახის გავლენა განაპირობებს. მშობლები საკუთარი ქცევით ქმნიან სიტუაციებს, რომლებიც ბავშვის გარკვეულ ქცევას აყალიბებს (მაგ., მშობლის მიერ ბავშვის ფრუსტრირებას საპასუხოდ მოსდევს აგრესია); მშობლები ბავშვისათვის ის მისაბამი ნიმუშები ანუ მოდელებია, ვისთანაც მოახდენს იდენტიფიკაციას ანუ გააიგივებს თავს და მის ქცევასაც გადაიღებს (ბალიაშვილი 2014: 16).სამწუხაროდ ზოგიერთი მშობელი ფიქრობს, რომ თუ იგი მატერიალურად უზრუნველყოფს ბავშვს, ამით ამოიწურება მისი მშობლიური მოვალეობა აღზრდის პასუხისმგებლობას მთლიანად სკოლას აკისრებს. მისი ჩართულობაც შვილის სასკოლო ცხოვრებასა და აღზრდის საქმეში ძალიან დაბალია. თუმცა, რაოდენ მონდობილიც არ უნდა იყოს მასწავლებელი და მშობელი მოზარდის ჰარმონიული განვითარებისთვის, მიგვაჩნია, რომ ამ ურთულეს საქმეში სკოლისა და ოჯახის ცალ - ცალკე მუშაობა არამიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებულობას მოკლებული იქნება.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რამდენად არიან მშობლები ჩართულნი შვილების სასკოლო ცხოვრებაში, რამდენად ხშირად თანამშრომლობენ სკოლა და ოჯახი და ჩავატარეთ კვლევა:

კვლევის მიზანი: სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხის დადგენა, სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდი: კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისობრივი კვლევა, გამოყენებულ იქნა ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა, მონაწილეობდა მასწავლებლებისა და მშობლებისაგან შემდგარი სამი ფოკუს - ჯგუფი (სულ 30 რესპოდენტი). თვისობრივი კვლევის შედეგები გამოვიყენეთ კვლევის მეორე ეტაპისათვის (რაოდენობრივი კვლევა) კითხვარების სტრუქტურის აგებისას. რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 50 მშობელი და 50 პედაგოგი (ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები).

კვლევის არეალი: ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (№6, №8, №9, №16, №19, №20, №26, №28, №32, №34, №35 საჯარო სკოლები).

კვლევის ჩატარების დრო: 2019 წლის იანვარი.


კითხვარების საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენა, სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი, დაგვედგინა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორები.

კვლევის შედეგების ანალიზმა მოგვცა შემდეგი სურათი:


გრაფიკული გამოსახულება №2 და №3

სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობა

არაიან თუ არა მშობლები ჩართული შვილების სასკოლო ცხოვრებაში



რატომ არ არიან მშობლები ჩართული შვილების სასკოლო ცხოვრებაში



აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 18% სკოლის ინიცირებით, 25% დამოუკიდებლად, 57% კი საერთოდ არ არის ჩართული მისი შვილის სასკოლო ცხოვრებაში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მშობელთა 22% დატვირთულ სამუშაო გრაფიკს, 14% კი საოჯახო საქმეების სიმრავლეს შვილების სასკოლო ცხოვრებაში ჩაურთველობის ძირითად მიზეზად ასახელებს, თუმცა ყველაზე სამწუხარო კვლევის ის შედეგია, რომლიც გვიჩვენებს, რომ ისინი ვერ ხედავენ ჩართულობის საჭიროებას (20%) და მიაჩნიათ რომ ეს სკოლის კომპეტენციაა (32%).

ცხოვრების აჩქარებული ტემპი, რთული სამუშაო დღე სამსახურში და საოჯახო საქმეების სიმრავლე სახლში, მუდმივად არასაკმარისი დრო - ბევრი მშობლის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში წარმატებულები არიან და ცდილობენ შვილებიც კარგ ადამიანებად აღზარდონ, მაგრამ სამუშაო გრაფიკის გამო იშვიათად ახერხებენ დრო დაუთმონ ბავშვებს, ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში და ყოველთვის იცოდნენ თავიანთ შვილების კოგნიტური

(შემეცნებითი) და ემოციურ - სოციალური განვითარების შესახებ. ეს კი თავის მხრივ ხელს უშლის ადრეულ ეტაპზე იქნეს იდენტიფიცირებული ძალადობის ფაქტები, რათა დროულად გატარდეს პრევენციული ღონისძიებები.

ჩვენ ვფიქრობთ რომ მშობელთა იმ ნაწილის ჩართულობა, რომლებიც მათივე თქმით სკოლის ინიცირებით თუ თავიანთი ინიციატივით მონაწილეობას ღებულობს შვილების სასკოლო ცხოვრებაში, არაორგანიზებულია, რადგან ჩვენს მიერ კვლევისას დასმულ კითხვაზე, თუ რა ფორმით არიან ისინი ჩართულების შვილების სასკოლო ცხოვრებაში, მივიღეთ შემდეგი პასუხები: ვესწრებით მშობელთა კრებებს (44 მშობელი); სისტემატიურად ვსაუბრობ დამრიგებელთან ჩემი შვილის შესახებ (40 მშობელი); მეც ვმონაწილეობ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ საკლასო აქტივობებში (16 მშობელი), თვალყურს ვადევნებ დავალებების მომზადების პროცესს (21 მშობელი), განვიხილავ სასკოლო დღეს შვილთან ერთად (19 მშობელი), ვაკვირდები ბავშვის ემოციურ მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში განვიხილავ პედაგოგთან ერთად (4 მშობელი), ჩართული ვარ სასკოლო ექსკურსიების ორგანიზებაში (42 მშობელი) და ა.შ. ამგვარი ინტერვიუებით მოპოვებული წერილობითი პასუხებით სრული სურათის შექმნა შეუძლებელია, თუმცა ცხადია, რომ აქ სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობა უფრო სტიქიურ ეტაპზე, ინსტიტუტების დონეზეა და მოკლებულია პედაგოგიურ ორგანიზებულობას. მშობელთა პასუხების ანალიზისას ირკვევა, რომ მათი უმრავლესობა მთავარ პასუხისმგებლობას სკოლასა და მასწავლებლს აკისრებს, ასევე პედაგოგთა პასუხების შემთხვევაშიც. მათთან საუბრისას ხშირად იკვეთება ფრაზები - „ოჯახს მძიმე ეკონომიკური პირობები აქვს და მისთვის სასკოლო ცხოვრებისადმი ინტერესი ნაკლებ მნიშვნელოვანია“, „თითქმის ნახევარი კლასის დედა, ან მამა საზღვარგარეთაა, ბებია-ბაბუას ესენი არ უჯერებენ, დედასთან კომუნიკაცია კი გვიჭრს“, „ოჯახიდან ასე მოდის და მე რა შემიძლია“, „მე ჩემს საგანს ვასწავლი და აღზრდაზე მშობელმა უნდა იფიქროს“, „მშობლები არ აქცევენ ყურადღებას და მე მარტო უძღვრები ვარ“ და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ბავშვის აღზრდის, განათლების, მისი განვითარების საქმეში მშობლისა და პედაგოგის, ოჯახისა და სკოლის ერთიანობის, მათი ურთიერთთანამშრომლობის საკითხი ჯერ ისევ გაწმინდებულია.

მიუხედავად ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებისა, ვფიქრობთ, რომ მთავრი პრობლემა სკოლისა და ოჯახის ერთიანობის საკითხში, არაინფორმირებული მშობელია. თუ ჩვენ სწორად შევარჩევთ მშობელთან მუშაობის მეთოდებს, თუ მოვახერხებთ მათ მიზანმიმართულ ინფორმირება სწავლებისა და აღზრდის მიართულებით, მიგვაჩნია, რომ აუცილებლად მოვახერხებთ მათ სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას. ამ პროცესების ინიციატორი კი პირველ რიგში სკოლა უნდა იყოს, რადგან სწორედ სკოლას აქვს კომპეტენცია აღზრდის პროცესების სწორად დაგეგმვისათვის.

აღზრდა რთული პროცესია, ამ რთული პროცესის სწორად წარმართვა შესაბამისი ცოდნის გარეშე კიდევ უფრო რთულდება, ხშირ შემთხვევაში კი შეუძლებელი ხდება. ზრდასრულ ადამიანებს ხშირად საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარ ფსიქიკაში ჩაწვდომაც კი უჭირთ, რომ აღარაფერი ვთქვათ მოზარდის ფსიქოლოგიაზე, მით უფრო სათანადო ცოდნის გარეშე. შვილების არასწორი აღზრდისათვის, იმისათვის, რომ ისინი არ არიან წარმატებულები, კარგი ყოფა - ქცევის, მყარი ფსიქიკის, როგორც წესი მშობლებს ადანაშაულებენ (მამრიკიშვილი 2017:78). მშობლებს ადანაშაულებენ მასწავლებლები,

სკოლის ადმინისტრაცია, მეგობრები, მეზობლები, უბრალო ნაცნობები, თავად მშობლებიც კი და მთელი საზოგადოება. თუმცა არავინ ფიქრობს იმაზე, რომ მათ უმეტესობას, არ გააჩნიათ ის განათლება, რომელსაც თავიანთი როლი აკისრებთ - პედაგოგიური განათლება. მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ საუბრობდა დიმიტრი უზნაძე, მაგრამ საკითხი გადაჭრილი არ არის, პრობლემა დღესაც საკმაოდ მწვავედ დგას. ჩვენი საუკუნის დასაწყისში, მშობლები აღზრდის იმავე მეთოდებს იყენებენ, რომელსაც იყენებდნენ მათი წინაპრები წინა საუკუნის დასაწყისში - ეს ალბად უკეთეს შემთხვევაში, უმეტესად კი ისინი არც კი იცნობენ აღზრდის მეთოდებს, მიაჩნიათ, რომ შემუშავებული აქვთ (ან საერთოდ არ აქვთ) უნიკალური მეთოდები და არ იცნობენ პედაგოგიურად აწონილ - დაწონილი ღონისძიებებისა და მათი ერთობლიობის მნიშვნელობის შესახებ აღმზრდელობითი ღონისძიებების ურთულესი პროცესის წარმართვის საკითხში (მამრიკიშვილი 2017: 78-79). საყურადღებოა ისიც, რომ მშობელთა უმეტესობას, არ აქვს გაცნობიერებული აღზრდის მიზნის მნიშვნელობის საკითხი, არ იციან როგორი პიროვნების აღზრდა სურთ, არ გააჩნიათ არც კონკრეტული მიზანი და არც მისაღწევი გეგმა. ფიქრობენ, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. მსგავსი არამიზან-მამრთულობა კი ხშირად შემთხვევით შედეგს იძლევა. დღის წესრიგში დგება მშობელთა პედაგოგიური განათლების საკითხის მნიშვნელობა. დღეს ჩვენს ქვეყანაში, თითქმის არ არსებობს მშობელთა პედაგოგიზაციის ორგანიზაციები, საკონსულტაციო დაწესებულებები (თუ არ ჩავთვლით სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც მოზარდის მხოლოდ ჯანმრთელობის შესახებ კონსულტაციებით შემოიფარგლება) ან სხვა საშუალებები, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ მშობლებს და პოტენციურ მშობლებს მიაწოდოს ინფორმაცია პედაგოგიური განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ, რომ აღარფერი ვთქვათ პედაგოგიური ცოდნის მიცემაზე (მამრიკიშვილი 2017: 78-79).

მოზარდთა პიროვნების სწორი ფორმირებისა და მოზარდებში ძალადობის პრევენციისათვის აუცილებელია აღმზრდელობითი პროცესი წარიმართოს პედაგოგიურად აწონილ - დაწონილი ღონისძიებების ერთობლიობით, სკოლისა და ოჯახის, პედაგოგისა და მშობლის ურთიერთანამშრომლობის, ჩართულობის, ერთიანი მიდგომისა და ერთიანი მომთხოვნელობის პრინციპების დაცვით, უწყვეტ რეჟიმში, რისთვისაც აუცილებელია:

1. სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერება - სახელმწიფოს მხრიდან შემუშავებულ უნდა იქნეს კონკრეტული გეგმა აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვისათვის და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კარდების შესაბამისი მიმართულებით გადამზადება.

2. მშობელთა პედაგოგიური განათლების ამაღლება - სკოლამ უნდა შეძლოს მშობლის იმგვარად ინფორმირება, რომ დაანახოს მას რამდენად მნიშველოვანია ბავშვის აღზრდის, მოზარდებს შორის ძალადობის პრევენციის საქმეში მშობლის მნიშვნელობა. ამისათვის სკოლამ უნდა შეიმუშავოს მშობლებთან კომუნიკაციის დიფერენცირებული მიდგომები, კერძოდ:

- საზღვარგარეთ მყოფ მშობლებთან კომუნიკაციისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დისტანციური მუშაობის საშუალებები (ელექტრონული ფოსტა ან მშობლისათვის ხელმისაწვდომი სხვა საშუალება);
- შეიქმნას ელექტრონული დღიური, რომლის ნახვის შესაძლებლობაც მშობელს ნებისმიერ დროს ექნება;

- კომუნიკაციის დისტანციური ფორმები წარმატებულად შეიძლება გამოვიყენოთ, ასევე იმ მშობლებთან საკომუნიკაციოდ, რომლებიც დატვირთული გრაფიკის გამო ვერ ახერხებენ პედაგოგთან ინტენსიურ მუშობას;
- „მშობელთა კრებების“ სახით დამკვირდებული პრაქტიკა ნელ - ნელა უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს მშობლებთან სამუშაო შეხვედრების სახით და მეტწილად მშობელთა ინფორმირებულობის გაზრდისა და პედაგოგიური განათლების ამაღლების ფუნქციით უნდა დაიტვირთოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სკოლისა და ოჯახის, პედაგოგისა და მშობლის ურთიერთთანამშრომლობა და ჩართულობა, ერთბლივი მიზანმიმართული პედაგოგიური საქმიანობა მნიშვნელოვნად დაგვეხმარება მოზარდთა შორის ძალადობის თავიდან აცილების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, ოჯახი, ძალადობა, მშობელი, კომუნიკაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალიაშვილი 2014: ბალიაშვილი მ., პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2014.
2. მამრიკიშვილი 2017: მამრიკიშვილი ნ., „აღზრდა, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი“, დისერტაცია წარმოდგენილი განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2017.
3. ბრძანება 2016: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის ბრძანება №40/ნ.
4. ბრძანება 2019: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ.
5. Heitkötter 2007: Heitkötter M., Holthusen B., Laux V., Lüders Ch., Schäfer H., „Strategien der Gewaltprävention im Kindes- und Jugendalter“, Deutsches Jugendinstitut, München, 2007.
6. Zweidler 2012: Zweidler K., Haller E., „Zur Beziehung von Schule und Familie“, Interkantonale Hochschule für Heilpädagogik, Zürich, 2012.
7. <http://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/zogadsaganmanatleblo-dawesebulebebshi-moswavleta-mimart-dzaladobis-kutxit-arsebuli-mdgomareoba>
8. ეროვნული 2018: ეროვნული სასწავლო გეგმა, <https://matsne.gov.ge/document/view/3285991?publication=12>, 2018.
9. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4363684?publication=3>
(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ)
10. http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

Imeri Basiladze
Professor of Akaki Tsereteli State University
Nino Mamrikishvili
Academic Doctor of Education,
Territorial body of the Ministry of
Education and Science of Georgia-
Senior Specialist of Kutaisi Educational Resource Center

School-family collaboration
one of the factors in reducing the risks of violence among adolescents

Abstract

In recent years, the increasing incidence of violence among adolescents has posed a difficult task for society. Aggression among children has become one of the most common forms of juvenile delinquency and has led to a not insignificant proportion of them committing crimes. The ombudsman's report shows that the daily increasing number of violent cases in the country requires concrete preventive steps from the state.

In recent years, a number of measures have been taken by the state to strengthen positive relationships between adolescents and to address violence and security. The National Curriculum sets out key methodological guidelines, which imply that learning, should take place in an environment where positive relationships are of particular importance. The school should promote the teaching of ways to peaceful resolution of conflicts, as violence is often accompanied by conflict. To take it into consideration, the school general culture should help to understand the phenomenon of physical or mental violence, to understand the differences between violence and conflict, and to teach ways to resolve conflicts through non-violent methods.

Keywords: school, family, violence, parent, communication.

თვითაღზრდა – აქტუალური პრობლემა

აღზრდა რთული პედაგოგიური პროცესია, რომელიც უნდა წარიმართოს მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად მშობლებისა და მასწავლებლების მიერ. აღზრდა სხვა ცოცხალი ორგანიზმებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანთა მოდგმას ახასიათებს. იგივე შეიძლება ითქვას თვითაღზრდაზეც, თვითაღზრდის უნარი მხოლოდ ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დღეს, აღზრდა უგულებელყოფილია თითქმის და ასევე შეიძლება ითქვას თვითაღზრდაზეც. კარგად ვხედავთ როგორი ზნეობრივი კრიზისია გამეფებული, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ოჯახებსა და სკოლებში, რომ აღზრდის პრობლემები სათანადოდ გადაიჭრას, ადამიანი ხომ აღზრდით უნდა განსხვავდებოდეს ცხოველისაგან.

აღზრდა და თვითაღზრდა ერთმანეთისაგან განუყოფელია. პიროვნების განვითარების საქმეში აღზრდასთან ერთად დიდ როლს ასრულებს თვითაღზრდა – ე.ი. ადამიანის სისტემატური და შეგნებული მოქმედება, რომელიც მიმართულია პიროვნების დადებითი თვისებების სრულყოფის, უარყოფით ჩვევათა და ხასიათის თვისებათა დამლევსაკენ.

თვითაღზრდა რთული, მრავალმხრივი პროცესია, მას სჭირდება საკმაოდ დიდი დრო და ასევე დიდი ნებისყოფა, რადგანაც ის გულისხმობს მაღალი ზნეობრივი თვისებების, გრძნობების, ნებისყოფის, ხასიათის დადებითი თვისებების გამომუშავებას.

თვითაღზრდის გარეშე წარმოდგენილია წარმატების მიღწევა. თვითაღზრდა მაშინ მიმდინარეობს სწორი მიმართულებით, ობიექტურად, როცა პიროვნება საკუთარ თავში შეიცნობს მთელ რიგ უარყოფით თვისებებს და აღიარებს მათ ჩვევებს.

თვითაღზრდა იწყება ოჯახში ბავშვობიდან და გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე. მომავალი თაობის თვითაღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლების პიროვნულ თვისებებს, მათ ქცევას, მოქმედებას. მშობლები თავიანთი მოქმედებით, საქმიანობით ძლიერ ზეგავლენას ახდენენ შვილებზე და მათ ნორმ გულს ნაკვალევს უტოვებენ. გვინდა მივმართოთ მშობლებს: არ იფიქროთ, თითქმის თქვენ შვილებს ზრდით მხოლოდ მაშინ, როცა ელაპარაკებით და ჭკუას არიგებთ, ან უბრძანებთ რაიმეს გაკეთებას. თქვენ მათ ზრდით თქვენი არსებობის ყოველ მომენტში, მაშინაც კი როცა შინ არა ხართ. როგორ იცვამთ, როგორ მხიარულობთ და წუხხართ, როგორ ეპყრობით მეგობრებს, როგორ იცინით – ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მშობლების მაგალითს, ეს იქნება დადებითი თუ უარყოფითი, დიდი ზემოქმედების ძალა აქვს თვითაღზრდაში. მშობლები უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა იყვნენ მისაბამი, სანიმუშო თვითაღზრდის თვალსაზრისით. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ვერავითარი პედაგოგიური უნარი ვერ დაეხმარებათ შვილების თვითაღზრდაში, თუ თვითონ არ იძლევიან ამის საუკეთესო მაგალითს.

თვითაღზრდაში მშობლებთან ერთად მოზარდებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ოჯახის სხვა წევრებიც. აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ეს გარემოება. როგორც უშუალოდ მშობლებისაგან, ისე ოჯახის სხვა წევრებისაგან შეიძლება შეითვისოს მოზარდმა მაღალხეობრივი თუ ნეგატიური თვისებები. „იმ წრეს, საცა ბავშვი პირველ ხანიდამვე ჰტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ სახით, არავითარი ეჭვია, რომ თვითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზემოქმედება აქვს მოზარდის მერმისზედ“ (5,292).

უმცროს სასკოლო ასაკში შედარებით პასიურად მიმდინარეობს თვითაღზრდა, რადგან აღნიშნულ ასაკში ძნელია საკუთარი თავის შეცნობა, მიხვედრა იმისა, რომ მთელი რიგი ხარვეზები აღმოსაფხვრელია საკუთარ თავში.

თვითაღზრდის მოთხოვნილება განსაკუთრებით მკაფიოდ შეიგრძნობა მოსწავლეებსა და მოზარდებში მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებიან მოწიფულობის ზღვარზე, ე.ი. განვითარების იმ გარდამავალ პერიოდში, როდესაც ფორმირდება გარკვეული ცხოვრებისეული იდეალები, ყალიბდება დამოუკიდებლობა, კრიტიკული მოთხოვნები ადამიანებისა და საკუთარი თავისადმი.

აღზრდაში მონაწილეობს აღმზრდელი და აღსაზრდელი – სუბიექტი და ობიექტი, მაგრამ თვითაღზრდაში სუბიექტიც და ობიექტიც ის პიროვნებაა, რომელიც თავად არის ჩართული თვითაღზრდაში.

მოზარდების თვითაღზრდა საჭიროებს სათანადო ტაქტიან ხელმძღვანელობას მშობლებისა და მასწავლებლების, უმაღლეს სასწავლებლებში ყველა საგნის ლექტორების მხრიდან.

თვითაღზრდაში წარმატების მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს, აგრეთვე იმ პიროვნებების საერთო განათლებას, მსოფლმხედველობას, ერუდიციას, ვინც ამ პროცესს უშუალოდ ხელმძღვანელობს. მშობლებიც, მასწავლებლებიც და უმაღლეს სასწავლებლებში ლექტორები კარგად უნდა იყვნენ გაცნობიერებულები იმაში, თუ როგორ უნდა აღუძრან მომავალ თაობას თვითაღზრდის სურვილი, როგორ აუხსნან მათ ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელი თვისებების აღმოსაფხვრელად რა სახის მუშაობა ჩაატარონ.

თვითაღზრდისთვის პირველ რიგში აუცილებელია საკუთარი პიროვნების ანალიზი. აღნიშნული სახის ანალიზის დროს ხდება დადებითი თვისებების როგორც საყრდენის გამოყოფა და უარყოფითის გამოვლენა, რომლებიც უნდა გადაიღახოს. ეს ანალიზი მთავრდება საკუთარ თავზე მუშაობის გადაწყვეტილებით. თვითანალიზი საშუალებას იძლევა პიროვნება გაერკვეს თავის საქციელში, რეალურად გაიაზროს საკუთარი ინტერესები, მისწრაფებები. ეს კი ხელს შეუწყობს დადებითი და უარყოფითი თვისებების გამოვლენას.

თვითშეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითაღზრდაში. თვითშეფასებისას პიროვნება ცდილობს გაიაზროს თავისი საქციელი და შემდეგ გამოასწოროს მის

მიერვე დაშვებული შეცდომები, აღმოჩენილი ნაკლოვანებები. თვითშეფასებისას აუცილებელია რეალობისა და საკუთარი თავის შეფასება სხვისი თვალით, ანუ იმგვარად, როგორადაც შესაძლებელია დაგვინახოს სხვამ.

თვითაღზრდაში თვითშეცნობას განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საკუთარი თავის შეცნობა პიროვნებას იმაში ეხმარება, რომ საფუძვლიანად შეისწავლოს და გაარკვიოს რომელი თვისებები უნდა გააძლიეროს საკუთარ თავში, რომელი აღმოფხვრას, რომელი ახალი თვისებები შეიძინოს, ვის შეიძლება მიჰბადოს, ვინ შეიძლება გახდეს მისთვის სამაგალითო და ა.შ. მაგრამ სხვა დადებითი პიროვნების ცხოვრების მაგალითების პირდაპირ მექანიკურად გადმოღება არ შეიძლება, თუნდაც ის სხვა იდეალური ადამიანი იყოს. თვითკონტროლის გარეშე წარმოუდგენელია თვითაღზრდა. თვითკონტროლი უაღრესად მნიშვნელოვანი საშუალებაა იმისა, რომ არ დავუშვათ რაიმე მნიშვნელოვანი გადაცდომა, ვეცადოთ არ დავარღვიოთ ჩვენივე საქმიანობის, საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ეტიკეტი, არ გავხდეთ სხვათა თვალში უარყოფითი შეფასების ობიექტი, ვიყოთ წინდახედულნი, თავაზიანნი, ყოველმხრივ მოწესრიგებულნი, ყოველდღიურ ცხოვრებაში, შრომაში, ნებისმიერ საქმიანობაში. თვითკონტროლთან ერთად საჭიროა ერთგვარი თვითანგარიშიც საკუთარ თავთან, სწორედ ისეთი როგორსაც დიდი ილია ჭავჭავაძე გვთავაზობდა: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა მე დღეს ვის რა ვარგე“.

თვითდარწმუნება თვითაღზრდის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. იმისათვის, რომ ადამიანმა უარი თქვას რაიმე არჩევანზე, ანდა შეცვალოს დამოკიდებულება არჩევანის მიმართ, საჭიროა თვითდარწმუნება იმაში, რომ მის მიერ დაკავებული პოზიცია მცდარია, რომ აუცილებელია პოზიციის შეცვლა ახალი ღირებულებებისადმი.

თვითშთაგონება მჭიდროდაა დაკავშირებული თვითდარწმუნებასთან და იგი ფაქტობრივად მის ნაწილად შეიძლება წარმოვიდგინოთ. მხოლოდ აქ არ შეიძლება რაიმე ზოგადი ხასიათის რეცეპტის შედგენა. თვითშთაგონება პიროვნების ნებისყოფისა და მიზანდასახულობის წარმართვის მამოძრავებელი ბერკეტია. ის უმთავრესად მაშინ გამოიყენება, როდესაც ადამიანი განიცდის წინააღმდეგობის დაძლევის გზაზე გარეგან ან შინაგან სიძნელეებს, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს შიში, ნებისყოფის პარალიზება, ანუ როდესაც ადამიანი ფიქრობს, რომ იგი წარმატებებს რატომღაც ვერ მიაღწევს. თვითშთაგონება ეფექტიანია მაშინ, როცა ადამიანი ბოლომდე არ ენდობა თავის თავს და დარწმუნებული არ არის საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს თვითკრიტიკის დიდი მნიშვნელობა თვითაღზრდაში. ის საკუთარი ნაკლოვანებების დაძლევის შესანიშნავი საშუალებაა, რამეთუ თუკი ვიცით, რა არ მოგვწონს საკუთარ პიროვნებაში და მას თვითკრიტიკის შედეგად უფრო მკვეთრად დავაფიქსირებთ, უთუოდ მოვძებნით საშუალებას მათი სრული დაძლევის უზრუნველსაყოფად. თვითკრიტიკა ერთგვარი გზა და საშუალებაა სწორი დიაგნოზის დასასმელად საკუთარი ავ-კარგის გარკვევის გზაზე.

თვითაღზრდაში დადებითი შედეგების მიღების მიზნით აუცილებელია წინასწარ განსაზღვრული გეგმის შედგენა. მიზანი შეიძლება იყოს პიროვნების ზოგადი განვითარების საკითხები, კულტურის ამაღლება, ზნეობრივი თვისებების შეძენა და შემდგომი მუშაობა აღნიშნული თვისებების განმტკიცებაზე და ა.შ. აღნიშნული გეგმის მიზანი

შეიძლება განისაზღვროს დროის დიდი მონაკვეთით, წლების მანძილზე და ზოგჯერ შედარებით მცირე დროით – რამდენიმე თვით.

ცნობილია, რომ აღმზრდელობით მუშაობაში გამოიყენება აღზრდის სხვადასხვა მეთოდები: დარწმუნება თავისი სხვადასხვა სახეობით (მაგალითი, ახსნა-განმარტება, ეთიკური საუბრები და ა.შ.), ვარჯიში, წახალისება და დასჯა. თვითაღზრდაში ყველაზე ეფექტიან საშუალებად მიიჩნევა დარწმუნების მეთოდი. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მასწავლებელმა, მშობელმა, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორმა, ბავშვის, მოზარდის, სტუდენტის გრძნობებზე, შეგნებაზე, ხასიათსა და ნებისყოფაზე ისეთი მძლავრი ზემოქმედება უნდა მოახდინოს, რომ მათ გაუჩნდეთ სურვილი აქტიურად ჩაერთონ თავად საკუთარ თავში მთელი რიგი დადებითი თვისებების სრულყოფისა და უარყოფითი ჩვევათა და ხასიათის დაძლევისთვის.

დარწმუნების საშუალებებიდან ფართოდ გამოიყენება ეთიკური საუბრები. ასეთი საუბრების მიზანია, ახალგაზრდებს სწორი წარმოდგენა მიეცეთ ზნეობის არსზე. საუბრის დროს გამოყენებული ფაქტების, მოვლენების შესახებ მათ უჩნდებათ გარკვეული აზრი, შეფასების საკუთარი უნარი და ამ პროცესში, მსჯელობის საფუძველზე, თანდათანობით მიმდინარეობს თვითაღზრდაზე სწორი წარმოდგენების ჩამოყალიბება. საუბრების ჩატარებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ასაკობრივი თავისებურებები.

თვითაღზრდის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩავატარეთ კვლევა. გამოკითხულ იქნა 50 მოსწავლე (XI კლასის) და 50 სტუდენტი. კვლევის მიზანი იყო გაგვეგო, როგორ ესმით თვითაღზრდის არსი და გაგვესაზღვრა ახალგაზრდების თვითაღზრდის დონე.

არცთუ სახარბიელო პასუხები მივიღეთ. ზოგი აღნიშნავდა, რომ აღზრდა მხოლოდ ის პროცესია, როცა უფროსი ადამიანი ასწავლის ასაკით უმცროსებს რა და როგორ გააკეთოს, ახალგაზრდა თვითონ ვერ ჩაერთვება საკუთარი თავის აღზრდაში; თავიანთი თვისებებით, განათლებით და აღზრდილობით კმაყოფილება გამოავლინეს. გამოკითხულთა მცირე ნაწილი აღნიშნავდა, რომ ცდილობენ დააკვირდნენ ირგვლივ მყოფების ქცევას, მოქმედებას და რაც კარგია მათში, შეითვისონ, ზოგჯერ კრიტიკულად მიუდგნენ საკუთარ საქციელს და აღმოფხვრან უარყოფითი თვისებები.

პედაგოგიური ლიტერატურის გაცნობით, ჩატარებული კვლევის შედეგად დავრწმუნდით, რომ ძალიან დიდი მუშაობაა ჩასატარებელი მომავალი თაობის თვითაღზრდის პრობლემების გადასაჭრელად. აღმზრდელობითი მუშაობა უნდა ტარდებოდეს სისტემატურად, მიზანმიმართულად, მით უმეტეს დღეს, როცა ჩვენი მომავალი თაობა ვერ დაიკვეხნის თავიანთი აღზრდილობით.

საკვანძო სიტყვები: თვითაღზრდა, თვითანალიზი, თვითშეფასება, თვითშთაგონება, თვითკრიტიკა, დარწმუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასილაძე ნოდარი, 1999: პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი.
2. გობრონიძე ალექსანდრე, 1994: მოსწავლეთა თვითაღზრდის ორგანიზაციის მეთოდიკა წიგნში: აღზრდის საკითხები, ბათუმი.
3. მაღაზონია შოთა, 2001: პედაგოგიკა, თბილისი.
4. რაფაეა ანტიპა, 1987: ადამიანის ფაქტორი და თვითაღზრდა, თბილისი.

5. ჭავჭავაძე ილია, 1955: თხზულებანი, ტ. IV, თბილისი.
6. Бордовская Нина, Реан Артур, 2000: Педагогика – Учебник для вузов (Учебник нового века), Москва – Харьков – Минск.

Lia Menteshashvili
Doctor of Pedagog, Professor

Self – upbringing – Actual Problem

Abstract

Self-upbringing is systematic and conscious action of a person, which is directed to the positive characteristics improvement and overcome negative habits of a person.

Self-upbringing is difficult, multi-sided process, it needs much time and great will, as it means to produce high moral characteristics.

Self-upbringing begins from childhood in the family and continues for all life. Teacher and pupil take part in upbringing as subject and object, they both are persons, who are involved in self-upbringing.

Great importance has self-examination, self-appraisal, self-control and self-criticism in self-upbringing.

Particular meaning in self-upbringing has pupil's age and individual peculiarities. We also should pay attention to the teacher's education, ideology and erudition.

Key words: self – upbringing, self-appraisal, auto-suggestion, self-criticism, assurance, self-examination

Константин Рамишвили
Доктор педагогических наук,
почетный профессор университета Ильи

Зарождение и развитие педагогической инноватики

Современное общество характеризуется быстрыми и глубокими изменениями. Все изменения, которые вносят что-то новое, обычно называются новшеством. Сегодня новшества вторгаются во все сферы жизни общества. Они неотделимы от нашей жизни и работы, в производстве, технике, искусстве, науке, образовании. Нельзя себе представить успешной реализации новшеств в других сферах общественного труда без нововведений в сфере образования и воспитания. Образование как общественная функция должно следовать за изменениями в обществе и при этом влиять на него, на его развитие и изменение.

Нововведения считаются наиболее оптимальным средством повышения эффективности образования.

Возникновение любой отрасли научного знания связано с изучением ее истоков. Инновационные процессы в образовании возникали в различные исторические периоды и определяли его развитие. Известно, что естественные науки издавна отличались интенсивным инновационным процессом. Об этом свидетельствует, например, XVII век. С введением естественных дисциплин в преподавании меняется организация и методика преподавательской работы (предметная, часовая система, лабораторные работы). По существу эти изменения нашли широкое применение уже в конце XVIII века после полного и частичного перехода образования в руки светской власти [9].

XIX век известен как век исключительных изменений количественного и качественного характера как в обществе, так и в производстве. Эти изменения продолжились с различной интенсивностью и широтой, приобретая характер экспансии в XX веке. В его начале возникли многие педагогические движения, известные в педагогике как педагогические направления. В качестве примера можно привести движение за воспитание личности (Элен Кей), рабочую школу (Дьюи), теорию Кершенштайнера, систему воспитания Марии Монтессори, систему-метод Декроли, план Дальтона.

Но все эти педагогические теории дали ограниченный результат и не получили широкого применения и распространения в педагогической практике. Историки образования подчеркивают, что от них нельзя было ожидать больших результатов, если учитывать их общественно-политическую, экономическую и, прежде всего социолого-философскую основу, связь и обусловленность с развитием научной мысли во время их разработки [9].

История учит, что ни одну реформу в образовании нельзя плотно реализовать, если она не является составной частью глубокой реформы общества. В сущности все реформаторские мероприятия и эксперименты в образовании проводятся в определенных общественно-экономических, политических и научно-культурных условиях, которые определяют место, положение и роль человека в общественном процессе и влияют на цели и задачи образования.

Заслуживает внимание вывод В. Загвязинского [1], что для исследования инновационных процессов в образовании большое значение имеет понятие «общественная инновационная среда», в окружении которой происходят инновационные процессы. Это понятие раскрывается в трех основных аспектах: социально-экономическом, психологическом и организационно-управленческом. Эти аспекты характеризуют разные условия протекания инновационных процессов, тот общий социальный климат, который либо благоприятствует, либо мешает этим процессам возникать и развиваться.

Основоположниками исходных понятий инноваций считаются немецкие ученые В. Зобарт, В. Метчерлих и австрийский экономист И. Шумпетер, которые применяли эти понятия в связи с социально-экономическими проблемами.

Целостную характеристику инновационных процессов дали в разное время американские ученые Х. Варнет, Д. Гамильтон, Н. Гросс, М. Майлз, А. Хаберман.

В России педагогическая инноватика нашла свое отражение в исследованиях В. Загвязинского, В. Лазарева, М. Кларина, А. Пригожина, А. Хуторского, Н. Юсуфбековой.

Осмысление практики применения педагогических инноваций прослеживается в учебно-методических пособиях и статьях А. Асатиани, К. Варданашвили, Б. Гомелаури, И. Гордзегани, И. Курдадзе, Л. Тавгиридзе, З. Цуцкиридзе, Г. Чачанидзе.

Из последних публикаций заслуживает особое внимание учебное пособие «Инноватика и инновационные образовательные технологии», авторами которого являются Н. Криони, С. Селиванов и Ф. Шарипов [3].

Анализ первых публикаций по проблематике педагогической инноватики показал, что их авторы довольно основательно осветили понятие «инновация»; факторы и источники инновационных процессов, критерии и источники их; специфические проблемы введения, освоения и применения новшеств в разных звеньях системы образования, определили роль и соотношений традиций и инновации в образовании.

В тоже самое время нельзя не отметить ряд недоработок в определении сущности и предзначения педагогической инноватики, а именно: отождествлялись понятия «новшество» и «инновация», что неверно. Новшество – это средства (новый метод, методика, технология), а инновация – это процесс освоения этого средства. Не было указано на то, что педагогическое средство имеет две стороны:

технологическую, связанную со спецификой его использования и личностную, позволяющую педагогу путем проявления своих индивидуальных качеств (профессиональной подготовленности, коммуникабельности, эмоциональности) влиять на эффективность его освоения.

В классификации педагогических инноваций не был выделен такой параметр, как степень преобразования педагогических процессов, вносящих как коренные, так и частичные изменения.

Недостаточно полно охарактеризован управленческий аспект инновационных процессов.

В настоящее время фронт исследований проблем педагогической инноватики значительно расширился. В центре внимания дидактов находятся такие вопросы, как проблема

выбора новшеств и затруднения на пути их введения; условия, необходимые для «жизнедеятельности» инноваций; планирование инноваций посредством использования дидактических разработок; инновационные педагогические технологии; управления педагогическими инновациями и другие.

Интерес представляет разработка Н. Лапиным системно-деятельностной концепции инноваций, в которой главное внимание обращено на разные уровни анализа инноваций (общенаучный, общеметодологический, конкретно-научный, прикладной); раскрывается структура инновационных процессов, основные параметры нововведений [9].

Дидакты пришли к общему выводу в определении понятий «объект педагогической инноватики» и «предмет педагогической инноватики».

Объектом педагогической инноватики является инновационный процесс, в основе которого лежит инновационная деятельность.

Предметом педагогической инноватики является совокупность педагогических условий, средств и закономерностей, связанных с разработкой, введением и освоением педагогических новшеств в образовательном процессе.

В. Лазарев под инновационным образовательным процессом подразумевает «процесс развития образования за счет создания, распространения и освоения новшеств», а инновационная деятельность определяется как «целенаправленное преобразование практики образовательной деятельности за счет создания, распространения и освоения новых образовательных систем или каких-то их компонентов» [4].

А. Хуторской считает, что в ходе инновационной образовательной деятельности меняется не только содержание, но и система отношений субъектов образования, их взаимодействия, которые определяют специфику обучения, воспитания, становления личности учащегося и преподавателя [10].

Возникает вопрос: «Какие именно проблемы возникают у педагогов – новаторов, решение которых находятся в сфере педагогической инноватики?» Дидакты обозначают наиболее значимые:

- различия в потребностях учащихся и образовательного учреждения;
- существование в образовательной организации различных педагогических концепций и подходов;
- несоответствие концепций образовательного учреждения требованиям образовательным стандартам;
- проблема совмещения инновационных учебных программ с традиционными;
- отсутствие должного учебно-методического обеспечения работы по новым концепциям;
- адаптация новшеств к новым условиям;
- отсутствие профессиональной подготовки педагогов-новаторов нового типа.

Одним из основных источников появления педагогических инноваций следует признать педагогическую науку. Именно в ходе развития этой науки меняются представления о системе и целях образования, его содержании, образовательном процессе.

В результате деятельности теоретиков и практиков современного образования за три последних десятилетий возникло много новых и модернизированных педагогических идей, таких как идея гуманизации и гуманитаризации образования; идея вариативности и свобода выбора рода занятий; содержания и организационных форм образования; идея организации и интенсификации воспитания и образования; идея сотрудничества и неформального общения и другие.

В учебном пособии Г. Селевко «Современные образовательные технологии» [7] дана обширная характеристика более 50 инновационных педагогических технологий. В их числе: технология уровневой дифференциации; технология интенсификации обучения на основе схемных и знаковых моделей учебного материала; технология укрупнения дидактических единиц; технология индивидуализации обучения; технология развития творческих качеств личности.

Проблема реализации инновационных идей в реальном процессе обучения с достаточной полнотой разрешена не только в дидактике, но и в педагогической психологии. В психологическом аспекте интерес представляет исследование В. Ляудиса [6], который осуществил анализ традиционного и инновационного обучения по следующим параметрам обучающей системы:

- педагогические цели;
- ролевые позиции субъектов образовательного процесса;
- мотивационно-смысловые установки педагога;
- характер организации учебно-познавательной деятельности;
- формы учебных взаимодействий;
- контроль и оценка.

На наш взгляд, наиболее конструктивны, с точки зрения возможного проектирования технологии обучения, является выдвинутый В. Ляудисом такой параметр обучающей системы, как характер организации учебно-познавательной деятельности, В. Ляудис утверждает, что «традиционное» и «инновационное» обучение отличаются по тому месту, которое занимают в обучении операционно-техническая и смысло-целеполагающая стороны учебно-познавательной деятельности.

Если в «традиционном» обучении, отмечает, Д. Левитес [5], овладение исполнительной оперативно-технической стороной деятельности опережает смысло-и целепологание, то в «инновационном» обучении на первый план выдвигаются творческие и продуктивные задания, определяющие смыслы и мотивы выбора обучением репродуктивных задач.

Следует отметить исследование М. Кларина, в котором он дает дидактическую характеристику двум подходам к построению двух моделей обучения: технологическому и поисковому [2].

С точки зрения М. Кларина, технологический подход является модификацией традиционного обучения на основе преобладающей репродуктивной деятельности учащихся. Этот подход предопределяет разработку моделей обучения на основе четко фиксированных эталонов усвоения – «технологический конвейер».

В отличие от него поисковый подход предполагает преобразование традиционного обучения на основе продуктивной деятельности учащихся, определяет разработку моделей обучения как инициируемого учащимися освоения нового опыта. Цель такого обучения, согласно выводу М. Кларина, развитие у учащихся способности самостоятельно осваивать новый опыт, ориентиром деятельности педагогов и учащихся является «порождение новых знаний, способов действий, личностных смыслов».

В аспекте вышеизложенного заслуживает внимание выделение двух групп дидактических поисков моделей обучения; в русле технократического и поискового подходов.

В русле технократического подхода:

- исходят из эффективной репродуктивной деятельности как самостоятельной ценности, преимущественно направлены на дидактические цели невысокого познавательного уровня;
- являются личностно-нейтральными;
- делают акцент на стандартизированных учебных процедурах и предполагают положительный эмоциональный фон, но, вместе с тем, личностно-нейтральный характер включения ученика и педагога в учебный процесс.

В русле поискового подхода:

- акцентирует развивающий потенциал обучения;
- исходят из самостоятельной ценности поисковой деятельности;
- ставят дидактические цели высокого познавательного уровня, ставят педагога в позицию партнера по учебному исследованию;
- предполагает личностную включенность всех участников обучения, высокую личностно-профессиональную готовность педагога к гибкому, тактичному взаимодействию с учащимися [5].

Очень важно при разработке дидактических моделей обучения держать в поле зрения пять важнейших структурных элементов инновационного процесса:

- деятельностный (мотив, цель, задачи, содержание, формы, методы);
- субъектный (инновационная деятельность всех субъектов развития образовательного учреждения);
- уровневый (взаимосвязанная инновационная деятельность субъектов на разных уровнях (школьном, вузовском, районном, городском, региональном);
- содержательный (разработка и освоение новшеств в обучении, в организации учебно-воспитательного процесса);
- управленческий (взаимодействие четырех управленческих функций (планирование, организации, руководства и контроля).

Главным действующим лицом в многоаспектном инновационном образовательном процессе является педагог. Его инновационную деятельность дидакты трактуют как личностную категорию, как созидательный процесс и результат творческой деятельности.

Творческая продуктивная личность педагога должна обладать креативностью, широтой интереса, чуткостью и проблемами, восприимчивостью к педагогической инноватике.

Естественно, чтобы обладать необходимыми личностно-профессиональными качествами для инновационной деятельности, требуется специальная подготовка.

По мнению В. Сластенина [8], формирование готовности педагога к инновационной деятельности предусматривает:

- самоанализ на основе мотивов и диспозиций педагогической деятельности;
- рефлексию к построению системы смыслов;
- открытость профессиональным новшествам;
- стремление к самореализации, воплощению в профессиональной деятельности своих намерений;
- субъектирование элементов содержания образования в личностно-смысловое содержание, т.е. наделение личностным смыслом.

Отсюда следует, что для участия в педагогических нововведениях педагог должен приобрести опыт выявления и формирования субъектного опыта организации инновационной педагогической деятельности.

Ключевые слова: истоки педагогической инноватики, объект и предмет педагогической инноватики; инновационные модели и технологии обучения; педагог в инновационном образовательном процессе.

Литература:

1. Загвязинский 2006: Загвязинский В.И. Теория обучения: современная интерпретация, м., 2006.
2. Кларин 2018: Кларин М.В. Инновационные модели обучения. м., 2018.
3. Криони 2018: Криони Н.К., Селиванов С.Ч., Шарипов Ф.В. Инноватика и инновационные образовательные технологии м., 2018.
4. Лазарев 2004: Лазарев В.С. Педагогическая инноватика: объект, предмет и основные понятия //Педагогика, 2004. №4.
5. Левитес 2003: Левитес Д.Г. Автодидактика. Теория и практика конструирования собственных технологий обучения. м., 2003.
6. Ляудис 1994: Ляудис В.Я. Педагогические предпосылки проектирования моделей инновационного обучения в школе //Инновационное обучение. Стратегия и практика. м., 1994.
7. Селевко 1998: Селевко Г.К. Современные образовательные технологии м., 1998.
8. Сластенин 2000: Сластенин В.А. Учитель в инновационном образовательном процессе. м., 2000.
9. Подосинникова 1998: Подосинникова О.П., Пятин В.А. Инновационные процессы в образовании //Основы разработки педагогических технологий и инноваций. Астрахань, 1998.
10. Хуторской 2001: Хуторской А.В. Современная дидактика. СПб., 2001.

კონსტანტინე რამიშვილი
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პედაგოგიური ინოვაციის ჩასახვა და განვითარება

რ ე ზ ი უ მ ე

ავტორი ეყრდნობა რა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მეცნიერების მიღწევებს, განათლებაში კვლევების ინოვაციურ პროცესებს, თავიდანვე კვალდაკვალ მიყვება პედაგოგიური ინოვაციის ჩასახვასა და განვითარებას. სტატიაში აღნიშნულია პედაგოგიური ინოვაციის საგანი და ობიექტი; არჩეულია ინოვაციური და ტრადიციული სწავლების პარამეტრები; დახასიათებულია ინოვაციური მოდელები და სწავლების ტექნოლოგიები. ხაზგასმულია დაჟინებითი აუცილებლობა პედაგოგების მზადყოფნის ფორმირების ინოვაციურ პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური ინოვაციის სათავეებთან, პედაგოგიური ინოვაციის საგანი და ობიექტი; ინოვაციური მოდელები და სწავლების ტექნოლოგიები; მასწავლებელი ინოვაციურ სასწავლო პროცესში.

Konstantin Ramishvili
Doctor of Pedagogical Sciences,
Honorary Professor of Ilya University

The Origin and Development of Pedagogical Innovation

Abstract

The author relies on the achievements of psychological and pedagogical science, researches innovative processes in education. Traces the origins of the origin and development of pedagogical innovation.

The article identifies the subject and object of pedagogical innovative learning, characterizes the models and technologies of learning.

The urgent need for the formation of teachers readiness for innovative pedagogical activity is emphasized.

Key words: origins of pedagogical innovation, object and subject of pedagogical innovation; innovative models and learning technologies; teacher in the innovative educational process.

გელა ცაავა
აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აფხაზური განათლება პანდემიის პირობებში: კრიზისი და მისი დაძლევის შესაძლო გზები

კორონავირუსულმა (COVID-19) პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა მსოფლიოს უმეტესობა და ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. გამონაკლისი არც განათლების სისტემა იყო. სოციალური დისტანციის უზრუნველსაყოფად და ვირუსის შეკავების მიზნით დაიხურა საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მსგავსი შემზღუდავი ზომები მსოფლიოს უმეტესმა ქვეყნებმა მიიღო. შედეგად მსოფლიოში 1.5 მილიარდზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი მოსწყდა სკოლებსა და უნივერსიტეტებს. მთავრობებს, პედაგოგებს, მშობლებსა და თავად მოსწავლეებს უწევდათ ნაჩქარევად ადაპტირება ახალ რეალობასთან.

ოკუპირებულ აფხაზეთში, ისევე როგორც სხვაგან მსოფლიოში, პანდემია განათლების სისტემის გამოწვევად იქცა. ადგილობრივი მაცხოვრებლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და კორონავირუსის ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით 2021 წლის 25 მარტს ოკუპირებული აფხაზეთი კარანტინში მოათავსეს.

შემაკავებელი ზომები მოიცავდა ოკუპირებულ რეგიონში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლის აკრძალვას, ე. წ. საჯარო თანამშრომლების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანას და მასობრივი ღონისძიებების აკრძალვას.

აფხაზი პედაგოგის ლიანა არჩელიას განცხადებით, „გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ Covid-19-ის პანდემიის გამო, აფხაზეთში განათლება კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ოქტომბრიდან (2020 წლის) სკოლებში სწავლა შეჩერებულია. სამწუხაროდ, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო სახელმწიფოს ჯერ არ შეუთავაზებია ეფექტიანი ალტერნატივა. ამ ფონზე სკოლის მოსწავლეების მშობელთა ჯგუფმა შექმნა პეტიცია და პრეზიდენტს სკოლების გახსნა და პირისპირ სწავლის განახლება სთხოვა. უფრო მეტიც, მშობლები ამბობენ, რომ ზომები დაუსაბუთებლად იქნა შემოღებული“.

2021 წლის 28 მარტიდან 20 აპრილის ჩათვლით ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედებდა ე. წ. საგანგებო მდგომარეობა. ოკუპირებული აფხაზეთის სკოლები რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: შეეცადნენ საგანმანათლებლო პროცესის დისტანციურ გარემოში გადატანას ან სწავლის შეწყვეტას, საგანმანათლებლო პროცესის დროებით შეჩერებას.

პირველი გზა მოიცავდა მთელი რიგი პრობლემების დაძლევას: განსხვავებები საკომუნიკაციო არხების ხელმისაწვდომობაში, ტექნიკური აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის ნაკლებობა, მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის ციფრული გაუნათლებლობა.

შედეგად, დე ფაქტო ხელისუფლება მინიმალური წინააღმდეგობის გზას დაადგა და ბავშვებს უჩვეულო საგაზაფხულო არდადეგები დაუწესა. თუმცა, როდესაც 2021 წლის 7 აპრილს და შემდეგ 4 მაისს გაგრძელდა საკარანტინო ზომები და საზოგადოებამ დაიწყო იმის გაგება, რომ „კოვიდ-ეპოქა“ ახლა იწყებოდა, გამოჩნდა პირველი მცდელობები „სახელმწიფო“ საშუალო სკოლების ახალ რეალობასთან მორგების.

ოკუპირებულ რეგიონში სკოლის მოსწავლეებს სწავლის გაგრძელება უჩვეულო ფორმატში მოუწიათ. ზოგიერთმა მასწავლებელმა დაიწყო ე. წ. ონლაინ-გაკვეთილების ჩატარება. ამავდროულად მათმა უმრავლესობამ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ შეძლო სასწავლო პროცესის აღდგენა.

ოკუპირებული სოხუმის ე. წ. განათლების სამმართველოს ხელმძღვანელმა ასტანდა ტარკილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „არსებობენ მასწავლებლები, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს საშინაო დავალებას აძლევენ სოციალური ქსელების გამოყენებით, როგორცაა Zoom, WhatsApp და სხვა, მაგრამ მასწავლებლებისა და მოსწავლეების ორი პროცენტი იყენებს ამას, დანარჩენ 98%-ს არ აქვს ეს შესაძლებლობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ონლაინ-გაკვეთილების ორგანიზება არის სუსტი, ეს არ შეიძლება არ გვაწუხებდეს, არ შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროცესი ინტერნეტ-რესურსების დახმარებით განხორციელდა“.

იგივე სურათი დაფიქსირდა ოკუპირებული რეგიონის სხვა ქალაქებსა და რეგიონებშიც. დე ფაქტო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ვალერი ბლანბას „ბრძანებით“ რეგიონმა გააუქმა ყოველწლიური გამოცდები მე-4 _ მე-8 და მე-10 კლასებში. ივნისში 1-ლიდან მე-10 კლასების მოსწავლეთა სასწავლო წელი დასრულებულად გამოცხადდა.

თუმცა ამ სკოლების კურსდამთავრებულები, ასევე საშუალო სპეციალიზებული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები, დაბრუნდნენ აუდიტორიებში. მართალია, მხოლოდ ორი კვირით და გამოცდებისთვის მოსამზადებლად.

კლასები დაიყო ჯგუფებად, სკოლებმა დაიცვეს უსაფრთხოების ყველა წესი, უზრუნველყოფილი იყო საჭირო მანძილი მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. ორკვირიანი პერიოდის ბოლოს მოსწავლეები საზაფხულო არდადეგებზე გაუშვეს. კიდევ ერთხელ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლამ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

„სოხუმის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრმა“ განიხილა განათლების სისტემაში ცვლილებების შესაძლებლობა პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისის კონტექსტში. პანელის მონაწილეებმა დააფისირეს ის უპირატესობები და რისკები, რომლებსაც აწყდება ტრადიციული განათლების სისტემა დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების დანერგვისას.

ე. წ. სოხუმის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ოლეგ დამენიამ აღნიშნა, რომ რეალობა სწრაფად იცვლება და განათლების სისტემა რჩება ტრადიციული, არ არსებობს სტრატეგია და არ არის მკაფიო გაგება იმისა, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონდეთ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რათა დააკმაყოფილონ ცხოვრებისეული მოთხოვნები.

დამენიას მოსაზრებით, სისტემური კრიზისი გაამწვავა პანდემიამ, რომელიც მოითხოვდა დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას. პანდემიამ და დისტანციური სწავლების ახალი ფორმების დაუფლების აუცილებლობამ ყველა გააოცა. მან შეხვედრის მონაწილეებს მოუწოდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ახალ პირობებში, რათა ადექვატური რეაგირება მოახდინონ ვითარებაზე .

ოკუპირებულ აფხაზეთში პანდემიის გამოწვევებთან გამკლავების მცდელობები დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტის ფორმირებას დაემთხვა. 2021 წლის ივნისში დე ფაქტო განათლებისა და ენის პოლიტიკის ახალი მინისტრი დაინიშნა. ის გახდა ინალ გაბლია, ეკონომისტი და აფხაზური ენის ონლაინ-სკოლის დირექტორი. სწორედ მას მოუხდა პანდემიის პირობებში ახალი სასწავლო წლის დაწყება და რთული გადაწყვეტილების მიღება.

ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა დე ფაქტო განათლებისა და ენის პოლიტიკის სამინისტროს გაუგზავნა ე. წ. მითითებები. მათთან შესაბამისობით უნდა მომხდარიყო დახმარების უზრუნველყოფა „რესპუბლიკის“ სკოლებში კორონავირუსის აღმოჩენისა და გავრცელების თავიდან აცილების შემთხვევაში.

ე. წ. დოკუმენტში, სხვა პუნქტებთან ერთად, მითითებული იყო, რომ სკოლები, სადაც ბევრი ბავშვი სწავლობს, უნდა განიტვირთოს ზოგიერთი მოსწავლის სასწავლებლად საცხოვრებელ ადგილზე გაგზავნით. უნდა მომხდარიყო კლასების განტვირთვა 18-20 მოსწავლემდე; ორგანიზება უნდა გაწეოდა საგანმანათლებლო პროცესს ისე, რომ უფროსი მოსწავლეები არ გადაადგილდებოდნენ საკლასო ოთახებში, ანუ თითოეულ კლასს მინიჭებოდა ისეთი ადგილი, რაც მინიმუმამდე შეამცირებდა ფიზიკურ კომუნიკაციას. ამსთან ერთად, უნდა შემცირებულიყო დაწყებით სკოლაში გაკვეთილების დრო 30 წუთამდე, ხოლო შესვენებები გაზრდილიყო 10-15 წუთამდე.

აფხაზეთის ე.წ. სამინისტრომ მიიღო სათანადო რეკომენდაციები და აიღო პასუხისმგებლობა მათ შესრულებაზე, მაგრამ როგორც ჩანდა, ოკუპირებულ რეგიონში არავინ იცოდა ზუსტად როგორ წარემართა სასწავლო პროცესი ყველა ამ ინსტრუქციის გათვალისწინებით.

თუმცა მალე თავი იჩინა მასწავლებლების სერიოზულმა დეფიციტმა მთელ ოკუპირებულ რეგიონში. ამიტომ 65 წელს გადაცილებული მასწავლებლები, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდა, კვლავ მიიპატიჟეს სამუშაოდ.

„გაგრის რაიონის განათლების სამმართველოს უფროსის“ მადინა აჟიბას თქმით, განათლების ახალი ფორმა მუშაობს, მაგრამ რამდენად ეფექტიანად რჩება, ამაზე მსჯელობა რთულია. მისივე განცხადებით, „სოფლის სკოლებში სიტუაცია ცოტა უარესია, მაგრამ არის მაგალითები, როდესაც დისტანციური სწავლება სოფლებში გაცილებით ეფექტიანი გახდა, ვიდრე ქალაქებში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მიუდგებიან სკოლების ადმინისტრაცია და მასწავლებლები ახალ პასუხისმგებლობებს“ .

განათლების პრობლემების დაძლევის საკითხებში გარკვეული დაბნეულობა აისახა იმაში, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ერთ დღეში მიიღეს და გააუქმეს გადაწყვეტილება, რომ ეთნიკურ აფხაზ ბავშვებს მხოლოდ ოკუპირებული აფხაზეთის სკოლებში შეეძლოთ

სწავლა. ეს გაკეთდა, როგორც იქნა, სკოლების განტვირთვის მიზნით, მაგრამ ე. წ. განკარგულებამ საზოგადოებაში გაურკვეველი რეაქცია გამოიწვია.

ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა მიიჩნია, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა თანასწორობისა და არჩევანის თავისუფლების პრინციპებს, სხვები კი ამ გადაწყვეტილებას „რესპუბლიკაში“ აფხაზური ენის შენარჩუნებისა და განვითარების იარაღად თვლიდნენ. ამის გამო დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა ე. წ. მინისტრის განკარგულება გააუქმა.

აფხაზი პედაგოგი ირინა ადლეიბა სოხუმის მე-14 სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობს და მან პროგრამა „Zoom“-ის გამოყენება ჯერ კიდევ 2021 წლის მარტში დაიწყო. ადლეიბას განცხადებით, ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს ერთიანი ბაზა, სადაც მასწავლებლები შეძლებენ მასალების ატვირთვასა და შესაბამისი გამოცდილების გაცვლას. მასწავლებელი თვლის, რომ სწავლების ეს ფორმა მოსწავლეთა პიროვნულ საზღვრებსაც ანადგურებს.

დე ფაქტო განათლების სამინისტროში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების ახალი წესების შემოღების ეტაპზე უკვე აღიარებულ იქნა, რომ „რამდენიმე ადამიანი შეასრულებდა სათანადო რეკომენდაციებს ასი პროცენტით“.

2021 წლის 28 სექტემბერს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება კვლავ კარანტინში მოექცა. სკოლებსა და კოლეჯებს ამ პერიოდისთვის სთხოვეს გაკვეთილების ორგანიზება სამი ფორმით: პირდაპირი ტრანსლაცია, რასაც მოჰყვა ჩაწერა, წინასწარ ჩაწერილი ვიდეო გაკვეთილები და მიმოწერის სისტემა.

„სოხუმის ადმინისტრაციის განათლების სამმართველოს უფროსის“ ასტანდა ტარკილის განცხადებით, ოკუპირებულ რეგიონში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას, რომ ქალაქის სკოლებში სასწავლო პროცესი ტრადიციული ფორმით წარიმართოს. ამასთან დაკავშირებით სოხუმის სკოლებში დისტანციური სწავლება დაინერგა, თუმცა იქ არსებული მდგომარეობის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა მასში ქალაქის ყველა მოსწავლის ჩართვა.

აღსანიშნავია, რომ საკარანტინო პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთში არა დისტანციური სწავლება, არამედ სწავლებაზე გადაუდებელი ხელმისაწვდომობა იყო უზრუნველყოფილი.

განსხვავება ისაა, რომ დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელია საგანმანათლებლო მასალების შემუშავება, სპეციალიზებული მოდულების საპილოტე ვერსიის გაშვება. მასწავლებლებმა და ინსტრუქტორებმა დრო უნდა გაატარონ გაკვეთილზე, რათა იცოდნენ, რამდენი ინფორმაციის მიწოდება შეიძლება და რას ისწავლიან მოსწავლეები ამ დროის განმავლობაში. არ არსებობდა შესაბამისი დრო და თანხები ამ სახის დაგეგმვისთვის. გარდა ამისა, ყველა ბავშვს არ მიუღია ერთნაირი წვდომა სასწრაფო დისტანციურ სწავლებაზე.

ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს, თუ რამდენ მოსწავლეს აქვს წვდომა ინტერნეტთან და ლეპტოპთან და რამდენ პროცენტს აქვს განათლებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებელი უნარები.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო განათლებისა და ენის პოლიტიკის მინისტრ ადგურ კაკობას განცხადებით: „ჩვენ ვიპოვეთ შესაძლებლობა შეგვეძინა პროგრამული

უზრუნველყოფა დისტანციური სწავლებისთვის. ამ პროგრამას ჰქვია Moodle და ეს არის ავსტრიული დისტანციური სწავლების პროგრამა. იგი გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეს პროგრამა ასევე გამოიყენება რუსეთის ფედერაციაში. მას ჰქვია ღია ტექნოლოგიები. ამ პროგრამის საფუძველზე აფხაზი პროგრამისტები შეიმუშავებენ ახალ პლატფორმას ეროვნული კომპონენტით, რომელიც საშუალებას მოგვცემს სტუდენტებთან ონლაინ გაკვეთილების ჩატარებას.

თუმცა, დაკვირვებით და ამას დე ფაქტო განათლების სამინისტროც აღიარებს, ეს მცირე პროცენტია. ციფრული წიგნიერება და სპეციალიზებული მასწავლებლის უნარები ასევე ძალიან შეზღუდულია. განსაკუთრებით „რესპუბლიკის“ სოფლებში, სადაც ხშირად არ არის უფასო ინტერნეტი.

დე ფაქტო განათლების სამინისტრომ აფხაზი სკოლის მოსწავლეების საჭიროებებზე ადაპტირებული ონლაინ-პლატფორმის შექმნის გეგმებზე ჯერ კიდევ 2021 წლის აპრილში ისაუბრა. შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „უწყების თანამშრომლები“ შეზღუდნენ UNICEF-ის წარმომადგენლებს და სთხოვეს ოკუპირებული აფხაზეთის განათლების სისტემის უზრუნველყოფა დისტანციური სწავლების პროგრამით.

აფხაზი მასწავლებლის ლოლიტა კაციას განცხადებით, „ისეთი საგნების სწავლება, როგორცაა გეომეტრია, ფიზიკა, ქიმია, რთულია მოსწავლე-მასწავლებლის კავშირის გარეშე. ხშირად მშობელი ვერ ეხმარება ბავშვს ამ დისციპლინების შესწავლაში, რაც ბავშვებში დამატებით სტრესს იწვევს. მასწავლებელმა უნდა განაახლოს პროგრამა ისე, რომ კარანტინის დროს მოსწავლეებს მივაწოდოთ ისეთი თეორიული მასალა, რომელიც აუცილებელია უმარტივესი პრობლემების გადასაჭრელად, პრაქტიკა კი სრულ განაკვეთზე სწავლისთვის დატოვოს“.

ამავდროულად, მშობელთა ჯგუფმა ადგილობრივ მარიონეტულ ხელისუფლებას მოუწოდა სწავლების ტრადიციული მეთოდის დაბრუნებისაკენ, რადგან მათი აზრით გაუმართლებელია „ბავშვებთან ასეთი ექსპერიმენტების ტარება“.

ე. წ. საინიციატივო ჯგუფმა დაარეგისტრირა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „მშობელთა ეროვნული კომიტეტი“. მისმა წევრებმა ოკუპირებული აფხაზეთის მასშტაბით წამოიწყეს ხელმოწერების შეგროვება სკოლის მოსწავლეების იმ მშობლებისგან, რომლებიც მხარს უჭერდნენ სკოლების გახსნასა და სასწავლო პროცესის გაგრძელებას სანიტარიული ნორმების დაცვით.

გარდა ამისა, მშობლებმა მიმართეს ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტ ასლან ბჟანიას, რომ მშობლები „უკიდურესად შეშფოთებულნი არიან ყველა სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შეჩერებით“. მშობელთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა მადინა გუმბამ განაცხადა: „ჩვენ ვმოქმედებთ ხელისუფლების დასახმარებლად. ჩვენ ვითხოვთ და არა ვთხოვთ, დავუბრუნდეთ ტრადიციულ განათლებას“.

აქტივისტები ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს ე. წ. კანონი განათლების შესახებ, რაც მნიშვნელოვნად ართულებს განათლების სისტემაში არსებულ ისედაც კრიზისულ მდგომარეობას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში განათლების დისტანციურ ფორმატში არსებობა მთავარ გამოწვევად რჩება.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, დისტანციური ფორმატი, განათლების სისტემა, ტრადიციული განათლება, ოკუპირებული რეგიონი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ასტანდა ტარკილი: დისტანციური სწავლება მოიცავს ქალაქის სკოლის მოსწავლეების 40%-ს“. 21 იანვარი, 2021 წელი. ხელმისაწვდომია: <https://abkhaz-auto.ru/news/11412>;

2. „დისტანციური სწავლისგან თავის დაღწევა: იყო თუ არა ეფექტური ონლაინ განათლება აფხაზეთში“. 10.02.2021. ხელმისაწვდომია: <https://sputnik-abkhazia.ru/20210210/Domashnyaya-shkola-dalo-li-polzu-dstantsionnoe-obuchenie-v-Abkhazii--1031810476.html>;

3. ზავოდსკაია ე. „დისტანციურ განათლებას აფხაზეთში პანდემიის ფონზე განიხილავდნენ“. 5 ივნისი, 2020. ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/30655246.html>;

4. კაკობა ა. „დისტანციური განათლება მთლიანად არ ცვლის ტრადიციულს“. 25 აპრილი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/30575262.html>;

5. „სასკოლო განათლების კრიზისი - რა უნდა გავაკეთოთ?“. 28.12.2020. ხელმისაწვდომია: <http://chp-apsny.org/events-and-opinions/krizisnaya-situatsiya-v-shkolnom-obrazovanii-cto-delat/>;

6. „შემუშავებულია აფხაზური ონლაინ პლატფორმა მოსწავლეთა დისტანციური სწავლებისთვის“. 4 დეკემბერი, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: <http://abkhazinform.com/item/11987-razrabatyvaetsya-abkhazskaya-onlajn-platforma-dlya-dstantsionnogo-obucheniya-shkolnikov>

7. წიჟბა ა. „იყოს თუ არ იყოს: დისტანციური განათლების ბედი აფხაზეთში“. 05.12.2020. ხელმისაწვდომია: <https://sputnik-abkhazia.ru/20201205/Byt-ili-ne-byt-sudba-dstantsionnogo-obrazovaniya-v-Abkhazii-1031408451.html>

GELA TSAAVA
Ph.D. Doctor, Associate Professor
Georgian-American University
Georgian National University SEU

Abkhazian Education in a Pandemic: the Crisis and Possible Ways to Overcome it
Abstract

The coronavirus (COVID-19) pandemic has severely affected most of the world population and almost every area of life. The education system was no exception. In order to provide social distance and to contain the virus, educational institutions were closed.

Similar restrictive measures have been taken by most countries in the world. As a result, more than 1.5 billion students worldwide (more than 90% of the total student population) were cut off from schools and universities. Governments, teachers, parents and students themselves had to adapt quickly to the new reality.

In occupied Abkhazia, as elsewhere in the world, the pandemic has become a challenge to the education system. On March 25, 2021, occupied Abkhazia was quarantined to protect the lives and health of its citizens and to prevent the spread of coronavirus infection.

Restrictive measures included banning foreign nationals from entering the occupied region, e.g. transfer of civil servants to remote work mode and ban on mass events. Shops, cafes, restaurants, gyms and all educational institutions were closed. Public transport stopped working.

Keywords: Abkhazia, Online-Format, Education System, Traditional Education, Occupied Region.

დავით მახაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნინო მოდებაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეთა კურიკულუმის აკომოდაცია და მოდიფიკაცია

ისტორიაში ცნობილია უამრავი გამოჩენილი პიროვნება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობებით დაიბადნენ, თუმცა ეს მათ ხელს არ უშლიდათ დიდი მიზნების მიღწევაში. მათი არასრული ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ჯეინ ადამსი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ალექსანდრე გრაჰამ ბელი, ლუის ბრაილი, რეი ჩარლზი, ისააკ ნიუტონი, ფრანკლინ დ. რუზველტი, სტივ ვანდერი და სხვა.

ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ მხოლოდ იზოლირებული საკლასო ოთახები უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის (მაგ. ინტელექტუალური განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეები) სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. თუმცა, არსებობს კვლევებზე დაფუძნებული მტკიცებულებები, რომლებიც აბათილებს ამ აზრს და ამგვარ მოსწავლეთა ადგილს უმეტესად საკლასო ოთახებში, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა გვერდით მოიაზრებს. ამგვარი მოსწავლეებისათვის ზოგადი სასწავლო გეგმის პარალელურად საგანმანათლებლო პროცესში სპეციალურად მათთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშაობს და ეხმარება მოსწავლეებს, მიუახლოვონ თავიანთი სასწავლო შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, რომლებიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების წარმატებული განხორციელების მიზნით სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და/ანალტერნატიული (მოდიფიცირებული) სასწავლო გეგმის შესრულება, დანერგოს ინკლუზიური განათლების კულტურა და იზრუნოს მის განვითარებაზე, შეასრულოს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. საკლასო კურიკულუმის მოდიფიკაცია ცვლის ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების შემეცნებითი შესაძლებლობების შესაბამისად და მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური, მოდიფიცირებული კურიკულუმის შესაბამისი სასწავლო შედეგები.

არსებობს კურიკულუმის მოდიფიკაციის სხვადასხვა ცნებები და ტერმინები, რომელთა შორისაა ადაპტაცია და აკომოდაცია. „აკომოდაცია არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილება, რომელიც ამცირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეზღუდვებს და ზრდის განათლების ხელმისაწვდომობას“. (ბაგრატიონ-გრუზინსკი.მ, ზაქარეიშვილი.,მ, ფილაური.,ქ, კვაჭაძე., ქ, (2014). აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე. ის არ ცვლის ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსს, მაგრამ დამხმარე და გამამდიერებელი ტექნიკების და ტექნოლოგიების გამოყენებით ეხმარება მოსწავლეს იმ ბარიერების დაძლევაში, რომელიც ექმნება სწავლის დროს. დავალებების სირთულე და შინაარსი რჩება იგივე, რაც ზოგადად კლასისთვის. მოსწავლეს აქვს იგივე სასწავლო შედეგები, რაც ზოგად ეროვნულ სასწავლო გეგმაშია აღწერილი. სხვადასხვა შემთხვევაში ცვლილება შეეხება სკოლისა და კლასის ფიზიკურ გარემოს, საათობრივ ბადეს, დღის გრაფიკს, აქტივობების ხანგრძლივობას, სასწავლო მასალასა და სწავლების სტრატეგიებსა და სხვა. თითოეული ამ ტიპის ცვლილების მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც გაზრდის მიზნის (შედეგის) მიღწევის შესაძლებლობას მისი შეცვლის გარეშე.

რაც შეეხება კურიკულუმის ადაპტაციას, ის არ ცვლის, მაგრამ უმნიშვნელოდ ამარტივებს კურიკულუმის შინაარსს. იგი ძირითადად გულისხმობს მასწავლებლის დროისა და დატვირთვის გაზრდას; ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისთვის დავალებების გამარტივებას და რაოდენობის შემცირებას.

ინკლუზიურ განათლებაში დამატებით გამოიყენება აგრეთვე მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის ცნებაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და მასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჩართვისას მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მოსწავლეთა პროგრესის შეფასებაც, რომელიც კურიკულუმის განმახორციელებელ გუნდს უქმნის წარმოდგენას, რამდენად ეფექტურად მუშაობს მოდიფიცირებული კურიკულუმი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გადადიან განათლების დაწყებითი საფეხურიდან განათლების საშუალო საფეხურზე, ძირითადი სასწავლო გეგმა სულ უფრო რთულდება და მოითხოვს მოსწავლის მნიშვნელოვანი ვერბალური, საბაზისო უნარ-ჩვევების გამოყენებას. საშუალო და მძიმე ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლე, რომელიც ამ უნარების მნიშვნელოვან დეფიციტს განიცდის, არ უნდა გამოირიცხოს ზოგადი სასწავლო გეგმიდან, მაგრამ საჭიროა, რომ მისი ადაპტირება მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი იყოს. „საჭიროა ფრთხილად გააზრება და დაგეგმვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადაპტირებულ გაკვეთილზე ნათლად აისახოს ის, რასაც ზოგადად კლასი სწავლობს და არსებობდეს ძლიერი კავშირი ამ კლასის შედეგებსა და კლასის დონეზე მოთხოვნილ სტანდარტებთან“ (დაუნინგი, 2010). კურიკულუმის ადაპტაცია შესაბამისად არ არის რაღაც, რაც შეიძლება გაკეთდეს შემთხვევით, არამედ მას უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული წინასწარ გააზრებული გეგმა. ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებს შესაძლოა დახმარება გაეწიოთ ზოგადსაგანმანათლებლო კურიკულუმის სფეროში სხვადასხვა, მათ შორის, აკომოდაციებისა და მოდიფიკაციების მიმართულებით. აკომოდაციები - ცვლილებებია იმ გზაზე, რომელსაც მოსწავლე ზოგადი კურიკულუმისკენ მიჰყავს, ან რომლის მეშვეობითაც ის

საკუთარი სწავლის შედეგების დემონსტრირებას ახდენს. „აკომოდაციები უზრუნველყოფს სწავლაზე ერთნაირ ხელმისაწვდომობას, არსებითად არ ცვლის სწავლების დონესა და შინაარსს, ემყარება მოსწავლის ინდივიდუალურ ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებს. ის შეიძლება ვარიერებდეს ინტენსივობის, ან დონის საკითხებს შორის“ (*ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით*, (2013). მაგ: ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე, მოსწავლეთათვის სიტყვების ჩამონათვალში ერთნაირი ასოებით დაბოლოების მქონე სიტყვების 10-დან 5 სიტყვამდე შემცირება. ამ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე პასუხისმგებელია იმავე მასალის შესწავლაზე, რომელიც ტიპური განვითარების მოსწავლემ უნდა შეისწავლოს, თუმცა ნაკლები დატვირთვით. „სხვა მაგალითად შეიძლება მოვიაზროთ მოსწავლისათვის კითხვითი დავალების შესასრულებლად, მასწავლებლის მიერ უფრო მეტი დროის გამოყოფა, სწავლის პროცესში მასწავლებლის მეტი დახმარება, წესების ხშირად შეხსენება, ნაბეჭდი ტექსტებითა და დავალებების ჩანიშვნით დახმარება და სხვა“ (*ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით*, (2013).

კურიკულუმთან დაკავშირებული მოდიფიკაციები უზრუნველყოფს იმ მასალას, რომელიც არსებითად ცვლის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმას. მაგ: მეტყველების დარგში პრობლემაზე ნაკლებად დაფუძნებული კონცეფციის შეთავაზება, რომელიც მოსწავლისაგან რთულ მსჯელობას არ მოითხოვს.


კურიკულუმის მოდიფიკაციები კითხვაში შესაძლოა, მიახლოებული იყოს წლიურ სასწავლო გეგმას. ასეთია მსუბუქი ფორმის ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის ე.წ. Hi/Lo ციფრული კითხვის აპარატები. ამგვარი მოწყობილობები ხელს უწყობს უფრო რთულ და მოცულობით ლიტერატურასთან მუშაობის უნარების გამომუშავებას, როდესაც ბავშვი ცუდად კითხულობს, მაგ: „გულივერის მოგზაურობა“.

„მოსწავლისათვის საშუალო ფორმის შეზღუდული შესაძლებლობის დროს, მათ კურიკულუმთან შეიძლება იმუშაონ ისეთი აქტივობების მეშვეობით, როგორებიცაა: რეცეპტების კითხვა და კულინარიული ტერმინების განსაზღვრა“ (კოლინზი, კარლი, რიგსი, გალოუეი და ჰაგერი, 2010). ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, რომ: „კურიკულუმები ადაპტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის, არამედ ტიპური განვითარების მქონე მოსწავლისთვისაც“ [სპეციალური განათლება, (2009)]. უფრო მეტიც, სტანდარტული სასწავლო გეგმის ადაპტაცია შეიძლება იყოს სარგებელი მთელი პერიოდის განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებით დაწყებული, ტიპური განვითარების მოსწავლით დამთავრებული. კურიკულუმი შეიძლება შეიცვალოს შინაარსისა და ანგარიშვალდებულების მიხედვით. საკლასო ოთახებში ყოველთვის არიან მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ სხვა და სხვა ტემპით და უფრო მეტი წინარე გამოცდილება, ან სხვა და სხვა შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე მათ თანატოლებს. გამოცდილი პედაგოგები ყოველთვის ავტომატურად და ინტუიციურად ხვდებიან და ახდენენ სასწავლო გეგმის ადაპტირებას, შეიმუშავენ ინსტრუქციებს თითოეული მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მითი: მხოლოდ იზოლირებული საკლასო ოთახები უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის განხორციელებას ინტელექტუალური განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის. დავუშვათ, რომ ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ სხვადასხვა სასწავლო ორიენტირი, რადგან მათ არ შეუძლიათ შეისწავლონ

ძირითადი აკადემიური შინაარსი. მეცნიერთა ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ სწავლების ამ ტიპს აზრი არ აქვს; ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის არსებული სწავლების დრო უნდა გადანაწილდეს ისეთ პრიორიტეტულ სფეროებზე, როგორიცაა დამოუკიდებელი ცხოვრებისეული და ფუნქციური უნარები. ჯერჯერობით კვლევების მიხედვით ინტელექტუალური განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ შეისწავლონ სასწავლო გეგმის ძირითადი შინაარსი და, შესაბამისად, მათ უნდა მიეცეთ ამის უფლება. მაგალითად, ბროუდერმა, ვაკერმანმა, სპუნერმა, ალგრიმ-დელზელმა და ალგოზინმა (2006) აჩვენეს, რომ ინტელექტუალური განვითარების დარღვევების მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ კითხვის უნარების განვითარება. ანალოგიურად, მძიმე ფორმის ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებმა აჩვენეს მათემატიკური უნარებისა (ბრაუდერი, სპუნერი, ალგრიმ-დელზელი, ჰარისი და ვაკმენი, 2008) და სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების სწავლების შესაძლებლობა (კოურტაიდი, სპუნერი, და ბრაუდერი 2007). ინკლუზიური განათლებაში აღმოჩენილ იქნა, რომ „შესაძლებელია, ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებს ასწავლონ სწავლაზე დაკვირვებით ჯგუფური ინსტრუქციებით, ვიდრე მხოლოდ იზოლირებულ გარემოში (ფარმერი, გასტი, ვულერი და უინტერლინგი, 1991). კვლევებმა ცხადყო, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მიღწევა კითხვასა და მათემატიკაში უკეთესადაა შესაძლებელი ინკლუზიურ გარემოში (კოლი და სხვები, 2004)“ (ტეილორი და ფრანცისი, 2017).

სურათზე: 1 ნაჩვენებია ცხოველთა გაცნობის ადაპტირებული გაკვეთილი მეოთხე კლასის ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლისთვის, რომელიც ვერ კითხულობს ჩვეულებრივი წესით და სჭირდება უფრო მარტივი კონცეფციების ხატვა, რომლებსაც ასრულებს ფერწერული მხარდაჭერით.



ცხოველის ადაპტაცია

რაჰყვია შენს ცხოველს? რაფერია შენი ცხოველი?



თეთრი

ლურჯი

შავი

მწვანე

ნაცრისფერი

ყავისფერი

სად ცხოვრობს შენი ცხოველი?



წინასწარი ცოდნა, რომელ ასაკში ისწავლება მოცემული სასწავლო პროგრამა, საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, დახმარება გაუწიონ გუნდის სხვა წევრებს, რათა აიღონ გარკვეული პასუხისმგებლობა სასწავლო გეგმის ნაწილების ადაპტაციისთვის. მათი შენახვა, მოდიფიცირება და ხელახლა გამოყენება შესაძლებელია წლების განმავლობაში ნებისმიერი მოსწავლისთვის, რომელსაც ესაჭიროება კურიკულუმის ასეთი სახით ცვლილება.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალური განვითარების დარღვევა, მოსწავლე, აკომოდაცია, მოდიფიკაცია, ადაპტაცია, კურიკულუმი, სკოლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაგრატიონ-გრუზინსკი. მ, ზაქარეიშვილი. მ, ფილაური. ქ, კვაჭაძე. ჟ, (2014), *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, © საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი.
2. „*Children with disabilities*”, (2013), Department of Clinical Research and Leadership The George Washington University School of Medicine and Health Science Washington Seventh Edition; edited by: Batshaw. M, Roizen, N.J, Gaetano R. Lotrecchiano. G.R, Copyright © 2013 by Paul H. Brookes Publishing Co.
3. Downing, J R; Foreword By Ryndak, D., „Academic Instruction for students with Moderate And Severe Intellectual disabilities in Inclusive Classrooms.”; (2010)., Printed in the United States of America., ISBN 978-4129-7142-3., Copyright © 2010 by Corwin.
4. Handbook of Research-Based Practices for Educating Students with Intellectual Disability., (2017)., Edited by Michael L. Wehmeyer and Karrie A. Shogren., First published., © 2017 Taylor & Francis.
5. Wehmeyer. Michael L., Brown, I., Percy. M, Shogren. K., Wai Lun Alan Fung., (2017)., „A comprehensive Guide to Intellectual & Developmental Disabilities”, second Edition., Copyright © by Paul H.

Davit Makhashvili
Iakob Gogebashvili Telavi State university Professor
Nino Modebadze
Iakob Gogebashvili Telavi State university Professor

Accommodation and Modification of the Curriculum of the Students Having Disabilities in Intellectual Development

Abstract

With the help of researches in inclusive education, a well-established myth among people is gradually being abolished that only isolated classrooms provide attainment of teaching plan results for the students of certain intellectual disabilities. In reality, the place for such students is considered to be in the classrooms next to the peers having typical development via appropriate support, resource and teaching strategies among which the most important is modification-accommodation and adaptation of the curriculum. In various situations the changes refer to: physical environment of school and the classroom, hour grid, daily schedule, duration of educational activities, enlargement of teacher's time and load, simplification/or reduction of the tasks for the students.

Key words: Disabilities of intellectual development, student, accommodation, modification, adaptation, curriculum, school.

სკოლის აღმზრდელობითი სისტემის ფორმირების თეორიული საფუძვლები

პირველ ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია დაზუსტდეს არაერთგვაროვანი მნიშვნელობის მქონე ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „საგანმანათლებლო სისტემა“ და „განათლების სისტემა“ და მათი გამოყენების სფეროები. განათლების სისტემა, როგორც სოციალური ინსტიტუტი, მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლიობას, არსებულს საზოგადოებაში, ქვეყანაში, ქალაქში, რეგიონში, ხოლო საგანმანათლებლო სისტემაში, როგორც წესი, იგულისხმება საგანმანათლებლო საქმიანობის რომელიმე კონკრეტული ორგანიზაცია (მაგალითად, ი. კომენსკის კლასისათვის დაწესებული (განკუთვნილი) სისტემა, მ. მონტესორის ან ე. კეის სისტემა და ა.შ.).

პედაგოგიური სისტემა, აღნიშნავს ლ. შიიანი, არის უფრო ფართო ცნება. საგანმანათლებლო სისტემაში ის გულისხმობს აღზრდის სისტემასაც [5].

მეცნიერი პედაგოგები (ვ. გოლდბერგი, ვ. კარანოვსკი, ი. კონარჟევსკი, ვ. ლაზარევი, მ. პოტაშკინი და სხვ.), პედაგოგიურ სისტემას განიხილავენ როგორც ურთიერთდაკავშირებული საშუალებების, მეთოდების და პროცესების გარკვეულ ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია ორგანიზებული, მიზანმიმართული, გეგმაზომიერი პედაგოგიური გავლენის მოსახდენად პიროვნების ფორმირებაზე. შედეგად, კონკრეტული საზოგადოებისათვის ფასეულ ორიენტირებად წესდება პიროვნების ფორმირებისათვის საჭირო მიზნები, ანუ ესა თუ ის პედაგოგიური სისტემა.

ვ. კარანოვსკი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი პედაგოგიური სისტემის სტრუქტურა (ანტიკური, შუასაუკუნეობრივი, კაპიტალისტური) თანამედროვეობაში წარმოდგენილია შემდეგი ინვარიანტული ელემენტების ერთობლიობით: ესაა მონაწილეები, მათი სწავლებისა და აღზრდის მიზნები, მასწავლებლები და სწავლების ტექნიკური საშუალებები, სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის პროცესები და ორგანიზაციული ფორმები [1].

ზემოთ ნაჩვენები (განხილული) სტრუქტურის ფარგლებში ხორციელდება მოსწავლეებისა და პედაგოგების ყველა ურთიერთქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ პედაგოგიური პროცესის მიმართულებას, რომელიც სრულდება მოცემული თვისებების მქონე პიროვნების ფორმირებით. ყველა პედაგოგიური მოვლენა, წარმოშობილი ჩამოყალიბების, განვითარების და ცხოვრების აღმზრდელობითი საქმიანობის ევოლუციურ პროცესში, თავის ახსნას პოულობს ელემენტების სტრუქტურულ ძვრებში ან მათ შორის კავშირების ხასიათში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიური სისტემის სტრუქტურაში მკაფიოდ იკვეთება ყველანაირი სამეცნიერო თეორიის ორი ამოსავალი ცნება: მისი ამოცანები და მათი გადაწყვეტის ტექნოლოგიები.

დიდაქტიკოსების დასკვნების თანახმად, ყოველი პედაგოგიური ამოცანა ამოხსნადია (შეიძლება გადაწყვეტილი იქნას) სწავლების ადეკვატური ტექნოლოგიის საშუალებით, რომლის მთლიანობა უზრუნველყოფილია ურთიერთდაკავშირებული სამი კომპონენტის მეშვეობით: ორგანიზაციული ფორმა, დიდაქტიკური პროცესი და პედაგოგის კვალიფიკაცია (ან სწავლების ტექნიკური საშუალებების ხარისხი და მისი ფუნქციები).

სასკოლო განათლების მოდერნიზაციისადმი მიძღვნილ ნაშრომთა უმეტესობაში აღინიშნება ობიექტური აუცილებლობა შეიცვალოს სასკოლო აღზრდის პარადიგმა, მისი ორიენტაცია პედაგოგიურ რაციონალურ მართვასთან დაკავშირებით და ეხება მოსწავლის როგორც პიროვნების, სუბიექტის, ინდივიდუალურობის განვითარების პროცესებს, რაც მოითხოვს (საჭიროებს) ამ პიროვნების მთლიანობის გათვალისწინებას.

ბავშვის პიროვნება - მთლიანი ორგანიზმია, რომელშიც ყველა სტრუქტურული კომპონენტი უწყვეტ ურთიერთკავშირშია. მთლიანობას, როგორც ბავშვის სისტემაწარმომქნელ მახასიათებლს, უნდა შეესატყვისებოდეს აღზრდის პროცესის მთლიანობა. აქ შეიძლება გავიხსენოთ პედაგოგიკის ფუნდამენტური დასკვნა: „საერთოდ არანაირი საშუალება, როგორც არ უნდა ავიღოთ, არ შეიძლება იქნეს აღიარებული არც როგორც კარგი, არც როგორც ცუდი, თუ მას განვიხილავთ სხვა საშუალებებისაგან, მთლიანი სისტემისგან, გავლენის მთლიანი კომპლექსისგან განცალკევებით“.

საჯარო სკოლებში ჯერ ვერ პოვა ასახვა ინტეგრაციის ურთიერთქმედებების, სისტემური მიდგომის პროცესებმა, რაც იწვევს აღმზრდელობითი ძალისხმევის მრავალმიმართულებიანობას, აღზრდის პროცესის ხელოვნურ დანაწევრებას ცალკეულ შემადგენლებად [3].

იმისთვის რომ გადაილახოს წინააღმდეგობა სკოლის აღმზრდელობითი პოტენციალის ამაღლების სოციალურ მოლოდინებსა და რეალურ სასკოლო პრაქტიკას შორის, სოციალური და პიროვნული მიზნების განსაზღვრასა და სასკოლო აღზრდის ამოცანებს, მათი ადეკვატური შინაარსის, ფორმების, პედაგოგიურ ტექნოლოგიებსა და მეთოდებს შორის, აუცილებელია ლ. შიიანის პოზიციის თანახმად, სკოლის აღმზრდელობითი სისტემის განვითარების მართვის პრობლემების პედაგოგიური მეცნიერებითა და პრაქტიკით უფრო ღრმად დამუშავება, რომლის არსი მოძრაობაშია და მიმართულია დაცალკავებული აღმზრდელობითი გავლენების ერთიანი აღმზრდელობითი პროცესისაკენ, რომელშიც ყველა სტრუქტურული კომპონენტი უწყვეტ ურთიერთკავშირშია [3].

სოციალური სისტემების მკვლევართა უმეტესობა (ვ. აფანასიევი, ვ. განზენი, ი. კონარჟევსკი, ლ. ნოვიკოვა, დ. შამოვა, ე. იუდინა) ცნება „სისტემის“ განსაზღვრისა და დახასიათებისას აღნიშნავს მის მიზანსწრაფულობას, ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობის არსებობას, სისტემის ფუნქციონირებას, როგორც რაღაც ერთიანის, მთლიანის. სხვადასხვა თეორიულ მიდგომებში ნაჩვენებია (მითითებულია), რომ ცნება „სისტემა“ მოიცავს ამა თუ იმ რთული მთლიანი ობიექტის ყველაზე განსხვავებულ მხარეებს: მისი სტრუქტურა, შემადგენლობა, არსებობის საშუალება, განვითარების ფორმა.

ჩვენ სრულად (მთლიანად) ვეთანხმებით ი. კონარჟევსკის დასკვნას. ის ერთიანი სისტემის განსაზღვრისას მასში ხედავს ელემენტების ერთმანეთთან ურთიერთქმედების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს გარკვეული მიზნის მიღწევას და თავისთავად წარმოადგენს ერთიან განათლებას, რომელიც ურთიერთქმედებს გარემოსთან [2].

ერთიანი სისტემის არსებითი მხარეების განხილვისას, ყველაზე უფრო მისაღებ საერთო ნიშნად შეიძლება გამოვყოთ სისტემაში ელემენტების, როგორც მინიმალური ერთეულების ერთობლიობა, რომლითაც მოცემული სისტემის ფარგლებში აქვთ დაყოფის ზღვარი. ჩვენ ვფიქრობთ - იმისთვის რომ უფრო განვმარტოთ და გავშალოთ ცნება „სკოლის აღმზრდელობითი სისტემა“, რომელიც წარმოადგენს ერთიანი სოციალური სისტემების

ერთ-ერთ ნაირსახეობას, აუცილებლად საჭიროა ცნება „ელემენტის“ განსაზღვრება, მისი სტრუქტურის გარკვევა, მისი შემადგენლობის დაკავშირების საშუალებები. ი. კონარჟევ-სკის შეხედულების თანახმად ელემენტად ითვლება სისტემის მინიმალური სტრუქტურ-წარმოქმნილი ერთეული, რომელსაც მის ფარგლებში გააჩნია დაყოფის ზღვარი, ფლობს ფუნქციურ და სტრუქტურულ სპეციფიკას, და აგრეთვე ფუნქციურ ინტერგრაციულობას [5].

ამგვარად, ძირითად ერთეულს, რომელთა ერთობლიობა შეადგენს (ქმნის) სისტემას და განსაზღვრავს მის ბუნებას, არის ელემენტი. თუ მოცემული სისტემის ფარგლებში გამოვყოფთ სპეციფიკური ფუნქციური დამოკიდებულებებით დაკავშირებული ელემენტების ჯგუფს საზოგადოებრივ მიზანზე დამოკიდებული ერთიანი კერძო მიზნის სახით, მაშინ ჩვენ მივიღებთ რაღაც ქვესისტემას. ყოველი ქვესისტემა თავისთავად წარმოადგენს დამთავრებულ მთლიანობას და ამასთან ერთად არის იმ სისტემის განუყოფელი ნაწილი, რომელშიც იგი შედის.

რამდენიმე ქვესისტემა, გაერთიანებული გარკვეული ფუნქციური და მმართველობითი კავშირებით, რთულ სისტემებში შეიძლება გაერთიანდნენ ბლოკებში.

ვეთანხმებით რა ზემოთ აღნიშნული სისტემის არსობრივ დახასიათებას, ჩვენ საჭიროდ ვთვლით, დავამატოთ, რომ სკოლის სისტემის მართვის პროცესში, უწყვეტ რეჟიმში, საჭიროა უდიდესი რაოდენობის პედაგოგიური ფსიქოლოგიური და მართვითი ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც ატარებენ პედაგოგიური მოვლენების ხასიათს. იმისთვის რომ გამჟღავნდეს გასაანალიზებელი მოვლენის მიზეზი, თითქმის ყოველთვის საჭირო ხდება მის მინიმალურ სტრუქტურაწარმოქმნელ ერთეულებზე - ელემენტებზე, ქვესისტემებზე, ბლოკებზე გასვლა.

ერთიანი სისტემის მეორე და უფრო საყოველთაო (საზიარო) ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ის არ წარმოადგენს ელემენტების მექანიკურ კონგლიმერატს, არამედ შედგება ურთიერთქმედებაში მყოფი ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობისგან. საშუალება, რომლის დახმარებითაც ეს ელემენტები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, სტრუქტურად წოდებული მათი კავშირების ხასიათია.

სტრუქტურა, რომელიც ასახავს სისტემის ელემენტების, როგორც ერთი მთლიანის ფუნქციურ და განვითარებად კანონზომიერ კავშირებს, წარმოგვიდგება როგორც დინამიკური სტრუქტურა [4].

დინამიკური სტრუქტურა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. ნებისმიერი პროცესი არ არის „გაუთავებელი“ ცვლილებები. მას აქვს სტატიკური, მუდმივი კომპონენტები - პროცესის დაწყება და შედეგი. პროცესის ანალიზისას, პირველ რიგში აუცილებელია მათი - როგორც მისი შემქმნელების გამოყოფა. მაგრამ პროცესის სტრუქტურის ნაწილებს წარმოადგენენ აგრეთვე მცირე პროცესები, რომლებიც იწოდებიან სტადიებად. ისინი ქმნიან გარკვეული შუალედურ, გარდამავლ მდგომარეობას.

2. იმისთვის რომ პროცესის დროს მომხდარი თვისებრივი ცვლილებები განისაზღვროს, აუცილებელია გამოცალკევდეს დინამიკური სტრუქტურის ნაწილები, ნაჩვენები იქნას მათი როლი პროცესის ცვლილებაში და მოიძებნოს მათ შორის კავშირი.

3. დინამიკური სტრუქტურა პირველ ყოვლისა დაკავშირებულია დროსთან. ამიტომ, მათი კვლევისას საჭიროა სივრცობრივი კავშირებიდან „მოწყვეტა“.

4. სტრუქტურა ორგანულად დაკავშირებულია პროცესის ერთიან მახასიათებლებთან [5].

სკოლის აღმზრდელობით სისტემას, რომელიც სოციალური სისტემების ერთ-ერთი ნაირსახეობაა და ვითარდება რა საერთო სახელმწიფოებრივი აღზრდის სისტემის ფარგლებში, გარკვეული ადგილი უკავია აღმზრდელობითი სისტემების იერარქიაში (სახელმწიფოებრივი, ლოკალური, სასკოლო). თუმცა სასკოლო სისტემა, რომელიც ატარებს მასში შემავალი სისტემების თვისებებს, არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით და არ წარმოადგენს მათ შემცირებულ ასლს. მას აქვს თავისი განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც ასახავენ აღზრდის კონკრეტულ პირობებს. განსხვავებული ავტორების პოზიციების ყურადღებით შესწავლისას შეიძლება გამოვყოთ არსობრივი დახასიათებების და ცნების „სკოლის აღმზრდელობითი სისტემის“ სხვადასხვა ვარიანტები (მისი ნიშნები, სტრუქტურა, ელემენტები, ფუნქციები, სისტემაწარმომქმნელი ფაქტორები, განვითარების ეტაპები, მართვის თავისებურებები, მისი ეფექტურობის კრიტერიუმები).

პროდუქტიულად მიგვაჩნია ის მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს განისაზღვროს სკოლის აღმზრდელობითი სისტემა, როგორც საქმიანობის შინაარსის, ორგანიზაციული ფორმების, აღმზრდელობითი მეთოდებისა და ხერხების შიდა ინტეგრირებული ერთიანობა, რომლებიც მიღებულია და ვითარდება მოცემულ დაწესებულებაში, რაც განაპირობებს მიზნის მიღწევას.

ისეთი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების მოწესრიგება, როგორებიცაა: მასწავლებელთა პიროვნება, მათი კოლექტიური საქმიანობა და ურთიერთობა, საერთო საქმიანობის პროცესი; აღმზრდელებისა და აღსაზრდელების როგორც ჰუმანისტური აღზრდისა და პიროვნების განვითარების სუბიექტების ურთიერთქმედება და კავშირები; პირობების (სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური და სხვ.), როგორც სასწავლო დაწესებულებების კოლექტივის ეფექტური აღმზრდელობითი საქმიანობის წყაროსა და ფაქტორების მზარდი მრავალსახეობა - ითვლებიან ცნების „სკოლის აღმზრდელობითი სისტემის“ დახასიათებაში საკვანძოდ.

ამგვარად, ცნების „სკოლის აღმზრდელობითი სისტემის“ განსაზღვრებისას ერთ შემთხვევაში ლაპარაკია არსებითზე - პედაგოგების ზეგავლენის (ზემოქმედების) სისტემაზე, ხოლო სხვა შემთხვევებში - პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულებათა სისტემაზე. მიუხედავად განსხვავებისა, ორივე შემთხვევაში სკოლის აღმზრდელობითი სისტემა გაიგება, როგორც პროცესუალური სისტემა. სხვა ვარიანტებში - აღმზრდელობითი სისტემა განიხილება როგორც გარკვეული ნორმების, პრინციპების, ორგანიზაციული ფორმების სისტემა, რომელიც შეიძლება შევიდეს (დამკვიდრდეს) ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში. ამ მიდგომის თანახმად, აღნიშნავს ვ. კარანოვსკი, პედაგოგიურ პრაქტიკაში სკოლის აღმზრდელობითი სისტემა მიღებულია როგორც ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების ერთობლიობა, რომლებიც თეორიულ დონეზე უფრო განზოგადებული ფორმით ახასიათებენ სკოლის აღმზრდელობითი საქმიანობის ყველა შემადგენელს მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე [1].

თეორიულმა კვლევებმა და საცდელ-ექსპერიმენტულმა მუშაობამ განსაზღვრეს სკოლის აღმზრდელობითი სისტემის შემდეგი ძირითადი ფუნქციები: ინტეგრირება, რეგულირება და განვითარება. პირველს მივყავართ დაქსაქსული, შეუთანხმებელი

აღმზრდელობითი ზემოქმედებების ერთ მთლიანობაში გაერთიანებისაკენ. რეგულირების ფუნქცია მიმართულია აღმზრდელობითი პროცესის მოწესრიგებაზე და მის მართვაზე. განვითარება - უზრუნველყოფს სისტემის დინამიკას, რომელიც გამოიხატება, ერთი მხრივ, მისი ფუნქციონირების ოპტიმიზაციაში, ხოლო მეორე მხრივ - მის წინსვლით მოძრაობაში, სრულყოფაში (გაუმჯობესებაში) [1].

სკოლის აღმზრდელობითი სისტემა, რომელიც დინამიურია თავის განვითარებაში, გადის ძირითად ეტაპებს, რომელთაგან თითოეულისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური, განსაკუთრებული საქმიანობის სახეები, ორგანიზაციული ფორმები, სისტემაწარმომქმნელი კავშირები.

აღმზრდელობითი სისტემის შინაგანი დანაწევრებას არსიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვსაზღვროთ და შესაბამისად დავახასიათოთ მისი განვითარების ეტაპები:

ჩამოყალიბების ეტაპი იწყება იქედან, რომ უკვე არსებული ან ახალ სკოლაში შეაქვთ გარკვეული იდეა, ცხოვრების მომავალი სტილის სახე.

სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვანი სიტუაციების მთელი ეს ფართო ნაკრები ექვემდებარება თავისებურ შერჩევას, რომლის კრიტერიუმს წარმოადგენენ თავიდან შექმნილი სისტემის სტრუქტურული წარმონაქმნები. ყოველთვის, ამა თუ იმ ფორმით, ადგილი აქვს ახლის ძველთან წინააღმდეგობას.

შემდეგია სტაბილიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემაწარმომქმნელი კავშირი რჩება უცვლელი, მოწესრიგების პროცესი კი გრძელდება. მიიღება (შეიძინება) კოლექტიური საქმიანობის გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს წარმატებას და საზოგადოებრივ აღიარებას. იხვეწება ქმედებებისა და ტრადიციების უფრო ეფექტური საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: პედაგოგიური სისტემის არსი, ერთიანი სისტემის ცნება, სასკოლო აღმზრდელობითი სისტემის ფუნქციები, სკოლის აღმზრდელობითი სისტემის განვითარების ძირითადი ეტაპები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Караковский В.А. Воспитательная система школы как объект педагогического управления. М., 1989.
2. Конаржевский Ю.А. Педагогический анализ учебно-воспитательного процесса и управление школой. м., 1986.
3. Лазарев В.С. Поташкин М.Н. Как разрабатывать программу развития школы. м., 1993.
4. Новикова Л.И. Гуманистическая воспитательная система как феномен социальной действительности и объект педагогических исследований. м., 1992.
5. Шиян Л.К. Антеологические основы управления педагогическими системами м., 2003.

Theoretical foundations of the school educational system

Abstract

The author, relying on the study of topical problems of school pedagogy, reveals the essence of the pedagogical system, as a certain set of interrelated elements. The article describes the structure of the educational system of the school, the purpose of which is purposeful and planned activity to form the student's personality, highlighted are integrating, regulating and developing functions of the educational system, the main stages of its development.

Keywords: The essence of the pedagogical system, the concept of a unified system, the functions of the school education system, the main stages of the development of the school education system.

დაწყებითი სკოლა

გიორგი ბერძულიშვილი
აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თამარ დოგრაშვილი
აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ირინე გოგიბერიძე
აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

გრაფები დაწყებითი კლასების მათემატიკის სასკოლო კურსში


გრაფების გამოყენებით შესაძლებელია თვალნათლივ და უმცროსკლასელებისთვისაც კი გასაგები და მისაწვდომი გავხადოთ მრავალი საინტერესო ამოცანის ამოხსნა, მათ შორის საძიებო და საოლიმპიადო ამოცანებიც. სამწუხაროდ, დაწყებით კლასებში გრაფების გამოყენება მათემატიკის სასწავლო მასალით გათვალისწინებული არ არის, რის გამოც მასწავლებელს უხდება მოსწავლეებს გააცნოს თეორიული მასალა [4], [5], რომელიც უშუალო კავშირშია გრაფების პრაქტიკულ გამოყენებასთან. ეს დრო იმდენად მცირეა, რომელიც სრულად ანაზღაურდება, რასაც გრაფების გამოყენებით ამოცანების ამოხსნისას დაზოგავს შემდგომში მასწავლებელი.

უმცროსკლასელებს მასწავლებელმა შეიძლება უთხრას, რომ მათემატიკაში არსებობს ცალკე ნაწილი, რომელსაც გრაფების თეორია ეწოდება და მისი საშუალებით შესაძლებელია არა მარტო მათემატიკური, არამედ პროგრამირების, ბუნებისმეტყველების და სოციალური მეცნიერების მრავალი პრობლემური საკითხის გადაწყვეტა. ხოლო ისინი გრაფებს გამოიყენებენ ამოცანების ამოხსნისას. შევნიშნოთ, რომ დაწყებით კლასებში გრაფთა თეორიის საკითხების სიღრმისეული სწავლება საჭირო არ არის, აქ უნდა შემოვიფარგლოთ იმით, თუ როგორ გამოვიყენოთ გრაფები პრაქტიკული მიზნების განსახორციელებლად. პირველ რიგში მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნოს რა არის გრაფი. მარტივად რომ აუხსნას მოსწავლეებს, მასწავლებელი ეუბნება, რომ გრაფი არის წერტილთა სიმრავლე, რომელიც შეიძლება შევაერთოთ ხაზებით. ხაზები გვიჩვენებენ იმ კავშირებზე, რომელიც არსებობს მათ შემაერთებელ წერტილებს შორის. წერტილებს მეორენაირად გრაფის წვეროებსაც უწოდებენ, ხოლო ხაზებს, რომლებიც გრაფის წვეროებს ერთმანეთთან აერთებს – გრაფის წიბოები ეწოდება. რადგან შევთანხმდით, რომ მოსწავლეებს მივაწვდიდით ძალზე მცირე რაოდენობით თეორიულ მასალას, პირველ ეტაპზე მეტი საჭირო არ არის და მიზანშეწონილია გადავიდეთ გრაფების პრაქტიკულ გამოყენებაზე. განვიხილოთ ამოცანები.


ამოცანა 1. მზის სისტემის პლანეტებს შორის დაფრინავენ კოსმოსური ხომალდები მარშრუტებით: დედამიწა-იუპიტერი; დედამიწა-მერკური; მერკური-მარსი; მარსი-ვენერა; იუპიტერი-ნეპტუნი; ურანი-სატურნი; ნეპტუნი-მარსი. ამ მარშრუტებით დედამიწიდან მოვხვდებით მარსზე?

აღვნიშნოთ წერტილებით მზის სისტემის პლანეტები და დავაწეროთ თითოეულ წერტილს შესაბამისი პლანეტის სახელი. ორ პლანეტას შორის კავშირების აღსანიშნად გამოვიყენოთ ამ პლანეტების შესაბამისი წერტილების შემაერთებელი ხაზები, ანუ გრაფის წიბოები.

დედამიწიდან დაფრინავენ კოსმოსური ხომალდები მარშრუტებით: დედამიწა-იუპიტერი და დედამიწა-მერკური. ამიტომ შეგვიძლია წერტილი, რომელიც აღნიშნავს დედამიწას-შევაერთოთ წერტილებთან იუპიტერი და მერკური. ანალოგიურად, შევაერთებთ სხვა წერტილებსაც მარშრუტების შესაბამისად. მივიღებთ გრაფს (ნახ. 1). გრაფიდან მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მარტივად დაასკვნიან, რომ დედამიწიდან ურანზე იმ კოსმოსური ხომალდებით, რომელთა მარშრუტებიც მოცემულია ამოცანაში, ვერ მოხვდებიან. ამის შემდეგ მოსწავლეებთან გრძელდება თეორიული მასალის გადაცემა და მასწავლებელი ახსნის, რომ ამოცანის ამოხსნისას გამოყენებული იყო არაორიენტირებული გრაფი. არაორიენტირებულია გრაფი, თუ ხაზებზე არ არის მითითებული მიმართულება და მოსწავლეებს უხსნის, რომ გრაფი ორიენტირებულია, თუ გრაფის წიბოებს აქვთ მიმართულება ისრებით. თუ შეერთებულია გრაფის ორი A და B წვერო და ისრის სათავეა A და ბოლო B , ანუ მიმართულება მიემართება A -დან B -კენ, ეს ნიშნავს, რომ ის კავშირები, რომლებიც დამყარებულია გრაფის A და B წვეროებს შორის, არის A -დან B -კენ და არ არის B -დან A -კენ.




ნახ. 1.



ნახ. 2.

ამოცანა 2. ნახაზზე გამოსახულია გზების სქემა A, B, C, D, E, F და G ქალაქებს შორის (ნახ. 2). თითოეული ქალაქიდან მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ ისრის მიმართულებით. რამდენი განსხვავებული გზა არსებობს A ქალაქიდან F ქალაქში მისასვლელად?

A ქალაქიდან შეიძლება მოვხვდეთ B, D და F ქალაქში. B ქალაქიდან შეიძლება მოვხვდეთ C და E ქალაქებში. C ქალაქიდან შეიძლება მოვხვდეთ G ქალაქში. D ქალაქიდან შეიძლება მოვხვდეთ მხოლოდ G ქალაქში. F ქალაქიდან შეიძლება მოვხვდეთ E ქალაქში. E ქალაქიდან შეიძლება მოვხვდეთ G ქალაქში. მივიღეთ ოთხი განსხვავებული შემთხვევა, როცა A ქალაქიდან მოვხვდით G ქალაქში (ნახ. 3). ამოცანების ამოხსნისას ორიენტირებული გრაფების გამოყენებისას არ უნდა დაგვავიწყდეს საიდან საით არის მიმართული ისრები.




ნახ. 3.

შემდგომ უკვე შესაძლებელია შეწონილი გრაფის განმარტებაც. შეწონილია გრაფი, რომლის წიბოებს აქვთ წონა, ანუ დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც გამოსახავს წიბოები.

ამოცანა 3. A, B, C, D, E პუნქტები ერთმანეთთან დაკავშირებულია გზებით, რომელთა შორის მანძილები მოცემულია ცხრილში. უნდა ვიპოვოთ A და D პუნქტებს შორის უმცირესი მანძილი. გადაადგილება შეიძლება მხოლოდ იმ გზებზე, რომელთა შორის მანძილი მოცემულია ცხრილში.

რომ ვიპოვოთ A და D პუნქტებს შორის უმცირესი მანძილი, ამისათვის უნდა ვიპოვოთ A -დან D -ში მიმავალი ყველა მარშრუტი და მათ შორის ავარჩიოთ უმცირესი. ამის გასარკვევად გამოვიყენოთ ნახ. 4-ზე გამოსახული შეწონილი გრაფი.

	A	B	C	D	E
A		3			6
B	3		2	5	6
C		2			5
D			5		3
E	6	6	5	3	



ნახ. 4.

I მარშრუტი $A-B-D$: მისი სიგრძეა $3 + 5 = 8$ (კმ);

II მარშრუტი $A-E-D$: მისი სიგრძეა $6 + 3 = 9$ (კმ);

III მარშრუტი $A-B-E-D$: მისი სიგრძეა $3 + 6 + 3 = 12$ (კმ);


IV მარშრუტი $A-B-C-E-D$: მისი სიგრძეა $3 + 2 + 5 + 3 = 13$ (კმ).

A და D პუნქტებს შორის უმცირესი მანძილი 8 კილომეტრია.


ამოცანა 4. 5 მოსწავლე ერთმანეთს ხელს ართმევს. სულ რამდენჯერ ჩამოართვებს მათ ხელი ერთმანეთს?

დავწოდოთ სტუდენტები 1-დან 5-ის ჩათვლით და რიცხვები განვალაგოთ წრეზე (ნახ.5). ყოველი წიბო აღნიშნავს სტუდენტების მიერ ხელის ერთ ჩამორთმევას. პირველმა სტუდენტმა ხელი ჩამოართვა მეორე სტუდენტს, შუაერთით პირველი და მეორე წვეროები

წიბოთი. ამის შემდეგ პირველი სტუდენტი ხელს ართმევს მესამე, მეოთხე და მეხუთე სტუდენტებს. ამით პირველი სტუდენტის ხელის ჩამორთმევა დამთავრდა.



ნახ. 5.



ნახ. 6.

რადგან პირველ და მეორე სტუდენტებს ერთმანეთისათვის ხელი უკვე ჩამორთმეული აქვთ, ამიტომ ისინი ხელს მეორედ აღარ ჩამოართმევენ. მეორე სტუდენტი ხელს ჩამოართმევს მესამე, მეოთხე და მეხუთე სტუდენტებს. ანალოგიურად, მესამე სტუდენტს ხელი ჩამორთმეული აქვს პირველი და მეორე სტუდენტებისთვის. ის ხელს ჩამოართმევს მეოთხე და მეხუთე სტუდენტებს. მეოთხე სტუდენტი ხელს ჩამოართმევს მეხუთე სტუდენტს. მეხუთე სტუდენტს ხელი ჩამორთმეული აქვს ყველა სტუდენტისათვის. თუ დავთვლით სქემაზე გამოსახული გრაფის წიბოებს, ვნახავთ, რომ სულ 10 წიბოა. ეს ნიშნავს, რომ სულ საჭიროა ხელის ჩამორთმევა 10-ჯერ.

ამოცანა 5. ნაკვეთზე დარგულია ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის, ლეღვის, კომშის და კაკლის ნერგები. ქლიავი კომშზე მაღალია, ვაშლი ლეღვზე დაბალია, კაკალი ლეღვზე მაღალია, ატამი მსხალზე დაბალია, მაგრამ კაკალზე მაღალია, ხოლო კომში მსხალზე მაღალია. დაალაგეთ ხეები სიმაღლეთა ზრდის მიხედვით.

ამოცანის ამოსახსნელად გამოვიყენოთ ორიენტირებული გრაფი. უფრო დაბალი ხეებიდან ისრები მივმართოთ უფრო მაღალი ხეებისკენ. მივიღეთ გრაფი (ნახ. 6), რომელზეც ჩანს, რომ ყველაზე დაბალია ვაშლის ხე, რადგან გრაფი ვაშლის ხიდან იწყება, შემდეგ არის ლეღვის, შემდეგ კაკლის, ატმის, მსხლის, კომშის და ბოლოს ქლიავის ხე.

მოსწავლეებისათვის დაწყებით კლასებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სითხის გადასხმის ამოცანების ამოხსნა გრაფების გამოყენებით. ეს საკითხები განხილულია მონოგრაფიაში [1, გვ. 44-49] და აქ აღარ შევჩერდებით. გრაფების გამოყენება სასურველ შედეგს იძლევა, თვალსაჩინოა და დიდი განმავითარებელი ეფექტი აქვს, მაგრამ მოითხოვს აგებას, რაც გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს უმცროსკლასელებთან. ამიტომ პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ მეთოდურად გამართლებულია დალაგებული წყვილების/სამეულების გამოყენება [2], [3].

ამოცანა 6. ბოროტმა დედინაცვალმა გერს უთხრა: -მე და ჩემი ქალიშვილი წვეულებაზე მივდივართ. შენ გიტოვებ ყურძნის წვენით სავსე 8 ლიტრიან ჭურჭელს და კიდევ ორ ცარიელ 3 ლიტრიან და 5 ლიტრიან ჭურჭლებს. არ გამოიყენებ არანაირ სხვა ჭურჭელს, 8 ლიტრ ყურძნის წვენს გაყოფ ორ ტოლ ნაწილად. როცა წვეულებიდან დავბრუნდები შევამოწმებ. დაეხმარეთ საბრალო გოგონას დედინაცვლის დავალების შესრულებაში [4].

ამოცანის ამოხსნისათვის ვისარგებლოთ დალაგებული სამეულებით. დალაგებული სამეულის პირველი ელემენტი გამოსახავს რამდენი ლიტრი ყურძნის წვენია 8 ლიტრიან ჭურჭელში, მეორე ელემენტი გამოსახავს რამდენი ლიტრი წვენია 5 ლიტრიან ჭურჭელში, მესამე ელემენტი-რამდენი ლიტრი წვენია 3 ლიტრიან ჭურჭელში. საწყისი წვეროა (8,0,0). ჩვენ გვჭირდება ყურძნის წვენის გარკვეული გადასხმების შემდეგ მივიღოთ წვერო (4, 4, 0), რომელსაც სამიზნე წვერო ეწოდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა სამიზნე წვერო არ გვექნება, რადგან 3 ლიტრიან ჭურჭელში 4 ლიტრი წვენი არ ჩაეტევა. გადასხმა ერთი ჭურჭლიდან მეორეში გამოვსახოთ ისრის საშუალებით. გვექნება:

$(8,0,0) \rightarrow (5,0,3) \rightarrow (5,3,0) \rightarrow (2,3,3) \rightarrow (2,5,1) \rightarrow (7,0,1) \rightarrow (7,1,0) \rightarrow (4,1,3) \rightarrow (4,4,0)$.

ამოცანა ამოხსნილია. სულ დაგვჭირდა 8 გადასხმა. არსებობს ამოცანის ამოხსნის მეორე გზაც, შესაძლებელია პირველი შემთხვევასგან განსხვავებულად ყურძნის წვენი გადავასხათ არა 3 ლ, არამედ 5 ლ ჭურჭელში. გვექნება:

$(8,0,0) \rightarrow (3,5,0) \rightarrow (3,2,3) \rightarrow (6,2,0) \rightarrow (6,0,2) \rightarrow (1,5,2) \rightarrow (1,4,3) \rightarrow (4,4,0)$.

ამ შემთხვევაში დაგვჭირდა 7 გადასხმა. ე.ი. ამოხსნის მეორე გზა უფრო მოკლე აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში ამოცანის ამოხსნის პერსპექტიულ გზად მიიჩნევა ის, სადაც გადასხმების ნაკლები რაოდენობაა.

განხილული ამოცანებით ჩანს გრაფების გამოყენების ეფექტურობა, რის გამოც ჩვენ მეთოდურად გამართლებულად მიგვაჩნია მათი ჩართვა დაწყებითი კლასების სასწავლო პრაქტიკაში, რაც დადასტურდა პედაგოგიური ექსპერიმენტებითაც.

საკვანძო სიტყვები: გრაფი, გრაფის წვერო, საწყისი წვერო, გრაფის წიბო. სამიზნე და საოლიმპიადო ამოცანები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.ბერძულიშვილი, გ.ბრეგაძე, 2021: საშუალო სკოლაში არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდიკური ასპექტი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, გ. მარგველაშვილი, 2019: საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდიკა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. გ. ბერძულიშვილი, 2018: სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, 2016: საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. თ. მორალიშვილი, გ. ონიანი, გ. ჯინჯიხაძე, 2008: სასწავლო საქმიანობის სუბიექტის ფორმირება დაწყებით და საბაზო სკოლაში არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის სწავლების მეშვეობით. გამომცემლობა „უნივერსალი“.

Giorgi Berdzulishvili, Tamar Dograshvili,
Irine Gogiberidze

Graphs in elementary school math studying course

Abstract

By using graphs, it is possible to make even junior graders understand quite complex exploratory and Olympiad tasks more clearly. Unfortunately, the math teaching material does not cover the use of graphs in elementary grades, which is why the teacher has to introduce students to theoretical material that is directly related to the practical use of graphs. In-depth teaching of graph theory is not required in elementary grades here we must confine ourselves to how to use graphs for practical purposes, for which it is sufficient to explain what a graph is, its edge, initial and target vertexes un-oriented, oriented and weighted graphs and use graphs to solve problems similar to the methodological approaches discussed in this article, which demonstrates the effectiveness of the use of graphs and the need to incorporate them into the teaching practice of elementary school mathematics, which was also confirmed by the pedagogical experiments.

Keywords: graph, graph vertex, initial vertex, graph edge. Exploratory and Olympiad tasks.

განმავითარებელი შეფასებისა და ინტერვენციის მნიშვნელობა დაწყებით კლასებში

დაწყებითი საფეხურზე გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, რომელიც სწავლა/სწავლებისადმი კონსტრუქტივისტული მიდგომის ნაწილია. განმავითარებელი შეფასება არისპროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობით, სწავლების სტრატეგიითა თუ სხვა საშუალებებით ინფორმაციის შეკრებას მოსწავლეთა გაგების/გააზრების დონის შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად. ესეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რისი გაგება უჭირთდა რატომ, გააცნობიერონ საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, ნათლად წარმოიდგინონ, რა გზით იარონ მიზნის მისაღწევად.

განმავითარებელი შეფასება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეამოწმოს მოსწავლეების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია, დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკასა და თითოეული ბავშვის მიღწევებზე; იმაზე, რა დაეხმარება თითოეული მოსწავლის საჭიროებათა დაკმაყოფილებაში. მოსწავლე-მასწავლებლის ამ ტიპის ურთიერთობები ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას საკლასო გარემოში. მასწავლებელმა ყოველი გაკვეთილის დაწყებისას ყურადღება უნდა გაამახვილოს წინასწარ მომზადებულ განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე, შეახსენოს მოსწავლეებს, თუ რის შეფასებას აპირებს და გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს გააცნოს თუ რატომ მისცა ეს შეფასა. ცხადია, რომ მაღალი ხარისხის განმავითარებელი შეფასება მიიღწევა კლასში, სადაც ჯანსაღი, ტოლერანტული გარემოა.

ნებისმიერი მასწავლებლის სურვილია, რომ მისი მოსწავლეები იყვნენ წარმატებულები, დაძლიონ საგანში გათვალისწინებული სასწავლო მიზნები. ამისათვის საჭიროა, განმავითარებელი შეფასება მიზნობრივად გამოვიყენოთ. ეს გულისხმობს იმას, რომ მოსწავლემ ზუსტად იცოდეს, რას ვუფასებთ. თავადვე გააანალიზონ, რა სირთულე შეხვდათ საკითხის შესწავლისას, რა გამოუვიდა კარგად, რა აქვს გასაუმჯობესებელი და ა.შ. ამ ფორმით მასწავლებლის გარდა მოსწავლე თავად აფასებს საკუთარი სწავლის დონეს. როგორც ვიცით, შეფასება მაშინ არის განმავითარებელი, როცა ის ორიენტირებულია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ შედეგებს გავაანალიზებთ და გამოვიყენებთ შემდეგი გაკვეთილის დაგეგმვისას, შევუსაბამებთ მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეებთან დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები შესაძლებლობას აძლევს მათ დაძლიონ არსებული პრობლემები და გაიუმჯობესონ ცოდნის დონე.

განმავითარებელი შეფასებისა და ინტერვენციის კვლევა ჩავატარეთ მათემატიკაში სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბანოჯის საჯაროს სკოლის 2 კლასის მოსწავლეებთან.


კვლევა ორ ეტაპად ჩატარდა: პირველი ეტაპი იანვრის ბოლოს, მეორე კი მაისის ბოლოს. კვლევის მეთოდად ავირჩიერა ოდენობრივი კვლევის სტრატეგიები.

კვლევის დროს მოსწავლეებს მივაწოდეთ დიაგნოსტიკური ტესტი, მასში შედიოდა 24 კითხვა, რომელებიც სხვადასხვა სირთულის იყო. დიაგნოსტიკის შედეგად დადგინდა, რომ კლასში იყვნენ მაღალი მათემატიკური მზაობის მქონე მოსწავლეები, რომელთა ჰქონდათ მოლოდინი, რომ ამოხსნიდნენ კიდევ უფრო რთულ ამოცანებს. კლასში ამავე დროს აღმოჩნდნენ დაბალი მზაობის მქონე მოსწავლეები, რომლებსაც არ ჰქონდათ მოტივაცია, არც სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები საშუალო სირთულის ამოცანების შესასრულებლად. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად დავგეგმეთ სხვადასხვა სახის ინტერვენციები. განმეორებითმა შეფასებამ დაგვანახა რომ, დაგეგმილმა ინტერვენციებმა სასწავლო წლის ბოლოს შედეგი გამოიღო, მოსწავლეთა შედეგი საგრძნობლად გაიზარდა პირველ ტესტთან შედარებით. განვიხილოთ როგორი იყო დიაგნოსტიკური ტესტების შედეგები


ტესტები დაყოფილი იყო შემდეგი კიტერიუმების მიხედვით: თვლა, რიცხვების ამოცნობა, რიცხვების შედარება, მოქმედებები რიცხვებზე, კანონზომიერება, ალგებრა, მონაცემთა ანალიზი და გეომეტრიული ფიგურები. ვნახოთ როგორი იყო მონაცემები რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

თვლა. ამ ნაწილში მაქსიმალური შეფასება იყო 4, იანვრის თვეში 4 ქულა მიიღო 7 მოსწავლემ, 3 ქულა 4 მოსწავლემ დაიმსახურა, 2 ქულა - 5 მოსწავლემ მიიღო, 1 არცერთმა მოსწავლემ არ მიიღო, ხოლო 0 ქულა 1-მა მოსწავლემ მიიღო. თემის შესაბამისი ინტერვენციები დავგეგმეთ დაბალი შეფასების მოსწავლეებთან იგივე შეფასება გავიმეორეთ მაისის თვეში. 4 ქულა მიიღო 8 მოსწავლემ, 3 ქულა ისევ 8 მოსწავლემ დაიმსახურა, 2 ქულა მხოლოდ 1-მა მოსწავლემ, 1 და 0 ქულა არც ერთ მოსწავლეს არ მიუღია.


რიცხვების შედარება : ამ ნაწილში მაქსიმალური ქულა იყო 3, იანვრის თვეში 3 ქულა აიღო 8-მა მოსწავლემ, 2 ქულა 5-მა მოსწავლემ, 1 ქულა 1-მა მოსწავლემ, 0 ქულა




1-მა მოსწავლემ. ინტერვენციის შემდეგ, მაისის თვეში 3 ქულა მიიღო 14-მა მოსწავლემ, 2 ქულა 3-მა მოსწავლემ, 1 და 0 ქულა არც ერთს არ აუღია.




მოქმედებები რიცხვებზე: ამ მაქსიმალური შეფასება იყო 6, იანვრის თვეში 6 ქულა დააგროვა 2-მა მოსწავლემ, 5 ქულა – არც ერთმა მოსწავლემ, 4 ქულა – 2-მა მოსწავლემ, 3 ქულა – 7-მა მოსწავლემ, 2 ქულა – 4-მა მოსწავლემ, 1 ქულა – 2-მა მოსწავლემ, 0 ქულა – არცერთმა. საკმაოდ ინტენსიური ინტერვენციული მუშაობის შემდეგ მაისის თვეში ჩატარებულმა შეფასებამ ასეთი შედეგები მოგვცა: 6 ქულა – 4-მა მოსწავლემ, 5 ქულა – 6-მა მოსწავლემ, 4 ქულა მიიღო 4-მა მოსწავლემ, 3 ქულა – 3-მა მოსწავლემ, 2 ქულა, 1 ქულა და 0 ქულა არცერთს არ მიუღია.



ალგებრა: ამ ნაწილში მაქსიმალური შეფასება იყო 3 ქულა, იანვარში 3 ქულა დაიმსახურა 2-მა მოსწავლემ, 2 ქულა – არცერთმა მოსწავლემ, 1 ქულა – 10 მოსწავლემ, 0 ქულა – 5-მა მოსწავლემ. ინტერვენციის განხორციელების შემდეგ მაისის თვეში 3 ქულა დაიმსახურა 6-მა მოსწავლემ, 2 ქულა მიიღო 6-მა მოსწავლემ, 1 ქულა – 4-მა მოსწავლემ, 0 ქულა – 1-მა მოსწავლემ.



გეომეტრიული ფიგურები : ამ ნაწილში მაქსიმალური ქულა იყო 3, იანვრის თვეში 3 ქულა აიღო 9-მა მოსწავლემ, 2 ქულა 7-მა მოსწავლემ, 1 ქულა 1-მა მოსწავლემ, 0 ქულა არცერთ მოსწავლეს არ აუღია. მაისის თვეში 3 ქულა მიიღო 17-მა მოსწავლემ, 1, 2 და 0 ქულა არცერთს არ აუღია.



ჩატარებული კვლევების შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: გაუმჯობესდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ხარისხი, რაც მიზნად გვქონდა დასახული, ასევე

მოსწავლეებს გაუჩნდათ სწავლისთვის მეტი მოტივაცია. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული დავალებები იყო მრავალფეროვანი კოგნიტური დონეების მიხედვით. მოსწავლეებთან საჭიროების მიხედვით დაგეგმილმა მიდგომებმა ხელი შეუწყო მოსწავლეებს უკეთ დაუფლონ სასწავლო მასალას და აიმაღლოს აკადემიური მდგომარეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბივერი ს., ხუნძაყიშვილი მ., 2018: განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, თბილისი.
2. ბოჭორიშვილი მ., 2016: დიფერენციაციის თეორიის რამდენიმე ასპექტი // ჟურნალი „მასწავლებელი“.
3. გოგალაძე მ., გვარამაძე ნ., 2020: განმავითარებელი შეფასება როგორც მოტივაციის ინსტრუმენტი// ჟურნალი „მასწავლებელი“, თბილისი.
4. გორგოძე ს., 2016: ეფექტური განმავითარებელი შეფასება // ჟურნალი „მასწავლებელი“, თბილისი.
5. ზურაბიშვილი შ., 2020: განმავითარებელი შეფასება, როგორც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი // ჟურნალი „ახალი განათლება“, თბილისი.

Iagor Balanchivadze
Akaki Tsereteli State University
Associate Professor

The importance of developmental assessment and intervention in the primary grades

Abstract

The article discusses the developmental assessment at the elementary level, which makes it clear to the student what his / her strengths and weaknesses are. Clearly, high-quality developmental assessment is achieved in a classroom where there is a healthy, tolerant environment.

Developmental assessment involves the student analyzing what difficulties they encountered in studying the issue, what worked well, what has to be improved. Planned and implemented interventions with students enable the student to overcome existing problems and improve the level of knowledge.

Planned approaches to meet students' needs have helped them master the learning material and improve their academic condition.

Keywords: developmental assessment, study, intervention, student, motivation, lesson.

კითხვის სწავლების სირთულეები და მათი მოგვარების ხერხები აღმავალი და დაღმავალი მოდელების გამოყენებით

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მაკრო ცნებაა-წიგნიერების განვითარება. წიგნიერების უნარები კი დაწყებით საფეხურზე კითხვით იწყება. კითხვის ყველაზე გავრცელებული განმარტებებია: „კითხვა გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობის ინტერპრეტაციაა“ ან „კითხვა მრავალმხრივი უნარია, რომელიც გულისხმობს გამოსახული სიმბოლოების დეკოდირებას აზრის გაგების მიზნით“. დეკოდირება კი - სიტყვის გრაფიკული ერთეულების (ასოს, სიმბოლოს) ფონე-მურ ერთეულებად (ბგერად) გარდაქმნა და ავტომატიზებაა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოდითგანვე განსხვავებული მიდგომები არსებობდა: განვიხილავთ აღმავალ და დაღმავალ მოდელებს, ფონეტიკურ და მთლიანი ენის მიდგომებს, ასევე დაბალანსებული სწავლების მეთოდებს.

აღმავალი მოდელი - მეთოდის მთავარი თეზაა გზა ნაწილიდან მთელისკენ. აღნიშნული მეთოდი სინთეზის სააზროვნო უნარს ეყრდნობა. ამ მეთოდზე დაყრდნობით, წერა-კითხვის ათვისების საწყის ეტაპზე ხდებოდა ცალკეული ბგერების, ასოების ათვისება, შემდეგ კი - თანდათანობითი სვლა ისეთი რთული ერთობლიობისკენ როგორებიცაა მარცვალი და სიტყვა. ასეთ შემთხვევაში, ბავშვს ჯერ ამოაკითხინებდნენ კონკრეტულ ასოს, მაგალითად, თ-ს, შემდეგ - ასოებად დაშლილ სიტყვას თ -ი -თ-ი, შემდეგ მარცვლებად - თი-თი და მხოლოდ ამის შემდეგ წაკითხვებდნენ მთლიან სიტყვას.

აღმავალ მოდელზე დაყრდნობით წერა-კითხვის სწავლება წერის სწავლებით იწყებოდა, კითხვას კი დაქვემდებარებული როლი ჰქონდა. მე-16 საუკუნეში ვალენტინ იკელზამერმა შემოიღო წესი, რომლის თანახმადაც სიტყვა ჯერ ბგერებად უნდა გაჟღერებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩაეწერათ ის ბავშვებს.

აღმავალ მოდელს დადებით მხარეების გარდა გააჩნია უარყოფით მხარეც. მისი უარყოფითი მხარეებია:

- კითხვა წარმოდგენილია, როგორც ერთი მიმართულებით მიმდინარე პროცესი;
- მნიშვნელობის წვდომა არ ახდენს გავლენას დეკოდირების პროცესზე;
- უაზრო მარცვლების კითხვამ შეიძლება მოტივაცია გაუქროს ბავშვს.

ფონეტიკური მეთოდი ეფუძნება აღმავალ მოდელს. აღმავალი მეთოდის მსგავსად, ისიც კითხვის სწავლებისას ნაწილიდან მთელისკენ გზას მიიჩნევს. აღნიშნული მეთოდით სწავლება შემდეგნაირად მიმდინარეობს: ბავშვმა ჯერ უნდა ისწავლოს ანბანი, შემდეგ უნდა ივარჯიშოს ასოების ბგერებად დეკოდირებაში, რათა დაწერილი სიტყვა იოლად იცნოს. ამ მეთოდით სწავლების პრინციპებია:

- ასოების მხედველობით გარჩევა და ცნობა;
- ასოების შესაბამის ბგერასთან დაკავშირება, 3-4 დღე ერთ ასოზე მუშაობა;

- დამარცვლის წესების სწავლა;
- სიტყვაში შემავალი ასოების დამარცვლა და სიტყვის მართლწერა;
- სიტყვის ცნობა და წაკითხვა;
- წინადადებისა და მცირე ზომის ტექსტის კითხვაზე მუშაობა.

ფონეტიკურ მეთოდს ანალიტიკურ მეთოდსაც უწოდებენ. მისი მიზნებია: ვარჯიში ასოების ბგერებად გარდაქმნასა და დაწერილი სიტყვის დეკოდირებაში, დაწერილი სიტყვის დეკოდირების ავტომატიზება და ამის შემდეგ მუშაობა წაკითხულის გააზრება და გაგება. ამიტომ კითხვის მეთოდის სავარჯიშოები მიმართულია სიტყვის ბგერითი შემადგენლობის ანალიზზე, მის მართლწერაზე, დეკოდირების სისწრაფესა და კითხვის სიზუსტეზე. სწავლების სტრატეგიები შეიძლება იყოს:

- ინდივიდუალური – მოსწავლის დამოუკიდებელი კითხვა;
- ჯგუფური – მცირე ჯგუფისთვის კითხვა, წყვილში კითხვა.

მოსწავლის მიერ ხმამაღალი კითხვა სწავლების აუცილებელი კომპონენტია. აღნიშნული მიდგომით სწავლებისას ორი სფეროს გამოყოფა ხდება: ფონემური ცოდნის და ცოდნის ენის ასობგერითი მიმართებები.

ფონემური ცოდნა

ქართულ ენაში ფონემური ცნობიერების განვითარების შედეგად ბავშვები იოლად კითხულობენ რთულ სიტყვებსაც კი. ამიტომ, მათ შეუძლიათ მეტად გაამახვილონ ყურადღება წაკითხულის შინაარსზე. ფონემური ცნობიერების განვითარებისა და გავარჯიშების მრავალფეროვანი ხერხი არსებობს:

- ფონემის იზოლაცია – სიტყვაში ერთი ბგერის ცნობა. მაგ., მოსწავლემ უნდა დაასახელოს პირველი ბგერა სიტყვაში – ზღვა;
- ფონემის იდენტურობა – სხვადასხვა სიტყვაში ერთნაირი ბგერის ცნობა. მოსწავლემ უნდა დაასახელოს ერთნაირი ბგერები სიტყვებში - ზებრა, ზღვა, ეზო.
- ფონემებით კატეგორიზაცია – სხვადასხვა სიტყვაში საწყისი ბგერის დასახელება და ამის მიხედვით კლასიფიკაცია;
- ფონემების გაერთიანება – ბგერების თანმიმდევრობის მოსმენა და მათი ერთ სიტყვად გაერთიანება, ჩაწერა, წაკითხვა;
- ფონემების სეგმანტიზაცია – სიტყვის ბგერებად დაშლა, ან სიტყვაში შემავალი ბგერების დათვლა;
- ფონემის გამოკლება- ერთი ბგერის გამოკლებით ახალი სიტყვის მიღება. მაგ., მაგ., ბალი – ალი;
- ფონემის დამატება – არსებულ სიტყვაზე ერთი ბგერის დამატებით ახალი სიტყვის შექმნა. მაგ., ალამი – კალამი;
- ფონემის შეცვლა – ახალი სიტყვის შექმნა ერთი ფონემის შეცვლით. ჯერ მარცვლების დონეზე, შემდეგ კი ბგერების. მაგ., ბალი - ხალი. , ხმა-ძმა.

ასო ბგერითი მიმართება

სამეტყველო ბგერის, ანუ ფონემის წერილობითი გამოსახულება არის ასო. ბგერა წარმოითქმის, გვესმის; ასო იწერება, მას ჩვენ ვხედავთ. ასობგერითი მიმართების სწავლება გულისხმობს ფონემებისა (ბგერების) და გრაფემების (ასოების) შესატყვისობის სწავლებას წერისა და კითხვის დროს.

ასობგერითი მიმართებების სწავლების განსხვავებული მიდგომები არსებობს. ეს მიდგომებია:

- სინთეზური - მოსწავლეები სწავლობენ ასოების ბგერებად გარდაქმნასა და ბგერების გამთლიანებას სიტყვად;

- ანალიტიკური - მოსწავლეები სწავლობენ ასო ბგერით კავშირებს დასწავლილი სიტყვების ანალიზის საფუძველზე. ამ დროს არ ხდება სიტყვების დაშლა ცალკეულ ბგერებად და ისე გამოთქმა;

- ანალოგიაზე დაფუძნებული - ბავშვები სწავლობენ ნაცნობი სიტყვების ნაწილების გამოყენებას უცნობი სიტყვების წაკითხვისას.

ძლიერი მხარეები

- აღნიშნული მეთოდების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა იმ ჯგუფისთვის, რომელსაც კითხვაში პრობლემები აქვთ;

- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება ძალზედ მნიშვნელოვანია უფროს სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში.

დადამავალი მოდელი - აღნიშნულ მეთოდში ამოსავალი მთლიანობა - ფრაზა, წინადადება, სიტყვა. ეს არის გზა მთელიდან ნაწილისკენ. მაგ., ბავშვს უჩვენებენ დაწერილ წინადადებას, „ეს არის ნინოს ბურთი“, წაუკითხავენ ამ წინადადებას და შემდეგ გაამეორებინებენ. ამის შემდეგ მიუთითებენ კონკრეტულ სიტყვაზე და წაუკითხავენ ამ სიტყვას. შემდეგ შეეკითხებიან, რა ასოზე იწყება ეს სიტყვა. სთხოვენ ბავშვს, თითო დადოს ბ ასოზე. ასე გრძელდება წინადადებებისა და ტექსტების დამუშავება მანამ, სანამ მოსწავლე მთლიან ანბანს არ აითვისებს. ასეთი მეთოდით სწავლებისას წამყვანი სააზროვნო ოპერაცია არის ანალიზი.

მეთოდის უარყოფითი მხარეა:

- სიტყვის დეკოდირების პროცესი უგულვებელყოფილია.

მთლიანი ენის (ჰოლისტური) მიდგომა - ამ მოდელს ეფუძნება კითხვის სწავლების ე.წ. მთლიანი ენის მიდგომა, რომლის მიზანია ბავშვის ენობრივი გამოცდილების გამოყენება. კითხვის პროცესში ბავშვის ჩართულობის უზრუნველყოფა მისთვის საინტერესო ტექსტის მიწოდებით, ბავშვისთვის კითხვის სტრატეგიების სწავლება, მნიშვნელობისა და გრამატიკული ცოდნის გამოყენება აზრის გასაგებად. ამ მოდელის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ დეკოდირებაზე ვარჯიში ბავშვისთვის მოსაწყენი და უაზროა და კითხვისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.

ბავშვის ენობრივ გამოცდილებაზე და მისთვის საინტერესო ტექსტებზე დაყრდნობით, ასო-ბგერითი შეთანხმების წესების სწავლა ბუნებრივი გზით ხდება, ისევე, როგორც მეტყველების ათვისება. ამ მეთოდით სწავლების პრინციპებია:

- კონტექსტის გამოყენებით სიტყვების გამოცნობის სტრატეგიების სწავლება;

- ბავშვის ენობრივი გამოცდილების გამოყენება;

- ბავშვის ენობრივი გამოცდილების გამდიდრება და მისი დაინტერესება კითხვის პროცესით;

- ყურადღების გამახვილება წინადადებასა და ტექსტის შინაარსზე და არა სიტყვის შემადგენელ ასო-ბგერებზე;

- ტექსტიდან აზრის გამოტანის სტრატეგიების სწავლება;

- სპეციალურად არ ისწავლება ასო-ბგერითი შესატყვისობა.

მეთოდები

მთლიანი ენობრივი მიდგომის ფარგლებში რამდენიმე მეთოდი გამოიყენება, რომლებიც კითხვის „რეაგირებით სწავლების“ კატეგორიაში ერთიანდება. რეაგირება გულისხმობს ბავშვის გამოცდილების, მისი ინტერესებისა და მეტყველების ათვისების ბუნებრივი, უნებლიე გზით ათვისებას ითვალისწინებს. დახმარების სტრატეგიები თანდათან მცირდება კითხვაში დაოსტატებასთან ერთად. ბავშვი სწავლობს საკუთარ შეცდომებზე მასწავლებლის მხრიდან მკაფიო უკუკავშირის საფუძვლეზე და ასე იღებს სიტყვის ასო-ბგერითი შემადგენლობის შესახებ.

ერთ-ერთი მეთოდია: „შეხედე და თქვი“, რომლის მიხედვითაც ბავშვებს ასწავლიან სიტყვებისა და წინადადებების ცნობას შემდეგი წესით:

- გამოიყენება სურათები, რომელსაც ქვემოთ აქვს შესაბამისი წარწერა;
- გამოიყენება როგორც ცალკეული საგნების სურათები (ერთი სიტყვა), ასევე მარტივი სიუჟეტური სურათი (მოკლე წინადადება);
- მასწავლებელი ხმამაღლა ამბობს სიტყვას ან წინადადებას, მოსწავლე იმეორებს მას.
- ბარათზე დაწერილი მარტივი, მოკლე სიტყვების გამოყენებით ბავშვი აწყობს სხვადასხვა წინადადებას.

ენობრივი გამოცდილების მეთოდი - პირდაპირ იყენებს ბავშვის ენობრივ გამოცდილებას კითხვის სწავლების მიზნით. კერძოდ, მასწავლებელი:

- ბავშვს სთხოვს, დახატოს რაიმე და აღწეროს, რაც დახატა;
- ნახატს მიაწერს სიტყვას და წინადადებას;
- აგროვებს ბავშვის ნახატებს, მის თვალწინ მიაწერს სიტყვას ან მარტივ წინადადებას, რომელსაც ბავშვთან ერთად კითხულობს;
- ბავშვი თვითონ მიაწერს სიტყვას თავის ნახატს.

კონტექსტუალური მეთოდი - ეყრდნობა ბავშვის ინტერესს, რათა გაუზარდოს მოტივაცია კითხვის მიმართ. კერძოდ, მასწავლებელი:

- დაადგენს ბავშვის ინტერესებს, რა მოსწონთ, რა თემა იზიდავთ;
- არჩევს მათი ინტერესების შესაბამის ილუსტრირებულ ტექსტს მარტივი სიტყვებით;
- იყენებს ილუსტრაციებს, რომლებსაც მოჰყვება შესაბამისი ტექსტი. (საწყის ეტაპზე ეს უფრო სიტყვები და/ან წინადადებები შეიძლება იყოს და არა გაბმული ტექსტი).
- კითხულობს სურათის შესაბამის წინადადებას, ბავშვები კითხულობენ სურათის შესაბამის მარტივ სიტყვებს;
- ლექსიკური მარაგის გაზრდის მიზნით ესაუბრება ბავშვებს იმის შესახებ, რაც დაათვალიერეს და წაიკითხეს.

აღნიშნული მეთოდები „მთლიანობით“ პრინციპს ემყარება, წამყვანია აზრი და მნიშვნელობა, ელემენტები არ არის მნიშვნელობის მატარებელი და ამიტომ ასობგერით მიმართებაზე ვარჯიში აზრს მოკლებულია.

დადებითი მხარე

- აღნიშნული მეთოდით სწავლებისას, პირველ კლასში მოსწავლეებს უკეთესი შედეგი აქვთ სიტყვის ამოცნობასა და აზრის გაგებაში;
- სწრაფად ეუფლებიან კითხვას.

უარყოფითი მხარე

- პირველი კლასის შემდეგ დაწერილი სიტყვის ცნობა, გაგება და მართლწერა გართულებულია;

- აღნიშნული მეთოდით სწავლებისას მოსწავლეებს უფრო უჭირთ ახალი სიტყვების ამოკითხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გორგოძე 2016: გორგოძე ს., ეფექტიანი განმავითარებელი შეფასება, 2016 წლის 26 ოქტომბერი, maststavlebeli.ge

2. გოგოლაძე 2020 : განმავითარებელი შეფასება, როგორც მოტივაციის ინსტრუმენტი, 2020. 29 მაისი, maststavlebeli.ge

3. ხუნდაციშვილი 2018: ხუნდაციშვილი მ., ბივერი ს., განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ეროვნული ცენტრი, თბილისი 2018.

4. სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ეროვნული ცენტრის სატრენინგო მასალები, თბილისი, 2020.

Shorena Giorgadze
A Primary School Teacher
Kutaisi Public School №9

Difficulties in Teaching Reading and Ways to Solve Them Using Synthetic and Analytic Phonics

Abstract

The article discusses a topical issue such as teaching reading, developing literacy and its related difficulties at the basic level of education. This issue has become even more relevant when teaching online in pandemic conditions. Most students show different learner readiness. Therefore, it has become necessary to use as many innovative reading methods as possible when teaching reading.

The article discusses two main directions of teaching reading: synthetic and analytic phonics with its pros and cons. The focus is on existing problems and ways to solve them when teaching reading. The importance of encouraging the development of phonological awareness is highlighted. Methods based on both models of teaching reading are distinguished: phonics-based and holistic (whole-word) method. Based on them, a balanced method of teaching reading is worked out.

Keywords: synthetic phonics, analytic phonics, phonics-based method, holistic approach,

საგანთა სწავლების მეთოდთა

თამარ ღვინიაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ლექსის შესახებ თეორიული ცოდნის ათვისებისა და ზეპირად დასწავლის საკითხისათვის

პოეზიის სრულყოფილად და შეგნებულად ათვისებისათვის საჭიროა ლექსის შესახებ ზოგადთეორიული და ლიტერატურული ცოდნა, რომელიც უნდა მოიცავდეს სამ ძირითად მიმართულებას: 1. პოეტური მეტყველების გამომსახველობითობა; 2. პოეტური სინტაქსი; 3. ლექსთწყობა (ლექსის რიტმული თავისებურებები).

ზემოაღნიშნული ცოდნის ათვისება ყოველთვის მიემართება ორი ხაზით. ლირიკული ნაწარმოების წაკითხვისას ყურადღება მახვილდება პოეტური მეტყველების სახეობრივ შესაძლებლობებსა და ინტონაციურ-რიტმულ გამომსახველობითობაზე. ამის პარალელურად ყველა კლასში სისტემატიზირდება მოსწავლეთა ცალკეული დაკვირვებები, შემდეგ კი ფორმირდება ლექსთან დაკავშირებული წარმოდგენები. მთლიანობაში პოეზიის ირგვლივ ლიტერატურული ცოდნა ყალიბდება მესამე საფეხურზე. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ისეთი რთული ცნებები, როგორიცაა ლირიკული გმირი, ლექსის ფორმირების სისტემა და ა.შ.

პოეზიის შესახებ ელემენტარული თეორიული ცოდნის ჩამოყალიბება იწყება დაწყებით კლასებში - პოეტური სიტყვის მრავალფეროვნება; მე-6, მე-7 კლასებში - პოეტური სიტყვის სახეობრიობა, ლექსის ზომა. მე-8 კლასში - პოეტური სტილი, მე-9 კლასში - პოეტური სინტაქსი, ინტონაცია, ლექსის სამმაგი სირთულის ზომები. მე-10 - მე-12 კლასებში - ლექსის რიტმული სტრუქტურა, ლექსთწყობის სისტემა.

თეორიული მასალა თანდათან რთულდება მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. დასაწყისში ცნებები შემოგვაქვს როგორც ტერმინი, შემდეგ თანდათან ხდება მათი გამდიდრება. თითოეული ავტორის მეტყველების, ან ლექსის სტრუქტურა ინდივიდუალურია. რაც უფრო მეტია კონკრეტული შთაბეჭდილებები და დაკვირვებები, მით უფრო ადვილად ითვისებენ მოსწავლეები ძირითად ცნებებს.

ლიტერატურული განათლების დასკვნით ეტაპზე მოსწავლეები შეგნებულად უნდა აღიქვამდნენ ლექსის რიტმულობასა და გამომსახველობითობას და იცოდნენ, რომ თითოეული ლექსი მოითხოვს განსაკუთრებულ შემოქმედებით მიდგომას. ნებისმიერი მეთოდური ძიება კარგავს ფასს, თუ მას შაბლონურად მივუდგებით. მოსწავლეთა აზროვნებაზე აუცილებლად აისახება მასწავლებლის შემოქმედებითობა. მის არსენალში მუდმივად ინახება ცოცხალი სიტყვა, გამომსახველობითობა, მხატვრულობა, საუბრის სხვადასხვა ფორმა და შინაარსი.

მასწავლებელი ყოველთვის უნდა ფიქრობდეს მოსწავლეებზე, მათ დაინტერესებულობაზე ამა თუ იმ მეთოდით, ხერხით, ანალიზის ფორმით. მეორეც, აუცილებელია, რომ ეს მეთოდები და ხერხები შეესაბამებოდეს შესასწავლი პოეტური მოვლენის ბუნებას; მესამეც, ისინი უნდა იყოს მოქნილი და რთულდებოდეს კლასიდან კლასში, ნაწარმოებიდან ნაწარმოებში, რომ თავიდან ავიცილოთ ერთფეროვნება და ტრაფარეტულობა; ლექსი ყოველთვის ეფექტური და საინტერესო უნდა იყოს მოსწავლეთათვის. კარგი მეთოდია შეპირისპირება. ამ მიზნით სასურველია შეირჩეს რამდენიმე მხატვრული თავისებურებებით, ან იდეური შინაარსით მსგავსი ლექსი.

მოსწავლეთა მხრიდან ცოდნის ათვისება, მათი მხატვრული აზროვნების განვითარება, იდეურ-მორალური და ესთეტიკური აღზრდა ლირიკის შესწავლისას უფრო წარმატებულია იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის კონცეფცია ან დასკვნა ეძლევათ არა მზა სახით, არამედ მოიპოვება ძიების პროცესში, როცა ისინი თვითონ ეძებენ ჭეშმარიტებას, გამოხატულს პოეტის მიერ. ძიების ატმოსფერო არა მარტო აცოცხლებს და საინტერესოს ხდის სამუშაოს, არამედ აძლიერებს ლირიკის ზემოქმედებას ნებისმიერი ასაკის მოსწავლეზე. მათ, პირველ რიგში, უნდა შეძლონ გაარჩიონ ლექსი პროზაული ნაწარმოებისაგან რითმულობითა და რიტმულობით.

რა არის რითმა და რიტმი. რითმის რა სახესხვაობები არსებობს? სწორედ ეს არის მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივი საქმიანობის მიზანი და შედეგი. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს რითმები მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, ანუ ვაჟური, ქალური, დაქტილური, ზედაქტილური; რითმები მდებარეობის მიხედვით-თავრითმები, შინაგანი და ბოლორითმები; გარითმვის ხერხების მიხედვით: მოსაზღვრე, ჯვარედინი, რკალისებური; აგებულების მიხედვით - ზუსტი და არაზუსტი რითმები. თითოეული მათგანი გამყარებული უნდა იქნეს შესაბამისი მაგალითებით.

რიტმი თანაზომიერი ერთეულების ორგანიზებული განმეორება, რომელიც გვხვდება არა მარტო პოეზიაში, არამედ ხელოვნების დარგებში, ბუნებაში, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს რითმებისა და რიტმის განსხვავება. რიტმის ცნების ქვეშ იგულისხმება მახვილიან და უმახვილო მარცვალთა თანმიმდევრობის ერთგვარობა ლექსის განსაზღვრულ სტრიქონში, რაც ქმნის ხმის გაძლიერება-ამაღლების, ინტონაციის დაცვის საფუძველს. ლირიკული ლექსის რიტმი ყოველთვის გვიჩვენებს მის შინაგან ექსპრესიას, პოეტურ გამომსახველობით ძალას.

ლირიკული ლექსის სპეციფიკა მოითხოვს ტექსტუალური მასალის ზეპირად დასწავლის ხერხს. მისი გაშინაარსება დაუშვებელია. ზეპირად დასწავლა აქტიური შრომითი პროცესია, მოსწავლეთა მეხსიერების განვითარების ყველაზე ქმედითი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც მოითხოვს ნებისყოფას, ორგანიზებულობას ქცევისა და მოქმედების მოწესრიგებულ ერთიანობას. ლექსის ზეპირად დასწავლა არ უნდა იქცეს დასჯის ფორმად.

ზეპირად დასწავლის ხერხი მნიშვნელოვანია. მასთან დაკავშირებით ორი საკითხია მნიშვნელოვანი: დასწავლის მიზანი და ორგანიზაცია. როგორ გავაანალიზოთ ლექსი? პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ავტორი, სათაური, დაწერის თარიღი, შექმნის ისტორია, თემა, ძირითადი აზრი, იდეა, მხატვრული საშუალებები; ტროპის სახეები (ეპითეტი, შედარება, გაპიროვნება, მეტაფორა, ჰიპერბოლა...); მხატვრული ხერხები (ალიტერაცია,

ალეგორია...); ლირიკული გმირი, ლექსის ფორმა (რიტმა, რიტმი); ავტორისეული პოზიცია. ყველაფერი ეს ხელს უწყობს მეხსიერების განვითარებასა და აზროვნების სრულყოფას, ესთეტიკური გემოვნების

ჩამოყალიბებას, იდეურ შინაარსის დაუფლებას, პოეტის აზრებისა და განწყობილებების ღრმად წვდომას.

ლირიკული ნაწარმოების საზეპიროდ მიცემა მიზანშეწონილია, როცა ტექსტი გაგებულია მოსწავლეთა მიერ, ახსნილია ყველა გაუგებარი სიტყვა, გამოკვეთილია პოეტური სახე, ნაწარმოების საერთო იდეური აზრი. მიუღებელია პოეტური ნაწარმოების სტროფებისა და სტრიქონების მიხედვით დაზეპირება. ლექსი დასწავლილ უნდა იქნას მთლიანობაში, რამდენიმეჯერ ყურადღებით წაკითხვისა და გამეორების გზით, რათა არ დაირღვეს მისი შინაარსის მთლიანობა, ესთეტიკური ღირებულება.

უნდა ვიცოდეთ, რომ მნიშვნელოვანია ლექსის გამომეტყველებით წაკითხვა. სწორედ მისი საშუალებით შეიძლება ვიგრძნოთ და დავინახოთ დამატყვევებელი მხატვრული სურათები, მოვლენათა განვითარების მთლიანობა. ლექსი რომ სწორად წავიკითხოთ, უნდა შევძლოთ სუნთქვის, ხმის, არტიკულაციის რეგულირება, სიტყვის ნათლად, მკაფიოდ და ხმამაღლა წარმოთქმა. დავიცვათ გამომეტყველებითი კითხვის მთავარი საშუალებები: ტონალობა, პაუზა და მახვილი. ხმის ტონის ცვალებადობა განპირობებულია ნაწარმოებში ასახული მოვლენებისა და ემოციებისადმი წამკითხველის დამოკიდებულებაზე.

ტონალობაში ჩანს ადამიანის შინაგანი ხასიათის, განცდის, განწყობილების სხვადასხვა გამოვლინება: აღტაცებულობა, განრისხება, მღელვარება, სიმშვიდე და ა.შ. გამომეტყველებით წაკითხვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლოგიკური მახვილისა და პაუზის, სწორად გამოყენებას, რაც გვეხმარება პოეტის შინაგანი ლოგიკის გახსნაში, მის სიღრმეში წვდომასა და ინტონაციური ჟღერადობით გადმოცემაში.

თეორიული ცოდნის მიწოდების შედეგად მასწავლებელი ხელს უწყობს ლექსის დასწავლის მეთოდების დახვეწასა და სასურველი შედეგების მიღწევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარბაქაძე 2008: ბარბაქაძე თ., ლირიკის ჟანრები, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2008.
2. გაჩეჩილაძე 1977 : გაჩეჩილაძე ს., სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია, თბილისი, 1977.
3. თოფურია 1991: თოფურია ა., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდика, თბილისი, 1991.
4. მახარაძე 1973: მახარაძე ვ., ლიტერატურის თეორია სკოლაში, თბილისი, 1973.
5. საყვარელიძე 2004: საყვარელიძე რ., ლიტერატურის სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბილისი, 2004.
6. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2005.
7. ღვინიაძე 2010: ღვინიაძე თ., მეტყველების კულტურის საკითხები, ქუთაისი, 2010.

Assimilation Issues of mastering theoretical knowledge concerning verse and oral learning

Abstract

Theoretical and literary knowledge on poetry comprises three main trends: 1. speech expressiveness, 2. poetic syntax, 3. verification, which develops in two different directions and is systematized in every grade reaching its final form at the third stage of school education.

Final stage of literary education requires the pupils' awareness of the rhythm and expressiveness of poems, and understand that each work of poetry requires a specific creative approach. Comparing and contrasting poems that share artistic features or ideas is one of the most effective methods for developing thinking skills and esthetic taste.

The pupils should have theoretical knowledge about rhyme and rhythm. They should be aware that rhymes differ according to the number of syllables, placement, rhyming techniques and structure.

The final goal after analyzing the poem is to memorize it, which is achieved through rereading it attentively several times and repetition, in order not to disrupt the unity of its content and esthetic value.

Key words: poem, theoretical knowledge, analysis, rhyme, rhythm.

გიორგი ბერძულიშვილი
აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ბაკურ ბაკურაძე
აკაკი წერეთლის სახლმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
გიორგი ბრეგაძე
ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის
მათემატიკის მენტორი მასწავლებელი, განათლების დოქტორი

სადიებო და საოლიმპიადო ამოცანები რიცხვთა გაყოფადობასა და ნაშთებზე

დაწყებითი კლასის მოსწავლეების ინტერესის სფეროს განეკუთვნება ისეთი სადიებო და საოლიმპიადო ამოცანები, რომლებიც უკავშირდება რიცხვთა გაყოფადობას და გაყოფის შედეგად მიღებულ ნაშთებს. ამ სახის ამოცანები დაკავშირებულია ნატურალურ რიცხვებთან, უფრო იშვიათად მთელ რიცხვებთანაც. ასეთი სახის ამოხსნის ძიების პროცესში ხშირად ვიყენებთ გაყოფადობასთან დაკავშირებულ ძირითად თეორემებს და თვისებებს [1] ისე, რომ თეორემების დასახელებას და ტერმინების გამოყენებას მოსწავლეებთან არ ვახდენთ. ზოგჯერ საქმე გვაქვს ნაშთიან გაყოფასთან. დაწყებით კლასებში მოსწავლეებს ასეთი ამოცანების ამოხსნისას ძირითადად შეცდომები ნაშთის გამოთვლის დროს მოდით, რადგან თვლიან, რომ ნაშთი შეიძლება უარყოფითიც იყოს. ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ ნაშთი ყოველთვის არაუარყოფითია. ზოგჯერ ამოცანათა ამოხსნისას მოსახერხებელია ნატურალურ რიცხვთა ან მისი რაიმე ქვესიმრავლის დაყოფა კლასებად. [2], [3]. კერძოდ, ერთ კლასში აერთიანებენ ისეთ რიცხვებს, რომელთა რაიმე რიცხვზე გაყოფის შედეგად მიიღება ერთნაირი ნაშთი. განსახილავი ამოცანების სახიდან გამომდინარე, საჭირო ხდება ევკლიდეს ალგორითმის გამოყენებაც. ხშირად ისეთი ამოცანების ამოხსნისას, რომლებიც უკავშირდება მთელ და ნატურალურ რიცხვებს, საჭირო ხდება არა მარტო მარტივი რიცხვების, არამედ ზოგიერთი შედგენილი რიცხვის გაყოფადობის ნიშნების და რიცხვთა გაყოფასთან დაკავშირებული თვისებების ცოდნაც, რომელიც მართალია სასკოლო პროგრამას ცილდება, მაგრამ მოსწავლეები მათ ადვილად ითვისებენ.

დაწყებითი კლასებისათვის ჩვენ გამოვეყავით სადიებო და საოლიმპიადო ამოცანების საკმაოდ ფართო სპექტრი, რომელთა ამოხსნისას ვსარგებლობთ ევკლიდეს ალგორითმით. კერძოდ, თუ a და b ნატურალური რიცხვებია და სრულდება პირობა $a = b \cdot q + r$ (r ნაშთია), მაშინ ამ რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი ტოლია b და r რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფის. [4]. თუ ვისარგებლებთ ევკლიდეს ალგორითმით რამდენჯერმე, შეიძლება ვიპოვოთ ამ რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი, რომელიც ტოლია ბოლო არანულოვანი ნაშთისა ნაშთიანი გაყოფის შემდეგ ჯაჭვში:

$$a = b \cdot q + r, b = r \cdot q_1 + r_1, r = r_1 \cdot q_2 + r_2, r_1 = r_2 \cdot q_3 + r_3, \dots, r_n = d \cdot q_{n+2}.$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ a და b ნატურალური რიცხვებისათვის არსებობს ისეთი x და y მთელი რიცხვები რომ,

$$ax + by = d.$$

სადაც, d არის a და b რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი. კერძოდ, თუ a და b რიცხვები ურთიერთმარტივია, ანუ არა აქვთ 1-ზე მეტი საერთო გამყოფი, მაშინ არსებობს ისეთი x და y მთელი რიცხვები ისეთი რომ,

$$ax + by = 1.$$

განტოლების ასეთი ჩანაწერი მოსწავლეებში დაინტერესებას იწვევს და წარმოშობს მზაობას შეისწავლონ ორუცნობიანი განტოლების ამოხსნა მთელ რიცხვებში.

ასევე, არსებობს საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების ფართო სპექტრი, რომელთა ამოხსნა დაკავშირებულია რიცხვის მარტივ მამრავლებად დაშლასთან და არითმეტიკის ძირითად თეორემასთან, რისთვისაც მასწავლებელმა მოსწავლეებს დამტკიცების გარეშე უნდა შეახსენოს, რომ ნებისმიერი ნატურალური რიცხვის წარმოდგენა მარტივ რიცხვთა ნამრავლის სახით შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთი სახით.

ასეთი სახის საძიებო და საოლიმპიადო ამოცანების სისტემის ჩართვა დაწყებითი კლასების მათემატიკის სასწავლო პროცესში ამაღლებს მოსწავლეთა დაინტერესებას და ხელს უწყობს მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების უნარების ჩამოყალიბებას.

განვიხილოთ რამდენიმე ამოცანა [5], რომელიც დაკავშირებულია გაყოფადობასა და ნაშთების გამოყენებასთან.

ამოცანა 1. 1000-ზე ნაკლები რამდენი ნატურალური რიცხვი არსებობს ისეთი, რომელიც არ იყოფა არც 5-ზე და არც 7-ზე?

1000-ზე ნაკლები 999 რიცხვიდან გადავშალოთ ის რიცხვები, რომლებიც 5-ის ჯერადია. ასეთია $\left\lfloor \frac{999}{5} \right\rfloor = 199$ რიცხვი. ამოვშალოთ 7-ის ჯერადი რიცხვები, ასეთია $\left\lfloor \frac{999}{7} \right\rfloor = 142$ რიცხვი.

მაგრამ 7-ის ჯერად რიცხვებს შორის არის $\left\lfloor \frac{999}{35} \right\rfloor = 28$ რიცხვი, რომელიც 5-ის ჯერადიცაა.

ასეთი რიცხვები გადაშლილი იქნება ორჯერ. საბოლოოდ, გადაშლილი იქნება $199 + 142 - 28 = 313$ რიცხვი. დარჩება $999 - 313 = 686$ რიცხვი.

ამოცანა 2. ავტობუსის ბილეთის ნომერი ექვსნიშნა რიცხვია. ბილეთის ვუწოდოთ ბედნიერი, თუ მისი ნომრის პირველი სამი ციფრის ჯამი ბოლო სამი ციფრის ჯამის ტოლია. დამტკიცეთ, რომ ყველა ბედნიერი ბილეთების რაოდენობა იყოფა 13-ზე.

თუ ბედნიერი ბილეთის ნომერია A , მაშინ ბილეთი ნომრით $B = 999999 - A$ აგრეთვე ბედნიერია, ამასთან A და B ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

რადგან,

$$A + B = 999999 = 1001 \cdot 999 = 3^3 \cdot 7 \cdot 11 \cdot 13 \cdot 37,$$

ამიტომ ბედნიერი ბილეთების რაოდენობა იყოფა 13-ზე.

ამოცანა 3. იპოვეთ $2n+3$ და $n+7$ რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი.

შევნიშნოთ, რომ თუ $m > n$, მაშინ

$$\text{უსგ}(m; n) = \text{უსგ}(m - n; n).$$

ვთქვათ, m და n რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფი k -ს ტოლია. ეს ნიშნავს, რომ $m = ak, n = bk$ სადაც a, b ნატურალური რიცხვებია, ამასთან $a > b$. მაშინ $m - n = k(a - b)$, საიდანაც გამომდინარეობს, რომ k რიცხვი არის $m - n$ რიცხვის გამყოფი. რაც ნიშნავს, რომ

m და n რიცხვების საერთო გამყოფები არიან აგრეთვე $m - n$ რიცხვის გამყოფები, მათ შორის უდიდესი საერთო გამყოფიც გვაქვს:

$$\begin{aligned} \text{უსგ}(2n+3; n+7) &= \text{უსგ}(n+7; 2n+3-(n+7)) = \\ &= \text{უსგ}(n+7; n-4) = \text{უსგ}(n-4; 11). \end{aligned}$$

რადგან 11 მარტივი რიცხვია, ამიტომ საძიებელი უდიდესი საერთო გამყოფი ან 1-ის ტოლია, ან 11-ის. თუ $n-4=11d$, მაშინ $n=4+11d$ და ამ შემთხვევაში მოცემული რიცხვების უდიდესი საერთო გამყოფია 11, ხოლო სხვა შემთხვევაში 1-ის ტოლია.

ამოცანა 4. ორი ორნიშნა რიცხვი ჩაწერილია ერთმანეთის მიმდევრობით და შედგენილია ოთხნიშნა რიცხვი, რომელიც იყოფა ამ ორნიშნა რიცხვების ნამრავლზე. იპოვეთ ეს რიცხვები.

ვთქვათ, a და b -ორი ორნიშნა რიცხვია, მაშინ $100a + b$ ოთხნიშნა რიცხვია.

ამოცანის პირობის ძალით $100a + b = k \cdot ab$. საიდანაც,

$$b = a(kb - 100),$$

ანუ b იყოფა a -ზე.

ამრიგად, $b = ma$, მაგრამ a და b ორნიშნა რიცხვებია, ამიტომ m ერთნიშნა რიცხვია.

რადგან $100a + b = 100a + ma = a(100 + m)$ და $100a + b = kab$. ამიტომ

$$a(100 + m) = kab.$$

მაგრამ, $100 + m = kb$. ანუ, $100 + m = kma$, საიდანაც, $100 = m(ka - 1)$.

ამრიგად, m ერთნიშნა რიცხვია და ამასთან ის 100-ის გამყოფია, ე.ი. $m = 1, 2, 4, 5$. რადგან, $ka = 1 + \frac{100}{m}$ და a რიცხვი ორნიშნაა, ამიტომ გვაქვს:

როცა $m=1$, მაშინ რიცხვი $1 + \frac{100}{1} = 101$ არ იყოფა არცერთ ორნიშნა a რიცხვზე.

როცა $m=2$, მაშინ $1 + \frac{100}{2} = 51$, $ka = 51$, $a = 17$, $b = 2 \cdot 17 = 34$.

როცა $m=4$, მაშინ $1 + \frac{100}{4} = 26$, $ka = 26$, $a = 13$, $b = 4 \cdot 13 = 52$.

როცა $m=5$, მაშინ $1 + \frac{100}{5} = 21$, გვაქვს $a = 21$, რომლის დროსაც $b = 5 \cdot 21 = 105$ - სამნიშნა

რიცხვია.

საბოლოოდ დავასკვნით, რომ საძიებელი რიცხვების წყვილებია 13 და 52, 17 და 34.

ამოცანა 5. ა) 33-ზე გაყოფის შედეგად რიცხვი ნაშთში იძლევა 17-ს. რისი ტოლია ამ რიცხვის 11-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი?

ბ) რიცხვი 7-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 5-ს. რისი ტოლი შეიძლება იყოს ამ რიცხვის 21-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი? განიხილეთ ყველა შესაძლო ვარიანტი.

ა) რიცხვი, რომელიც 33-ზე გაყოფის შედეგად ნაშთში იძლევა 17-ს, წარმოდგება სახით:

$$n = 33k + 17 = 11 \cdot (3k + 1) + 6.$$

რაც ნიშნავს, რომ ამ რიცხვის 11-ზე გაყოფის შედეგად ნაშთში მიიღება 6.

ბ) n რიცხვის 21-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთებისათვის სამართლიანია ფორმულა:

$$n = 21 \cdot k + r = 7 \cdot 3k + r = 7 \cdot m + 5.$$

რაც ნიშნავს, რომ r იყოფა 7-ზე და ნაშთში მიიღება 5. მაგრამ, რადგან $r < 21$, ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ:

$$r = 5, 12, 19.$$

ამოცანა 6. პარლამენტი გადავიდა ახალ სხდომათა დარბაზში. თუ ახალი დარბაზისათვის შევუკვეთავთ ისეთ მაგიდებს, რომელთაზეც დავსხამთ 3-3 დეპუტატს, მაშინ მაგიდებთან დაჯდება ყველა დეპუტატი პარლამენტის თავმჯდომარის გარდა. თუ შევუკვეთავთ ისეთ მაგიდებს, რომელზეც დავსხამთ 4 დეპუტატს, მაშინ მაგიდებთან დაჯდება ყველა დეპუტატი პარლამენტის თავმჯდომარის და მისი ერთი მოადგილის გარდა. თუ შევუკვეთავთ ისეთ მაგიდებს, რომელზეც დავსხამთ 5-5 დეპუტატს, მაშინ მაგიდებთან დაჯდება ყველა დეპუტატი პარლამენტის თავმჯდომარის და მისი ორი მოადგილის გარდა. იპოვეთ პარლამენტის წევრთა მინიმალური რაოდენობა, თუ პარლამენტის ძველ შენობაში ერთ მაგიდასთან 7 დეპუტატი იჯდა და ზედმეტი არავინ იყო.

პირველ რიგში დავადგინოთ, როგორ შეიძლება წარმოვადგინოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობა. ერთის მხრივ ის სამზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 1-ს, მეორეს მხრივ-4-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 2-ს, ხოლო ხუთზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 3-ს. ვეცადოთ ეს რიცხვი წარმოვადგინოთ ერთი ფორმით. გვაქვს:

$$3k + 1 = 3(k + 1) - 2; 4p + 2 = 4(p + 1) - 2; 5q + 3 = 5(q + 1) - 2.$$

ე.ი. პარლამენტის წევრთა რაოდენობა შეიძლება გამოვსახებოთ სახით:

$$3 \cdot 4 \cdot 5m - 2.$$

ამოცანის პირობის ძალით ეს რიცხვი უნაშთოდ იყოფა 7-ზე. ვეძებოთ m -ის ის უმცირესი მნიშვნელობა, როცა ეს რიცხვი გაიყოფა 7-ზე. ჩასმით დავადგენთ, რომ $m = 4$.

ე.ი. პარლამენტში წევრთა მინიმალური რაოდენობაა-238.

ამოცანა 7. ირინამ ჩაიფიქრა ნატურალური რიცხვი და გამოთვალა ამ რიცხვის 3-ზე, 6-ზე და 9-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთები. ამ ნაშთების ჯამი აღმოჩნდა 15. იპოვეთ ირინას ჩაფიქრებული რიცხვის 18-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი.

3-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთები არ აღემატება 2-ს, ანალოგიურად, 6-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთები არ აღემატება 5-ს, ხოლო 9-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთები არ აღემატება 8-ს, ხოლო მათი ჯამია 15, რაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სრულდება ტოლობა:

$$2 + 5 + 8 = 15.$$

რაც ნიშნავს, რომ ჩაფიქრებული რიცხვის 3-ზე გაყოფისას ნაშთში მიიღება 2, 6-ზე გაყოფისას-5, ხოლო 9-ზე გაყოფისას-8. რადგან ჩაფიქრებული რიცხვი 9-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 8-ს, ამიტომ ის 18-ზე გაყოფისას ნაშთში მოგვცემს ან 8-ს, ან 17-ს. მეორეს მხრივ, რადგან ჩაფიქრებული რიცხვი 6-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 5-ს, ამიტომ ის 18-ზე გაყოფისას ნაშთში მოგვცემს ან 5-ს, ან 11-ს, ან 17-ს. ასევე, რადგან ჩაფიქრებული რიცხვი 3-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 2-ს, ამიტომ ის 18-ზე გაყოფისას ნაშთში მოგვცემს ან 2-ს, ან 5-ს, ან 8-ს, ან 11-ს, ან 14-ს, ან 17-ს. ყველა შესაძლო ნაშთებიდან თანაკვეთას წარმოადგენს მხოლოდ 17, რომელიც ამოცანის ამონახსნიცაა.

ამოცანა 8. დაამტკიცეთ, რომ მიმდევრობით აღებული ნებისმიერი 5 ნატურალური რიცხვის ნამრავლი იყოფა 120-ზე.

რადგან $120 = 1 \cdot 2 \cdot 3 \cdot 4 \cdot 5 = 2^3 \cdot 3 \cdot 5$, ამიტომ საკმარისია, რომ ამ ხუთი რიცხვიდან ერთი აუცილებლად იყოფოდეს 5-ზე, ერთი რიცხვი 3-ზე, ხოლო სამი დარჩენილი რიცხვიდან ერთი იყოს ლუწი, მეორე კი 4-ის ჯერადი. ვაჩვენოთ, რომ ეს ყოველთვის შესაძლებელია. მართლაც, ნებისმიერი 5 მომდევნო ნატურალური რიცხვიდან ერთი აუცილებლად 5-ის ჯერადია, ერთი 4-ის ჯერადი, ერთი 3-ის ჯერადი, ხოლო დანარჩენი ორი რიცხვიდან ერთი აუცილებლად ლუწია, რაც ნიშნავს, რომ მიმდევრობით აღებული 5 ნატურალური რიცხვის ნამრავლი იყოფა 120-ზე.

ამოცანა 9. m რიცხვის 13-ზე და 15-ზე გაყოფის შედეგად მიიღეს ერთი და იგივე განაყოფი, მაგრამ პირველ შემთხვევაში მიიღეს ნაშთი 8, მეორე შემთხვევაში გაყოფა შესრულდაუნაშთოდ. იპოვეთ m რიცხვი.

ერთის მხრივ, $m = 13n + 8$, მეორეს მხრივ $m = 15n$. ტოლობების შედარებით მარტივად მივიღებთ, რომ $n = 4$. საძიებელი რიცხვია $m = 60$.

ამოცანა 10. იპოვეთ უმცირესი რიცხვი, რომელიც 2-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 1-ს, 3-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 2-ს, 4-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 3-ს, 5-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 4-ს, 6-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 5-ს და 7-ზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 6-ს.

თუ საძიებელ რიცხვს დავამატებთ 1-ს, მაშინ ის უნაშთოდ გაიყოფა 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, 5-ზე, 6-ზე და 7-ზე. ასეთი უმცირესი რიცხვი ტოლია $3 \cdot 4 \cdot 5 \cdot 7 = 420$.

ე.ი. საძიებელი რიცხვია $420 - 1 = 419$. მართლაც,
 $419 = 2 \cdot 209 + 1$; $419 = 3 \cdot 139 + 2$; $419 = 4 \cdot 104 + 3$; $419 = 5 \cdot 83 + 4$; $419 = 6 \cdot 69 + 5$; $419 = 7 \cdot 59 + 6$;

ამოცანა 11. დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერი ნატურალური რიცხვის კვადრატის ციფრთა ჯამი არ შეიძლება იყოს 2021.

ნებისმიერი ნატურალური რიცხვი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სამი სახიდან ერთ-ერთით:

$$3k - 1, 3k, 3k + 1.$$

ნებისმიერი რიცხვის კვადრატი (ისევე როგორც მისი ციფრთა ჯამი) ან იყოფა 3-ზე, თუ აქვს სახე: $(3k)^2 = 9k^2$, ან ნაშთში იძლევა 1-ს, თუ აქვს სახე: $(3k \pm 1)^2 = 9k^2 \pm 6k + 1$.

რადგან 2021 სამზე გაყოფისას ნაშთში იძლევა 2-ს, ამიტომ ის არ შეიძლება იყოს რომელიმე ნატურალური რიცხვის კვადრატის ციფრთა ჯამი.

ამოცანა 12. იპოვეთ $1^2 + 2^2 + \dots + 99^2 + 100^2$ რიცხვის ბოლო ციფრი.

ჯერ გავარკვეოთ რა ციფრით ბოლოვდება რიცხვი

$$1^2 + 2^2 + 3^2 + 4^2 + 5^2 + 6^2 + 7^2 + 8^2 + 9^2 + 10^2.$$

მარტივად დავადგენთ, რომ ეს ჯამი ბოლოვდება 5-ით. (აჩვენეთ, რომ მართლაც ასეა). ანალოგიურად ვაჩვენებთ, რომ 5-ით ბოლოვდება ჯამი:

$$11^2 + 12^2 + 13^2 + 14^2 + 15^2 + 16^2 + 17^2 + 18^2 + 19^2 + 20^2.$$

ე.ი. 0-ით ბოლოვდება პირველი 20 რიცხვის კვადრატების ჯამი. ანალოგიურად, 0-ით დაბოლოვდება პირველი 40 რიცხვის კვადრატების ჯამი, პირველი 60 რიცხვის

კვადრატების ჯამი, პირველი 80 რიცხვის კვადრატების ჯამი, პირველი 100 რიცხვის კვადრატების ჯამი.

ამოცანა 13. მაღაზიაში გასაყიდი იყო 6 ყუთი ვაშლი, რომელთა წონებია შესაბამისად 15, 16, 18, 19, 20 და 31 კილოგრამი. ორმა ფირმამ იყიდა 5 ყუთი ვაშლი, ამასთან ერთმა ფირმამ იყიდა ორჯერ უფრო მეტი წონის ვაშლი, ვიდრე მეორემ. რამდენი კილოგრამი ვაშლი იყიდა თითოეულმა ფირმამ და რა წონის ყუთი დარჩა მაღაზიაში?

რადგან ერთი ფირმის მიერ ნაყიდი ვაშლის წონა 2-ჯერ მეტია მეორე ფირმის მიერ ნაყიდი ვაშლის წონაზე, ამიტომ სულ გაყიდული ვაშლის წონა 3-ის ჯერადია. მაღაზიაში ყუთების წონების 3-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთები ტოლია:

$$0 + 1 + 0 + 1 + 2 + 1 = 5 = 3 + 2.$$

ე.ი. მაღაზიაში დარჩენილი ყუთის წონამ 3-ზე გაყოფისას ნაშთში უნდა მოგვცეს 2. ასეთი მხოლოდ ერთი ყუთია, რომლის წონაა 20 კგ. ორივე ფირმამ სულ იყიდა:

$$15 + 16 + 18 + 19 + 31 = 99$$

კილოგრამი ვაშლი. ერთმა ფირმა იყიდა ორი ყუთი წონებით:

$$15 \text{ კგ} + 18 \text{ კგ} = 33 \text{ კგ}.$$

მეორე ფირმამ-სამი ყუთი წონებით:

$$16 \text{ კგ} + 19 \text{ კგ} + 31 \text{ კგ} = 66 \text{ კგ}.$$

ამოცანა 14. თუ სამნიშნა რიცხვს გამოვაკლებთ 6-ს, მაშინ ის გაიყოფა 7-ზე. თუ გამოვაკლებთ 7-ს, გაიყოფა 8-ზე, თუ გამოვაკლებთ 8-ს, გაიყოფა 9-ზე. იპოვეთ ეს რიცხვი.

თუ საძიებელ რიცხვს მივუმატებთ 1-ს, ის გაიყოფა 7-ზეც, 8-ზეც და 9-ზეც. ცხადია, ის გაიყოფა $7 \cdot 8 \cdot 9 = 504$ -ზეც. რადგან საძიებელი რიცხვი სამნიშნაა, ამიტომ ასეთი მხოლოდ ერთი რიცხვია,

$$504 - 1 = 503.$$

ამოცანა 5. ამოხსენით $4x^2 - y^2 = 15$. განტოლება ნატურალურ რიცხვებში.

განტოლების მარცხენა მხარეში მოთავსებული გამოსახულება კვადრატების სხვაობას წარმოადგენს. დავშალოთ ის წრფივ თანამართლებად. გვაქვს:

$$(2x - y)(2x + y) = 15.$$

რიცხვი 15 წარმოვადგინოთ ორი თანამართლების სახით: $15 = 1 \cdot 15 = 3 \cdot 5 = 5 \cdot 3 = 15 \cdot 1$.

შეგვიძლია დავწეროთ განტოლებათა სისტემები:

$$\begin{cases} 2x + y = 15 \\ 2x - y = 1 \end{cases} \Leftrightarrow x = 4, y = 7; \begin{cases} 2x + y = 5 \\ 2x - y = 3 \end{cases} \Leftrightarrow x = 2, y = 1; \begin{cases} 2x + y = 3 \\ 2x - y = 5 \end{cases} \Leftrightarrow x = 2, y = -1;$$

$$\begin{cases} 2x + y = 1 \\ 2x - y = 15 \end{cases} \Leftrightarrow x = 4, y = -7.$$

ბოლო ორი სისტემის ამონახსნებში ნატურალური რიცხვები არ შედის, რაც ნიშნავს, რომ ისინი უნდა უკუვაგდოთ. განტოლების ამონახსნებია წყვილები: (4, 7) და (2, 1).

ამოცანა 16. ამოხსენით $x^2 - xy - 3y = 4$ განტოლება მთელ რიცხვებში

განტოლების მარცხენა ნაწილში მოთავსებული გამოსახულებას თანამართლებად ვერ დავშლით. ვეძებთ ამოხსნის სხვა გზა, გამოვსახოთ y . გვაქვს:

$$y = \frac{x^2 - 4}{x + 3}.$$

გარდავქმნათ გამოსახულება $\frac{x^2-4}{x+3}$. წილადიდან გამოვყოთ მთელი ნაწილი, გვაქვს:

$$\frac{x^2-4}{x+3} = \frac{(x^2-9)+5}{x+3} = \frac{x^2-9}{x+3} + \frac{5}{x+3} = \frac{(x-3)(x+3)}{x+3} + \frac{5}{x+3} = x-3 + \frac{5}{x+3}, x \neq -3.$$

ე.ი. გვაქვს

$$y = x-3 + \frac{5}{x+3}, \text{ სადაც } (x \neq -3).$$

y მთელ მნიშვნელობებს მიიღებს მაშინ, როცა $x+3$ მიიღებს ისეთ მნიშვნელობებს, რომელზეც გაიყოფა 5. ანუ მიიღებს მნიშვნელობებს $\pm 1, \pm 5$. მარტივი გამოთვლებით მივიღებთ, რომ განტოლების ამონახსნებია წყვილები:

$(-8, -12), (-4, -12), (-2, 0)$ და $(2, 0)$.

ჩვენ შევადგინეთ დაწყებითი კლასებისათვის საძიებო და საოლიმპიადო ამოცანები რიცხვთა გაყოფადობასა და ნაშთების გამოყენებაზე, რომელთა ჩართვა მეთოდურად მიზანშეწონილია დაწყებითი კლასების სასწავლო პრაქტიკაში. განხილული ამოცანებიც ამ ციკლის მცირე ნაწილია. ჩატარებული პედაგოგიური ექსპერიმენტის შედეგები ცხადყოფს ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდური მიდგომებით სწავლება ხასიათდება არაერთი უპირატესობით ტრადიციულ სწავლებასთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: საძიებო და საოლიმპიადო ამოცანები, გაყოფადობის ნიშნები, რიცხვთა გაყოფადობა, ნაშთიანი გაყოფა, ევკლიდეს ალგორითმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, 2021: საშუალო სკოლაში არასტანდარტული მათემატიკური ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი მეთოდოლოგიური ასპექტი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

2. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, გ. მარგველაშვილი, 2019: საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის სწავლების მეთოდოლოგია. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

3. გ. ბერძულიშვილი, 2018: სასკოლო და საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, 2016: საოლიმპიადო მათემატიკური ამოცანები დაწყებით კლასებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

5. გ. ბერძულიშვილი, გ. ბრეგაძე, 2017: საოლიმპიადო მათემატიკურ ამოცანათა ამოხსნის პრაქტიკული ჩვევების ფორმირება საშუალო სკოლაში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Exploratory and Olympiad tasks on division of numbers and remains

Abstract

Elementary school students are interested in exploratory and Olympiad tasks related to the division of numbers and the remains obtained as a result of division. When solving such math task problems, we often use theorems and properties related to division so that they are not named for children. Sometimes we are dealing with remain division. Sometimes it is convenient to divide a natural number (NN) or any subset of it into classes when solving problems. Depending on the type of task, we use the Euclidean algorithm and not only the sign of division of prime numbers, but also some of the composite numbers as well. Thorough study of these issues arouses interest in students and generates a willingness to solve simultaneous equation in integers. The article discusses exploratory and Olympiad tasks related to the division of numbers and remains, and justifies the need to include such tasks in the learning process.

Keywords: exploratory and Olympiad tasks, signs of division, division of numbers, remainder division, Euclidean algorithm.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

მაია ახვლედიანი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
სოფიო მორალიშვილი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ლალი აბდალაძე

შ. მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება

თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებში ერთ-ერთი აქტუალური თემა სტუდენტზე ორიენტირებული განათლებაა, რაც უპირველესად სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. სტუდენტზე ორიენტირებული განათლება ნიშნავს, ვასწავლოთ ის, რაც სტუდენტს სჭირდება და არა ის, რაც ვიცით, რაც წლების მანძილზე დაგვიგროვდა. ასევე უმთავრესია სწავლებაში სტუდენტებისათვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება დაკავშირებულია საბერძნეთის ისტორიის კლასიკურ პერიოდთან, მისი მახასიათებლების პოვნა პლატონის დიალოგებშია შესაძლებელი, სადაც იგი დაწვრილებით აღწერს სოკრატეს დისკუსიებს, რომელშიც დიდი ფილოსოფოსი მონაწილეთა მორალურ ღირებულებებზე უკეთესი წარმოდგენის შესაქმნელად შეკითხვებს იყენებდა.

„სოკრატეს მიერ გამოყენებული მიდგომა ძალიან ჰგავს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, ვინაიდან ის გულისხმობს კითხვების გენერირებას ახალი გაკვეთილის, მისი საკითხების შინაარსის გაგებისა და შესწავლის ხელშეწყობას.“(1:9)

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების საკითხთან მიმართებაში განათლების თანამედროვე საწყისები ასევე უკავშირდება XVIII ს-ის მოძრაობებს და ფრანგი ფილოსოფოსის და განმანათლებელის ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) იდეას, რომ განათლება სტუდენტის საჭიროებებთან, მათ ასაკთან და კოგნიტური განვითარების დონესთან უნდა იყოს ადაპტირებული და რომ სტუდენტები აქტიურად უნდა იყვნენ სასწავლო პროცესში ჩართულები.

სწავლებისას საჭიროა ზუსტად განვსაზღვროთ სტუდენტის როლი ლექციაზე. აშკარაა, რომ უმეტეს წილად იგი პასიურია. ზოგიერთს უჭირს მუდმივად ფხიზლად ყოფნა, სხვები ცდილობენ განსხვავებული მასალის კითხვით, ლექტორის მანერებზე დაკვირვებით ან უგულისყურო მოსმენით გაიყვანონ დრო. თუმცა სტუდენტთა დიდი ნაწილი ლექციის დროს აკეთებს კონსპექტს და ცდილობს ლექტორის მიერ მოწოდებული ახალი მასალა ძველ ცოდნას დაუკავშიროს.

ინფორმაციის დამუშავების თვალსაზრისით სტუდენტის წარმატების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ყურადღება, რაც გულისხმობს კოგნიტური შესაძლებლობების ფოკუსირებას ცვალებად, ახალ, ან საინტერესო საგანსა თუ მოვლენაზე.

ყურადღებას იზიდავს გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებები. ლექტორს შეუძლია ისარგებლოს ცვლილების ეფექტით, საუბრის დროს მიმართოს ინტონაციის, ტემპის, ჟესტიკულაციის, სახის გამომეტყველების, აუდიოვიზუალური საშუალებების მრავალფეროვან ვარიაციას, რადგან სმენითი ყურადღების მიმართულებას განსაზღვრავს ვიზუალური ყურადღება. სტუდენტი უკეთ ითვისებს ახსნილ მასალას, როცა ხედავს მოსაუბრის სახესა და ტუჩებს. სასურველია არ გაწყდეს მზერითი კონტაქტი ლექტორსა და სტუდენტს შორის. ასევე მნიშვნელოვანია აუდიტორიასთან ყურადღების მიზიდვის მოტივაციის შექმნა, ლექციის დაკავშირება სტუდენტთა ინტერესების სფეროსთან და ცოცხალ მაგალითებთან. როცა სტუდენტებს გადალას შევამჩნევთ, მივცეთ მცირე ხნით შესვენების შესაძლებლობა. მეცადინეობის განახლების შედეგად მიღებული ცოდნა არა მარტო აკომპენსირებს იმ ცოდნას, რომელსაც შევიძენდით შესვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არამედ მნიშვნელოვნად აღემატება მას ხარისხის თვალსაზრისით.

სტუდენტებზე ფოკუსირებული სწავლება არის მეთოდი, რომელიც აქცენტს აკეთებს სტუდენტების მოთხოვნილებებზე და სასწავლო პროცესის წარმართველად არ მიიჩნევს ლექტორების და ადმინისტრაციის სურვილებს. ეს მოდელი ფოკუსირებულია სტუდენტების მოთხოვნილებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე.

მოსმენის უნარი თანდაყოლილია, თუმცა შესაძლებელია მისი დახვეწა სათანადო ვარჯიშის შედეგად. ვთხოვთ სტუდენტებს ერთი წუთის განმავლობაში დაწერონ რას ელიან ლექციისაგან, ან რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დავალებაში. ავუხსნათ, რომ აღნიშნული სტრატეგია მნიშვნელოვნად განავითარებს მოსმენის უნარს, რადგან იგი ხელს უწყობს ყურადღების მობილიზებას და ძველი ცოდნის აქტივაციას.

მომდევნო სტრატეგია გვთავაზობს ლექტორის მოსმენას ხუთი-ათი წუთის განმავლობაში ჩანაწერის გაკეთების გარეშე. მოსმენილს სტუდენტები წერილობით აჯამებენ და მოკლე პრეზენტაციით აცნობენ საკვანძო საკითხებს ჯგუფის წევრებს. ადარებენ ერთმანეთის ჩანაწერებს, ავსებენ და არკვევენ რამდენად ეფექტურად იმოქმედა ამ სავარჯიშომ მოსმენის უნარის განვითარებაზე. მსგავსი სტრატეგიის გამოყენება შევთავაზოთ ინდივიდუალური კონსპექტის შედგენის დროსაც.

სტუდენტთა დიდი ნაწილი სათანადო ყურადღებას უთმობს ლექციის შინაარსს, თუმცა მასალის გაგებას, დამახსოვრებასა და გამოყენებას ყოველი მათგანი სასურველ დონეზე ვერ ახერხებს. ისინი მასალის გადამუშავების განსხვავებულ შესაძლებლობებს ფლობენ. ზოგიერთი თავს არიდებს დამუშავების პროცესს და სიტყვასიტყვით იწერს ლექტორის საუბარს. ზოგი ცდილობს ღრმად ჩასწვდეს ნათქვამის არსს, განახორციელოს მასალის ინტერპრეტაცია და შეუთავსოს იგი თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. ასეთი სტუდენტები გამოირჩევიან კრიტიკული დამოკიდებულებით ნებისმიერი მოსაზრების მიმართ.

სალექციო მასალის საფუძვლიანი დამუშავება, ასოციაციების, პარალელების, ახალი კონცეფციების პირად გამოცდილებასთან დაკავშირება და სააზროვნო შეკითხვების

გამოყენება უზრუნველყოფს ლექციის შინაარსის უკეთ დამახსოვრებასა და შეძენილი ცოდნის ეფექტურ რეალიზებას.

ლექციის დროს ჩანაწერების გაკეთებით სტუდენტი ახდენს ყურადღების კონცენტრირებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში და გაცილებით იოლად იმახსოვრებს მასალას. ხანმოკლე მეხსიერება მოცემულ მომენტში მხოლოდ განსაზღვრული მოცულობის ინფორმაციას აღიბეჭდავს გონებაში. ჩქარ ტემპში გადაცემული ახალ-ახალ კონცეფციები ძაბავს ყურადღებას და სტუდენტთა ნაწილი საერთოდ წყვეტს წერას, ნაწილი კი სტრესულ ვითარებაში აგრძელებს კონსპექტის შედგენას. ლექციის მსვლელობისას ჩანაწერების გაკეთება საჭიროებს დიდ ძალისხმევას, ყურადღების ხანგრძლივად დამაბვას, მოსმენილის გაგებასა და მის შენახვას ხანმოკლე მეხსიერებაში დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში, რომელიც საკმარისი იქნება მასალის ჩასაწერად. როცა ლექტორი ხსნის ახალ კონცეფციებს და იყენებს სტუდენტთათვის მეტნაკლებად უცნობ ლექსიკას, ჯგუფი იძულებულია ყურადღება გაამახვილოს ცალკეულ სიტყვებზე, ფრაზებზე და კარგავს მასალის მთლიანობის შეგრძნებას. ამიტომ ლექტორმა დიდი სიფრთხილით უნდა შეარჩიოს კონტექსტი ახალი კონცეფციებისათვის და ხშირად მიმართოს პაუზას, რათა სტუდენტი არ ჩამორჩეს მისი საუბრის მსვლელობას. ჩანაწერების შესწავლამ აჩვენა, რომ სტუდენტები იშვიათად ახერხებდნენ მასალის სრულყოფილად ჩაწერას. კონსპექტებში ვხვდებით მცდარ ინფორმაციასაც. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ჩაწერის პრინციპის ორ პოზიტიურ მახასიათებელს: კონსპექტი უზრუნველყოფს გარე მეხსიერებას, რაც ხელს უწყობს მის სწრაფ და მტკიცე დამახსოვრებას. თუმცა აქვე უნდა მივუთითოთ ნეგატიური მახასიათებელიც. წერა ზოგჯერ აფერხებს ძალების მიმართვას საჭირო მიმართულებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა მასალა გამოირჩევა სირთულით და მისი გააზრება კოგნიტური შესაძლებლობების მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში სტუდენტებს ზომიერების დაცვა მართებთ. სასურველია შევამციროთ ჩანაწერების მოცულობა. დროის უდიდესი ნაწილი ახსნილის მოსმენა-გააზრებას უნდა დაეთმოს. ონლაინ სწავლებამ და თანამედროვე ტექნოლოგიებმა ლექტორს და სტუდენტს მისცა ლექციის ვოდეო ჩანაწერის გაკეთების, შენახვის, მრავალჯერ მოსმენის, შინაარსის სრულად აღქმის და ხელნაწერი კონსპექტის გაუმჯობესების საშუალება.

გასათვალისწინებელია, რომ ჩანაწერების მეთოდს ყველაზე ეფექტურად იყენებენ გამორჩეულად ნიჭიერი სტუდენტები, თუმცა მნიშვნელოვანია არა მარტო თანდაყოლილი ნიჭი, არამედ შეძენილი ინტელექტიც. ცოდნის დაბალი დონის მქონე ინდივიდი კოგნიტური ძალების ძირითად ნაწილს უთმობს არა მოსმენასა და გაგებას, არამედ წერას, რის შედეგადაც მისი ცნობიერების მიღმა არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი რჩება. სტუდენტის უნარი - წერის დროს შეინახოს ინფორმაცია მეხსიერებაში და, რაც მთავარია, უზრუნველყოს მისი დამუშავება - დამოკიდებულია მის კოგნიტურ სტრუქტურებზე.

ლექციაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენს სტუდენტის პასიური როლი. თუმცა, ინფორმაციის დამახსოვრებისა და შემდგომში მისი გამოყენების მიზნით საჭიროა აქტიური აზროვნება. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მარტივ და ეფექტურ ხერხს წარმოადგენს „ერთწუთიანი წერა“. მეცადინეობის დაწყებისას ლექტორი აცნობებს ჯგუფს, რომ გარკვეული ხნის შემდეგ დროებით შეწყვეტს ლექციის კითხვას და სთხოვს სტუდენტებს ერთი, ზოგჯერ ორი, ან სამი წუთის განმავლობაში წერილობით განიხილონ მათთვის

საინტერესო საკითხი, რომელიც უკავშირდება ან მოცემულ ლექციას, ან წინა მეცადინეობებს. მუდმივად შევახსენოთ სტუდენტებს, რომ აქტიურ აზროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური სწავლისათვის.

ლექციისა და დისკუსიის შერწყმა უთუოდ ლოგიკურია ყოველთვის, როცა, კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ლექტორს მოეთხოვება არა მარტო ინფორმაციის გადაცემა, არამედ სტუდენტთა დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება.

„ნუ მიაწვდით სტუდენტს მზა ინფორმაციას, არამედ მიეცით იმის საშუალება, რომ თავად გამოიტანოს დასკვნები არ ჩაუტაროთ მათ თეორიული გაკვეთილი, მან უნდა ისწავლოს მხოლოდ გამოცდილებიდან.“ (ჟან ჟაკ რუსო, 1:9)

მსგავს შეხედულებებს იზიარებდა მარია მონტესორი (1870-1952) და ჯონ დიუი (1859-1952). ისინი სტუდენტის ინტერესების, საჭიროებებისა და განვითარების დონის შესატყვის მეცნიერულ დაკვირვებს, ექსპერიმენტსა და ფიზიკურ აქტივობებს ანიჭებდნენ უპირატესობას. აქტიური სწავლება კონსტრუქტივიზმის თეორიული საფუძვლის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც შვეიცარიელი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს (1896-1980) მიერაა დაფუძნებული და დღეს ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით სწავლება აქტიური პროცესია, რომელშიც სტუდენტი გარემოს შესაცნობად სხვადასხვა აქტივობებს ატარებს. აუცილებელია სტუდენტთა ჩართულობა ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ კვლევის, შემოქმედებითობისა და აქტიური კომუნიკაციის საშუალებას მისცემს.

სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორეტიკოსი ლევ ვიგოდსკი (1896-1934) აცხადებს, რომ სწავლის მამოძრავებელი ძალა სოციალური ინტერაქციაა. იგი ამტკიცებს, რომ ურთიერთობა ქმნის საყრდენს - საშუალებებს, რომელთა მეშვეობით ერთი ადამიანი ეხმარება მეორეს, რომელიც დამოუკიდებლად ვერ მოქმედებს. „გარე საყრდენი scaffolding მოიცავს მოდელირებას, coaching, უკუკავშირს, შიგა საყრდენი კი არის სტუდენტის ჩართულობა მონიტორინგსა და უკუკავშირში - reflection“. (1: 10)

სტუდენტზე ორიენტირებულობის პარადიგმის ძირითადი მახასიათებლებია:

„სტუდენტები სწავლის პროცესში აქტიურ როლს ასრულებენ, ხოლო პროფესორ-მასწავლებელი არის მხოლოდ ხელმძღვანელი, აქტივატორი, სწავლის ხელშემწყობი;

სტუდენტები მრავალფეროვან აქტივობებში არიან ჩართულნი, რაც ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის, აღმოჩენითი სწავლის, იდეების გაზიარებას, ინფორმაციის, მტკიცებულებების ანალიზის, დასკვნების გამოტანის, შედეგებისა და აღმოჩენების, პროექტზე დაფუძნებული სწავლების სიმულაციების და ა.შ. დანერგვას;

სტუდენტები არიან ავტონომიურები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თავიანთ სწავლაზე, ისინი ირჩევენ, თუ როგორ მიუდგნენ თემას, როდის გააკეთონ, რა ტემპითა და რომელ პარტნიორთან ერთად.

გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლა და თანატოლებთან თანამშრომლობა მისი არსებითი ნაწილია“... (1:11)

უმაღლეს სასწავლებელში ლექცია არის ინფორმაციის გადაცემის ეფექტური გზა, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, სადაც შეინიშნება მკვეთრი განსხვავება სტუდენტთა ცოდნის დონეებს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ინტერესთა სფეროებს შორის. სერიოზულ

მაღლისხმევას მოითხოვს ლექციის სათანადოდ დაგეგმვა და პრეზენტაცია, რათა უზრუნველყოთ სწავლის მიმართ სტუდენტის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება და შეძენილი ცოდნის მაქსიმალური რეალიზაცია. ლექციის დროს აუცილებელია ღრმად ჩაწვდეთ მსმენელის განწყობას, სახის გამომეტყველებას, არავერბალური ქმედებას და ზეპირ კომენტარებს. შემოთავაზებული რჩევები სიტუაციის შესაბამისი სტრატეგიების არჩევით დაეხმარებათ სტუდენტებს ნაყოფიერი გახადოს სასწავლო საქმიანობა.

წლების მანძილზე სწავლებისა და სწავლის პროცესები გამიჯნული იყო ერთმანეთისაგან. პედაგოგიური პრაქტიკა მიიჩნეოდა უნივერსალურად, ისეთ კონცეფციად, რომელიც არ იყო დამოკიდებული სტუდენტთა აზროვნებაზე და მათ შორის არსებულ ინდივიდუალურ განსხვავებაზე. განათლებისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის თანამედროვე მიღწევებმა მნიშვნელოვნად შეცვალა შეხედულებები სწავლებისა და სწავლის პროცესებზე. სასურველ შედეგს განაპირობებს სათანადო პედაგოგიური პრაქტიკის ინტერაქცია სტუდენტის მიერ სწავლის სტრატეგიებისა და უნარ-ჩვევების გამოყენებასთან (4).

სტუდენტს უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი სტრატეგიული მიზნები, რომლებიც დაეხმარება მას სწავლაში და მოტივაციის გაძლიერებაში. მივცეთ მათ შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ როგორ შეესატყვისება სასწავლო კურსი მათ საგანმანათლებლო, პერსონალურ, სოციალურ, ან პროფესიულ მიზნებს. ამით უზრუნველყოფთ მათ ეფექტურ სასწავლო საქმიანობას. მივმართოთ თუნდაც მოკლე ჯგუფურ დისკუსიას შესასწავლი თემების შესახებ, ან ვთხოვოთ სტუდენტს დაწეროს მცირე მოცულობის ტექსტი შესასწავლ კურსთან დაკავშირებით, იმსჯელოს იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის აღნიშნული კურსი.

ჩვენ არ შეგვიძლია სტუდენტებს ინდივიდუალური მიზნები დავუსახოთ. მათ თავად უნდა დაისახონ ისინი, რადგან მკაფიო მიზანს მოსდევს პასუხისმგებლობა. საჭიროა მიზნების დაბალანსება ცოდნის მიღებასთან დაკავშირებით. გამოიმუშაონ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარებათ მიზნის მიღწევაში, თუ წარუმატებლობით გამოწვეული ძლიერი ემოციების მართვაში. აგრეთვე, მნიშვნელოვანია სტუდენტმა შედეგზე ორიენტირებულ მიზნებთან შედარებით უპირატესობა მიანიჭოს პროცესზე ორიენტირებულ მიზნებს.

ცოდნა აზროვნებისა და შემეცნების შესახებ მეტაკოგნიციის სახელით არის ცნობილი. მეტაკოგნიტური პროცესები გულისხმობენ თვითშემეცნებას, აკადემიური ამოცანებისა და მათი შესაბამისი სტრატეგიების ცოდნას. თვითშემეცნება საშუალებას აძლევს სტუდენტს მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი და აკადემიური ინსტიტუტების მიერ შეთავაზებული რესურსები. სტუდენტი უნდა გახდეს სასწავლო პროცესის მეტაკოგნიტურად, მოტივაციურად და ბიჰევიორულად აქტიური მონაწილე. ლექტორი ასწავლის არა მარტო მასალას, არამედ აზროვნებისა და სწავლის სტრატეგიებს. ეს უკანასკნელნი უნდა ისწავლებოდეს კურსის შინაარსის პარალელურად, რათა სტუდენტი საფუძვლიანად დაეუფლოს შესასწავლ მასალას.

სწავლის სტრატეგიების უმარტივესი ფორმებია: გამეორება, ან მიმოხილვა. ოდნავ უფრო რთული ფორმაა პერიფრაზირება. შემდეგ საფეხურზე დგას მასალის ორგანიზება: გეგმების, ცხრილების, გრაფიკების შედგენა. ზოგიერთი სტრატეგია გულისხმობს მასალის ანალიზს და ინტელექტუალურად დამუშავებას: ანალოგიების მოძებნა, ორი კონტრასტული თეორიის შეპირისპირება და ა.შ. საჭიროა თავად ვუჩვენოთ სტუდენტს სტრატეგიების გამოყენების მაგალითი. მიზანდასახული სტუდენტი არეგულირებს საკუთარ სასწავლო

საქმიანობას და, პერიოდულად, ამოწმებს სწავლის მეთოდების ვარგისიანობას და მიღწეული პროგრესის ხარისხს. ხშირად სტუდენტთა დიდი ნაწილი ვერ აფიქსირებს ცოდნის ნაკლებობას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და არასახარბიელო რეალობის წინაშე მხოლოდ ტესტირების დროს აღმოჩნდება. ამიტომ აუცილებელია ცოდნის სისტემატურად შემოწმება. ცოდნის შემოწმების უმარტივესი გზაა შესასწავლი მასალის პერიფრაზირება, ან რეალიზება. მნიშვნელოვანი მეთოდია ე.წ. „თანამშრომლობითი სწავლა“, რომლის დროსაც სტუდენტები თავად ასწავლიან ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში ლექტორი, რომელიც ისმენს პრეზენტაციას, თავად ახდენს საკუთარი ცოდნის კონსოლიდაციასა და ინტეგრაციას. გარდა ამისა, ეცნობა სწავლის ხერხებს, რომელთაც სტუდენტები იყენებენ. თუმცა არანაირი სტრატეგიის ცოდნას არ ექნება აზრი, თუ არ არსებობს ძლიერი მოტივაცია. ეს უკანასკნელი კი უამრავი ფაქტორის ინტერაქციას წარმოადგენს,

დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენისა და გამოყენების უნარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სტატიკური ცოდნის ბაზის შექმნა. არსებობს ძველი თალმუდური ბრძნული გამონათქვამი: „თუ ხალხს მისცემ თევზს, მათ ერთი დღით დააპურებ. ხოლო თუ თევზის დაჭერას ასწავლი, დააპურებ მთელი ცხოვრების მანძილზე.“ ამგვარად, ლექტორის მოვალეობაა უზრუნველყოს სტუდენტი როგორც საკვები თევზით ანუ სტატიკური ცოდნით, ისე თევზჭერის სწავლებით - როგორ გახდეს მიზანდასახული სტუდენტი.

პროგრესული პედაგოგიკა საშუალებას აძლევს სტუდენტს, თავად განსაზღვროს, რისი სწავლა უნდა. სასწავლო პროცესზე ახალი ხედვის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს თეორეტიკოსებმა ჯონ დიუიმ და ლევ ვიგოტსკიმ. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტებზე ფოკუსირებული სწავლების მოდელი გაცილებით ეფექტურია. კარლ როჯერსის იდეები ინდივიდის აღზრდის და ჩამოყალიბების შესახებ კიდევ ერთი არგუმენტია ამ მოდელის სასარგებლოდ. სტუდენტებზე ფოკუსირებული სწავლება ნიშნავს ტრადიციულ, ლექტორებზე დამყარებული მოდელის უარყოფას და სასწავლო პროცესის ცენტრში სტუდენტების დაყენებას.

სტუდენტებზე ფოკუსირებული სწავლება სტუდენტებს ავტონომიას და პროცესში სრული ჩართულობის საშუალებას აძლევს. ეს მოდელი გულისხმობს სასწავლო პროცესის შეცვლას ისე, რომ ახალი მასალის ათვისებაში სტუდენტებს აქვთ არა პასიური, არამედ აქტიური როლი. ხშირი პრაქტიკული სამუშაოები უზრუნველყოფს ათვისებული მასალის გამოყენების უნარის განვითარებას. თვითგანათლება, ინფორმაციის დიდი ნაწილი, სტუდენტმა უნდა მიიღოს დამოუკიდებლად. სოციალიზაცია ცოდნის მიღების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ასევე დისკუსიები, აზრის გაცვლა-გამოცვლა, კოლაბორაცია.

სტუდენტი უნდა გახდეს სასწავლო პროცესის მეტაკოგნიტურად, მოტივაციურად და ბიჰევიორულად აქტიური მონაწილე. ლექტორმა, არა მარტო სასწავლო მასალა, არამედ აზროვნების და სწავლის სტრატეგიები უნდა ასწავლოს, ვინაიდან დღეს, ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენისა და გამოყენების უნარი, ადამიანის უფლებების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სტატიკური ცოდნის ბაზის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტზე ორიენტირებული, კოგნიტური, კონსტრუქტივიზმი, ბიჰევიორული, მეტაკოგნიცია, სოციალიზაცია, თანამშრომლობითი, ფოკუსირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო. ტრენინგის პაკეტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის. რედაქტირებულია ცვეტელინა ჰარაკ-ცისკას მიერ. რუსულ უნივერსიტეტი, ბულგარეთი. http://old.sabauni.edu.ge/images/PDF/manual_geo.pdf
2. ხარისხის განვითარების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მასალების მომზადების გზამკვლევი. <https://www.google.com/search?q>
3. საქართველოს პარლამენტის დადგენილება უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ <http://www.sigma.ge/images/pdf/part1.pdf>
4. Wilbert J. McKeachie Teaching Tips, 2002, Strategies, Research, and Theory for College and University Teachers.

Maia Akhvlediani, Associate Professor.

**Sophio Moralis Akaki Tsereteli State University, Georgia Kutaisi
hvoli, Associate Professor.**

Akaki Tsereteli State University, Georgia Kutaisi

Lali Abdaladze Associate Professor.

Sh. Meskhia State Teaching University Georgia Zugdidi

Student-centered teaching

Abstract

Student-centered education is one of the most widely discussed issues in modern higher education. Student-centered education means teaching what the student needs, it puts students' individual needs and interests at the forefront of instructors' teaching practices. In addition, students are given freedom in voicing how, what and why they are learning certain topics. Thus, it creates a welcoming environment for students.

Student-centered learning allows students to be fully involved in the learning process. They play an active role in mastering new material. The abundance of practical work ensures the development of the ability to use the mastered material in practice. Self-education means that students acquire the necessary information independently without any formal instruction. Socialization, discussions, collaboration represent one of the main sources of knowledge acquisition.

keywords: student-centered, cognitive, constructivism, behavioral, metacognition, socialization, collaborative, focused

უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პედაგოგიზაციის საკითხისათვის

თანამედროვე შრომის ბაზარი არნახული კონკურენტულობით გამოირჩევა. ეს ეხება როგორც მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს, ისე განვითარებად ქვეყნებს. უმუშევრობა განსაკუთრებული სიმწვავეთ სწორედ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების მოსახლეობაზე აისახება და სამწუხაროდ, მათ შორისაა საქართველოც. უმუშევრობის პრობლემა მეტნაკლებად ყველას ეხება - არაკვალიფიციურ მუშახელს და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულსაც. ეს პრობლემა თანამედროვე მსოფლიოს გლობალური გამოწვევაა, ამიტომ მისი გადაჭრის გზების ძიებაზე ჩვენ პრეტენზია ვერ გვექნება, ჩვენ მხოლოდ ამ სფეროს ერთი საჭირობო საკითხის - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე გვსურს მკითხველის ყურადღების მიქცევა, რაც ასევე უკავშირდება შრომის ბაზარს და უმუშევრობას.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმებას დიდწილად მათი კვალიფიკაცია და კომპეტენცია განსაზღვრავს. ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უნივერსიტეტები მუდმივად ზრუნავენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება კი ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმებია, რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის საზოგადოების მშენებლობაში ხელშეწყობას, რაც ცოდნის ეკონომიკის განვითარების წინაპირობად არის მიჩნეული.

დღეს აღიარებულ და ნაკლებად ცნობილ უნივერსიტეტებსაც კონკურენტულ პირობებში უწევთ მუშაობა. თითოელი მათგანი ცდილობს სხვათაგან განსხვავებული, ინოვაციური შინაარსის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა შესთავაზოს აბიტურიენტებს, სხვაგვარად ისინი ვერ შეინარჩუნებენ საგანმანათლებლო ბაზარზე ადგილს. ამისათვის კი აუცილებელია უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, რაც იქ მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების მეცნიერულ უზრუნველყოფას გულისხმობს. სწორედ ამისთვისაა მოწოდებული უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, რომელიც არის პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი ნაწილი; სწორედ იგი სწავლობს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო-საგანმანათლებლო, სტუდენტთა სოციალიზაციის და მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების პრობლემებს; იკვლევს უმაღლეს სასწავლებლებში ეფექტიანი მენეჯმენტის განხორციელების გზებს, საშუალებებს და ამის საფუძველზე აყალიბებებს მეცნიერულ დასკვნებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფა-განვითარების მიზნით.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში აღნიშნული სასწავლო კურსი გასული საუკუნის 70-80 - იან წლებში ასპირანტურაში ისწავლებოდა, ხოლო ამჟამად, მხოლოდ განათლების მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე ისწავლება. საქართველოში მოქმედ

სადოქტორო პროგრამებზე რატომღაც უარი თქვეს „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სწავლებაზე და მის ნაცვლად შემოიღეს „სწავლების მეთოდები“, რაც არსებითად ვერ პასუხობს სადოქტორო პროგრამების წინაშე არსებულ ამოცანებს და პრობლემის მოგვარების გზაზე მხოლოდ ნახევარზომად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლები ორიენტირებულნი არა მარტო სწავლებაზე, არამედ კვლევაზე. ამის დასტურია ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმები. ამიტომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სწავლება-სწავლის პროცესის მეცნიერულ კვლევა-ძიებას, როგორც აღინიშნა, სწორედ პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი მიმართულებაა „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ წარმართავს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სასწავლო კურსს უნდა ფლობდეს უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ანუ ისინი, ვინც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლება-სწავლის პროცესის მეცნიერულ კვლევა-ძიებას ეწევა. უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი კი სადოქტორო პროგრამებზე მზადდება, განურჩევლად პროგრამის მიმართულებისა (სპეციალიზაციისა).

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სადოქტორო პროგრამებზე სრულფასოვანი მეცნიერული მიმართულების - „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ ჩანაცვლება სასწავლო კურსით „სწავლების მეთოდები“. თავად „სწავლების მეთოდები“, „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ შემადგენელია ნაწილი და მისი სწავლება ძირითადი კურსისგან გამოცალკევებულად გაუმართლებელია როგორც ლოგიკურად, ისე მეთოდური თვალსაზრისით. განა შეიძლება სწავლების მეთოდებზე ელაპარაკო სტუდენტს, განათლებისა და სწავლების არსის გაცნობიერების გარეშე? როცა სტუდენტმა არ იცის პედაგოგიკის ძირითადი ცნებები, სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები, ან კიდევ სწავლების თეორიები და თუნდაც, სწავლების ორგანიზაციული ფორმები, რა მეთოდებზე შეიძლება მსჯელობა?

უმაღლესი განათლების სფეროში გადაწყვეტილების მიმღები პირების, კერძოდ სააკრედიტაციო საბჭოების წარმოდგენილებისთვის, პედაგოგიკაში ცნობილი ელემენტარული საკითხების შეხსენება და სამწუხაროდ, განმარტებაც გვიწევს იმის თაობაზე, რომ სწავლების მეთოდებს „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ კურსში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა, როგორც მის სტრუქტურულ ნაწილს. მაგრამ მისი შესწავლის წინაპირობას სწორედ პედაგოგიკის ისეთი ფუნდამენტური საკითხების შესწავლა უძღვის, როგორიცაა: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნებები, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) სტრატეგია, სწავლების მეთოდოლოგიური პრინციპები, სწავლების თეორიები, სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, სწავლების შინაარსი (საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო რესურსები, სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა -ECTS (European Credit Transfer System), სწავლების ორგანიზაციული ფორმები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები და მათი ჩატარების მეთოდიკა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა) და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სწავლების მეთოდების სწავლება-სწავლა.

ნიმანდობლივია ისიც, რომ სწავლების მეთოდების განხილვით არ ამოიწურება „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სასწავლო კურსი. მას ორგანულად მოსდევს შეფასების

მეთოდებისა და სტრატეგიების სწავლება, რასაც აგრეთვე არ ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი სასწავლო კურსი „სწავლების მეთოდები“, რომლის ამ ფორმით სწავლება ვერ პასუხობს უმაღლესი განათლების წინაშე არსებულ გამოწვევებს. აღნიშნულის გათვალისწინებით მის ალტერნატივად მიგვაჩნია სწორედ „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“, რომელიც სრულფასოვნად აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის მიზან-ამოცანებს.

ამის საილუსტრაციოდ მკითხველს ვთავაზობთ „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სასწავლო კურსის საგნის, ამოცანებისა და სტრუქტურის ზოგად მიმოხილვას, რაც სრულიად საკმარისი იქნება ამ სასწავლო კურსის უპირატესობის ჩვენებისთვის, „სწავლების მეთოდების“ სასწავლო კურსთან შედარებით.

როგორც ითქვა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას აქვს მკაფიოდ გამოხატული კვლევა-ძიების საგანი და სპეციფიკური მიზან-ამოცნები, რაც მისი არსებობის საფუძველია.

ზოგადად უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საგანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უმაღლეს სკოლაში, რომელიც მოიცავს განათლების, სწავლება/სწავლისა და სტუდენტთა სოციალიზაციის პრობლემებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ამოცანების ფორმირებისა და რეალიზაციის კანონზომიერებებს. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ამოცანებიც სტუდენტთა პროფესიული მომზადების, აღზრდის, განათლებისა და მათი ჰარმონიული განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ინტერესებში შედის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პედაგოგიური კადრები, ავტორიზაცია-აკრედიტაცია, სწავლების ორგანიზაციული ფორმები, კავშირი საზოგადოებრივ მოვლენებთან, სწავლების ახალი ტექნოლოგიები, უმაღლესი განათლების მენეჯმენტი და სხვ.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა იკვლევს სტუდენტთა აღზრდა-განათლების და სწავლება/სწავლის კანონზომიერებებს, მათი ანალიზის შედეგად შესაძლებელს ხდის ისეთი გზების, საშუალებების და მეთოდების შერჩევას, რომლებიც მეცნიერ-პედაგოგებს ხელს უწყობენ უმაღლესი სკოლის წინაშე არსებული პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტაში.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა ინტერესდება სტუდენტთა ფსიქო-ფიზიკური და ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების, სოციალური სიმწიფის, სასწავლო-საწარმოო და შემეცნებითი ინტერესების შესწავლითა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებით, მათი პროფესიული დაოსტატებისა და სოციალიზაციის პრობლემებით.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა დაინტერესებულია აგრეთვე საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების ტენდენციათა შესწავლით, რადგან, სწორედ მათ კვალდაკვალ მიმდინარეობს სტუდენტთა პროფესიული მომზადება და მოქალაქეობრივი ფორმირება. რაკი უმაღლესი სკოლა საზოგადოების შეკვეთას ასრულებს, მისი განვითარების ძირეული საკითხების ცოდნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით აქტუალურია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისთვის თანამედროვე მეცნიერების და ახალი ტექნოლოგიების მოთხოვნების ცოდნა და მათზე დროული რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი სკოლა ჩამორჩება მეცნიერების განვითარებას და საერთოდ ცხოვრებას.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმზრდელობით მუშაობას, ანუ პიროვნების სოციალიზაციას. როგორც ცნობილია, სტუდენტური ასაკში ჯერ კდე არ არის დასრულებული პიროვნების ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ფორმირება. ამიტომ სწორედ ამ პერიოდს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰარმონიულად განვითარებული მოქალაქის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა შეისწავლის ამ ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის ახალგაზრდობის ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ მონაცემებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ამ სასწავლო კურსის სწავლების მნიშვნელობას ისიც ამყარებს, რომ ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების თეორიის დაუფლება და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-გათვალისწინება ისევე აუცილებელია ყველა საგნის პროფესორ-მასწავლებლისთვის, როგორც თავისი მაპროფილებელი საგნის ცოდნა ნებისმიერი რანგის სპეციალისტისთვის. ამიტომ უპრიანია უნივერსიტეტებმა პერიოდულად გადამზადონ თავიანთი აკადემიური პერსონალი და კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგების პროგრამებში წამყვან მიმართულებად აქციონ „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის“ სასწავლო კურსი. ამის საჭიროებას ისიც ზრდის, რომ ჩვენს უნივერსიტეტებში ასეულობით ისეთი ლექტორი მოღვაწეობს, ვისაც არასოდეს უსწავლია აღნიშნული სასწავლო კურსი.

ჩვენს საზოგადოებაში, და სამწუხაროდ აკადემიურ წრეებშიც, ხშირად ისმის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ საგანი იცი, მისი სწავლებაც კარგად შეგიძლია. ასეთი მიდგომა რბილად რომ ვთქვათ პრიმიტიულია და არაფერი საერთო არ აქვს მეცნიერულ აზროვნებასთან. საგნის ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იგი სხვასაც ასწავლო. განათლების ისტორიაში მრავალად იყვნენ ისეთი ლექტორები, რომელთაც დიდი მეცნიერული აღმოჩენებით არ გამოუჩენიათ თავი, მაგრამ სანიმუშო ორატორებად და ლექტორებად დარჩნენ მათივე აღსაზრდელების მეხსიერებაში და ცხოვრებაში, ისე როგორც, სახელოვანმა მეცნიერებმა, მიუხედავად მნიშვნელოვანი აღმოჩენებისა, პედაგოგიურ სარბიელზე დიდად ვერ ისახელეს თავი.

არა თუ მეცნიერულ განსჯას, არამედ ლოგიკასაც არ ექვემდებარება ისეთი მდგომარეობა, რომ მავანი ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას და არ ფლობდეს მეცნიერულ-პედაგოგიკურ ცოდნას. ამიტომ მათ, ვინც სრულყოფილად არ იცნობს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ მდგომარეობას, ჩვენ მიერ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა შეიძლება ღია კარის მტვრევადც მიიჩნიოს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა: ეს პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას უმაღლესი განათლების წინაშე და უარყოფითად აისახება სტუდენტთა სწავლების ხარისხზე. ამიტომ, უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი, ნებისმიერი საგნის ლექტორი, საკუთარ საგანთან ერთად, აუცილებლად უნდა ფლობდეს სწავლების თეორიას და მეთოდიკას, რაც ყველაზე სრულყოფილად გადმოცემულია „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში“. ამიტომ მისი დაუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ამ სფეროში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთათვის, ისე სტუდენტი-დოქტორანტებისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, სწავლების მეთოდები, სწავლა-სწავლება, მეთოდური რეკომენდაცია, განათლების მენეჯმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი 2016: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
2. ბასილაძე 2016: ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016.
3. High Level Group on the Modernisation of Higher Education 2014: Report to the European Commission on New modes of learning and teaching in higher education, More information on the European Union is available on the internet: <http://europa.eu>, European Union, 2014

Avtandil Asatiani

Associate Professor of Georgian Technical University

“Pedagogisation” of academic and administrative staff of universities

Abstract

In the conditions of growing competition between higher education institutions, it is necessary to improve the quality of teaching in universities, which means providing scientific support for the ongoing educational processes. This is what high school pedagogy is committed to. It is a part of the pedagogical science system; which studies the existing problems of education in the higher education system, the socialization of students and their preparation for professional activities; Explores ways and means of implementing effective management in higher education.

Doctoral programs in Georgia for some reason refused to teach "high school pedagogy" which has been replaced by "teaching methods". This approach can't handle the challenges of doctoral programs, as "teaching methods" itself is just a part of "high school pedagogy" and teaching it separately from the main course is unjustified, both logically and methodologically.

Keywords: High school pedagogy, teaching methods, teaching-learning, methodical recommendation, education management.

პედაგოგიკის და განათლების ისტორია

ნათელა მაღლაკელიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დედაენა და ქართული ანბანის სახელმძღვანელოები

სიტყვა „დედაენა“ ქართული ენაში „მშობლიური ენის“ სინონიმად მოიაზრება. როგორც ცნობილი ლინგვისტი პროფ. გურამ რამიშვილი აღნიშნავს, ტერმინი „დედაენა“, როგორც მშობლიური ენის სინონიმი, მსოფლიოში სულ რამდენიმე ენას მოეპოვება. მათ შორის არის ქართული ენაც. სხვა ენები მის ნაცვლად ხმარობენ ტერმინებს: „პირველი ენა“, „მშობლიური ენა“, „საბაზისო ენა“. თავად ამ ტერმინის ჩვენს ენაში არსებობა მიგვითითებს იმაზე, რა უზარმაზარ დატვირთვას ანიჭებს ქართველი მშობლიურ ენას: „დედაენა მთავარია იმ გაგებით, როგორც დედამიწა, დედაბოძი, დედაქალაქი“. ჩვენთვის ის მთავარი ენაა, „ენა, რომლითაც ქართველი ბავშვი ქართული სოციალური წევრი ხდება“. (გ. რამიშვილი, „დედაენის თეორია“, თბ. 2000, გვ. 70).

მშობლიური ენის სინონიმად მოიაზრებდა მას იაკობ გოგებაშვილიც, როცა წერდა: „დედა ენის ზედმიწევნით შესწავლა ისევე საჭიროა, როგორც ჰაერის სუნთქვა და საჭმლის ხმარება... სადაც კი ჭეშმარიტი განათლების ლამპარი დანთებულა, დედა-ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა ენა, სწავლება დედა ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე განვითარებისა და ცოდნის შეძენისა“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, გვ. 233). დიდმა პედაგოგმა ჩათვალა, რომ სწორედ ეს სახელწოდება მოუხდებოდა ქართველი ბავშვის პირველ წიგნს და სწორედ მისი საშუალებით შეაღებდა მოზარდი მშობლიური ენის სამყაროში კარს. წიგნის გამოსვლის შემდეგ სიტყვა „დედაენა“ ძირითადად ანბანის სახელმძღვანელოს სახელწოდებად მოიაზრება და თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა თითქოს დაკარგა. რა არის ამ სახელწოდების პოპულარობის მიზეზი? ის ხომ არაა, რომ იგი მშობლიურ ენასთან ასოცირდება? თუ ის, რომ იგი დიდი პედაგოგის სახელთან არის დაკავშირებული? ან იქნებ ორივე ეს ფაქტორია ერთად?

ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ შესახებ საზოგადოების დამოკიდებულება არასოდეს არ ყოფილა ერთგვაროვანი. ამ წიგნს ხშირად ჰქონდა დაკისრებული არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ინდიკატორის როლიც. ასეა ახლაც: ერთნი ტკივილით იხსენებენ იმ დროს, როცა ჩვენი ბავშვები ქართულ წერა-კითხვას ი. გოგებაშვილის „დედა ენით“ სწავლობდნენ, დაუყოვნებლივ ითხოვენ მის დაბრუნებას სკოლაში, აგროვებენ საამისოდ ხელმოწერებს. არც თუ იშვიათად მათ პოლიტიკოსებიც უერთდებიან და ამ წიგნს პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებენ, აპელირებენ მოსახლეობის პატრიოტულ განწყობაზე ისე, რომ თავადაც არ აქვთ გააზრებული, რომელი წიგნი უნდა დაბრუნდეს და როგორ.

მეორეთათვის კი ი. გოგებაშვილი მხოლოდ წარსულთან და დრომოჭმულთან ასოცირდება, მოითხოვენ მის დაუყოვნებლივ შეცვლას და ქართული წერა-კითხვის

სწავლებაში უახლესი (ევროპული, ამერიკული) „ტექნოლოგიების“ დანერგვას. ადრეც (და ახლაც) იყო ცდები ჩაენაცვლებინათ ეს წიგნი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სკოლა მაინც უბრუნდებოდა თავის კალაპოტს, ანუ იმ პრინციპებს, რომლებიც ქართული წერა-კითხვის სწავლების ისტორიაში ი. გოგებაშვილმა დაამკვიდრა.

საინტერესოა, განვითარების რა გზა განვლო დიდი პედაგოგის ამ საანბანო წიგნმა, როდის და როგორ გამოიყენებოდა იგი, როგორ იცვლებოდა ის თავად პედაგოგის სიცოცხლეშივე, როგორ გააგრძელეს მისი საქმე მისმა მიმდევრებმა და ქართული კლასიკური პედაგოგიკის დამცველებმა; რით არის ეს წიგნი ასე ძვირფასი და გამორჩეული ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის, რატომ ითხოვენ დაუყოვნებლივ მის დაბრუნებას დღეს, 21-ე საუკუნეში, რა მოთხოვნები და მოლოდინები აქვს ჩვენს სკოლას ამ კუთხით და როგორია დღევანდელი რეალობა.

ცნობილია, რომ ი. გოგებაშვილს „დედა ენამდე“ უკვე ჰქონდა დაწერილი ქართველი ბავშვებისათვის ანბანის სახელმძღვანელო („ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, 1865-1885 წ.წ. 1885 წლის შემდეგ კი იგი 1903 წლამდე გამოდიოდა შეცვლილი სახელწოდებით „კოკორი“). ანუ „დედა ენა“ არ არის ი. გოგებაშვილის ერთადერთი სახელმძღვანელო ქართული ანბანისა, უფრო მეტიც - „ქართული ანბანი“ „დედა ენის“ პარალელურადაც გამოიყენებოდა, მაგრამ ერმა შეითვისა და შეიყვარა მხოლოდ „დედა ენა“.

„დედა ენის“ პირველი გამოცემა 1876 წლით თარიღდება. ავტორის სიცოცხლეში „დედა ენა“ სულ 33-ჯერ გამოიცა. 1906 წლამდე (21-ე გამოცემამდე) იგი გამოდიოდა 2 წლის კურსით, ხოლო 1906 წელს იგი ავტორს გაუყვია ორ ნაწილად: 1. პირველი ნაწილი - „დედა ენა, პირველი ნაწილი პატარა მოთხორობებით და დედნით ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“ და 2. „დედა ენა, მეორე ნაწილი, საკითხავი წიგნი, ანბანის შემდეგ სკოლებში სახმარებელი“. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, წიგნის 2-ად გაყოფის მიზეზი ის ყოფილა, რომ პირველი ნაწილი ყველა სარწმუნოების ქართველთათვის მისაღები უნდა ყოფილიყო: „წინათ ანბანში ერია ელემენტი მართლმადიდებელის ეკლესიისა, რომელიც ძლიერ უშლიდა ხელს გამაჰმადიანებულს ქართველებსა, ქართველ ებრაელებს და თვით ქართველ კათოლიკეთაც, ეხმარათ ეს ანბანი. ოცდაპირველს გამოცემაში ეს ელემენტი გამოვტოვეთ და ამით შესაძლებელი გაგზადეთ ანბანის სწავლება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“ (ი. გოგ. დედა ენა, მეორე ნაწილი, წინასიტყვაობა, 1907 წ.).

„დედა ენამ“ პირველიდან 33-ე გამოცემამდე განვლო ცვლილებებისა და განახლების დიდი გზა: თანდათან იცვლებოდა საკითხავი მასალის ენა (უახლოვდებოდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს), საანალიზო სიტყვები (სიტყვები, რომელთა საშუალებითაც ბავშვი ახალ ასო-ბგერას სწავლობდა), საკითხავი და საწერი მასალა, გასაცნობ ასო-ბგერათა თანმიმდევრობა... მაგრამ არ იცვლებოდა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც მას გამორჩეულს ხდიდა ანბანის სახელმძღვანელოთა შორის. ესენია: 1. თავად სახელწოდება „დედა ენა“, 2. ხალხურობის იდეა (ხალხური ნაწარმოებებით, ანდაზებით, ენის გასატეხებით წიგნის გამდიდრება; საკითხავი მასალის ენა, რომელიც ხალხის ენასთან იყო ახლო), 3. ახალი ასო-ბგერების სწავლების ანალიზურ-სინთეზური (დადმავალ-აღმა-

ვალი) მეთოდი, 4. წინასწარი ვარჯიში, 5. საანალიზო სიტყვებისა და დასურათების პრინციპი, 6. ასო-ბგერათა თანმიმდევრობის პრინციპი (გენეტიურობის, გავრცელებულობის, სიმარტივე-სირთულის...), 7. საკითხავი მასალის შერჩევისა და დალაგების პრინციპი (საკითხავი მასალა უნდა ყოფილიყო ბავშვებისათვის გასაგები, საინტერესო და ამავე დროს ფასეულობით ღირებულებებზე ორიენტირებული; „ყოველი დიდი მწერალი ამავე დროს დიდი პედაგოგიცაა“), 8. თემატურობის პრინციპი (საკითხავი მასალა დაყოფილი იყო თემატურ-ბუდობრივი პრინციპის მიხედვით), 9. კითხვისა და წერის ერთდროული სწავლება, 10. თითო გაკვეთილზე თითო სირთულე, 11. კითხვა-წერის ხერხი, 12. უაზრო მარცვლების კითხვაზე უარის თქმა...

სწორედ ეს იყო ამ წიგნის პოპულარობის მიზეზი. მთავარი კი ის გახლდათ, რომ ი. გოგებაშვილი თავისი დროისათვის დიდი რეფორმატორი იყო, ფეხდაფეხ მისდევდა იმ სიახლეებს, რომელთაც ევროპული სკოლა სთავაზობდა თანამედროვეობას, ამავე დროს ითვალისწინებდა ქართული ენის თავისებურებებს, ჩვენი საზოგადოების ეროვნულ ფასეულობებებს და არ ახდენდა ინოვაციური მეთოდების ბრმა კოპირებას, რაც არც თუ იშვიათია დღეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაუქმდა ქართველი განამანთლებლების მიერ დიდი ძალისხმევითა და რუდუნებით შექმნილი ქართული დაწყებითი სკოლა. არადა ეს ის პერიოდია, როდესაც იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ უკვე წარმატებით აქვს ჩაბარებული გამოცდა, იგი უკვე აპრობორებულია და გამოცდილი, „დედა ენა“ ანბანის რიგითი სახელმძღვანელოდან გადაქცეულია ქვეყნის ეროვნულობის საფუძვლად. სწორედ ამის გამო საბჭოური ხელისუფლება ამ წიგნს დიდად აღარ სწყალობს. იგი ფაქტიურად აღარ გამოიცემოდა და ბუნებრივია, აღარც გამოიყენებოდა. როგორც ცნობილია (იხ. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1957), 1922-1926 წლამდე წერა-კითხვა ჩვენს სკოლებში ძირითადად სახელმძღვანელოს გარეშე ისწავლებოდა.

მასწავლებელს ევალებოდა თავად შეედგინა სასწავლო რესურსები - საანბანო წიგნაკი, პლაკატები, ალბომი და სხვ. ამავე წელს განათლების კომისარიატს გამოუშვია სახელმძღვანელო პლაკატები, რომელსაც თან ერთვოდა მითითებანი, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ ეს პლაკატები სწავლების პროცესში. როგორც ჩანს, სკოლას ძალზე გაუჭირდა „უარაფროდ“ სწავლება, ამიტომ განათლების სახალხო კომისარიატს 1925 წელს გამოუცია ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ შეცვლილი სახელწოდებით: „ქართული ანბანი“, რომელზედაც ავტორის მხოლოდ ინიციალებია მითითებული.

ამავე დროიდან (გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან) უცხოურის ბრმად მიბადვით სკოლაში მონდომებით ამკვიდრებენ ქართული ენისათვის შეუსაბამო და უსარგებლო მეთოდებს, მათ შორის „ამერიკულსაც“, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი უცხოურია, ამდენად ახალი და პროგრესული. არადა, ეს მეთოდი აბსოლუტურად შეუსაბამო და უცხოა ქართული ენისათვის. 20-იან წლებში ანბანის რამდენიმე სახელმძღვანელო შეიქმნა ამ მეთოდზე დაყრდნობით. ესენია: 1. 1926 წელს - ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „პირველი წიგნი“; 2. 1927 წელს - ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის „ახალი წიგნი“; 3. 1928 წელს - ტ. ზაალიშვილის „ვისწავლოთ“; 4. 1933 წელს - პ. ჭანიშვილის „შრომა და ცოდნა“... ვერც

ერთმა ამ სახელმძღვანელოთაგან ვერ შეძლო შეესრულებინა ის ფუნქცია, რაც ქართული ანბანის სახელმძღვანელოს ეკისრებოდა: ესწავლებინა მოსწავლისათვის გამართული კითხვა და წერა ენის ლინგვისტური თავისებურებებისა და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. სწორედ ამის გამო ქართულ სკოლას კვლავ მოუხდა ი. გოგებაშვილის პრინციპებთან დაბრუნება და მათი გათვალისწინება საანბანო წიგნების შედგენისას.

1943 წ. განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა კომისია, რომელმაც განიხილა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა აგების მეთოდოლოგიური რეკომენდაციები. კომისიის მიერ შემუშავებულ პრინციპებში ვკითხულობთ: „დედა ენის“ პირველი ნაწილი უნდა აიგოს ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპით, სახელდობრ, იგი უნდა შედგეს ანალიზურ-სინთეზური მეთოდის კითხვა-წერის ხერხით. სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს სასაუბრო სურათებს, სახაზავ-სახატავ ნიმუშებს, ანბანს საკითხავი სავარჯიშოებითა და წერის ნიმუშებს, მარტივ სურათებს საგნის სახელის დასაწერად, ანბანის შემდეგ საკითხავ მასალას“ (ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, 1953 წ. თბ. გვ.79). ამავე წელს გამოცხადდა ანბანის სახელმძღვანელოების კონკურსი, რომელშიც **1944 წელს გაიმარჯვა ე. ბოცვაძისა და ნ. ბურჯანაძის ანბანის სახელმძღვანელომ. წიგნს კომისიის დადგენილებით ეწოდა „დედა ენა“, რამდენადაც იგი სრულად მისდევდა და ითვალისწინებდა ი. გოგებაშვილის პრინციპებს, მაგრამ არამც და არამც არ წარმოადგენდა ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ ბრმა კოპირებას.** უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნის განხილვა (რასაც ჩვენ დღეს გრიფირებას ვუწოდებთ) იყო გამჭვირვალე პროცესი. მასში მონაწილეობდნენ ქართველოლოგიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური დარგის იმდროინდელი კორიფეები: ა. შანიძე, არნ. ჩიქოვაძე, გ. თავზიშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ვალ. რამიშვილი... ავტორებს ჰქონდათ მათთან შეხვედრისა და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების უფლება. წიგნი გადამუშავდა იმდროინდელი სასწავლო პროგრამის მიხედვით, მასში შევიდა არსებითი ცვლილებები. ეს შეეხებოდა როგორც საკითხავ მასალას, ისე ასოთა თანმიმდევრობას, საანალიზო სიტყვებს, საწერ მასალას, დასურათებას.... ეს ბუნებრივად გახლდათ, რამდენადაც ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის შემდეგ 30-ზე მეტმა წელმა განვლო და ქართული საბჭოთა სკოლა სრულიად ახალი მოთხოვნების წინაშე იდგა. ავტორ-შემდგენელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მოახერხეს ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობის ადაპტირება თანამედროვეობასთან და ამ წიგნს ახალი სიცოცხლე აჩუქეს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ვერც ეს წიგნი გაექცა კომუნისტურ შტამს (და ეს ბუნებრივად იყო იმ დროს): აქ შეხვედებით “მშრომელთა ბელადების” სურათებს, კომუნისტური იდეოლოგიით გაჟღენთილ საკითხავ მასალას (“კოლმეურნეობა”, “პირველი მაისი”, “შვიდი ნოემბერი”, “25 თებერვალი”...). მიუხედავად ამისა, ამ წიგნმა უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული ცნობიერებით ბავშვების აღზრდაში, ასევე ი. გოგებაშვილის მეთოდოლოგიის გადარჩენაში.

მარტივი არ ყოფილა ამ წიგნის გზა. ავტორებს კიდევ ერთხელ მოუწიათ კომისიის წინაშე წარდგომა 1957 წელს, როდესაც ი. გოგებაშვილის იდეებსა და პრინციპებს საფრთხე დაემუქრა ახალი საანბანო წიგნის შემოჭრისას. მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგების: ზ. ხოჯავასა და ი. მოსიავას - საანბანო წიგნის პროექტი. წიგნი ი. გოგებაშვილის მეთოდების რევიზიას ახდენდა. მაშინ ერთად დაირაზმა მთელი ქართული საზოგადოება, ჩვენი

მეცნიერები და ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის წიგნი “გადარჩა”. გადარჩა, რადგანაც ის ი. გოგებაშვილის მეთოდებზე დაყრდნობით ემსახურებოდა განახლებულ ქართულ სკოლას. აღსანიშნავია, რომ ჩვენს უფროს თაობას ამ წიგნით აქვს ნასწავლი ქართული წერა-კითხვა და დღემდე ღრმად სჯერა, რომ ეს ი. გოგებაშვილის “დედა ენა” გახლდათ.

ეს წიგნი ქართულ სკოლას წარმატებით ემსახურა 1980 წლამდე. 1969 წელს საქართველოში დაიწყო ექსპერიმენტი 6-წლიანი ბავშვების სასკოლო განათლების პროცესში ჩართვისა. სასკოლო ასაკად განისაზღვრა არა 7 (როგორც ეს ადრე იყო), არამედ 6 წელი. ეს ექსპერიმენტი გაგრძელდა 1980 წლამდე, 1980 წელს კი საკავშირო მასშტაბით დაინერგა 6-წლიანთა სწავლება. ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა ექვსწლიანთათვის ანბანის სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი (როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილის, ასევე ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის “დედა ენებიც” 7-8 წლის მოსწავლეთათვის გახლდათ შედგენილი). ეს მისია ითავა ქართული ენის მეთოდის ცნობილმა სპეციალისტმა პროფ. ვალ. რამიშვილმა. 1969 წელს დაიბეჭდა მისი “დედაენა” (და არა “დედა ენა”, როგორც ეს მის წინამორბედებს ჰქონდათ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ეს სიტყვა, როგორც ერთცნობიანი კომპოზიტი, იწერება ერთად).

ბუნებრივია, რომ მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე წიგნში მრავალი ცვლილება შევიდა როგორც საკითხავ და საწერ მასალაში, ისე – წერა-კითხვის პერიოდიზაციაში. გაიზარდა წინასაანბნო პერიოდი, შეიცვალა და რამდენადმე გამართივდა საკითხავი მასალა, იგი მოვიდა სასწავლო პროგრამის მოთხოვნებთან შესატყვისობაში, შეიცვალა საანალიზო სიტყვები, ასო-ბგერათა თანმიმდევრობა, მაგრამ ბოლომდე დაცული იყო ის პრინციპები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომლებიც ი. გოგებაშვილმა დაამკვიდრა ქართულ საგანმანათლებლო რეალობაში. ვალ. რამიშვილი ი. გოგებაშვილის მეთოდის აქტიური დამცველი გახლდათ და ახალგაზრდა მეცნიერთა მთელი თაობა გაზარდა ამ სულით. იგი 1989 წელს გარდაიცვალა. მისი წიგნი მისი გარდაცვალების შემდეგაც წარმატებით ემსახურებოდა ქართულ სკოლას. მოგვიანებით გამომცემლობა “განათლების” დაკვეთით ამ წიგნის განახლებისა და თანამედროვე სასკოლო პროგრამასთან შესატყვისობაში მოყვანის პატივი (როგორც პროფ. ვ. რამიშვილის მოსწავლეს) ერგო ამ სტრიქონების ავტორს. ეს განახლებული გამოცემა სკოლას ემსახურებოდა 2000-2005 წლებში, სასკოლო განათლების რეფორმამდე.

ამგვარად, 1912 წლის შემდეგ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო ფაქტიურად აღარ გამოცემულა (თუ არ ჩავთვლით ცალკეულ წლებს, როდესაც იგი სპონტანურად შეცვლილი სახელწოდებით ავტორის ინიციალებით გამოდიოდა ხოლმე), 1944 წლიდან იგი ჩაანაცვლა ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის მიერ შედგენილმა “დედა ენამ”, ხოლო 1969 წლიდან 2005 წლამდე ვალ. რამიშვილის მიერ შედგენილმა “დედაენამ”. 1998 წლიდან ამ წიგნის პარალელურად იბეჭდებოდა ვახტანგ როდონაიასა და ავტორთა ჯგუფის ანბანის სახელმძღვანელოც, სახელწოდებით “დედაენა”. წიგნს ი. გოგებაშვილის მეთოდებთან არაფერი აკავშირებს, გარდა სახელწოდებისა, და ამას არც მისი ავტორები უარყოფენ.

ასე რომ, როცა ი. გოგებაშვილის “დედა ენის” დაბრუნებაზეა საუბარი, ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ 2006 წლიდან დაიწყო სასკოლო განათლების რეფორმა, რომელმაც არსებითად შეცვალა სასწავლო პროცესი, დაინერგა ეროვნული სასწავლო გეგმა, ახლებური საგნობრივი

სტანდარტები; სწავლა/სწავლების პროცესის მიმართ გაჩნდა ახალბურთი მიდგომები, შეიცვალა შეფასების სისტემა, დავალებათა ტიპები, რომელიც მოსწავლეზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული. წინა პლანზე წამოიწია არა ცოდნის დაგროვებამ (როგორც ეს ადრე იყო), არამედ მოსწავლეთა შეიარაღებამ სათანადო უნარ-ჩვევებით... „დედენის“ სახელმძღვანელოებიც, ბუნებრივია, მათთან მოვიდა შესატყვისობაში.

2017 წელს საქართველოს კულტურის სამინისტრომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით მოსთხოვა ანბანის სახელმძღვანელოთა ავტორებს, წარედგინათ თავიანთი წიგნები კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი ექსპერტებისათვის, რომელთაც უნდა დაერთოთ ნება მათთვის სახელწოდება „დედა ენის“ გამოყენებისა (როგორც ი. გოგებაშვილის საავტორო კუთვნილებისა). გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ექსპერტიზა თავიდანვე აცდენილი იყო სიზუსტეს, რადგანაც ტერმინი „დედა ენა“ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) ი. გოგებაშვილამდეც არსებობდა ქართული ენის ლექსიკაში მშობლიური ენის სინონიმად. ერთგვარი უაზრობაა აუკრძალო ვინმეს ამ ტერმინის გამოყენება, მით უმეტეს, რომ იგი ი. გოგებაშვილის არ მოუგონებია. ეს იგივეა, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს წავართვათ უფლება, დააწერონ თავიანთი წიგნი „მშობლიური ენა“, „ქართული ენა“, რადგან მანამდე იგი სხვა ავტორებსაც ჰქონდათ გამოყენებული. ამასთანავე ამ ე. წ. ექსპერტთა ნაწილი საერთოდ არ გახლავთ ამ დარგის სპეციალისტი და არასოდეს ჰქონია შეხება მეთოდოლოგიურ მეცნიერებასთან და სასკოლო სახელმძღვანელოებთან, არ იცნობს თანამედროვე სკოლას, ეროვნულ სასწავლო გეგმას. ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ ამ ექსპერტებმა ამ სახელწოდების გამოყენებაზე უარი უთხრეს ყველა ავტორს, გარდა ერთისა: ეს გახლავთ მამა ზურაბ გიორგაძის გადამუშავებული „დედა ენა“, რომელიც ი. გოგებაშვილის სახელს ატარებს. მამა ზურაბი კი, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, არ გახლავთ სასკოლო განათლების სპეციალისტი. ამდენად, არც წიგნი მისდევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ამიტომაც არის, რომ ეს წიგნი ძირითადად დამხმარე სახელმძღვანელოს როლს ასრულებს.

საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობასთან ერთად დღეს გაქრობის გზაზეა შესანიშნავი ლექსიკური ერთეული „დედა ენა“. დღეს იგი ბევრს მხოლოდ საანბანო წიგნის სახელწოდება ჰგონია. ამ წიგნისა და ტერმინის გაქრობასთან ერთად კი ქართულ სკოლაში ქრება ის ეროვნული სული, რომელსაც საფუძველი ჩვენმა დიდმა განმანათლებლებმა ჩაუყარეს. ისევ დიდ პედაგოგს დავესესხები: „დედა ენა, როგორც ბუნებითი იარაღი გონებისა, მტკიცედ შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორცთან, უკეთესი ღონისძიებაა ნორმალური გონებითი და ზნეობრივი აღზრდისათვის“. ალბათ სპეციალისტები (და პირველ რიგში კი ჩვენი განათლების აკადემიის წევრები, რომელთაც სწორედამ რომ დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ ამ კუთხით) უნდა ჩაერთონ ტერმინ „დედა ენის“ გადარჩენის საქმეში, სწორედ მათგან უნდა მოისმინოს საზოგადოებამ კომპეტენტური დასკვნები ი. გოგებაშვილის მეთოდოლოგიური მემკვიდრეობის ადაპტირებისა და გამოყენების შესახებ; სწორედ განათლების დარგის სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი წიგნია ღირსი ატაროს ეს სახელწოდება.

საკვანძო სიტყვები: ტერმინი „დედა ენა“, მშობლიური ენა, წიგნის სახელწოდება, ანბანის სახელმძღვანელო, წერა-კითხვის სწავლების მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოცვაძე 1944: ნ. ბოცვაძე, ე. ბურჯანაძე, „დედა ენა“, სახელგამის პედაგოგის სექტორის გამომცემლობა, თბილისი.
2. გოგებაშვილი 1907: ი. გოგებაშვილი, დედა ენა, მეორე ნაწილი, თბილისი.
3. გოგებაშვილი 1940: ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბილისი.
4. რამიშვილი 2000: გ. რამიშვილი, „დედაენის თეორია“, თბილისი.
5. რამიშვილი 1970: ვ. რამიშვილი, „დედაენა“, „განათლება“, თბილისი.
6. ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია 1957: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.

Natela Maglakelidze, Doctor of Education,
Ilia State University

Mother Tongue and Georgian Alphabetic Books

Abstract

In the article is discussed the history of the alphabetical books from I. Gogebashvili's "Mother Tongue" to the present days. The focus is on the creative use of the great teacher's legacy in textbooks. As for title of the modern alphabet books "Mother Tongue", it is primarily accented on teaching Georgian literacy (and teaching in general) on the native language. If we prohibit authors from using this name, the national spirit, which was founded by our great educators, disappears in the Georgian school.

Key words: term "Mother Tongue", native language, the title of the book, alphabetical manual, methods of teaching literacy.

აკაკი ზოიძე,

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის
აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი.

„დაილოცოს „დედა ენის“ შემოქმედი

1840 წლის 27 ოქტომბერს ქართლის თვალწარმტაცმა სოფელმა ვარიანმა საქართველოს სულმნათი იაკობ გოგებაშვილი აჩუქა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დრომ ფერი ვერ უცვალა მის შემოქმედებით საუნჯეს, მის მოძღვრებას. პირიქით, მზესავით კიდევ უფრო მეტ ელვარებას ჰფენს, მარადიული სიცოცხლისა და მიმზიდველობის ძალას ანიჭებს.

„მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. იაკობმა ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსულ მტერს.“ - ასე მაღალ შეფასებას აძლევდა დიდი აკაკი იაკობის დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე.

მართლაც იაკობი სხვა შარავანდედით მოსილი სახელია. ისტორიამ მას დააკისრა დედაენაზე სწავლა-აღზრდის ახალი სისტემისა და უბადლო სახელმძღვანელოების შექმნა, სახალხო სკოლის მშენებლობა, ერის განათლების, ახალი სალიტერატურო ქართულის გავრცელებისა და ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ზედის მართვა.

გორი, თბილისი, კიევი - ეს იყო ვარიანელი ჭაბუკის განათლების აღმავალი საფეხურები. ხოლო 1863 წელი - სამასწავლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ხანგრძლივი, ძნელად სავალი და უაღრესად ნაყოფიერი გზის დასაწყისი.

„ხალხის შვილი, შუა ქართლში დაბადებული და ხალხის კალათაში აღზრდილი“ იაკობი სამოღვაწეო ასპარეზზე ღრმად გააზრებული, ნათელი პროგრამით გამოვიდა. სამშობლოს სამსახური უმაღლესი და უწმინდესი იდეალი იყო მისთვის. 1873 წელს მან ცეცხლს მისცა სემინარიის ატესტატი, აკადემიის მოწმობა და სხვა საბუთები, რომ სახელმწიფო სამსახურში აღარ შესულიყო. მთელი სიცოცხლე, ძალა და ენერგია ქვეყნის ნათელი მერმისისათვის მოეხმარებინა: „ყველაფერი ხალხმა მომცა, ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო“- ი ტყოდა ხოლმე.

დიდი პედაგოგი და განმანათლებელი საქართველოს აღორძინების, მისი ბედნიერების ძირითად საყრდენად ხალხის განათლებას, მომავალი თაობის ზნეობრივ სრულქმნას მიიჩნევდა. აღზრდის ძირითად მიზნად კი მას ყოველმხრივ განათლებული, „ჰარმონიულად განვითარებული“ ახალი ტიპის ქართველის აღზრდა-ფორმირება მიაჩნდა. მანვე მოგვცა პატრიოტიზმის კლასიკური ფორმულირება. ჩვენ ხელთ უნდა ავითაცოთ და

სამოქმედო პროგრამად დავისახოთ დიდი მამულიშვილის დებულება: „პატრიოტი ჰქვია მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება. ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარია მამულის ზრუნვისათვის. ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე.“

როგორ ძალუმად ეხმაურება დღევანდელობას შეგონება იმის შესახებ, რომ ქართველ ხალხს დასავლეთიდან მიეღო განათლება და გადმოეტანა საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილება. თუმცა აუცილებლად მიაჩნდა: „წარსულიდგან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებებში ავირჩიოთ სათესად წმინდა გონების, ზნეობის და ეკონომიური სფეროებითგან.“

დედაენის მესაძირკვლემ, დიდმა იაკობმა ყოველმხრივ დაასაბუთა მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობა ერის სიცოცხლის, მისი ცივილიზაციისთვის და თავისი ქმნილებებით რეალური შესაძლებლობები შექმნა ამ იდეის ხორცშესხმისათვის.

ერის განმნათლებელმა 24 წლის ასაკში შეადგინა დედაენის ახალი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, რომელიც 1865 წელს გამოვიდა. ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმე იყო. პროფესორ ვალერიან რამიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ წერა-კითხვისა და საერთოდ ქართული ენის სწავლება ამ წიგნის მიხედვით დაეფუძნა დიდაქტიკის პრინციპებს, რაც იმ დოისათვის დიდი ნოვატორობა იყო და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრიდა.

1868 წელს ერის განმნათლებელი სცემს ენციკლოპედიურ სახელმძღვანელოს „ბუნების კარი“, რომელმაც განუსაზღვრელი როლი შეასრულა მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში, ეროვნული თვითშეგნების გამომუშავებაში, მშობლიური ენის გავრცელებაში, ერის განათლებასა და კონსოლიდაციაში.

1876 ი. გოგებაშვილმა გამოსცა თავისი უკვდავი ქმნილება, ანბანის სახელმძღვანელოების შედევრი „დედა ენა“. ქართულმა გულმა და სულმა, მშობლიური ხალხისა და ბავშვების თავდავიწყებულმა სიყვარულმა, ფართო განათლებამ და პედაგოგიურმა გულმოდგინებამ, ქართული ენის ბუნების საიდუმლოების და ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნამ, ზემოდადლებულმა საოცარმა მხატვრულმა ნიჭმა და ეროდიციამ მისცა საშუალება პროგრესულ იდეებზე შეექმნა ხელიხელსაგოგმანებელი ანბანის ბრწყინვალე სახელმძღვანელო „დედა ენა“, რომელიც დღესაც ჩაუქრობელ ჩირაღდნად ანთია და ნორჩების სულიერი ფორმირების დაუშრეტელ წყაროდ მოედინება. გაზაფხულის ლურჯ-თვალა იით დაიწყო სულმნათმა მოძღვარმა ბავშვთა აღზრდა, რომ ზრდადამთავრებულებს მხოლოდ ია-ვარდი ეთესათ ცხოვრების გზაზე. „დედა ენაში“ უდიდესი ოსტატობით, გასაოცარი ცოდნითა და სიბრძნით არის განხორციელებული პედაგოგიურ-მეთოდური და დიდაქტიკური პრინციპები.

როცა „დედა ენას“ უკვირდები გაოცებული რჩები რა მშვენივრად ჩაუქსოვია უცნობი მასალა ნაცნობში, როგორ მოხერხებულად და თავისუფლად ითვისებს მოსწავლე ნაცნობიდან უცნობს, მარტივიდან რთულს და კერძოდან ზოგადს. ეს წიგნი ანათებს ყმაწვილის გონებას და უღვიძებს სწავლის წყურვილს, შეჰყავს იგი მშობლიური ენის დიდ სამყაროში, აზიარებს მის სიკეთეს, სილამაზეს და ხატოვანებას, ასწავლის ბუნების გრძელ ენას.

„დედა ენა“ არამარტო წერა-კითხვის სწორუპოვარი სახელმძღვანელოა, არამედ ჩვენი ხალხური შემოქმედების და კლასიკური საბავშვო მწერლობის მარგალიტების

საუნჯე. სახელოვანი მამულიშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების სათანადო ნიმუშებს თვითონვე აგროვებდა და ხალხსვე უბრუნებდა. იგი თავისი ფართო განსწავლულობით და სიბრძნით ხვეწდა, აშალაშინებდა, ამუშავებდა და სრულყოფდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს და ისე შეჰქონდა თავის „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ვარდნაბამ ფურც-ლებზე. ნათქვამის ნათელსაყოფად შემდეგი ნიმუშებიც იკმარებდა; ხალხურ პოეზიაში ლექსი „ბიჭო ვისი ხარ მალხაზი“ მთავრდება ასეთი სტრიქონებით: „...მოგიხდი წითელ ღვინოსა, მეც მოგიჯდები გვერდსაო, დავლევ და დაგაღვინებ პატარა აზარფემსაო.“ იაკობ გოგებაშვილის რედაქცია კი ასეთია: „გადგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიჯდები გვერდსაო, გასწავლი წერა-კითხვასა არაკებს გეტყვი ბევრსაო, გიმღერ და სენცა გამღერებ ლექსებს გასწავლი ბევრსაო.“ ან კიდევ ყრმათა სამყაროში ოქროს ხმიან სიმებად ამღერებული ლექსი დიდი პედაგოგის „დედა ენიდან“ – „ყაყაჩოსა სიწითლითა, ყანა დაუმშვენებია, ყმაწვილსა კარგი სწავლითა, დედა გაუხარებია,“ - ხალხურში ასეა წარმოდგენილი: „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია, წითელ ნუნუსას ვაჟკაცის გული გაუხარებია.“

ბავშვების გულის მესაიდუმლე ხელოვანი პედაგოგი არამარტო თვით ამოწმებდა და ალამაზებდა „დედა ენაში“ შესატან ყოველ სიტყვასა და გამოთქმას, არამედ სხვებსაც იშველიებდა. ვთხოვე აკაკის ჩაეცმია მისთვის თავისებური პოეტური ტანისამოსი, მანაც დაუზარებლად ამისრულა თხოვნა. ზოგი ძლიერ შეცვალა, ზოგი უფრო ნაკლებად, - აღნიშნავდა იაკობი.

საბავშვო მწერლობის ფუძემდებელს კარგად ესმოდა რომ

მარტო ხალხური პოეზია არ იყო საკმარისი დედაენის დაუფლებისათვის, ამიტომ მან პირველმა შეიტანა სახელმძღვანელოებში როგორც სხვისი, ისე საკუთარი პროზისა და პოეზიის ნიმუშები. „ეს ჯადო წიგნი, წიგნი კი არა ენციკლოპედია შედგენილია ნაირგვარი მასალით, - წერს მწერალი, აკადემიკოსი, დემნა შენგელაია, - ყოველი ფურცელი გამთბარია შემოქმედების ცოცხალი სუნთქვით და ისე მჭიდროდაა შეკრული, რომ მონოლითულ მთლიანობას წარმოადგენს. დიდი საბა, აკაკი, უშინსკი, ლ. ტოლსტოი და განუმეროებელი ქართული ზეპირსიტყვიერება, ისე ლოგიკურად განაგრძობენ ერთი მეორეს, ისე ხმატკბილად აჟღერებულან, რომ ერთი საკვირველი სიმფონია იქმნება“.

სწორედ ამის გამო შეითვისა და შეიყვარა ქართველმა ხალხმა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ისინი გასცილდა სკოლის ფარგლებს და საერთო სახალხო საკითხავ წიგნებად, ხელიხელსაგომანებელ მარგალიტად იქცა. ქართველმა ხალხმა „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ უფრო პოპულარული მეორე წიგნი არ იცოდა.. მაღლიერმა ქართველმა ხალხმა ერის უჭკნობ საუნჯეს „დედა ენას“ ძეგლი დაუდგა.

„დედა ენის“ ყოველ ახალ გამოცემას განუსაზღვრელი სიხარული შეჰქონდა არამარტო საქართველოში მცხოვრები ყოველი ქართველის ოჯახში, არამედ საქართველოს გარეთ მყოფ ჩვენ თანამემამულეთა შორისაც. დიდი პედაგოგი ანგარიშს უწევდა ქართველ მაჰმადიან მოსწავლეთა თავისებურებებს. როცა „დედა ენას“ ადგენდა მუსლიმანი მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები შეჰქონდა მასში. იგი წერდა: ბარე ცხრა გამოცემა დაიბეჭდა და გაიყიდა პატარა „დედა ენისა“ არცერთში აღარ ყოფილა არც ჯვარი, არც ეკლესია, არც სხვა კუთვნილება ჩვენ სარწმუნოებისა... ჩვენ ამაზე მეტიც ჩავიდინეთ ამავე მიზნით, განაგრძობს საუბარს იაკობი, თვით ჩვენის ზოგის პოეტის ლექსში

ქრისტიანული ტერმინები შევცვალეთ საერთო ათეისტურ ტერმინებზე. მაგალითად, რაფიელ ერისთავი ლექსს „გუთანი“ ასე იწყებს: „გუთანო, ქრისტეს ნაკურთხო“. ჩვენ ასე შევცვალეთ: „გუთანო, უფლის ნაკურთხო“, რადგანაც სიტყვა უფალი საერთო სათაყვენ-ბელია ყველა სარწმუნოებისათვის. ამ სახით შეცვლილი „დედა ენა“ ცალკე გამოსცა წერა-კითხვის საზოგადოებამ რიცხვით 6000 და ნაწილი გაიგზავნა ფერეიდანში. სხვა ეგზემპლარები დანიშნულია გამაჰმადიანებელი ქართველებისათვის“.

ამიტომაც იყო, რომ უძვირფასეს განძს „დედა ენას“ აღტაცებით კითხულობდნენ, სტამბულსა და მცირე აზიაში მცხოვრები ქართველები. მათთვის სპეციალურად იბეჭ-დებოდა და იგზავნებოდა ძვირფასი საუნჯე „დედა ენა“, რომელიც ენის სიყვარულთან ერთად მშობლიური მიწის სურნელებით ასაზრდოებდა უცხოეთში მყოფ ქართველებს და ეხმარებოდა შეენარჩუნებინათ „დედა ენა“ და ქართული ადათ-წესები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გენიოსი პედაგოგის მშობლიური ზრუნვა, შეუწელებ-ბელი ყურადღება და სათუთი დამოკიდებულება აჭარისადმი. 1878 წელს, როცა აჭარა დედა სამშობლოს დაუბრუნდა ქართველ საზოგადო მოღვაწეების მხარდამხარ იაკობმა მშობლიური რუდუნებით დაიწყო ბრძოლა აჭარაში სახალხო სკოლების გახსნისა და დედაენაზე სწავლების დამკვიდრებისათვის. ის რამოდენიმეჯერ თავად ეწვია ბათუმს, რომ ახლოს გაცნობოდა დიდი ილიას თაოსნობით აქ გახსნილი პირველი ქართული სკოლის საქმიანობას და სათანადო დახმარება აღმოეჩინა მისთვის. მოძღვარს კარგად ესმოდა ისტორიის მნიშვნელობა ეროვნული შეგნებისა და პატრიოტული გრძნობების გაღვივებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „ბუნების კარში“ ვრცლად წარმოდ-გენილი აჭარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული მიმოხილვა.

„ბუნების კარი“ მკითხველს აცნობს სამხრეთ საქართველოში ოსმალების შემოსევას და მესხთა (იაკობი აჭარას განიხილავს როგორც მესხეთის ნაწილს) თავგანწირულ ბრძოლას დამცრობთა წინააღმდეგ.

დიდი მამულიშვილი გასაკუთრებული სითბოთითა და სიყვარულით საუბრობს აჭარაზე. მთელი აჭარა - ამბობს იგი - მხოლოდ ქართველებით არის დასახლებული. ბინადარი ცხოვრება იქ არა უცხო ტომს არა აქვს. მხოლოდ აქ იქ ვხედავთ სომეხსა და ბერძენ მედუქნეებს“.

სულმნათი იაკობი სიამაყით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „მძიმე განსაცდელისა და ვარამის მიუხედავად აჭარლებმა მაინც შეინარჩუნეს ქართული ეროვნული თვითმო-ფადობა, ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდე დარჩნენ ქართველე-ბად...“

დიდი ერისკაცის თავდადებულ მზრუნველობას, ამაგსა და საქმიან წინადადებებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ისტორიული კუთხის აყვავება-აღორძინებაში.

იაკობ გოგებაშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებელს. პედაგოგი მას ერის დედაბოძად მიაჩნდა „თუ სკოლის საქმე მაღალ დონეზე დადგება, მომზადებული მასწავლებლები გვეყოლება, - წერდა იაკობი - პოტენციურად ჩვენი მომავალი თაობა ნიჭიერებით და უნარით გამოირჩევა და თავს გამოიჩენს“.

ამიტომაც მუხლჩაუხრელად იღვწოდა „დედა ენის“ შემოქმედი ქართული სკოლის მშენებლობისთვის. მის სამსახურს მოახმარა მან მთელი თავისი ცოდნა-განათლება, ძალა, ენერგია და საოცრად რაინდული შემართება.

მე-19 საუკუნის საქართველო, რომელმაც შეძლო თავისი ეროვნული თავისთავადობის, თავისი ეროვნული ფასეულობების ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირობებში შენარჩუნება - ეს უპირველეს ყოვლისა ქართული სკოლის დამსახურებაა, რამეთუ იგი დედაენის ბალავარს ეყრდნობოდა.

აი, რისთვის და ვისთვის იყო საჭირო „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და საბავშვო მწერლობა, რომლის ფუძემდებელი სულმნათი იაკობი გახლდათ. მან საბავშვო ლიტერატურის ეროვნული სკოლა შექმნა. მის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი საბავშვო ნაწარმოები და პუბლიცისტური წერილი, რომელიც მაღალი ზნეობით და ფორმით მიაწოდა მკითხველს - მოზარდსა და მოზრდილს.

თანამედროვე პირობებში, როცა ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიები, ინოვაციები, სწავლება-სწავლის აქტიური და ინტერაქტიური მეთოდები ინერგება სკოლაში, საჭირო და აუცილებელია ყოველივე ეს ტრადიციულს, ეროვნულს დაეყრდნოს და მასზე დაყრდნობით შემოქმედებითად იქნას გამოყენებული. ამიტომ სჭირდება დახმარება მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.

ვის მოვუხმობ?

იაკობ გოგებაშვილი: „ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბ ცოდნას და შევუდგეთ შეძენას ნამდვილის, ჭეშმარიტი ცოდნისა. სწავლებას, რომ იგი პედაგოგიური და განმავითერბელი იყოს - ყოველ სიტყვაზე თან ახლდეს სრული გაგება. სწავლების ამ სრულ შეგნებულობაზეა დამოკიდებული მოსწავლის ყურადღების სიძლიერისა და სიმტკიცის აღზრდა. მხოლოდ გაძლიერებული ყურადღების საშუალებით წვდება ჩვენი გონება საგანთა შინაგან მხარეებს“.

დიდი განმანათლებელი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლების პროცესში ინტერესის, აზროვნების, აღქმის, მეხსიერების, წარმოსახვისა და სხვა ფსიქიკური თვისებების განვითარებას. განსაკუთრებით ყურადსაღებია დიდი პედაგოგის შეგონება ინტერესის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. იაკობის აზრით, განწყობა, ინტერესი უპირველესი პირობაა იმისათვის, რომ გააქტიურო ბავშვის შემეცნებითი ძალები. ინტერესის გამომწვევ საშუალებად იაკობი თვლის თვალსაჩინოების, რესურსების სხვადასხვა სახეს, მასწავლებლის ცოცხალ სიტყვას, პედაგოგის მიერ დასმულ პრობლემურ კითხვებს, პრობლემურ სიტუაციას, რაც აზრის აქტივობას, დაფიქსირებას, მსჯელობას, ადრე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ამოძრავებას მოითხოვს.

და ისევ აღმრზდელ-მასწავლებელთათვის მიმართული სიტყვები: დღევანდელ გაკვეთილზე აღქმული მასალა უნდა განმეორდეს მომდევნო გაკვეთილებზე სხვადასხვა კომბინაციებში. ამის გარეშე შეუძლებელია მოსწავლის მეხსიერებაში ათვისებული მასალის მტკიცედ დანერგვა.

გენიოსი პედაგოგის ეს გენიალური პედაგოგიური ფორმულა დღეს სრულად ახალ შინაარსს და მნიშვნელობას იძენს. რამეთუ აღქმული მასალის „სხვადასხვა კომბინაციებში“ განმეორება უზრუნველყოფს არამართო შესწავლილის მტკიცედ დამახსოვრებას, არამედ შეძენილი ცოდნის სხვადასხვა პირობებში უნარიანად გამოყენებას, ეს კი მეტად

მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა ფართო გზა მივცეთ საბაზრო ურთიერთობებსა და სწრაფცვალებად სამყაროში საქმიანობისთვის ესოდენ აუცილებელ, ახლებურ, კრიტიკულ აზროვნებას, კულტურული მოპაექრე, მოკამათე, ღრმად და დამოუკიდებლად მოფიქრალ-მოაზროვნე, გონებრივად განსწავლული და ზნეობრივად სრულქმნილი პიროვნებების აღზრდა-ფორმირებისადმი შემოქმედებით მიდგომას.

ერის განმანათლებელმა თავისი პედაგოგიური იდეებით და შეხედულებებით, ბრძნული ნაფიქრ-ნააზრებით და შეგონებებით თანამედროვეობაში შემოაბიჯა. ის დღესაც ჩვენთან არის, კვლავაც გვირჩევს, გვარიგებს, გვასწავლის, გვმოდვრავს, განათლების დარგის შემდგომი სრულყოფისა

და ეროვნული სკოლის მშენებლობის ძნელად სავალ გზაზე საგზლად ბევრჯერ გამოგვადგება მისი ძვირფასი ეროვნული სულისკვთებით, დემოკრატიზმითა და ხალხურობის იდეით გაჟღენთილი მეკვიდრეობა, რომელიც ეროვნული სკოლის ბურჯი, ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებისა და ქვეყნის ნათელი მერმისის საფუძველთა საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ბასილაძე 2013: ბასილაძე ნ. ქართული პედაგოგიკის ისტორია, ბათუმი.
2. გობრონიძე 2000: გობრონიძე ა. იაკობ გოგებაშვილი და აჭარა, ბათუმი.
- 3.გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი. რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. მეორე, თბილისი.
- 4.გოგებაშვილი 1960: გოგებაშვილი ი. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დაბადების 120 წლისთავისადმი, თბილისი.
- 5.ზოიძე 2015: ზოიძე ა. დიდი პედაგოგი, შემოქმედი და განმანათლებელი (იაკობ გოგებაშვილი - 175), გაზ. „აჭარა“, 2015 წლის 21-25 ოქტომბერი, ბათუმი.
- 6.იაკობის სამრეკლო 1990: თბილისი.
- 7.ლორთქიფანიძე 1955: ლორთქიფანიძე დ. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, თბილისი.
- 8.ვასაძე 2004: პედაგოგიკის ისტორია, პროფ. ნ. ვასაძის რედაქციით, თბილისი.
9. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწ. ხუთ ტომად, ტ.მეხუთე, თბილისი.

Akaki Zoidze
Chairperson of the Ajarian Regional Organization of
Iakob Gogebashvili Teachers' Union of Georgia, Professor

"Bless the creator of" Mother Language "

Abstract

Iakob is a candle covered with a halo of glory. History entrusted him to create a new system of teaching and upbringing in his native language and create textbooks that have no analogs, build a public school, manage the fate of the nation's education, spread the new literary Georgian and the development of national children's writing.

How relevant is his instruction even today that the Georgian people should receive education from the West and brought from there the best social order to our country.

The great Iakob, the founder of his native language, comprehensively substantiated the importance of teaching in the native language, and with his immortal creations, he created real opportunities for the embodiment of this idea.

The enlightener of the nation with his pedagogical ideas entered our modern times too. He is with us even today. He still advises, instructs, teaches, and preaches us.

Keywords: Decent patriot, enlightener of the nation, genius teacher, "mother tongue", "door of nature", ("Bunebis Kari") various combinations, the idea of folk identity, fulcrum of the school, teaches us, preaches us...

კონფესიური სკოლების აღმოცენება და ბავშვთა აღზრდა პირველქრისტიანულ ოჯახში

რომის სახელმწიფო აღმზრდელობითი სისტემის საპირისპიროდ ადრეული ქრისტიანული პედაგოგიკის რელიგიურ-აღმზრდელობითი იდეები გავრცელდა ანტიკურ სამყაროში, რაც საწყის ეტაპზე იუდაისტური პედაგოგიკის ფარგლებში მიმდინარეობდა.

როგორც ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსები (სოკრატე, პლატონი), ისე ქრისტიანული ეკლესიის მამები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ განათლების მეშვეობით ჭეშმარიტებასთან ზიარებას. ცხადია, ადრეული ქრისტიანობის კავშირი იუდაიზმის პედაგოგიკასთან ეჭვს არ იწვევს, რადგან მათ შორის სახეზეა პრიორიტეტების აშკარა თავსებადობა, რაც მასწავლებლების სტატუსის აღიარებაში, აღზრდის რელიგიურ მიმართულებაში და პიროვნების ცნობიერების ირაციონალურ გაგებაში გამოიხატება.

ქრისტიანობას და ანტიკურობას აღზდა-განათლების სფეროში საერთო გადაკვეთის წერტილები აქვს, მაგრამ განსხვავება მათ შორის გაცილებით დიდია. ქრისტიანობამ სრულიად განსხვავებული ხედვები განავითარა ბავშვის შესახებ. ანტიკურ პედაგოგიკაში ბავშვი მიჩნეული იყო არასრულფასოვან არსებად, ხოლო ქრისტიანობამ პირიქით, კატეგორიულად უარყო უსუსური ბავშვის მიმართ დანაშაულებრივი ინფანტიციდი. ქრისტიანულ საზოგადოებაში ასეთი ბარბაროსული ქმედებანი უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. უფრო მეტიც, ავადმყოფების, ობლებისა და უპატრონო ბავშვების თავშესაფარზე და აღზრდაზე ქრისტიანული თემი და ეკლესია განსაკუთრებით ზრუნავდა. ადგილობრივი საეკლესიო კრებები პირდაპირ ავალდებულებდნენ ეპისკოპოსებს, რომ უპატრონო ბავშვებისა და მათ შორის იმ მოზარდების მიმართ, რომელთა მშობლები ქრისტიანების დევნილობის პერიოდში მოწამებრივად აღესრულნენ, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოეჩინათ ქრისტიანულ ოჯახებსა და მთელ მრევლს ეკლესიის მეთაურობით. ამ კეთილშობილურ საქმეში გამორჩეული ადგილი ქრისტიან ღვთისმოსავ დედებს ეკავათ. ეს წამოწყება შემდგომ საუკუნეებში ტენდენციად იქცა და მას განსაკუთრებული საქველმოქმედო, უდემდამოთა და ობოლთა თავშესაფრების ჩამოყალიბება მოჰყვა: IV საუკუნეში ასეთი სახლი იყო კონსტანტინეპოლში, ხოლო უფრო გვიან, VIII საუკუნეში, მილანში, ხოლო IX საუკუნეში გერმანიაში.

თუკი სოფისტებმა ანტიკური სამყაროს ადამიანი „ყოველივეს საზომად“ გამოაცხადეს, ქრისტიანობამ სამყაროს შემოქმედად ღმერთი აღიარა. ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, იდეალური აღზრდა არა მხოლოდ ცოდნის მიღებაში მდგომარეობს, არამედ ღვთის ხატებასა და მსგავსებაში, ანუ ღვთიური განგებულობის შესაბამისად ცხოვრებაში. ახალ აღთქმაში სხეულისა და სულის წინააღმდეგობის შესახებ პითაგორელების დოქტრინის საპირისპიროდ უარყოფილია იდეა იმის შესახებ, რომ "სხეული - მტერია სულისა". მოციქულმა პავლემ განსხვავებული აზრი გამოთქვა ამის თაობაზე: "არა უწყითა, რამეთუ ჯორცნი ეგე თქუენნი ტამარნი თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან" (I კორ. 6:19)".

ამრიგად, თუკი ანტიკურმა აზროვნებამ სამყაროს ცენტრში დააყენა ადამიანის მიწიერი არსებობა, მისგან განსხვავებით ქრისტიანობამ მარადიული ადამიანური ღირებულებების პრიმატი აღიარა. ელინისტური სამყაროს ისეთ იდეალებს, როგორიცაა: განათლების კულტი, ფილოსოფია, ლამაზი და ჯანსაღი სხეული და თვითდამკვიდრება - ქრისტიანული ეკლესიის მამებმა დაუპისპირეს სულის გადარჩენა, თანადგომა, მიტევება, სიყვარული, მორჩილება, ასკეტიზმი და სხვა ქრისტიანული სათნოებანი.

ქრისტიანულ აღზრდაში გამოიკვეთა რწმენის უპირატესობა ცოდნაზე. ამასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სწავლების კავშირს რელიგიურ-ზნეობრივ აღზრდასთან და კარგად აცნობიერებდნენ შრომისმოყვარების აღზრდის მნიშვნელობას. სწორედ ამას ადასტურებს პავლე მოციქულის სიტყვები: "უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ" (II თეს. 3:10). სახარებაში ახლებურად არის ახსნილი ძველი აღთქმის მცნებებიც: „არა კაც კლა“, „არ იპარო“, „გიყვარდეს მოყვასი...“ და სხვ., რომლებიც ბიბლიურ იუდაიზმში წარმოადგენდნენ არა მარტო ეთიკურ სენტენციებს, არამედ იურიდიული ძალის ნორმებსაც. სწორედ ამიტომაც არის ძველი აღთქმის პედაგოგიკა კანონის ანუ რჯულის პედაგოგიკა. მისგან განსხვავებით ახალი აღთქმის პედაგოგიკა ანუ ქრისტიანული პედაგოგიკა - რწმენისა და სიყვარულის პედაგოგიკაა.

ანტიკური პედაგოგიკის კრიზისის პირობებში ქრისტიანობა აშკარად აღმოჩნდა განათლების შინაარსის განსაზღვრის დილემის წინაშე. გადასაწყვეტი იყო კარდინალური პედაგოგიკური პრობლემები: 1. რამდენად საჭირო იყო ქრისტიანისათვის ბერძნულ-რომაულ კლასიკურ განათლებაში დამკვიდრებული შვიდი თავისუფალი ხელოვნების (ტრიუმ-კვადრიუმი) შესწავლა? 2. შესაძლებელი იყო თუ არა ამ მეცნიერებებთან წმინდა წერილის შეთავსება? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იქცა მთავარ დილემად ადრექრისტიანული დიდაქტიკისათვის: გამოითქვა აშკარა უარყოფითი, კომპრომისული და ცალსახად დადებითი მოსაზრებებიც.

ქრისტიანობის დამკვიდრებისთანავე მოხდა საერო და რელიგიური განათლების გამიჯვნა. საერო სკოლების ფორმირება მიმდინარეობდა ცალკე, სასულიეროსი - ცალკე. საერო სასწავლებლებს პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო ცოდნის, განათლების ფუნქცია ჰქონდა, ხოლო რელიგიური განათლების მიცემა ოჯახსა და ეკლესიას ეკისრებოდა (2.91). ეკლესიების დაარსებამ ხელი შეუწყო ქრისტიანული რწმენის გავრცელებას. სწორედ ეკლესიები გახდნენ ის ადგილები, სადაც მოსახლეობა ახალი რელიგიის-ქრისტიანობის შესახებ ცოდნას იღებდა. ქრისტიანული სწავლების გავრცელების ერთ-ერთ ორგანიზებულ ფორმად კათაკმეველთა სკოლები იქცნენ, რომლებიც ქრისტიანული სამყაროს პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებებად ითვლებიან.

კათაკმეველთა სკოლებში არა მარტო ბავშვები იღებდნენ ახსნა-განმარტებებსა და დარიგებებს, არამედ ყველა ასაკის სქესისა და ეროვნების ადამიანი პასუხს სცემდა სარწმუნოების წიაღში წამოჭრილ კითხვებს. მათში უპირატესად იმ არაქრისტიან ადამიანთა ჯგუფებს და პიროვნებებს მოიაზრებენ, რომლებმაც ზრდასრულ ასაკში გადაწყვიტეს ქრისტეს შედგომა. აქედან გამომდინარე, მათ გარკვეულ დროს უნიშნავდნენ რწმენაში გასანათლებლად და ქრისტიანული მოძღვრების შესასწავლად.

ნიკეის I მსოფლიო კრების მე-14 კანონის საფუძველზე ის კათაკმეველები, რომლებიც სარწმუნოებას განუდგებოდნენ, წმიდა და დიდი კრების დადგენილების თანახმად

ვალდებულნი იყვნენ სამი წელი ყოფილიყვნენ საღვთო წერილის მსმენელებად და შემდეგ სხვა კათაკმევლებთან ერთად ელოცათ (3. 71.) კანონის ხსენებულ მუხლში ჩვენს ყურადღებას სწორედ ის მონაკვეთი იქცევს, რომელშიც აშკარად დასტურდება კათაკმევლთა რეგულარული ჯგუფის არსებობა და სისტემატური სახით საღვთო წერილის შესწავლა.

კათაკმევლთა სკოლის შესახებ მითითებები მრავალგზის დასტურდება წმიდა წერილში (რომ. 2:18; გალ. 6:6; საქმ. 18:25; 1 კორ. 14:19). ცნობილია, რომ თავდაპირველად კათაკმევლთა სკოლები ქრისტიანი მასწავლებლების სახლებში ან ეკლესიებთან არსებულ სანათლავ ადგილებში იხსნებოდა, ხოლო შემდეგ, როცა ამის საშუალება გაჩნდა, დაიწყეს მათთვის სპეციალური შენობების გამოყოფა. ქრისტიანული მოძღვრების შესწავლას კატეხიზისი, კატეხიზაცია ან ლოგოს კატეხიტიკოს (*institutio catechetica*) ეწოდებოდა, მასწავლებელ-მოძღვარს კატეხიტის ერქვა, ხოლო იმ ადგილებს, ანუ სკოლებს, სადაც სწავლა მიმდინარეობდა, - კატეხუმენიო, მოსწავლეებს კი კატეხუმენატებს უწოდებდნენ. სწავლება ზეპირი ფორმით მიმდინარეობდა, ხოლო სწავლების მეთოდად ამჟამად უკვე ტრადიციად ქცეული კატეხიზმო იყო მიჩნეული.

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს კათაკმევლთა რამდენიმე ჯგუფს, მაგრამ იმაში ყველა თანხმდება, რომ ორი ჯგუფი მაინც არსებობდა. თუ რომელიმე წარმართი ან ებრაელი გამოთქვამდა ქრისტიანად გახდომის სურვილს, მას პირველ რიგში უნდა მიემართა ქრისტიანი ერისკაცისთვის ან დიაკონისათვის, რომელიც მას მღვდელთან ან ეპისკოპოსთან წაიყვანდა. სწორედ ისინი უკითხავდნენ დაწესებულ ლოცვანს, გადასახვდნენ პირჯვარს და შეჰყავდათ კათაკმევლთა პირველ თანრიგში, რომელსაც ქრისტიანული მოძღვრების პირველი ჭეშმარიტებანი გადაეცემოდა. ისინი იწოდებოდნენ აკრომენტოდ (*audientes*), რამეთუ მათ ნება ეძლეოდათ დასწრებოდნენ ეკლესიაში ლიტურგიას და წმიდა წერილისა და სახარების კითხვა მოესმინათ, რის შემდეგაც ისინი მაშინვე უნდა გამოსულიყვნენ ტაძრიდან. პირველ თანრიგში კათაკმევლები ჩვეულებრივ სამ წელიწადს რჩებოდნენ, თუმცა ეს დრო შეიძლება შემცირებულიყო ან გახანგრძლივებულიყო კონკრეტული პირის მონდომებისა და ქცევის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა კატეხიტი ხედავდა, რომ მისი მოწაფენი საკმარისად არიან გაცნობიერებულნი ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებში, და რომ ისინი თავიანთი კეთილი ქცევით პატივს იმსახურებენ, იგი ნებას რთავდა მათ კათაკმევლთა მეორე თანრიგში გადასულიყვნენ, სადაც უკვე ვრცლად გადაეცემოდათ ქრისტიანული მოძღვრება და განსაკუთრებულად, სრულად და დაწვრილებით განემარტებოდათ რწმენის სიმბოლო (3. 73-74). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოციქულთა განწესებებში (VI,15) მოხსენიებულია ბავშვთა ნათლობის გარკვეული ვადები, რაც ამისათვის სპეციალურ მომზადებას, ანუ სახარების პირველდაწყებით სწავლებას გულისხმობდა.

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კათაკმევლთა სკოლებში გამოიყოფოდა ორი საფეხური, რომლებსაც ერთმანეთისგან მხოლოდ სწავლის სიღრმე გამოარჩევდა. პირველი საფეხური ქრისტიანული რელიგიის შესავალს, ხოლო მეორე საფეხური სახარების შესწავლას ითვალისწინებდა. საერთოდ, კათაკმევლთა სკოლები პირველი ორგანიზებული დაწესებულებები იყვნენ, რომელთაც რელიგიურ-საგანმანათლებლო

ხასიათი ჰქონდათ. როგორც ცნობილია, პირველად ეკლესიებში სხვა ტიპის სასწავლებლები იმხანად არ არსებობდა, ამიტომ ამ სკოლებმა დიდი როლი შეასრულეს ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების საქმეში. რაც შეეხება წერა-კითხვისა და სხვა საერო საგნების შესწავლას, იგი წარმართულ სკოლებში იყო შესაძლებელი, სადაც ადრეული ქრისტიანობის პერიოდში ქრისტიანებსაც შეჰყავდათ თავიანთი შვილები და წარმართულ სასწავლებლებში ისინი არა მარტო წერა-კითხვას ეუფლებოდნენ, არამედ უმაღლეს განათლებასაც იღებდნენ. სწორედ ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ათენის წარმართული აკადემიებიდან გამოვიდნენ შემდგომში ქრისტიანობის უდიდესი ბურჯები: წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმ. იოანე ოქროპირი.

იმის მიუხედავად, რომ წარმართული სკოლები ზოგადი განათლების საფუძველს წარმოადგენდა, ისინი მაინც არ აღმოჩნდნენ მისაღები ქრისტიანებისათვის, ქრისტიანულმა სკოლამ და კერძოდ ლათინურმა სკოლამ ბევრი მიიღო წარმართობისაგან, თუმცა სასკოლო სწავლებაში არსებული ძველი ბერძნული მეთოდები, რა თქმა უნდა, არ იყო სავსებით მისაღები ქრისტიანული აღზრდისათვის, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შემთხვევებს, უფრო მეტიც, ეკლესიის მამები აშკარა საფრთხეს და მტრულ დამოკიდებულებას ხედავდნენ წარმართულ სკოლებში. ამიტომ ქრისტიანები, მეტი კატეგორიულობით მოითხოვდნენ ქრისტიანული სკოლების ქსელის გაფართოებას. სწორედ ამის გამო, პირველი საუკუნის ბოლოს მრავალი კერძო ქრისტიანული სკოლა გაიხსნა, რომლებშიც ისწავლებოდა არა მარტო ჭეშმარიტი სარწმუნოება, არამედ სხვადასხვა მეცნიერებათა ელემენტებიც.

პირველი ქრისტიანული სკოლა არ აღმოცენებულა ცარიელ ადგილზე. მსოფლიოს ძველ ხალხებს I საუკუნეში თავიანთი სკოლები ჰქონდათ, რომელთა შინაარსშიც გამოიხატა ამ ხალხების რწმენა, ეთიკური და ესთეტიკური შეხედულებები, ეთნიკური, ინტელექტუალური, სამოქალაქო და პიროვნული თვისებები.

ახალი სარწმუნოებით იწყება ახალი ონტოლოგიური ეპოქა. ქრისტიანობამ მოიტანა ახლებური წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანსა და ცხოვრებაზე. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენები და არჩევანი ჯერ კიდევ წინ იყო, მაგრამ ახალი განცდები და გრძნობები ყველას შეეხო, რადგან მათ შეძრეს მთელი სამყარო.

სახარების გავრცელებამ დაარღვია თანაფარდობა სხვადასხვა პედაგოგიურ სისტემას შორის. როგორც ცნობილია, სახარება არ იყო მხოლოდ ერთ ხალხის საკუთრება, იგი ყველას სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. ახალმა რწმენამ ინტერესით ადავსო მსოფლიოს ხალხები. ადამიანთა თვითშეგნება სულის ხსნის იმედით განიმსჭვალა. ქრისტიანობა კი არ არღვევდა რომელიმე ხალხის ეროვნულ თავისებურებებს, არამედ პირიქით, ცხოვრების ეროვნულმა ფორმებმა შეიძინეს ჭეშმარიტი შინაარსი და განვითარების ახალი იმპულსი მიიღეს. როგორც პავლე მოციქული ამბობს: „იუდეველთათვის გავხდი როგორც იუდეველი, რათა იუდეველები შემეძინა; რჯულის ქვეშ მყოფთათვის – როგორც რჯულის ქვეშ მყოფი, თუმცა თვითონ რჯულის ქვეშ არამყოფი, რათა რჯულის ქვეშ რჯულში მყოფი შემეძინა“ (I კორ. 9:20).

მხოლოდ ქრისტიანული ჭეშმარიტების ფონზე გახდა შესაძლებელი იმის შეცნობა, რომ ადრინდელი იდეები ამუხრუჭებდნენ ჭეშმარიტების შეცნობას და ხალხებს შორის ურთიერთსასარგებლო კავშირებს. ქრისტიანობას არ შემოუთავაზებია ცხოვრების და

სკოლის მტკიცედ ჩამოყალიბებული ფორმები. მან ხალხებს მოუწოდა, თვით შეექმნათ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სკოლების ახალი ფორმები, რომელიც დაეფუძნებოდა სახარების სწავლებას.

ქრისტიანული განათლება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქრისტიანობასთან, ქრისტიანული ოჯახთან და ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან ერთად ჩამოყალიბდა.

პირველმა ქრისტიანებმა ჩამოაყალიბეს ეკლესიური საზოგადოებები, რომელთა წევრებიც ძმური სიყვარულით და მტკიცე რწმენით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული: ყველა ერთი მიზნით და მისწრაფებით საზრდოობდა. პირველად ეკლესიათა წევრების სულიერმა კავშირმა სულ მალე ეკლესიის გარეგნულ აგებულებაზეც მოახდინა შესაბამისი გავლენა. ქრისტიანული თემის სათავეში ადგილი დაიმკვიდრა საეკლესიო იერარქიამ, რომელთა სათავეში ეპისკოპოსები იდგნენ, როგორც მოციქულთა უშუალო მემკვიდრენი. ეკლესიათა მეთაურები-ეპისკოპოსები განაგებდნენ ქრისტიანული თემის, როგორც შინაურ, ისე საგარეო საქმიანობას. მათ გამგებლობაში იყო საეკლესიო ქონება, ისინი ზრუნავდნენ ღარიბებზე და ავადმყოფებზე, თვალყურს ადევნებდნენ ქრისტიანული ცხოვრების ყველა მხარეს. ეპისკოპოსები წარმოადგენდნენ თავიანთ საზოგადოებებს საეკლესიო კრებებზე, სადაც განიხილებოდა სარწმუნოებრივი და ქრისტიანული თემის საერთო ყოფა-ცხოვრებითი საკითხები და მიიღებოდა შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელთა შესრულება მთელი ეკლესიისთვის სავალდებულო იყო. ეპისკოპოსის, როგორც უმაღლესი იერარქიის წარმომადგენლის განსაკუთრებული მზრუნველობის საგანს მორწმუნეთა გულებში და გონებაში ქრისტიანული რწმენის განმტკიცება, ხოლო არა-ქრისტიანთა შორის მისი გავრცელება წარმოადგენდა.

თავდაპირველად ქრისტიანებს ისეთი სპეციფიკური სკოლები, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ქრისტეს მოძღვრების სწავლება და გავრცელება, არ გააჩნდათ. ქრისტიანული სწავლების მთავარ იარაღად გამოიყენებოდა: მქადაგებელთა ცოცხალი სიტყვა, პირადი მაგალითი და ქრისტიანული ოჯახის სათნო ცხოვრების წესი. ქრისტიანული ოჯახი, რომელიც მისდევდა ზეცად ამაღლებული იესო ქრისტეს და წმიდა მოციქულთა სწავლებას, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ჭეშმარიტებასთან ზიარების და აღზრდის ერთადერთ სკოლად. ოჯახურმა ცხოვრებამ გზადაგზა ეკლესიურობა შეიძინა: ერთობლივი სასულიერო გალობა და წმიდა წერილის ერთობლივი კითხვა გახდა ოჯახის წევრთა უმთავრესი სულიერი საზრუნავი. ქრისტიანულმა ოჯახმა კარგად უწყოდა, „არა იხარებენ მამაი ძესა ზედა უსწავლელსა“ და „ვინც ბრიყვს შობს, ისევ თავის ჭირად, და ვერ ხარობს არამზადის მამა“ (იგავ. 17:21), ოჯახის უფროსს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა მოციქულის სიტყვისებრ, „თვისსა სახლსა კეთილად გამგებელი“ იქნება და თავისი „შვილნიმცა უსხდენ დამორჩილებულნი ყოვლითა ღირსებითა“ (I ტიმ. 3:4). ოჯახში ქალს ჯეროვანი ადგილი ეკავა. იოანე ოქროპირის გადმოცემით, იყო დრო, „როცა ქალები მამაკაცთა თანასწორნი იყვნენ; ეხლა სხაგვარადაა, დაუკვირდით რა მოხდა იესო ქრისტეს მოვლინების შემდეგ, ქალები აღმატებულნი არიან ჩვენზე კეთილშობილებით, ქრისტიანული გულწრფელობით, ღვთისმოსაობით, მაცხოვრის მიმართ სიყვარულით, რომელმაც იხსნა ისინი დამცირებისაგან“.

ბავშვები პირველი ეკლესიების, ოჯახის და საზოგადოების გულითადი მზრუნველობის საგანი იყო. მათ აღზრდაში ქრისტიანი მშობლები ერთმანეთს უთავსებდნენ სიმკაცრეს და სიყვარულს. ყოველთვის, როცა მშობლები აფასებდნენ ბავშვების მოქმედებას, როგორც წესი, მიუთითებდნენ საიქიო ცხოვრებაზე, საიდანაც ქრისტიანები ელოდნენ ჯილდოს და განკითხვას. ბავშვთა ფიზიკურ დასჯას ქრისტიანი მშობლები უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. პირველად ქრისტიანულ ოჯახს ყველაზე უფრო უბრალოება ამშვენებდა. ასევე უბრალო იყო მათი საკვები და სამოსი. მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ბავშვებთან დამოკიდებულებაში უფრო მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ მათ შინაგან, სულიერ ცხოვრებაზე, ვიდრე გარეგნულ იერსახეზე. მათ სახელმძღვანელო მითითებას ყოველთვის წარმოადგენდა პავლე მოციქულის შეგონება: „შვილებო, დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს ყველაფერში, ვინაიდან ასეა მოსაწონი უფლისათვის” (კოლ. 3: 20), თუმცა აქ მეორე მხარის მოვალეობებიც ნათლად იყო ჩამოყალიბებული: „მამებო, ნუ გააღიზიანებთ თქვენს შვილებს, რათა თავი არ მოაბეზროთ”. (კოლ.3:21). რაც შეეხება შრომით საქმიანობას, გოგონები თავიანთი დედებისაგან სწავლობდნენ სხვადასხვა საოჯახო ხელსაქმეს, ხოლო ვაჟები მამის მეშვეობით ხელობას ეუფლებოდნენ.

ქრისტიანობის პირველი წლებიდანვე აღმზრდელობითი თვალსაზრისით ოჯახში პირველი ადგილი დედას ეკავა. დედობრივი მაღლი მთელი თავისი ძალით ქრისტიანულ ოჯახში წარმოიჩინდა. დედა და ბავშვი სიყვარულის და სათნოების სინონიმები გახდა. დედობრივმა გრძნობამ აქ ისეთი სიღრმისეული გამოხატულება ჰპოვა, როგორც არასდროს. ღმრთისმშობელი ხელში ჩვილი იესოთი - ეს ისეთი უდიადესი სახეა, რომელიც ყოველთვის შთააგონებდა ქრისტიან ქალებს უმაღლეს დედობრივ ვალდებულებებს და შვილების მზრუნველობისა და თავდადებისათვის განაწყობდა მათ. ქრისტიანი დედების მიზაძვის საგანი და უმაღლესი იდეალი ყოველთვის ღმრთისმშობელი იყო.

უძველესმა სასულიერო ლიტერატურამ შემოგვინახა ქრისტიანული პედაგოგიკის სამაგალითო ნიმუშები, რომლებშიც გადმოცემულია ეკლესიის წმიდა მამათა აღზრდის ეპიზოდები. სწორედ აქ წარმოიჩინდა უდიდეს ქრისტიან დედათა როლი და ადგილი მოზარდის ქრისტიანულ აღზრდაში.

როგორც წყაროებიდან ჩანს, იმხანად ბავშვის აღზრდას დაბადებიდან დედა იწყებდა. სწორედ ქრისტიანი დედა მოუთხრობდა წმინდანთა შესახებ და ასწავლიდა სულიერებით გაჯერებულ წიგნებს. ქრისტიანი დედები ბავშვებისათვის არჩევდნენ წიგნებს სოლომონის და დავითის სიბრძნიდან, ნაწყვეტებს საღვთო წერილიდან და ლექსებს ფსალმუნიდან, რომლებშიც მოცემული იყო უფლის დიდება, ლოცვები და ზნეობრივი შეგონებებები.

მაცხოვრის გამომხსნელი მისიის ქადაგებასთან ერთად ბავშვებს უნერგავდნენ ქრისტეს სწავლებებს რწმენისა და ღვთისსათნო ცხოვრების შესახებ. ისეთ კატეგორიებზე, როგორიცაა მაგალითად, სწავლება სამებაზე, საუკუნო სიცოცხლეზე, თვინიერებაზე და ღვთისადმი უანგარო სიყვარულის შესახებ. ბავშვებს მოძღვრავდნენ ყოველდღიური მოვალეობის შესრულებაში, რათა გამოეჩინათ უფლისმიერი სიყვარული, ჰქონოდათ ღვთის შიში, პატივი მიეგოთ მშობლებისა და უფროსებისათვის. ასწავლიდნენ მოთმინებას, მიმტევებლობას, ურისხველობას, ქველმოქმედებას და უბიწოებას.

ბავშვებს წიგნიერი განათლების მიღებას ბიბლიის კითხვით აწყებინებდნენ, ხოლო წერის სწავლებისას იყენებდნენ წმიდა წერილის განმარტებებს. გადაწერაში ვარჯიში იყო ერთადერთი ფორმა, რომელიც წერის შესწავლას უზრუნველყოფდა. საერთოდ, სწავლა და აღზრდა გამიჯნული არასოდეს ყოფილა, უფრო მეტიც, ერთი განაპირობებდა და გზას უხსნიდა მეორეს, ამიტომ თვით რწმენის დოგმატთა თუ სხვა ქრისტიანულ მოვალეობათა შესწავლა ამ საშუალებით მიმდინარეობდა.

პირველ საუკუნეთა ქრისტიანები თავიანთი მიწიერი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ლოცვაში ატარებდნენ და ამასვე ასწავლიდნენ თავიანთ შვილებს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მათი ცხოვრება იყო განუწყვეტელი ლოცვა უფლის წინაშე.

ქრისტიანი მშობლები მკაცრად იცავდნენ ბავშვებს გარე საცდურებისგან. ამ მიზნით ცდილობდნენ, თავიანთი ბავშვები მოერიდებინათ იმ სანახაობებისაგან, რასაც შეეძლო მათში ბოროტი გულისთქმებისა და ვნებების აღძვრა. ამიტომ ისინი არ დაჰყავდათ საქორწილო სუფრებზე და სხვა სანახაობებზე, არიდებდნენ მათ წარმართულ წიგნებს, არ ასმენინებდნენ ხორციელი ვნებების ამაფორიაქებელ მუსიკას, მათი ჩაცმულობაც სადა და უბრალო იყო.

აღზრდაში აქტიურად გამოიყენებოდა პირადი მაგალითის ძალა. ადრეული ასაკიდანვე, როდესაც ბავშვს ცნობიერება უვითარდება, მშობელი ცდილობდა მისი მრწამსის უფლისკენ წარმართვას. ამისთვის მას განამტკიცებდნენ ღვთის რწმენასა და სიყვარულში, ბიბლიურ წარმოდგენას უქმნიდნენ ამსოფლიურ ცხოვრებაზე. პირველქრისტიანთა შვილები მცირეწლოვანი ასაკიდანვე სწავლობდნენ ღმერთის მარადიული ცხოვრების შესახებ, უფლის სიყვარულსა და მორჩილებაზე. მშობლების შემდეგ ბავშვთა აღზრდაში დიდ როლს ასრულებდნენ ნათლიები, რომელთაც ღვთის წინაშე ჰქონდათ აღებული მოვალეობა თავიანთი ნათლულების სულიერ აღზრდაზე.

ზოგიერთი ქრისტიანი, როგორც ზემოთ ითქვა, შვილების განათლებას მარტოოდენ ღვთის სიტყვის შემეცნებით ფარგლავდა და წარმართული ცოდნის დაუფლებას უკრძალავდა, სხვები პირიქით, არ ერიდებოდნენ წარმართულ ცოდნას და ამ ცოდნიდან არჩევდნენ ზოგადი განალებისათვის სასარგებლო მონაკვეთებს.

არსებული განსხვავების მიუხედავად, პირველი საუკუნის ქრისტიანები უმთავრესში ერთიანნი იყვნენ: ისინი ერთხმად აღიარებდნენ, რომ ნებისმიერი მეცნიერების შესწავლას საფუძვლად უფლის სწავლება უნდა დასდებოდა. მათი აზრით, განათლებისათვის აუცილებელი და უმთავრესი ქრისტიანული სწავლება იყო. ქრისტიანული აღზრდის შესაბამისად, წარმართული ფილოსოფია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები შეიძლებოდა მხოლოდ ქრისტიანობაში განმტკიცებულებს შეესწავლათ. ამ საკითხთან დაკავშირებით დავა-კამათი დიდხანს გაგრძელდა და შემდგომ საუკუნეებში ეკლესიის მამებმა თავიანთი პოზიციები ჩამოაყალიბეს, თუმცა საბოლოოდ ერთნაირ დასკვნამდე ვერ მივიდნენ.

საკვანძო სიტყვები: კათაკმეველთა სკოლები, ტრივიუმ-კვადრიუმი, რელიგიური აღზრდა, ცოდნა და რწმენა, აღზრდა ქრისტიანულ ოჯახში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი ა., 2007: ნარკვევები ქრისტიანული პედაგოგიკის ისტორიიდან, ტ., I. თბილისი. 125-137.
2. ჭანტურია თ., 2004: რწმენისა და განათლების ურთიერთმიმართების საკითხები, ჟურნალი რელიგია, 2004, №1-2.
3. ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში), 2004: სერია - მართლმადიდებლური კანონიკა, ნიკეის წმიდა I მსოფლიო კრების კანონები, განმარტებები, თბ., 2004.
4. Asatiani A., 2021: The Problem of the Compatibility of Theological and Civil Subjects in Greek and Alexandrian Christian Schools, Religion and public life, New York, USA. 2021 by Nova Science Publishers, Inc
5. Tristan F., 1996: Les Premieres images christiennes: Du simbole á L'icône: II-e – V-e siecle, Paris, 1996.

Avtandil Asatiani

Associate Professor of Georgian Technical University

The emergence of confessional schools and the upbringing of children in the early Christian family

Abstract

Christianity and antiquity have common points of intersection in the field of upbringing, but the difference between them is much greater. If ancient thought put the earthly existence of man at the center of the universe, in contrast, Christianity recognized the primacy of eternal human values.

At first, Christians did not have specific schools in which to teach and spread the teachings of Christ. The main ways of Christian teaching were: “the living word” of the preachers, personal example, and the virtuous way of life of the Christian family.

Catechumen schools became one of the most organized forms of Christian teaching, where not only children received explanations and instructions, but also people of all ages, genders, and nationalities who wanted to convert to Christianity. Catechumen schools were divided into two levels, which were distinguished only by the depth of learning.

Keywords: Catechumen schools, Trivium-Quadrimum, religious upbringing, knowledge and faith, upbringing in a Christian family.

ანტონ I საგანმანათლებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა

მეთვრამეტე საუკუნის ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა საეკლესიო მოღვაწემ, ფილოსოფოსმა, პედაგოგმა და ენათმეცნიერმა ანტონ კათალიკოსმა. მისი შემოქმედებითი აზროვნება ემსახურებოდა კულტურული ცხოვრების ყველა უბანს: კანონიკას, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიას, სასკოლო საქმეს, პოლიტიკასა და დიპლომატიას. მან ტრადიციულ პედაგოგიკასთან ერთად განავითარა ანალიზი და შემეცნება, კვლევა-ძიების ევროპული დონე. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის თქმით, “მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში” (კეკელიძე 1981: 307). ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ, გარდა საეკლესიო მწერლობის განვითარებისა, მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული პედაგოგიკური აზრისა და სასკოლო საქმის განვითარებაში.

ანტონ პირველის საგანმანათლებლო მოღვაწეობა და პედაგოგიკური იდეები დაკავშირებულია მის სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებთან. მისი მსოფლმხედველობის ნაყოფია ანტონის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თეორია - “სულისა ერთობრიობით”. ამ თეორიის ძირითად არსს წარმოადგენდა “გამოხსნა” და “აღდგომა”. ანტონის მსოფლმხედველობა დასაბუთებულია ისეთ შრომებში, როგორიცაა: “მზამეტყველება”, “წყობილსიტყვაობა”, “სპეკალი”. პირველად საქართველოში ანტონმა აღორძინების ხანაში “ფსიქოლოგია-მოდღვრება სულისა და სულიერი ძალების” შესახებ წარმოადგინა, როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელი დარგი (ფრანგიშვილი 1959: 10).

აღზრდა-განათლების ზოგად მიზნად ანტონ კათალიკოსს მიაჩნდა, ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი და იმპერეციური ცხოვრებისათვის. მან ამ საქმის განსახორციელებლად საქმეში ჩართო არა მარტო სასულიერო წრის წარმომადგენლები, არამედ საერო ხელისუფალნიც. 1755 წელს გახსნა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, 1782 წელს თელავის სასულიერო სემინარია, 1758 წელს თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა. ამასთან, ეკლესია-მონასტრებთან დაარსდა დაბალი ეპარქიული სასწავლებლები და საეკლესიო სკოლები. ამ სემინარიას დირექტორს და პრორექტორს, გაიოზ რექტორის სიტყვით წარმოადგენდა “მუნებურთა გნოსისთა დიდსკალოსი, კათალიკოსი ანტონ პირველი” (დარჩია 1987: 160). ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, ამ დროს აქ ასწავლიდნენ არა მარტო წერა-კითხვასა და არითმე-

ტიკას, არამედ გალობას, კატეხიზმოს ანტონ კათალიკოსის სისტემით, ძველი სამეფოების ისტორიას, ფილოსოფიას, რიტორიკას, ღვთისმეტყველებას და სხვას” (იოსელიანი 1936: 160).

ანტონ პირველის პედაგოგიურ-დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური შეხედულებანი ძირითადად წარმოდგენილია მის ორიგინალურ თხზულებებსა და თარგმნილი ლიტერატურის წინასიტყვაობაში. ამასთან, ის პრაქტიკულ-პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ მუშაობასაც ეწეოდა (ბასილაძე).

ახალი ფილოსოფიის სისტემატური კურსის წინასიტყვაობაში ანტონ პირველი მიუთითებს, რომ “სწავლა” იმას უნდა ედოს საფუძვლად, რომ ადამიანი “აღირჩევდეს უმჯობესსა”. ცოდნის (სიბრძნის) გარკვევის საკითხში ანტონ პირველი იზიარებს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის შეხედულებებს და ასეთ აზრს აყალიბებს: “სიბრძნე უკვდავია და ნათელი, ყოველი გონება მისგან შეიქმნა და მისივე ხატად გამოხატა... ღვთისქმნილ ტომთაგან, ვინც სიბრძნეს ეძიებს, ეზიარება კიდევ მას. ოღონდ სწავლის გარეშე სიბრძნეს ვერა და ვერ შევიგონებთ”(ფრანგიშვილი 1959: 7-9). ამდენად, ანტონი ორთოდოქსი თეოლოგია და ეყრდნობა საეკლესიო ავტორიტეტებს. ანტონი იცავს იმ აზრს, რომ ყოველ არსებათა დასაბამი ღვთაებაა: „საუკუნეთაგან აქუნდეს ღია თვის შ-ს გამოხატვისამებრ მის მ-რ მოგონებულნი”. როგორც პროფ. თ. კუკავა წერს - “ანტონის აზრით ღმერთი უცვლელია და უძრავი. ის არ ექვემდებარება ცვალებადობისა და მოძრაობის პროცესს. მისი თვისებებისა და რაობის შეცნობა შესაძლებელია მიწიერი მოვლენების საშუალებით, რომლებიც მის გამოვლენას წარმოადგენენ” (კუკავა 1967: 10). ანტონის აზრით, ყოველგვარ ცოდნაზე მაღალი არის ღმერთის არსებობისა და ყოვლისშემძლეობის თანდაყოლილი რწმენა. ისტორიის მამოძრავებლად, კი ის თვლიდა ზნეობას, ზნეობის განმსაზღვრელად - ღვთაებას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელებას იწყებს ფილოსოფიურ ძიებებთან დაკავშირებული, ახალი პრობლემატიკის მიხედვით ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური ცოდნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ანტონ კათალიკოსის თაოსნობით, ამ პერიოდში შემოღებული იქნა ქართულ სემინარიებში ფსიქოლოგიის, როგორც სისტემატური ცოდნის დარგის სწავლება. ჩვენში, პირველად, ამ პერიოდიდან იწყებს არსებობას ფსიქოლოგია, როგორც “საგანმანათლებლო”, პედაგოგიური ხასიათის მქონე დამოუკიდებელი დარგი ცოდნისა (ფრანგიშვილი 1959: 198).

ანტონს ფსიქოლოგიური ცოდნა განათლების შინაარსად აქვს წარმოდგენილი და მიაჩნია “სწავლის”, ე.ი., სარწმუნო მეთოდის გზით მოპოვებულად. ანტონ პირველის ნაწერებში შეიძლება რამდენიმე “ფსიქოლოგია” განვასხვავოთ, რომლებიც სხვადასხვა პრინციპებიდან გამომდინარე მეთოდების საფუძველზეა აგებული. არსებითად ანტონის ნაწერებში ორი ფსიქოლოგია გვხვდება: ერთი ფსიქოლოგია, რომელიც ფიზიკის ნაწილად არის წარმოდგენილი, ეს ნამდვილად მეცნიერული ფსიქოლოგიის ჩანასახია; მეორეა მეტაფიზიკის ფსიქოლოგია, ფილოსოფიური ფსიქოლოგია (ფრანგიშვილი 1959: 198).

ანტონმა, პირველად საქართველოში, აღორძინების ხანაში, ფსიქოლოგია-მოდერნის სულისა და სულიერი ძალების შესახებ - წარმოადგინა როგორც ფილოსოფიური ცოდნის დამოუკიდებელი დარგი; ფილოსოფია კი გაგებულია, როგორც ამოსავალი საფუძველი ცოდნის ყველა სხვა დარგებისათვის” (ფრანგიშვილი 1959: 199).

ცნობილია, რომ სწავლა-აღზრდა ქართულ სემინარიებში კლერიკალურ-სკოლასტიკურ პრინციპებს ემყარებოდა, სადაც წამყვან როლს საგრამატიკო დისციპლინები ასრულებდა. ამავე აზრს იზიარებდა ანტონი, მაგრამ სემინარიის მოსწავლეებს სანამ საგრამატიკო დისციპლინების ღრმა და რეგულარულ შესწავლაზე გადაიყვანდნენ, მანამ მას საფუძვლიანად ასწავლიდნენ მშობლიურ ენასა და წერა-კითხვას: “დაისწავლეს ზეპირ უწინარეს დაწყებისა ღრამატიკისა დახელოვნებისათვის მხედრულსა კითხვისა და წერისა” (მთვრელაშვილი 1881:113). თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ანტონ I საგრამატიკო დისციპლინების შესწავლას სემინარიაში, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყოველ საზეიმო შეკრებაზე ყურადღება განსაკუთრებით იყო გამახვილებული მისი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საგნის, სწავლებასა და როლზე. ანტონი, როგორც სემინარიის რექტორი და დიდასკალოსი მკაცრად მოითხოვდა საგრამატიკო სწავლების საჭიროებას და კატეგორიულად მიუთითებდა, რომ “კუალად, ოდეს ვასწავებთ მოწაფეთა ღრამატიკასა, მაშინ სიმკაცრეი მაქუნდა ფრიადი განსჯისად, რა არა ელმად მივეცმცა” (ანტონ კათალიკოსი 1885: 1-2).

ანტონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სემინარიაში საგრამატიკო დისციპლინების შემდეგ ფილოსოფიის სწავლებას. მისთვის ფილოსოფიის ცნება მოიცავდა ლოგიკას, ფსიქოლოგიასა და ფიზიკას. ფილოსოფიურ და მეცნიერულ “სწავლას”, ანტონის აზრით, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ მხრივ, რომ იგი არსებულის ახსნას იძლევა, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი საფუძვლიანად უნდა დაედოს ადამიანთა პრაქტიკულ მოქმედებას და მათი ცხოვრების გაუმჯობესებას. ახალი ფილოსოფიის სისტემატური კურსის წინასიტყვაობაში ანტონ პირველი იმაზედ მიუთითებს, რომ “სწავლა” იმას უნდა ედოს საფუძვლად, რომ ადამიანი “აღირჩევდეს უმჯობესსა” (ფრანგიშვილი 1959: 301).

ანტონის აზრით, განათლება (ცოდნა) ძალაა, რომლის გარეშე არ არსებობს სათნოება, სიკეთე, ურთიერთპატივისცემა. ანტონი მომხრეა საერო და სასულიერო განათლების ერთიანობისა, როგორც კომენსკი იტყოდა “სულისა და გონების” განათლებისა.

სიბრძნის შესწავლაში ანტონი ცოდნის დაუფლებას, გონებრივ განათლებას, აღზრდას ხედავს. გონებრივი აღზრდა, პირველ რიგში, ბავშვსა და მოზარდში შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას და მის ნიადაგზე, რაც შეიძლება მეტი მეცნიერული ცოდნის შეძენას გულისხმობს და შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. ეს ამოცანებია: მეცნიერული ცოდნის შეგნებულად დაუფლება, შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, მეცნიერული მსოფლმხედველობის გამომუშავება, გონებრივი შრომის უნარ-ჩვევების დაუფლება და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ჩამოყალიბება ((ბასილაძე:)).

ცოდნა ანტონს მიაჩნია გზად, საშუალებად, რომლითაც შეიძლება ადამიანმა უმაღლეს მიზანს მიაღწიოს და იმდენად უნდა დაფასდეს იგი, რამდენადაც ეხმარება ადამიანს ამ მიზნის მიღწევაში. სწავლა კი უნდა შეძენილ იქნეს და ეს არის სწორედ

გონებრივი განათლება. ამრიგად, ა. ფრანგიშვილის აზრით, - “იმისთვის, რომ “სწავლა” პრაქტიკას დაედოს საფუძვლად, იმისთვის, რომ მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნა განათლების შინაარსი გახდეს, აუცილებელია იგი სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე იყოს აგებული” (ფრანგიშვილი 1959: 301), რაც ანტონს შემდეგნაირად ესმოდა; სქოლასტიკის ტრადიციების დაცვა, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთობის მოგვარება.

აღზრდა, ანტონის გაგებით, ის ძალაა, რომლითაც ყალიბდება პიროვნება, ვითარდება ინდივიდი. თუ ბავშვი პატარაობიდანვე სისასტიკისა და სიძულვილის პირობებში იზრდება, მაშინ მისგან ვერ მივიღებთ საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებას. ამიტომაც ბავშვის ქრისტიანულ აღზრდას პატარაობიდანვე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ბავშვი, როგორც ადამიანი, ბუნების პირმოა, პიროვნებას კი საზოგადოება ქმნის აღზრდის მეშვეობით. ანტონის შეხედულებით, აღსაზრდელი სიყრმის ასაკიდანვე უნდა შეეჩვიოს აღმზრდელის ზემოქმედებას(ბასილაძე).

ანტონი, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მშობლის როლს შვილის, ქრისტიანულად სწორად აღზრდის საქმეში, რადგან ძირითადი კავშირი შვილს მშობელთან აქვს. ანტონი სამშობლოსა და ერის უდიდეს სიყვარულს უკავშირებდა მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლის საკითხს, მიაჩნდა რა ის ამ დიდი სიყვარულის განუყოფელ ნაწილად (დარჩია 1987: 160).

ანტონმა განსაზღვრა თბილისის სემინარიის თითოეული კლასის სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანა. როგორც ცნობილია, სემინარიაში დაწყებითი კლასების ამოცანას შეადგენდა კითხვის, წერისა და ანგარიშის სწავლება ქართულ ენაზე. შემდგომ კლასებში იწყებოდა გრამატიკის, სინტაქსის, პიიტკის, რიტორიკის, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების სწავლება.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ანტონ I თავის თანამოაზრეებთან ერთად ამუშავებს თელავის სასულიერო სემინარიის ორგანიზაციის პროექტს. უპირველეს ყოვლისა, ადგენს სასწავლო გეგმას. როგორც ჩანს, მას ხელთ ჰქონდა მოსკოვის სასულიერო აკადემიისა და მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის სასწავლო გეგმები. მათში სწავლება მიმდინარეობდა ჯერ ბერძნულ, ხოლო შემდეგ ლათინურ ენებზე. სასწავლო კურსის საფუძველს წარმოადგენდა შვიდი თავისუფალი ხელოვნება და საერთო საგნების სწავლება ღვთისმეტყველების ინტერესს ემსახურებოდა (როგავა 1950:161).

თავის დიდაქტიკურ შეხედულებებში ანტონ I მნიშვნელოვან როლს უთმობდა სახელმძღვანელო წიგნებს. ანტონის აზრით, სახელმძღვანელო წიგნების შინაარსი წარმოადგენს აზრისა და გონების გამდიდრების წყაროს, ანტონს მიაჩნდა, რომ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მაშინ იქნებოდა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა მოწესრიგებული პედაგოგიური გარემო და კარგი, მეცნიერულად გამართული სახელმძღვანელო წიგნები. ამიტომ იყო, რომ ანტონი თავისი პედაგოგიური თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე ცდილობდა ქართულ ენაზე გადმოედო ისეთი სახელმძღვანელო წიგნები, რომელთა გაცნობის შემდეგ მოსწავლეში ჩამოყალიბდებოდა ჯანსაღი სული, დადებითი მომენტები. ამიტომ ცდილობდა ანტონი დიდი რაოდენობით დაემზადებინა სახელმძღვანელოები. მან “შეკრიბა საუკეთესო მწერალნი და მოკარნახეს ხელქვეით ოცი და ოცდაათი ცალი ერთსა და

იმავე დროს იწერებოდა და ვრცელდებოდნენ სახელმძღვანელო წიგნები” (კარბელაშვილი 1900: 152).

ანტონი, როგორც აღვნიშნეთ, თვითონვე ეწეოდა პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ სემინარიების “დირექტორსა და პრორექტორს”, გაიოზ რექტორის სიტყვით, წარმოადგენდა ანტონ პირველი. ამიტომაც, როგორც ინიციატორი და ხელმძღვანელი ამ საქმისა და სასწავლო სახელმძღვანელოების შემქმნელი პედაგოგი, ერეკლე II თანხმობით, ანტონს თვითონ უნდა ეკისრა დირექტორობა. თავიდანვე ეს ღირსეული საქმე ანტონმა ღირსეულად იტვირთა და ატარა მთელი ცხოვრების მანძილზე. იგი თვითონაც მასწავლებლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. გაიოზ რექტორი, რომელსაც დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია, აღნიშნავს, რომ მას ასწავლიდა ანტონ I (დარჩია 1987: 165).

სახელმწიფო და საეკლესიო საქმეებით დატვირთული ანტონ I და ერეკლე II განაზღვდნენ დროს სკოლების მოსაწესრიგებლად. “მაისის თვესა მეფე მობრძანდა კალოუბანსა და იხილა მოწაფენი ეფრემ მღვდლის კალოუბნელისა”(იოსელიანი 1936 : 179). ერეკლესა და ანტონს ყოველთვის აინტერესებდა, თუ როგორ მიმდინარეობდა სასწავლებლის მშენებლობა, ან როგორ ცოდნას ამჟღავნებდა მოსწავლეები: “ზაქარია დიაკონი განამტკიცეთ, მაგ საქმეზედ ბეჯითად იყოს, სხვა გულში ნუღარა უძევს რა. იცოდეს მაგისი დაძვრა არ იქნება, სკოლის საქმე ან სწავლა ვისგანმე მომატებული - ყველა გვაუწყე მტკიცედ იყავ მაგ საქმეზედ. ჩემი საამო ის არის, რასაც ბეჯითად იქნები” (როგავა 1950:163) - წერდა ერეკლე მეორე დოსითეოზ ნეკრესელს.

ანტონის პედაგოგიკურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნას. მაშინდელ ევროპულ სასულიერო სკოლებში გაბატონებული იყო ლათინურ ენაზე სწავლება, ანტონმა კი ქართულ სასულიერო სასწავლებელში გააბატონა მხოლოდ ქართული ენა.

სწავლების წარმატების პირობად, გარდა დიდაქტიკური პრინციპებისა, ანტონი მიიჩნევდა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს: ინტერესს, ყურადღებას, მეხსიერებას, აზროვნებასა და ნებისყოფას. ამ ფაქტორთა როლისა და ადგილის დასაბუთება გაფანტულია მის მრავალრიცხოვან შრომებში (დარჩია 1987: 162).

ანტონს ანგარიშგასაწევი შეხედულებანი აქვს სწავლების მეთოდების (ლექციური მეთოდი, დისპუტის მეთოდი, პაექრობის მეთოდი, საზეიმო შეკრებების მეთოდი) შესახებ. იგი სწავლების მეთოდის შერჩევისას გამოდიოდა სწავლების მიზნებიდან, მოსწავლეთა განვითარების დონიდან, საგნის სპეციფიკიდან (მთვარელაშვილი 1881:110).

ანტონ კათალიკოსი აწარმოებდა თავის მოწაფეთა გამოცდასაც. ერთგან იგი წერდა: “პიიტკასა შინა გამომიცდიეს”. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ეს მეთოდი დარჩა გაიოზ რექტორისა და დავით რექტორის დროსაც. ოღონდ მათ, უფრო სრულყოფილი ფორმა მისცეს. გარდა ჩვეულებრივი გამოცდებისა, შემოიღეს მოსწავლეთა შეფასება შეკრებებზე, რაც უფრო ამაღლებდა მომთხოვნელობას, როგორც მასწავლებელთა, ისე სემინარისტთა მიმართ. მაშინდელი პროგრესულად მოაზროვნე ქართველობის დიდი ნაწილი, რომელიც რუსეთში ეზიარა სწავლა-განათლებას, იწონებდა ცოდნის შემოწმება-შეფასების საგამოცდო სისტემას. ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილი წერდა: “მე მოსკოვის სკოლებში ვუყურე, რომ მოწაფეთ ასწავლიდნენ ფიზიკას და ეგზამენიაც უყვეს”

(ბატონიშვილი 1936:79). ამდენად, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საგამოცდო სისტემა, რომელიც ანტონ პირველმა შემოიტანა ქართულ სკოლებში და შემდეგში გაიოზ და დავით რექტორებმა დანერგეს, მოწონებული იქნა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში.

ანტონი I საგანმანათლებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა, მისი საქმიანობის თითოეული მონაკვეთი გამსჭვალულია ეროვნულობის პრინციპით. სახელმწიფო და მისი სასიცოცხლო ინტერესები, ანტონის აზრით, განსაზღვრავენ აღზრდა-განათლებას მიზნებს და ამოცანებს, მის შინაარსს და მეთოდებს. ჩვენი აზრით, ანტონ I საქართველოში სწავლა-აღზრდის სისტემის მოწყობას ცდილობდა შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: 1. აღზრდა-განათლება და სწავლება მიმართული უნდა იყოს მაღალხეობრივი რელიგიური სულისკვეთებით ადამიანის ფორმირება-ჩამოყალიბებისაკენ; 2. განათლებას უნდა ჰქონდეს საყოველთაო ქრისტიანული ხასიათი; 3. აღზრდამ უნდა მოამზადოს ადამიანი იმპერეციური ცხოვრებისათვის; 4. მშობლიურ ენაზე სწავლება და მისი განვითარება განათლების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს. ეს მოთხოვნები ეფუძნება ტერიტორიულ მთლიანობას, მშობლიურ ენას, ხალხის თავისებურებების შესაბამისად მოწყობილ განათლების სისტემასა და ეკლესიას.

საკვანძო სიტყვები: სწავლა, აღზრდა, დისპუტი, პაექრობა, ქრისტიანული ხასიათი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი 1936: ბატონიშვილი ი., კალმასობა, ტ. 1, ტფილისი, 1936.
2. დარჩია 1987: დარჩია მ., გაიოზ რექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987.
3. იოსელიანი 1936: იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფილისი, 1936.
4. კათალიკოსი 1885: ანტონ კათალიკოსი, ქართული დრამატიკა, ტფილისი, 1885.
5. კარბელაშვილი 1900: კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, ტფილისი, 1900.
6. კეკელიძე 1981: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2., მეცნიერება, თბილისი, 1981.
7. კუკავა 1967: კუკავა თ., ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, XVII-XIX სს., გამომცემლობა „განათლება“, თბილისი 1967.
8. მთვარელაშვილი 1881: მთვარელაშვილი ნ., ანტონ I საქართველოს კათალიკოზი, ჟურნალი „ივერია“, 1881, № 8,9, 10.
9. როგავა 1950: როგავა აპ., სახალხო განათლება ერეკლე მეორის დროის ქართლ-კახეთში და ანტონ I., თბილისი, 1950.
10. ფრანგიშვილი 1959: ფრანგიშვილი ა., ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში(XVII-XVIIIსს. და XIX ს. დასაწყისი), თბილისი, 1959.

Imeri Basiladze
Professor in the Department of Pedagogy
Giga Basiladze
Academic Doctor of History

Educational and pedagogical activity of Anton I

Abstract

Ecclesiastical figure, philosopher, teacher and linguist Anton Catholicos left an indelible mark on the history of Georgian pedagogical thought in the eighteenth century. His creative thinking served all areas of cultural life: canonicals, hagiography and hymnography, school work, politics, and diplomacy. Together with traditional pedagogy, he developed analysis and cognition, the European level of research.

The educational and pedagogical activities of Anton I, each part of his activity is immersed with the principle of nationality. The state and its vital interests, in Anton's view, determine the goals and objectives of upbringing and education, its content and methods.

Keywords: study, upbringing, dispute, controversy, Christian character.

პოლემიკა

პედაგოგიკის ჩაგვრა

ამ სტატიისათვის სათაურად მინდოდა მიმეცა „პედაგოგიკის ჩაგვრა – 2“. იცით, რატომ? ამ თხუთმეტიოდე წლის წინ გამოვაქვეყნე ვრცელი წერილი სათაურით „პედაგოგიკის ჩაგვრა“, სადაც მკაცრად ვაკრიტიკებდი საქართველოს განათლების სამინისტროს მაგნე პრაქტიკას, რასაც ჩემი (და არა მარტო ჩემი!) აზრით, კატასტროფისკენ მიჰყავდა საგანმანათლებლო საქმე. არანაირი დადებითი რეაქცია იმ კრიტიკას არ მოჰყოლია და წინასწარ ვიცოდი, არც მოჰყვებოდა, რადგან განათლების ორგანოები ახორციელებენ სახელმწიფო პოლიტიკას, სახელმწიფო კი საგანმანათლებლო პოლიტიკას უცხოელი „სტრატეგიული“ მეგობრების დირექტივებზე აგებდა.

რა შედეგები მოიტანა „სხვისი ჭკუით სიარულმა“, სრულიად აშკარაა დღეს, პირველ ყოვლისა იმათთვის, ვინც იცის, რას ემსახურება და რა ამოცანები დგას განათლების სისტემის წინაშე, ჩვენთანაც და სხვაგანაც.

ჩვენს მკითხველს იმის შეხსენება არც სჭირდება, რა კარდინალური ამოცანა დგას, ან უნდა იდგეს ნებისმიერი მიმართულებისა და დონის საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე, მაგრამ მაინც ვიტყვი: პიროვნების სოციალური განვითარების ამოცანა! ამ ამოცანის შინაარსს, გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს იკვლევს და შესაბამის თეორიულ საფუძვლებს ქმნის პედაგოგიკა და სწორედ პედაგოგიკაა პიროვნების სოციალური განვითარების მეცნიერება. იმის ცოდნაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგიკა ინტეგრირებული მეცნიერებაა, რომელიც თავის კვლევა-ძიებებში ეფუძნება ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ბიოლოგიის, მედიცინისა და იურისპრუდენციის მეცნიერებათა მონაპოვრებს, დასკვნებსა და დებულებებს. პიროვნების სოციალური განვითარების ამოცანის სირთულე განსაზღვრავს სწორედ ამ მეცნიერების შინაარსის ინტეგრირებულობის ხარისხს.

კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს პროფესიონალი მკითხველების წინაშე და აქვე დავძენ, რომ წინა აზრებში გადმოცემული სენტენცია მათ საყურადღებოდ არ დამიწერია. ეს განათლების დარგის იმ ხელმძღვანელების საყურადღებოდ მოვიხმე, რომლებსაც ზერელე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ და ბევრს არც ახლა აქვს, არც პიროვნების სოციალური განვითარების კანონებსა და კანონზომიერებებზე, არც სასწავლო დაწესებულებების სოციალურ და აკადემიურ ფუნქციებზე, არც საზოგადოებრივ-სახელმწიფო დაკვეთაზე და, მითუმეტეს, არც ეროვნულ დანიშნულებაზე.

დღეს, როდესაც ამდენი ხნის განმავლობაში, ყოველწლიურად, ალბათ, მეოცეჯერ გამოცხადებულ საგანმანათლებლო რეფორმების სავალალო შედეგებს ვაანალიზებ, ვხედავ, რომ პედაგოგიკის, ანუ პიროვნების სოციალური განვითარების მეცნიერება ისევე იჩაგრება, როგორც გერი ავი დედინაცვლის ხელში. ამიტომ მინდოდა ამ სტატიისათვის „პედაგოგიკის ჩაგვრა – 2“ დამერქმია, მაგრამ ამან ჩემში, რატომღაც „რუსთავი - 2“-ის ასოციაცია აღძრა და განზრახვაზე ცივად ავიღე ხელი.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ე.წ. დამოუკიდებლობის 'მოპოვების' შემდეგ, ბუნებრივია, ბევრი რამის გადაფასება მოხდა და აუცილებელიც იყო რადიკალური ცვლილებების განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, პირველ რიგში კი განათლების მიმართულებით.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სრულიად აშკარა გახდა საბჭოთა სკოლის არსებითი ნაკლი – მონოვარიანტულობა. საბჭოთა სასკოლო სისტემა სრულყოფილად ვეღარ ასრულებდა მასზე დაკისრებულ სოციალურ და (შემდგომში სავალდებულო) საშუალო განათლების პრაქტიკამ ერთვარიანტული სკოლის პირობებში ხალხის საერთო განათლების დონე იმდენად დასცა, რომ თერთმეტწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა უდიდესი უმრავლესობის ცოდნა დაწყებითი (ოთხწლიანი) სკოლის საპროგრამო მოთხოვნებს ვეღარ გასცდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თერთმეტწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა უდიდეს ნაწილს არ შეეძლო მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის საფუძველზე ელემენტარული ამოცანის გადაწყვეტა, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თერთმეტწლიანი კურსის გავლისა და, შესაბამისად, დადებითი შეფასების მქონე ახალგაზრდა, უშეცდომოდ საკუთარ ბიოგრაფიასაც ვერ წერდა.

ამ მდგომარეობას ხედავდნენ და ცდილობდნენ გამოსავლის მოძებნას იმდროინდელი განათლების მეცნიერების წარმომადგენლები, იქმნებოდა ახლებური კონცეფციები, მრავალვარიანტული სკოლის მოდელები, მოსწავლეთა ინდივიდუალური მონაცემების შესაბამისი დიფერენცირებული სწავლების ათასგვარი ვარიანტები. საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერების ნოვატორული თეორიები დიდი წარმატებით გამოიყენებოდა უცხოეთში, მაგრამ ჩვენში არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და მკაცრი იდეოლოგიურ-პოლიტიკური საფუძვლების გამო ვერც ნოვატორული იდეების რეალიზაცია მოხდა და, ცხადია, ვერც მყარად დამკვიდრებული მონოვარიანტული სკოლის სისტემა შეიცვალა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და მისი სოციალურ-პოლიტიკური იდეოლოგიის უარყოფის შემდეგ, განათლების დარგში უპირველესი აქტუალური ამოცანა გახდა მონოვარიანტული განათლების სისტემის მრავალვარიანტულით შეცვლა. ჩვენში კი რა მოხდა? დაიწყო პერმანენტული სასკოლო (საგანმანათლებლო) რეფორმები ყოველგვარი მეცნიერულ კონცეფციებისა და ექსპერიმენტული, თუ ლოგიკურ-თეორიული დასაბუთების გარეშე.

განათლების სამინისტროს პირველივე სარეფორმო დირექტივამ აშკარა გახადა, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო ოკეანესგაღმელი „მეგობრების“ საექვო რეკომენდაციებს ასრულებდა. ასე იქცა 1992-1993 წლებიდან ბიჰევიორიზმის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თეორია განათლების ერთადერთ და შეუვალ საფუძვლად. განათლების მესვეურებსა და პედაგოგიკის ახლადგამოჩეკილ „მეცნიერებს“ პირზე ეკერათ „ბიჰევიორიზმი“ და ათასობით პედაგოგს ცხვირში სტენიდნენ მას, როგორც პანაცეას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბიჰევიორისტულ „პრინციპზე“ შექმნილმა ახალმა სახელმძღვანელოებმა ანეკდოტურ კურიოზებამდე მიიყვანა სასწავლო პროცესი და ცივი წყალი გადაასხა ამ „ახალი“ მეთოდის აპოლოგეტებს.

ბიჰევიორისტული მიდგომები და მეთოდები უსარგებლო და აბუჩადასაგდები როდია. იგი შეუცვლელი და მაღალეფექტურია სწავლებაშიც და აღზრდის პროცესშიც იქ

და მაშინ, როდესაც ამ მეთოდის გამოყენება გარანტირებულად ეფექტიანია, მაგრამ ის რომ გაიგო, სად არის ეს „იქ“ და როდის არის „მაშინ“, პედაგოგიკის, ანუ პიროვნების სოციალური განვითარების, თეორიის ცოდნაა საჭირო, რაც, ცხადია, „სხვისი ჭკუით მოსიარულებს“ არ ჰქონდათ და თუთიყუშოვით იმეორებდნენ იმას, რასაც უცხოელი ჭკუისდამრიგებლები ჩასძახოდნენ. განათლების მეცნიერების უგულვებელყოფელებმა არ იცოდნენ (არც ახლა იციან!) პედაგოგიკის დიდი კლასიკოსის იან ამოს კომენსკის უკვდავი შეფასება: „სკოლა უთეოროდ იგივეა, რაც წისქვილი უწყლოდ!“ ქარის წისქვილი არ ჰქონდა მხედველობაში დიდ კლასიკოს პედაგოგს, არც დენისა, ჰო, და პედაგოგიკის მჩაგვრელთა ხელში ჩვენი სკოლა იმ წისქვილს დაემგვანა, რომელიც იმ ხორბალს ვეღარ ფქვავს, რისგანაც ხეირიანი პურის გამოცხოვა შეიძლება.

სკოლის, როგორც პიროვნების სოციალური განვითარების დაწესებულების, სრული დეგრადაცია მაშინ დაიწყო, როდესაც ჩვენმა „რეფორმატორებმა“, ანუ დეფორმატორებმა აღზრდის სისტემა უარყვეს. სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი მოზარდი თაობის ზნეობრივ-ინტელექტუალური გენოციდი.

რა არგუმენტი შეაჩერეს ჩვენი განათლების სისტემის მესვეურებს უცხოელმა დამრიგებლებმა? რა და, აღზრდა პიროვნებაზე ძალადობააო, ჩვენ კი თავისუფალი პიროვნება უნდა განვაავითაროთ! რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოში სხვისი კარნახის გარეშე შეეძლება არჩევანის გაკეთებაო (ამ რჩევასა თუ მითითებას იმ ქვეყნის წარმომადგენლები იძლევიან, სადაც ტუალეტის ქაღალდსაც კი ვერ ირჩევენ სხვისი რეკომენდაციის გარეშე. მთელი ქვეყანა რეკლამას რომ აქვს წალეკილი, რა არის ეს, თუ არა მასებზე მასობრივი ზემოქმედების საშუალება, რომელმაც არჩევანი უნდა გააკეთებინოს ადამიანს!).

აღზრდა და განვითარება ერთი და იგივე რომ არ არის, ეს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელმაც უნდა იცოდეს. აბა, ვნახოთ ტერმინ „აღზრდის“ განსაზღვრება: აღზრდა არის აღსაზრდელზე აღმზრდელის მიზანმიმართული, სისტემატური ზემოქმედების პროცესი, ბავშვში (მოზარდში) დადებითი სოციალური თვისებების ჩამოყალიბების მიზნით. ჩვენს მკითხველს არ ვგულისხმობ, მაგრამ განათლების მესვეურთაგან არა მგონია, ყველამ იცოდეს რა სოციალური თვისებები იგულისხმება „აღზრდის“ განსაზღვრებაში. ამიტომ შევახსენებ მათ: ნებისყოფა, პასუხისმგებლობა, პიროვნული მიკუთვნებულობა, საარგებლოსა და საზიანოს გაცნობიერება, პატრიოტიზმი, მსოფლმხედველობა და ა.შ. და ა.შ. აბა, ერთი აგვიხსნას ვინმემ, რომელი ამ თვისებათაგანია განვითარების და არა აღზრდის შედეგი?

სულელი უნდა იყოს ის პედაგოგი, რომელსაც ჰგონია, რომ ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი სოციალური თვისება-ნებისყოფა აკრძალვებისა და იძულების გარეშე შეიძლება ჩამოყალიბდეს. მით უფრო, ეს ითქმის იმ პედაგოგზე, ვისაც მეცნიერობის პრეტენზია, თუ ილუზია აქვს.

მთელი კლასიკური პედაგოგიკა, კვინტილიანედან დაწყებული დღემდე, აღზრდას მიიჩნევს ადამიანის ნაშეირის ადამიანად გადაქცევის უმთავრეს (ან ერთადერთ) საშუალებად. მხოლოდ ნეოლიბერალური იდეოლოგია მიიჩნევს აღზრდას ბავშვის პიროვნებაზე ძალადობად. დიდად სამწუხაროა, რომ ჩვენი „განმანათლებლები“ ნეოლიბერალიზმის ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

მეცნიერების უარყოფამ და ნეოლიბერალთა ახირებებს აყოლამ კატასტროფამდე მიიყვანა ჩვენი განათლების სისტემა და მთლიანად ქართველი ერის დიდი ნაწილის პოზიტიური ცნობიერება. რახან აღზრდა ბავშვის პიროვნებაზე ძალადობად მიიჩნიეს, ბუნებრივია, ნეოლიბერალურ საგანმანათლებლო კონცეფციებში მისი ადგილი ვერ მოინახებოდა. ამიტომ, ტერმინი „აღზრდა“ გაქრა სასკოლო დოკუმენტაციებში და ნეოლიბერალურ „პედაგოგიკაში“.

ნებისმიერი პედაგოგი მიზანმიმართულად, თუ სულაც სპონტანურად გავლენას ახდენს მოსწავლეზე. ეს არის პიროვნებათაშორისი ურთიერთობების შედეგი, რომელიც შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც, რაც პედაგოგის, როგორც სუბიექტის, პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული. ეს ობიექტურად ასეა და მოცემულობად უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ სკოლა, როგორც აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონტექსტი, როგორ განახორციელებს ერთიან პედაგოგიურ მიდგომას ერთიანი პედაგოგიური მოთხოვნების გარეშე? ვერ განახორციელებს, რადგან სკოლა მნიშვნელოვანწილად დაკარგავს მოზარდის სოციალურ განვითარებაზე გავლენას, რაც მას ერთ-ერთი უმთავრესი პედაგოგიური ფუნქციის გარეშე დატოვებს. ასეც მოხდა!

რა შედეგები მოჰყვა სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის დაკარგვას, ანუ იმას, რომ სკოლა აღარ არის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება?

პირველი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ სკოლა ვეღარ ახორციელებს მოზარდის ზნეობრივ ჩამოყალიბების მიზანმიმართულ პროცესს და ვერ ამკვიდრებს მოზარდის პიროვნებაში ავისა და კარგის, სიკეთისა და ბოროტების ისტერიულად ჩამოყალიბებული გაგების შესაბამის შეგნებას და ამის საფუძველზე საზოგადოებაში მის ჰუმანურ და ჰუმანისტურ ორიენტაციებს. ეს უკვე იწვევს და მომავალში უფრო აშკარად გამოიწვევს საზოგადოების დეჰუმანიზაციას, რაც საზოგადოებრივი ურთიერთობების ეროზიის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამის ნიშნები უკვე შეინიშნება და ახლო მომავალში უფრო აშკარა გახდება საზოგადოების დეჰუმანიზაციაც და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეროზიაც.

მოზარდი თაობის სისტემური აღზრდის პრაქტიკის მოშლა რაიმე ერთჯერად ნეგატიურ გამოვლინებას როდი განაპირობებს, იგი კომპლექსურად ვლინდება სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. პირველ ყოვლისა ეს გამოჩნდა პიროვნულ ურთიერთობათა დამკვიდრებული იერარქიის თანდათან მოშლის ტენდენციებში.

პედაგოგიკის მეცნიერებაში დღემდე უდავოდ არის მიჩნეული, რომ პიროვნების სოციალური განვითარების პროცესში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იდეალთან მოზარდის დამოკიდებულებას. იდეალის გავლენით ყალიბდება მოზარდში ბევრი ღირებული თვისება. პიროვნების სოციალურ-ფსიქიკური განვითარების დინამიკა იმაშიც ვლინდება, რომ იცვლება, ან ტრანსფორმირდება იდეალები. იდეალების ცვლა ზოგჯერ მის მსხვრევასთან არის დაკავშირებული, რაც აღზრდაში დაშვებული შეცდომების, ან, სულაც მოშლის შედეგია. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია პიროვნების განვითარების დეფორმირება, ან, გამრუდება, რაც ფრიად ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს, თუ პიროვნების ხელახალი აღზრდის პრობლემა არ გადაწყდა ოჯახში, ან, სასწავლო დაწესებულებაში. ბავშვისა და მოზარდის პიროვნული იდეალების ცვლილება (ზოგჯერ რადიკალურიც) სრულიად ბუნებრივი მოვლენაა გარდამავალ ასაკში, მაგრამ, ამ მხრივ, წარმოშობილი

სიძნელეები ადვილად დაიძლევა სისტემური აღზრდის პროცესში და, როგორც წესი, ნეგატიურ კვალს არ დატოვებს პიროვნების შემდგომ განვითარებაზე. აღზრდისუწყვეტ-დაკარგულ სკოლაში როგორ გადაწყდება ეს ამოცანა? მით უფრო მაშინ, როდესაც გაბატონებული ნეოლიბერალური მიდგომები თითქმის სრულიად ათავისუფლებს მოზარდს პედაგოგისა და მთლიანად პედაგოგიური კოლექტივის მაკორექტირებელი ზეგავლენისაგან. ეს სრულიად ბუნებრივია ისეთ პირობებში, როდესაც ბავშვის უფლებები რაოდენობრივად ბევრად აჭარბებს მის მოვალეობებს. ვინც კარგად გაეცნობა ბავშვის უფლებების დეკლარაციას, ადვილად დარწმუნდება ამაში.

რა გამოიწვია ბავშვის უფლებების ნეოლიბერალური კონცეფციის დამკვიდრებამ სკოლაში? ტრადიციული დისციპლინის მოშლა!

პიროვნების განვითარებაზე რაიმე დადებითი ზეგავლენის მოხდენა, მის შეგნებასა და ქცევებში პოზიტიური გამოვლინებების დამკვიდრება მხოლოდ დისციპლინის პირობებშია შესაძლებელი („დისციპლინა“ და „რეჟიმი“ ერთი და იგივე არავის ეგონოს!). მერე და, ვინ უნდა უზრუნველყოს დისციპლინა სკოლაში? პედაგოგმა ხომ არა, რომლის კანონიკური დებულებებითა და ინსტრუქციებით განსაზღვრული მოვალეობები ბევრჯერ მეტია, ვიდრე უფლებები? ანდა, დისციპლინა ვის უნდა დაუწესო, იმ მოსწავლეებს ხომ არა, რომელთა უფლებები ბევრად მეტია მათ მოვალეობებზე?

ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა მაშინ არის სოციალურად ღირებული და ეფექტიანი, როდესაც მათ ზუსტად იმდენი უფლება აქვს, რამდენიც მოვალეობა; პიროვნების სრულყოფილი სოციალური განვითარება სწორედ მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც მისი უფლება-მოვალეობანი განსაზღვრავს მის მთელ მოქმედიანობას და ეს მაშინ ხდება, როდესაც მას იმდენი უფლება აქვს, რამდენი მოვალეობაც. „უფლება იწვევს მოვალეობას, მოვალეობა კი უფლებას“, – ეს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში იცოდნენ.

მასწავლებელი უკვე აღარ არის ავტორიტეტი სკოლაში! ანდა ავტორიტეტი როგორ იქნება, როცა ბავშვს უფლება აქვს ხმაურით აიკლოს მთელი კლასი, მასწავლებელს კი უფლება არ აქვს ხმამაღლა მისცეს შენიშვნა მას!

კიდევ ვიმეორებ: ნეოლიბერალიზმის ტყვეობაში მყოფ განათლების დარგის მუშაკებს ერთმანეთში ერევათ სიმკაცრე და სისასტიკე. სიმკაცრე სიძულვილისა და ნეგატიური განწყობილების გამოხატვა როდია, პირიქით: რაც უფრო მეტ პატივს სცემ მოსწავლეს, მით უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებ მას. არამარტო მოსწავლეებთან მიმართებაშია ეს ასე, არამედ საერთოდაც, რადგან პიროვნების პატივისცემა და მის მიმართ საზოგადოებრივი მომთხოვნელობა მედლის ორი მხარეა.

პიროვნების სოციალური განვითარების თეორიაში (პედაგოგიკაში!) არის ისეთი ფუნდამენტული პრინციპი – მოსწავლის პიროვნების პატივისცემა და მისდამი მკაცრი მომთხოვნელობის პრინციპი. პრინციპი კი არსებობს, მაგრამ წაკითხვა და ცოდნა უნდა ამას, თუმცა მარტო წაკითხვით ამას ვერ გაიგებს მავანი, რატომ უკავშირდება პიროვნების პატივისცემას მკაცრი მომთხოვნელობა. საამისოდ საჭიროა იმის ცოდნაც, თუ რას ეფუძნება პიროვნების თვითშეფასება და რა შინაარსი აქვს „თავმოყვარეობასა“ და „სიამაყეს“ პიროვნების სტრუქტურაში.

შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ მე მიზნად ვისახავ განათლების დარგის მესვეურებს პედაგოგიკა ვასწავლო. არა, ასეთი მიზანი არ მაქვს და ვერც მექნება ამ სტატიის

მოცულობისა და პოტენციურ „მოსწავლეთა“ სურვილის არარსებობის გამო, თუმცა უპრიანი კი იქნებოდა. ჩვენი განათლების ერთ-ერთი მინისტრი თანამდებობიდან რომ გაათავისუფლეს იმ მიზეზით, რომ უცხოეთში ვაგზავნიტ განათლების მისაღებად, ხალხმა ეს არასერიოზულად და სასაცილოდ მიიღო: განათლების მინისტრი განათლების მისაღებად გააგზავნესო! სასაცილო არაფერი იყო. იმ უბედურს ნამდვილად სჭირდებოდა განათლება, მაგრამ იმან, რომ „იქ“ განათლება მიიღო, მტერმა მიიღოს ისეთი! მის განათლებას ყოველდღე უცქერიან ჰა, თუ ტელეეკრანზე და ჰა, თუ მიტინგზე!

ეს ლირიკულ გადახვევად ჩამითვალეთ, მაგრამ რა ლირიკა შეიძლება იყოს იქ, სადაც განათლების დარგის ხელმძღვანელობას განათლების მეცნიერებაში ჩაუხედავ ადამიანს ანდობენ და სადაც პედაგოგიკა ასე უმოწყალოდ იჩაგრება.

მოსწავლის პიროვნების სოციალური განვითარების პროცესის ყველა დეტალსა და ნიუანსს ვერ შევხები იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის პედაგოგიკის მეცნიერება უგულვებელყოფილი და რა სავალალო შედეგები უკვე მოჰყვა ამას. ვერც იმის სრულ სურათს ვაჩვენებ მკითხველს, თუ როგორ აბუჩად აიგდეს ქართული პედაგოგიკის მეცნიერების მრავალწლიანი გამოცდილება და მონაპოვრები, ისეთებიც კი, რასაც საერთაშორისო რეზონანსები ჰქონდა და რის გასაცნობად და გასაზიარებლად დასტა-დასტად მოდიოდნენ უცხოელები, მათ შორის, დღევანდელი ჩვენი „სტრატეგიული მეგობრები“ და „დამრიგებლები“.

ერთ ყველასათვის ცნობილ მაგალითს გავიხსენებ, რაც კლასიკური მაგალითია იმისა, თუ რა ზიანი შეუძლია მიაყენოს სკოლას, მილიონობით მოსწავლეს ერთმა უვიცმა კაცმა, რომელიც შეიძლება განათლების მინისტრის სავარძელში იჯდეს, მით უფრო, თუ მას გარს ახვევია თავისნაირი „პროფესიონალები“ ან მედროვე მლიქვნელები...

ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში იმდროინდელი პრეზიდენტი სტუმრად მივიდა თავის მშობლიურ სკოლაში, პედაგოგიურ კოლექტივს შეხვდა და ასეთი რამ ბრძანა: მე ხშირად მესმის საყვედურები თორმეტწლიანი სწავლების შესახებ და მართლაც უხერხულია 18-19 წლის ახალგაზრდა სკოლის მერხთან იჯდეს და გაკვეთილს ისმენდესო. ამიტომო, - დაასკვნა პრეზიდენტმა, - მოდიო, ხუთი წლის ასაკის ბავშვები მივიღოთ სკოლაში, ერთი წლით ადრე დაამთავრებენ და უხერხულობაც მოიხსნებაო.

პრეზიდენტს იმ სკოლაში ვიზიტისას ახლდა განათლებისა და მეცნიერების (!) მინისტრი დიმიტრი შაშკინი, რომელსაც მხოლოდ ციხეებსა და საპატიმროებში მუშაობის გამოცდილება ჰქონდა (როგორი ხარისხის გამოცდილება იყო ეს, არ ვიცი და არც მევალება ვიცოდე!). შაშკინმა, ბუნებრივია, პრეზიდენტისა და მისი ბელადის მიერ გამოთქმული მოსაზრება დირექტივად მიიღო და სამინისტროში მიბრუნებისთანავე დაწერა ბრძანება: აწი ხუთი წლის ასაკის ბავშვებს მივიღებთ სკოლაშიო. მიიღეს კიდეც, ანუ, სასკოლო სწავლების დაწყება ხუთი წლის ბავშვებისათვის დაკანონდა!

არავის მოსვლია აზრად, განათლების დარგის მეცნიერებისათვის ეკითხა, სწავლის დაწყების ასაკის ერთი წლით შემცირება რაიმე უხერხულობას ხომ არ შექმნისო. განათლების დარგის მაშინდელი ხელმძღვანელებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ბავშვის ინტელექტისა და შემეცნების უნარების განვითარების პროცესზე, მისი განვითარების დიალექტიკაზე, გაგონილიც არ ჰქონდათ, ალბათ, „სწავლისათვის მზაობის“ ცნება, მისი შინაარსის რაობაზე რომ არაფერი ვთქვათ.

მეცნიერების გვერდის ავლით, ასეთმა ვოლუნტარისტულმა გადაწყვეტილებებმა სწავლის დაწყებისა, თუ რომელიმე სასწავლო დისციპლინის სწავლების შინაარსის ცვლილებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ერთობ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. ჩვენში არავის გამოუკვლევია, რა ნეგატიური კვალი დაამჩნია სასკოლო სწავლის ასაკის ერთი წლით შემცირებამ ათასობით ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე, ან, ვინ გამოიკვლევდა ამას, როდესაც პედაგოგიკის მეცნიერებათა ძირითადი კერა, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დიდი ხანია ფაქტობრივად გაუქმებულია.

ქართული პედაგოგიკის აბუჩად აგდებისა და მისი ისტორიული გამოცდილების ათეული წლების განმავლობაში, მეცნიერთა მთელი თაობების კვლევა-ძიების შედეგად მიღწეული შედეგების უგულებელყოფის დემონსტრირება იყო „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ განათლების სამინისტროში ახლად მოვლენილი ხელმძღვანელი გუნდის მოქმედება.

ჩვენმა ჯგუფმა (პროფ. რ. ბალანჩივაძემ, პროფ. ო. ალავეძემ, ცნობილმა ჟურნალისტმა და გამომცემელმა ზ. ქობალიამ და ამ სტატიის ავტორმა) გამოაქვეყნა ღია წერილი განათლების ახლადდანიშნული მინისტრის სახელზე, სადაც გახმაურებული იყო ერთადერთი მოთხოვნა - შემწყდარიყო ქართული პედაგოგიკის უგულებელყოფა და აბუჩად აგდება. დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ხუთწლიანი ბავშვების სკოლაში მიღების მავნე პრაქტიკა. ამ წერილმა ის შედეგი გამოიღო, რომ ავტორთა ჯგუფი სამინისტროში მიგვიწვიეს, სადაც შევხვდით მინისტრის მოადგილეებს და ... ვისაუბრეთ! ხუთწლიანი ბავშვების სკოლაში მიღება კი ძველებურად გაგრძელდა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ, გაზეთში გამოქვეყნდა განათლების სამინისტროს განცხადება, რომელიც, თუ მომავალში უვიცობის მუხეუმი გაიხსნება, ის „ოქროს ფონდში“ მოხვდება უთუოდ. რას გვაუწყებდა განათლების სამინისტრო? რას და განათლების სამინისტროს ხელმძღვანელები „აზრზე მოსულან“ და ეჭვი გასჩენიათ, ხუთი წლის ასაკის ბავშვის სასკოლო სწავლის დაწყების თაობაზე (მტერი არ არის მეტი, ისინი დამოუკიდებლად არ მოსულან აზრზე, ისინი „აზრზე მოიყვანეს“ მათმა უცხოელმა მრჩეველებმა, თუ უფროსებმა!) და გადაუწყვეტიათ, რჩევა ეკითხათ უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტებისათვის. მოუწვევიათ კიდევ ევროკავშირის ქვეყნებიდან მცოდნე ხალხი, ერთი-ორი აქაური მეცნიერიც (ნეტავი ვინ იყო ის „ერთი-ორი“?) და დაუდგენიათ, რომ სწავლა ექსი წლის ასაკში უნდა იწყებოდეს!

ვაჟა, ჩქიმ ცოდა! ვაი, ჩვენს პატრონს! სხვა რა უნდა თქვას კაცმა განათლების სამინისტროს ამ „ინიციატივაზე“?

ამ უბედურ დღეზე გაჩენილებს, ან ევროკავშირში რა მიაღწევენ, ან ნატოში, დაერეკათ პედაგოგიკის ფაქტობრივად გაუქმებულ ინსტიტუტში და სხვა თუ არავინ დახვდებოდათ, დამლაგებელი ქალბატონი იზო მაინც იქნებოდა იქ და ეკითხათ მისთვის, რაიმე მეცნიერული რეკომენდაციები ხომ არ არსებობს ექვსწლიანთა სწავლის შესახებ ინსტიტუტში. ქალბატონი იზო უშეცდომოდ ეტყოდა, რომ ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი სამი წლის განმავლობაში ექსპერიმენტულად იკვლევდა ექვსწლიანი ბავშვების სწავლისათვის მზაობის პრობლემას საქართველოს თხუთმეტი რაიონის 70-მდე სკოლაში. ამ ინფორმაციის შემდეგ, ადვილად შესძლებდნენ დაკავშირებოდნენ იმათ, ვისაც „ჯერ არს“

და სრულიად უსასყიდლოდ მიიღებდნენ არა მარტო საჭირო ინფორმაციებს, არამედ აპრობირებულ, საქვეყნოდ გავრცელებულ მეცნიერულ რეკომენდაციებსაც.

ეს, ერთგვარად, სარკასტული კომენტარი იმ უაზრო „აქტივობის“, დასახასიათებლად დამჭირდა, რაც სკოლაში ხუთწლიან ბავშვთა მიღების პრაქტიკიდან, უკან, აპრობირებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ პრაქტიკასთან დაბრუნებას უკავშირდება. უფრო სერიოზულად თუ ვიტყვით, გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც იმდროინდელ საბჭოთა კავშირში სასკოლო სწავლის ასაკის ერთი წლით შემცირების იდეა გაჩნდა, რაც ბავშვების განვითარებაში უკვე საყოველთაოდ დადგენილ აქსელერაციის (აქცელერაციის!) მოვლენას უკავშირდებოდა, საამისო ექსპერიმენტალური კვლევა საქართველომ იკისრა. სამი წლის განმავლობაში ფართო საექსპერიმენტო მუშაობა განხორციელდა, რამაც საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა. ამ კვლევაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერი პედაგოგები და ფსიქოლოგები, მასობრივი ტირაჟებით გამოიცა კვლევის შედეგები, მეცნიერული განზოგადებები და მათზე დაფუძნებული დასკვნები და რეკომენდაციები. ამ ექსპერიმენტული კვლევის შედეგები გაიზიარა საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიამ და შესაბამისი რეკომენდაცია მისცა ხელისუფლებას. ამგვარი მოსამზადებელი საქმიანობის შემდეგ მთელი კავშირის მასშტაბით სწავლის დაწყების ასაკი ერთი წლით შემცირდა.

ექსპერიმენტული კვლევის პროცესში და მის შემდეგ, ჩვენში და მთლიანად კავშირში დამუშავდა და გამოიცა დიდი რაოდენობით მეთოდოლოგიური ლიტერატურა ექვსწლიანთა სწავლებისა და აზრდის პრინციპებზე, ექვსწლიანთა კოგნიტური (შემეცნებითი) უნარების განვითარებაზე, სწავლის პროცესის ორგანიზაციაზე და ა.შ. ჩამოყალიბდა ექვსწლიანთა სწავლების ორგანიზაციის ორიგინალური მოდელები და ბევრი სხვა რამეც, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოეთშიც. ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან განათლების მუშაკთა დელეგაციები ექვსწლიანთა სწავლების ორგანიზაციისა და მეთოდების გასაცნობად. ბევრი ქართველი მეცნიერის ნაშრომი გამოქვეყნდა უცხოეთში.

ყველაფერი ეს უცნობი იყო ჩვენი განათლების მესვეურებისათვის? მინისტრები თუ არაპროფესიონალები იყვნენ (მაგალითად, იურისტები, ფინანსისტები, პოლიციელები, სანტექნიკოსები და ა.შ.), სამინისტროს ყველა თანამშრომელს ამნეზია ჰქონდა? იქნებ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ და აქვთ ქართულ პედაგოგიკასთან? იქნებ პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ჩვენი განათლების სისტემის გენერალური შტაბის ფუნქციას ასრულებდა, ეკონომიკურად ზარალიანი დაწესებულება იყო?

ახლა, ფაქტობრივად გაუქმებული პედაგოგიკის ინსტიტუტის შენობაში შემოსახლებულია და ფუნქციონირებს პოლიტოლოგიის ინსტიტუტი!!!!?? რომლის „კვლევის“ შედეგები „დიდ გავლენას“ ახდენს საქართველოს „საშინაო“ და „საგარეო პოლიტიკაზე!“ ისევ, ვაი ჩვენს პატრონს! „ვავა, ჩქიმ ცოდა“! სხვა რა უნდა ითქვას, თუ ამოიძახოს ამ ჩაგვრის შემყურე ადამიანმა?

ადარ არსებობს განათლების სისტემაში ისეთი სფერო, მასწავლებლებისა თუ მოსწავლეთა საქმიანობის ისეთი მხარე, რაც მეცნიერულ საფუძველზე იმართება და კორექტირდება. მხოლოდ უცხოელთა ზერელე რჩევები და ხშირად სრულიად მიუღებელი რეკომენდაციები მიაჩნიათ პანაცეად და არავინ არკვევს იმას, უცხოეთიდან თავს მოხვეული რეკომენდაციები მეცნიერულია, თუ სულაც ანტიმეცნიერული.

ყველაფრის თავიდათავი სახელმწიფო პოლიტიკაა, რომელიც აგერ უკვე სამი ათეული წელია მთელი მსოფლიოს გასაგონად ღაღადებს: ჩვენ წარმოშობით ევროპელები ვართ და ევროპაში, ჩვენს მშობლიურ ოჯახში დაბრუნება გვინდა და ამ დაბრუნებაში ჩვენი ევრო-ატლანტიკელი მეგობრები უნდა დაგვეხმარონ. ყელგამოწვდილი ეხვეწებიან დასავლელ „სტრატეგიულ მეგობრებს“, დაგვიჯერეთ, ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი ევროპული ღირებულებებიაო (ნეტავი, ვინმე ფილოსოფოსი ამიხსნიდეს, რა არის ეს კონტინენტური ღირებულებანი!). ჩვენი მედასავლეთე პოლიტიკოსები ამით იმას ეუბნებიან მათ, რომ ჩვენც თქვენნაირები გვინდა გავხდეთ და დაგვეხმარეთ ამ მადლიან საქმეშიო. დასავლეთმაც შეისმინა ჩვენი ღაღადი და აქტიურად ცდილობს დაგვიმსგავსოს.

ეს ამოცანა მხოლოდ სკოლაში და სკოლამდელ დაწესებულებებში შეიძლება გადაწყდეს. სახელმწიფოს ხვალინდელი დღე ხომ სკოლაში იჭედება! ცხადია, ქართული მეცნიერული თუ ხალხური პედაგოგიკა არ გამოდგებოდა ქართველების ფრანგებად თუ ჰოლანდიელებად გადაკეთების საქმეში. ის გაუთავებელი, ყოველწლიური რეფორმები ამიტომ „ხორციელდებოდა“ და „ხორციელდება“ მხოლოდ უცხოური კონცეფციების შესაბამისად. სწორედ ამიტომ ამოშალეს აღზრდის ტრადიციული სისტემა და სპონტანურად შემოაქვთ ისეთი რეკომენდაციები, რაც უსისტემოდ, მაგრამ დაბეჯითებით ნერგავს მოზარდ თაობებში ნეოლიბერალურ იდეოლოგიასა და ქცევებს.

დასავლეთის საგანმანათლებლო თეორიიდან და პრაქტიკიდან ხანდახან საყურადღებო რჩევებსა და რეკომენდაციებსაც გვიგზავნიან და ევროპაში აპრობირებული კონცეფციების დანერგვასაც ცდილობენ ხოლმე, მაგრამ დადებითი შედეგი ჯერ არავის უნახავს. ერთი ქართული ანდაზა მახსენდება: „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო“. ის, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს ბელგიელი თუ ავსტრიელი, ფრანგი თუ ინგლისელი ბავშვებისათვის მისი პიროვნების სოციალური განვითარების პროცესში, შეიძლება უარყოფითი, ან, სულაც მავნე გამოდგეს ქართველი ბავშვისათვის, რადგან პიროვნების ქმნადობის რთულ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთნოფსიქიკურ თავისებურებებს.

ქართული პედაგოგიური აზრის უგულებელყოფას, მის უმოწყალო ჩაგვრას სკოლაში, ორი ძირითადი ფაქტი უწყობს ხელს: უვიცობა და ანგარება. უვიცობა ჩვენში უხვად არის და მის მოზიდვა-გამოყენებას არანაირი ფინანსები არ სჭირდება, მაგრამ, რადგან მხოლოდ უვიცების იმედზე ვერც ჩვენი განმანათლებლები და ვერც დასავლელი „სტრატეგიული მეგობრები“ დარჩებოდნენ, საჭირო გახდა მცოდნეთა გამოყენებაც, იმ მსუყე გრანტების საშუალებით, რაც იმ ქვეყნებიდან მოედინება, რომლებსაც ძალიან სურთ, რომ მათ „ჭკუაზე ვიაროთ“. რატომ? ეს ცალკე განსახილველი თემაა.

პედაგოგიკა რომ უსარგებლო მეცნიერებად მიიჩნიეს, სრულიად ლოგიკურია მას შემდეგ, რაც ჩვენში მასწავლებლის პროფესია პროფესიად აღარ ითვლება. ამიტომ არის, რომ გაუქმდა პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებდნენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში - თელავში, თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. „რომელიმე საგანი თუ ისწავლე, მისი სწავლება რა პრობლემაა!“ ეს ჩაუჭედეს თავში ჩვენს „განმანათლებლებს“ მათმა უცხოელმა სტრატეგიულმა დამრიგებლებმა. ეს არის სრული უცოდინარობა იმ პროცესისა, რომელიც გულისხმობს უცოდინარობიდან ცოდნამდე მიყვანას კონკრეტულად განსაზღვრულ დროსა

და სივრცეში. ამ სტატიაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის დაწვრილებით ახსნა, თუ რა შინაარსი აქვს სწავლების რთულ პროცესს და როგორია მისი განვითარების ლოგიკა და დინამიკა. იმათ გასაგონად კი, განათლების სისტემის საჭესთან რომ დგანან, მოკლედ ვიტყვი, რომ სწავლება ქცევის სხვა ფორმაა, რომელიც არსებითად განსხვავდება ამა თუ იმ საგნის ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობისაგან.

დღეს სკოლისათვის, მისი ბუნებრივი ფუნქციის დაბრუნება ყველაზე აქტუალური ეროვნული პრობლემაა, რომელიც ვერ გადაწყდება განათლების მეცნიერებისადმი იმ ნდობისა და პატივისცემის აღდგენის გარეშე, რომელიც მას ჰქონდა მრავალი საუკუნის განმავლობაში.

**ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს
განათლების მეცნიერებათა აკადემიის
წევრი, იაკობ გოგებაშვილის პირველი
ხარისხის პრემიის ლაურეატი**

P.S. დავაწმომოხილ მეცნიერს და პედაგოგს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ ზურაბ ცუცქირიძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია გულითადად ვულოცავთ ბატონ ზურაბს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ მხნეობას და წარმატებს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მეცნიერის გახსენება

ლია მენტეშაშვილი
პედაგოგიკის დოქტორი

ვლადიმერ გაგუა და ქართული პედაგოგიური მეცნიერება

ოცი წელი გავიდა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის (წარსულში პედაგოგიკის მეცნიერებათა) ერთ-ერთი დამფუძნებლის და ვიცე-პრეზიდენტის ვლადიმერ გაგუას გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი პედაგოგიური შეხედულებები დღესაც აქტუალურია და მისი მონოგრაფიები სამაგიდე წიგნებადაა ქცეული პედაგოგიკის სპეციალისტებისათვის.

ვლადიმერ გაგუა დაიბადა 1927 წლის 14 მარტს სენაკის რაიონის სოფელ კოტიანეთში. იგი აღიზარდა ცნობილი ქართველი პედაგოგების ვლადიმერ (ვლადი) გაგუასა და ვერა კობახიძის ოჯახში. ვლადიმერ გაგუას მამას – ვლადიმერ (ვლადი) ესეს ძე გაგუას დიდი დამსახურება აქვს განათლების დარგში, სახალხო მასწავლებელი იყო, რის გამოც მისი სახელი მინიჭებული აქვს მშობლიური სენაკის რაიონის სოფელ კოტიანეთის სკოლას.

ვლადიმერ გაგუამ დაამთავრა ჯერ სოფელ კოტიანეთის შვიდწლედ, შემდეგ კი ძველი სენაკის საშუალო სკოლა. ოჯახს რომ დახმარებოდა მატერიალურად, კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, 1944 წლის ბოლოს კი გადავიდა სოხუმში და იქ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა კორექტორად და კორესპონდენტად.

უმალესი განათლების მიღების უდიდესი სურვილი ჰქონდა ვლადიმერ გაგუას. მან ეს ოცნება აიხდინა და 1946 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის განხრით, რომელიც დაამთავრა 1951 წელს.

ვლადიმერ გაგუამ ცხოვრების საინტერესო გზა განვლო. იგი სტუდენტობის წლებშივე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მე-4 კურსის სტუდენტი გაგზავნეს კომკავშირულ სამუშაოზე. მან მუშაობა დაიწყო საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის კიროვის რაიონის კომკავშირის ჯერ მეორე, შემდეგ კი პირველი მდივანი იყო. პარალელურად ასწავლიდა ლოგიკასა და ფსიქოლოგიას ქ. თბილისის 31-ე და 51-ე სკოლებში. 1952 წელს ვლადიმერ გაგუა არჩეულ იქნა საქართველოს კომკავშირის ქ. ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ამავე დროს პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად და აღმასკომის წევრად.

პედაგოგიკის მეცნიერებისა და საერთოდ, პედაგოგის პროფესიის სიყვარული ვლადიმერ გაგუას ოჯახიდან გამოჰყვა. პედაგოგების ოჯახში აღზრდილ ახალგაზრდას საბოლოოდ გულმა პედაგოგიური საქმიანობისაკენ გაუწია და 1954 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ასპირანტურაში პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სპეციალობით. ვლადიმერ გაგუამ ასპირანტურის კურსი გაიარა ცნობილი ქართველი მეცნიერის,

საზოგადო მოღვაწისა და ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ გიორგი თავზიშვილის ხელმძღვანელობით. იმ დღიდან მოყოლებული იგი ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას იწყებს და დღენიადაგ იღწვოდა ქართული პედაგოგიკური მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის.

1958 წელს ვლადიმერ გაგუამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1959 წელს მაშინდელი საკავშირო სადისერტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ გაგუა მუშაობას იწყებს ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციაში პედაგოგიკის განყოფილების გამგედ, ხოლო 1959 წლიდან პედაგოგიკის სექტორში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. მისი თაობის ახალგაზრდებში ვლადიმერ გაგუა გამორჩეული იყო ცოდნით, განათლებით მთელი რიგი დადებითი თვისებებით, რამაც განაპირობა, რომ 1959 წლის დეკემბრიდან მისი მეცნიერ-ხელმძღვანელის, პროფესორ გიორგი თავზიშვილის რეკომენდაციით მიწვეულ იქნა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი) პედაგოგიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე.

ვლადიმერ გაგუამ პედაგოგიურ უნივერსიტეტში მოსვლისთანავე თავი გამოიჩინა აქტიურობით, ცოდნით, რამაც განაპირობა მისი არჩევა ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარედ, პარტიული კომიტეტის წევრად, შემდეგ პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ და ბიზმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანად.

1971 წელს ვლადიმერ გაგუამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოზე. საკავშირო უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას მიანიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1972 წლიდან კი პროფესორია.

1971 წელს ვლადიმერ გაგუა სათავეში ჩაუდგა პედაგოგიკის კათედრას, რომელსაც 1989 წლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. მისი თაოსნობით ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა კათედრაზე. ამ ხნის მანძილზე კათედრის წევრთა აქტიური მონაწილეობით გამოიცა მრავალი ნაშრომი პედაგოგიკის მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე, ხშირად ეწყობოდა კონფერენციები, გამსვლელი სამეცნიერო სესიები, საქმიანი ურთიერთობები დამყარდა საქართველოს სხვადასხვა სკოლებთან.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას კათედრის გამგეობის პერიოდიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კათედრის წევრთა მიერ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის შემდეგი სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა: „პედაგოგიკის შესავალი“, (1978წ.) ქართული „პედაგოგიკის ისტორია“, (1974წ.) და „პედაგოგიკის ისტორია“ (1988წ.). კათედრის წევრებმა ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშობლიური პედაგოგიური ინსტიტუტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის წიგნის „ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი“ მომზადებასა და გამოცემაში.

პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის 1985 წელს პროფესორ ვლადიმერ გაგუას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1988 წლის 27 დეკემბერს პროფესორი ვლადიმერ გაგუა არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1991 წლის ივლისამდე. მისი რექტორობის პერიოდში სახელი გადაერქვა ინსტიტუტს და 1989 წლის 11 ოქტომბრიდან ეწოდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

რექტორობის შემდეგ პროფესორი ვლადიმერ გაგუა ხელმძღვანელობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დიდაქტიკის ლაბორატორიას (6 თუ 7 წელი). აღნიშნულ ლაბორატორიასაც ღირსეულად უხელმძღვანელა. მრავალი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ.

პროფესორი ვლადიმერ გაგუა 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 160-ზე მეტი საგაზეთო სტატიის ავტორია. მისი ფუნდამენტური გამოკვლევები თუ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები ეძღვნება პედაგოგიკის მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, რომლებსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება აქვთ. მისი ნაშრომებისათვის დამახასიათებელია მეცნიერული სიღრმე, წერის მაღალი კულტურა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფესორი ვლადიმერ გაგუა ნაშრომებს აქვეყნებდა როგორც ქართულ, ისე რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ის ერთ-ერთი პირველი მეცნიერია პედაგოგიკის დარგში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის ხალხთა პედაგოგიური ურთიერთობის შესწავლას. ამ საკითხებზე მან გამოაქვეყნა ნაშრომები: „ქართულ-სომხური პედაგოგიური ურთიერთობები“, „ი. გოგებაშვილი აზერბაიჯანელი ხალხის მეგობარი“ და სხვა.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას პედაგოგიკური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია შემდეგი მონოგრაფიები: „სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმისშემდგომ საქართველოში“, „შრომისმოყვარეობის აღზრდა უმცროს სასკოლო ასაკში“, „ბავშვთა შრომითი – პოლიტექნიკური აღზრდა სკოლაში“, „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“, „მოსწავლეთა მორალური აღზრდა სკოლაში“, „იაკობ გოგებაშვილი“.

არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს პროფესორ ვლადიმერ გაგუას რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „ნარკვევები რევოლუციამდელი საქართველოს დაწყებითი განათლების ისტორიიდან“, რომლითაც რუს მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა განათლების საკითხებს მე-19 საუკუნის საქართველოში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1996 წელს პროფესორ ვლადიმერ გაგუას ავტორობით გამოცემული პედაგოგიკის სახელმძღვანელო. აღსანიშნავია, რომ 1969 წელს გამოცემული პედაგოგიკის სახელმძღვანელო (აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის რედაქციით) ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. პედაგოგიკის სახელმძღვანელო კი ერთნაირად სჭირდებოდა როგორც პედაგოგიური უნივერსიტეტის, ისე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. მიუხედავად ამისა, დიდი ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა პედაგოგიკის სრულყოფილი სახელმძღვანელოს გამოცემა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროფესორ ვლადიმერ გაგუას მიერ პედაგოგიკის ახალი სახელმძღვანელოს გამოცემა დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მეცნიერული პედაგოგიკის განვითარების დიდი ტრადიციების მქონე ქართველმა ერმა პედაგოგიკის აღნიშნული სახელმძღვანელოს სახით ღირსეული ნაშრომი შეიძინა.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას თანაავტორობით გამოიცა პედაგოგიკის სახელმძღვანელო დაწყებითი განათლების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მან პროფესორ გალაქტიონ სიხარულიძესა და პროფესორ გელა ბოჭორიშვილთან ერთად დაწერა და გამოსცა აგრეთვე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო პროფესიულ-ტექნიკური და სპეციალური სასწავლებლებისათვის, იგი თანაავტორია მის ყოფილ სტუდენტსა და ასპირანტთან, პროფესორ ლია მენთეშაშვილთან (ამჟამად საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი) ერთად გამოცემული სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოსი „საკურსო სამუშაოები პედაგოგიკაში“.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას კალამს ეკუთვნის აგრეთვე შემდეგი ბროშურები: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „კოლხეთის (ფაზისის) აკადემია“, „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა მოზარდი თაობის სამსახურში“, „მწარმოებლურ შრომასთან სწავლების დაკავშირების საფუძვლები“, „მშობელთა პედაგოგიური განათლების სანიმუშო პროგრამა“.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პროფესორ ვლადიმერ გაგუას ნაშრომებიდან წიგნი „გიორგი თავზიშვილი“, რომელიც გამოსცა პროფესორ გალაქტიონ სიხარულიძესთან ერთად. აღნიშნულ წიგნში გაშუქებულია მათი მეცნიერ-ხელმძღვანელის, ქართული პედაგოგიკური მეცნიერების დიდი მოამაგის, პროფესორ გიორგი თავზიშვილის ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ პროფესორმა ვლადიმერ გაგუამ თავის მშობლიურ სკოლას დიდი ამაგი დასდო, მან საინტერესო მასალები შეკრიბა ძველი სენაკის ცნობილი სკოლის 100 წლისთავთან დაკავშირებით და წიგნად გამოსცა იონა მიქაძესთან თანაავტორობით „ძველი სენაკის სკოლა“.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროფესორ ვლადიმერ გაგუას მონაწილეობით გამოსაცემად მომზადდა 1987 წელს ქართული პედაგოგიური აზროვნების ანთოლოგია (რუსულ ენაზე), რომლის შესავალი წერილის თანაავტორია. მან სსრკ პედაგოგიკური ენციკლოპედიისა და საქართველოს ენციკლოპედიის სხვადასხვა ტომებში 40-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა.

პროფესორმა ვლადიმერ გაგუამ, როგორც მკვლევარმა და მეცნიერმა 20-ზე მეტ საერთაშორისო და საკავშირო სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციების მუშაობაში მიიღო მონაწილეობა (მოსკოვი, სუზდალი, ვლადიმირი, პოლტავა, ბაქო, ერევანი, ბელგრადი, ბულგარეთი).

პროფესორი ვლადიმერ გაგუა კითხულობდა ლექციების კურსს პედაგოგიკაში, პედაგოგიკის ისტორიაში, პედაგოგიური ოსტატობის საფუძვლებსა და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკაში. მისი ლექციებისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი მეცნიერული დონე, თხრობის გასაგები სტილი. მის მიერ წაკითხული ლექციები სტუდენტობის წლებშივე გახდა ბევრი ახალგაზრდისათვის მომავალი სამეცნიერო მუშაობის ბიძგი. მისთვის დამახასიათებელი პასუხისმგებლობით, მშობლიური მზრუნველობით, ერთგულად ემსახურებოდა იგი ახალგაზრდების პროფესიული დაოსტატების საქმეს.

პროფესორი ვლადიმერ გაგუა, როგორც მაღალკვალიფიციური ლექტორი, მიწვეული იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1976წ.), თელავის (1980წ.), ქუთაისის (1983-1986 წ.წ.) პედაგოგიურ ინსტიტუტებში, რამდენჯერმე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარულ და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში ახალგაზრდა

ლექტორებისა და ასპირანტებისათვის უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კურსის წასაკითხად. ის ხშირად გამოდიოდა ლექციებით რესპუბლიკის სკოლებში, სახალხო უნივერსიტეტებში, ტელევიზიითა და რადიოთი.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას მეცნიერ-ხელმძღვანელობით 20-ზე მეტმა ასპირანტმა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელმა დაიცვა დისერტაცია. მათ შორის იყვნენ ქართველები, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ახალგაზრდები. პირადად მე (ლია მენთეშაშვილი) წილად მხვდა ბედნიერება ყოფილიყავი ჯერ მისი სტუდენტი, შემდეგ კი ასპირანტი.

პროფესორი ვლადიმერ გაგუა 32-ჯერ იყო ოფიციალური ოპონენტი (შემფასებელი) საკანდიდატო (წარსულში ასე ეწოდებოდა) და სადოქტორო დისერტაციების როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ – ბაქოში, ერევანში, აღმა-ატაში, კიევში და ა.შ.

პროფესორი ვლადიმერ გაგუა სარედაქციო კოლეგიის წევრი და ერთ-ერთი შემდგენელია დიდი ქართველი პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ხუთტომეულის. იგი მრავალი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტია.

პროფესორი ვლადიმერ გაგუა მუდამ ცხოვრების შუა გულში ტრიალებდა. მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას შესანიშნავად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო და საკანდიდატო სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი, ასევე სომხეთის ხაჩატურ აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი (10 წელი). აღსანიშნავია, რომ 10 წელი – 1986 წლის ბოლომდე იგი იყო თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრკ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პედაგოგიკის ისტორიის სამეცნიერო საბჭოსა და მისი ბიუროს წევრი. აღნიშნულ საბჭოში პროფესორი ვლადიმერ გაგუა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლად ითვლებოდა. იგი ასევე იყო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან არსებული პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი და საოჯახო აღზრდის საკითხთა პროპაგანდის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

სადაც არ უნდა ყოფილიყო პროფესორი ვლადიმერ გაგუა, ყველგან დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

როდესაც ვლადიმერ გაგუაზე როგორც მეცნიერზე, პედაგოგზე, საზოგადო მოღვაწეზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ როგორც შესანიშნავ პიროვნებას. იგი უყვარდათ კოლეგებს, სტუდენტებს, სამართლიანად აფასებდნენ მის ნაღვაწს და საუკეთესო მეგობრად მიაჩნდათ. პროფესორ ვლადიმერ გაგუას საქმიანობა ახალგაზრდობასთან იყო დაკავშირებული. სტუდენტების, ასპირანტების წარმატებას

თანაბრად იზიარებდა იგი, უყვარდა მათი დახმარება. ახალგაზრდობას უნერგავდა ადამიანის, საქმის სიყვარულს, ერთგულებას. ბატონი ლადო ჭირშიც და ლხინშიც სამაგალითო იყო. დიდი პირადი ტრაგედიის, ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგაც შეუდრეკელი და გაუტეხელი დარჩა. საკუთარ ტკივილსა და განცდას არავის აგრძნობინებდა, სხვებზე ზრუნვა მისთვის კვლავ უპირველესი მოვალეობა იყო.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის პრემია და მედალი, დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელით, „სახალხო განათლების წარჩინებულის ნიშნით“, საკავშირო და რესპუბლიკური სიგელებით.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში. მომავალში, ალბათ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი მისი პედაგოგიკური შეხედულებები. ის ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი იყო.

პროფესორ ვლადიმერ გაგუას აღზრდილები დღეს ღირსეულად აგრძელებენ თავიანთი მასწავლებლის მეცნიერულ გზას. მათ მიერ დაწერილმა სახელმძღვანელოებმა, მონოგრაფიებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში.

Lia Menteshashvili
Doctor of Pedagogics

Vladimer Gagua and Georgian Pedagogical Science (Reminding of the scientist)

Twenty years have gone after the death of a doctor of pedagogical sciences, professor, honored scientist, one of the founders of Academy of Educational Sciences of Georgia, but his pedagogical ideas are actual today as well, his monographs are very important for specialists.

Professor Vladimer Gagua's merit in the development of Georgian pedagogical science is analysed in the article. We also read many important episodes from his life.

ჩვენი იუბილარები

ნოდარ ბასილაძე – მეცნიერი, პედაგოგი, აღმზრდელი



ქართველი საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მკვლევარის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ღირსეული პიროვნების ნოდარ ბასილაძის სახელი. მას მიმდინარე წლის ოქტომბერში შეუსრულდა დაბადებიდან 85 წელი. თავის დაბადების დღეს ბატონი ნოდარი ხელხვავიანი შეხვდა. ის ავტორია 148 სამეცნიერო ნაშრომისა და 300-ზე მეტი საგაზეთო და საჟურნალო წერილისა; გამოქვეყნებული აქვს 30-მდე წიგნი, რომელთა შორის 15 მონოგრაფიაა, 3 სახელმძღვანელო და 5 თარგმნილი წიგნი.

ბატონმა ნოდარმა ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა განვლო პედაგოგიკის მეცნიერებაში მოსვლამდე. მან 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი რუსული ენის, ლიტერატურის და გერმანული ენის სპეციალობით. 1975 წლამდე ის მუშაობდა ხულოს რაიონის (ამჟამად შუახევის მუნიციპალიტეტი) სოფელ ინწკირვეთის, ქედის რაიონის უჩხითის, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის საშუალო და ამავე რაიონის სოფელ ინჯალოსა და ქობულეთის რაიონის სახალვაშოს რვაწლიან სკოლებში გერმანული და რუსული ენების მასწავლებლად.

1969-1970 სასწავლო წელს ნ. ბასილაძე მიიწვიეს მის მშობლიურ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის მასწავლებლად.

1973 წელს ბატონმა ნოდარმა მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში პედაგოგიკის მეთოდისტად, 1976 წლიდან კი – აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის პედაგოგიკის მეთოდური კაბინეტის გამგეა, სადაც უნარიანად ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და გურიის რაიონების, ასევე ქალაქ ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების ხელმძღვანელ მუშაკთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, კითხულობდა მათთან ლექციებს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

1979 წლიდან 2019 წლამდე ბატონი ნოდარ ბასილაძე მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში უნივერსიტეტი) პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის (შემდგომში განათლების დეპარტამენტი) მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად. 6 წლის განმავლობაში ასრულებდა პედაგოგიკის კათედრის გამგის მოვალეობას.

პროფესორ ნოდარ ბასილაძის სამეცნიერო მუშაობის წარმატებას ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ჩაეყარა საფუძველი. როგორც მეცნიერული კვლევის ნიჭით გამორჩეულს სტუდენტს, სანიმუშო სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის, დაენიშნა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია. სტუდენტობაშივე წარმოჩენილი მეცნიერული კვლევა-ძიების სფერო გაფართოვდა, რაც შემდგომში წარმატებით დაგვირგვინდა საკანდიდატო (1985 წ.) და სადოქტორო დისერტაციების (2006 წ.) დაცვით.

ბატონი ნოდარი ფართო დიაპაზონის მეცნიერი და აღიარებული მკვლევარია. მისი კვლევის სფეროებია: აღზრდის თეორიის აქტუალური პრობლემები, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების განათლების ისტორიის საკითხები და განსაკუთრებით დაინტერესებულია დიდი უკრაინელი პედაგოგის ვასილ სუხომლინსკის პედაგოგიკური მემკვიდრეობით. პროფესორ ნოდარ ბასილაძისთვის დამახასიათებელია პრობლემების საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის უნარი. მის ნაშრომებში ჩანს ავტორის განსწავლულობა, ფართო ერუდიცია, ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა. ქართული პედაგოგიკური მეცნიერება პროფ. ნოდარ ბასილაძემ გაამდიდრა ისეთი მაღალი მეცნიერული დონის ნაშრომებით, როგორიცაა: „ვ.ა. სუხომლინსკის პედაგოგიკური სისტემა და თანამედროვეობა“, „ჰუმანიზმის აღზრდის პრობლემები ვ. ა. სუხომლინსკის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“, „სკოლამდელი აღზრდის განვითარება აჭარაში (1921-1981 წ.)“, „XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის“, „ნარკვევები პედაგოგიკური აზროვნების ისტორიიდან“, „ჰუმანიზმის პედაგოგიკა“, „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური შეხედულებანი“, „ნოდარ დუმბაძის პედაგოგიური შეხედულებანი“, „ქართული პედაგოგიკის ისტორია“, „ერისა და ქვეყნის მსახურნი“, „უჩინარი მხვენელ-მთესველნი გონებრივი ყანისა“, „მშობელთა სახელმძღვანელო“ და სხვ.

პროფესორ ნოდარ ბასილაძის ინტერესების სფეროში შედის ასევე მთარგმნელობითი მუშაობა. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მის მიერ გერმანული ენიდან თარგმნილი იუმორისტული მოთხრობების კრებული „მუსიკა მეზობლის ოთახიდან“, რუსული და გერმანული ენებიდან თარგმნილი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილი მოთხრობების კრებული „პატიოსანი სიტყვა“, რუსულიდან თარგმნილი ვასილ სუხომლინსკის წიგნები: „წერილები შვილებს“, „მწელად აღსაზრდელი ბავშვები“ „ეთიკის ქრესტომათია“ და სხვ.

2011 წლიდან დღემდე ბატონი ნოდარი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორია. იგი დღესაც აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. ხშირად მონაწილეობს საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. 1970 წლიდან მის გაუქმებამდე იყო საზოგადოება „ცოდნისა“ და მშობელთა სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი და ა.შ.

პროფესორი ნოდარ ბასილაძე ხანგრძლივი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობისათვის დაჯილდოებულია ღირსების მედლით, ვ. სუხომლინსკის სამკერდე ნიშნით, ზაქარია ჭიჭინაძის სახელობის პრემიით, არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, ეროვნული აკადემიისა და ენციკლოპედია „აჭარის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ბატონ ნოდარს ხშირად იწვევენ მეცნიერ-ხელმძღვანელად, ოპონენტად

(შემფასებლად), წიგნების რედაქტორად და რეცენზენტად. ის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს სტუდენტებსა და კოლეგებში, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ლია მენტეშაშვილი
საქართველოს განათლების მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

რედაქციისაგან: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია უდიდესი პატივისცემით ულოცავს ამავე აკადემიის წევრს, პროფესორ ნოდარ ბასილაძეს დაბადებიდან 85 წლისთავს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მისთვის ჩვეული ენერგიით ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

ომარ ცხადაძე - 80



პედაგოგიკის დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ომარ ცხადაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ომარ ცხადაძე დაიბადა ქ.ქუთაისში. 1958 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა. 1959 წელს იგი სწავლას იწყებს ქუთაისის ალ.წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ა.წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და ამთავრებს ინსტიტუტს დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა მეთოდის მასწავლებლის სპეციალობით. როგორც სკოლაში, ისე ინსტიტუტში სწავლის მთელ პერიოდში ომარ ცხადაძე იყო მოქმედი სპორტსმენი, მძლეოსანი. მას დამყარებული აქვს ქალაქის რეკორდი შუბის ტყორცნაში. იგი არის საქართველოს ჩემპიონი ყუმბარის ტყორცნაში. სპორტმა დიდი როლი შეასრულა ო.ცხადაძის, როგორც მოქალაქის, ასევე მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ომარ ცხადაძემ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო ვანის რაიონის სოფელ ინაშაურის რვაწლიან სკოლაში. მისი შემდგომი მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ქალაქ ქუთაისის სპორტული და აღმზრდელობით დაწესებულებები. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ქუთაისის სხვადასხვა სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად, მწვრთვნელად, სპორტული სკოლის დირექტორად, სპორტკლუბ „კოლხიდას“ თავმჯდომარედ, სპორტკომპლექსის დირექტორად, სპორტკომიტეტის ინსტრუქტორად, სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ეკონომიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად, კოოპერატივი „ოლიმპის“ თავმჯდომარედ.

ომარ ცხადაძემ 1985 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 2005 წლიდან იგი პედაგოგიკის დოქტორია. პროფესორ ომარ ცხადაძეს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მონოგრაფია და ასამდე სამეცნიერო სტატია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო გამოცემებში. ომარ ცხადაძე არის საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის „პროფესიონალის ხმის“ მთავარი რედაქტორი (ISSN 1987-6831).

1992 წელს ომარ ცხადაძე ლუარა ღოღობერიძესთან ერთად აფუძნებს ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტს (ამჟამად შპს საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო უნივერსიტეტი), რომლის უცვლელი რექტორია დღემდე. 2002 წელს ომარ ცხადაძემ თანამოაზრეებთან ერთად (ლიანა ლორია, ვლადიმერ ცხადაძე, ლუარა ღოღობერიძე, ქეთევან ზვიადაძე) დააფუძნა ააიპ „საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია“. როგორც უნივერსიტეტში ასევე აკადემიაში მან სამუშაოდ მოიწვია გამოცდილი სპეციალისტები. ისინი ამზადებენ სტუდენტებს ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგში. პროფესორ ომარ ცხადაძის უშუალო ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და რეგულარულად იბეჭდება ჩატარებული კონფერენციის მასალები შესაბამისი კრებულების სახით.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ულოცავს პროფესორ ომარ ცხადაძეს დაბადებიდან 80 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას.

ნოდარ ბარამიძე – 75



ცნობილ ქართველ მეცნიერს, თვალსაჩინო მკვლევარსა და პედაგოგს, ფსიქოლოგიის ქართული სკოლის მეორე თაობის ღირსეულ წარმომადგენელს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ემერიტუს პროფესორ ნოდარ ბარამიძეს მიმდინარე წლის 2 ივნისს შეუსრულდა დაბადებიდან 75 წელი.

ბატონმა ნოდარმა 1964 წელს მედალზე დაამთავრა გონიოს საშუალო სკოლა. უმაღლესი განათლება მიიღო ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ იმ დროისათვის საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები: რევაზ ნათაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი, შოთა ნადირაშვილი, პროფესორი ბარნაბარ ხაჭაპურიძე და სხვები. 1975 წელს პროფ. შალვა ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1996 წელს – სადოქტორო. 1996 წელს გახდა პროფესორი, მომდევნო წელს კი – საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ნოდარ ბარამიძემ პირველი კურსიდანვე დაიმკვიდრა აქტიური, ერუდირებული სტუდენტის სახელი. სისტემატურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. თავდაპირველად მუშაობდა ამავე ინსტიტუტში, 1976-1980 წლებში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ახლადშექმნილ პედაგოგიური ფსიქოლოგიის ქუთაისის ლაბორატორიას. 1980 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტშია (ამჟამად – უნივერსიტეტი). 1990-2005 წლებში განაგებდა მისი თაოსნობით ჩამოყალიბებულ ფსიქოლოგიის კათედრას, 2005-2007 წლებში – პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტს. იყო ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო დარგში. მისივე ინიციატივით 2003 წელს დაარსდა კათედრის (დეპარტამენტის) პერიოდული სამეცნიერო კრებული „ფსიქოლოგიური გამოკვლევები“, რომელშიც იბეჭდება ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები (გამოცემულია 10 ტომი). 2013 წლიდან ნ. ბარამიძე უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია.

პროფ. ნოდარ ბარამიძე თანაბრად იღწვოდა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო სარბიელზე. ის მრავალმხრივი მკვლევარია. გამოქვეყნებული აქვს 14 წიგნი, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 150-მდე საჭურნალგაზეთო წერილი. მისი წიგნები და სტატიები მითითებულია 30 ავტორის 45-ზე მეტ ნაშრომში. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მინიჭებული აქვს აჭარის არ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და ღირსების ორდენით.

ნ. ბარამიძის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ცენტრალური ადგილი უკავია ასაკობრივი და პედაგოგიური (განათლების) ფსიქოლოგიის საკითხებს, შორეული მოტივაციური ქცევისა და სწავლის პრობლემას. სერიოზული გამოკვლევები აქვს შესრულებული ნებისყოფის ფსიქოლოგიისა და ისტორიული ფსიქოლოგიის დარგებშიც. ნ. ბარამიძემ სისტემატურად შეისწავლა შორეული მოტივაციური ქცევის ზოგადფსიქოლოგიური და ასაკობრივი თავისებურებები და აჩვენა, რომ შორეული მოტივაციური ქცევა აქტივობის ერთ-ერთი ურთულესი და უმაღლესი ფორმაა, რომელიც ადამიანის, როგორც პიროვნების განსაკუთრებით დამახასიათებელი თავისებურებაა. ის თავისი ბუნებით, შედეგებითა და საერთო მიზანდასახულობით ყოველთვის მომავალზეა ორიენტირებული. ამ ქცევის ერთადერთ საფუძვლად აღიარებულია ნებისყოფა. ნ. ბარამიძემ, თავისი მასწავლებლის, შ. ჩხარტიშვილის შესაბამისი მოსაზრებებისა და ნებისყოფის კვლევის მისივე პრინციპის გათვალისწინებით, შემოგვთავაზა შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებელობითი ქცევის შესწავლის მრავალვარიანტული ექსპერიმენტული მეთოდიკა, რომელსაც წარმატებით იყენებენ სტუდენტებიც და მეცნიერ-მუშაკებიც. ნ. ბარამიძე ასაბუთებს, რომ სწავლა, როგორც მოსწავლის ქცევის ძირითადი ფორმა, თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, მოტივაციური წყობის თავისებურებით, არსებითად, გონებრივი შრომის სახესხვაობაა და ყველა ძირითადი ნიშან-თვისებით შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე აქტივობაა.

ორიგინალურია ნ. ბარამიძის მოსაზრება ნებისყოფისა და ნებელობითი ქცევის ფენომენოლოგიის შესახებ. დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ბუნებას გამოხატავს „მე მიხდა“ განცდა, ხოლო შ. ჩხარტიშვილს – „მე უნდა“ განცდა. ნ. ბარამიძის აზრით, ნებისყოფის ფენომენოლოგიური მხარე არ გამორიცხავს ამ განცდებს – ორივე ეს

განცდა შედის ნებელობითი ქცევის სტრუქტურაში, ოღონდ მის სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ: მომავალი ქცევის არჩევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში წამყვანია „მე უნდა“ განცდა. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი ჩნდება „მე მინდა“ განცდა, რომელიც შეიძლება იყოს მომენტალურიც და მეტ-ნაკლებად ხანგრძლივიც. მეორადი წარმოშობის ეს განცდა, ავტორის აზრით, ფენომენოლოგიურად სრულად პასუხობს გადაწყვეტილების მომდევნო პერიოდის ემოციურ დახასიათებას.

ნ. ბარამიძე ისტორიული ფსიქოლოგიის საკითხების ერთ-ერთი პირველი მკვლევარია საქართველოში. ამ პრობლემას მან მიუძღვნა მრავალი სტატია და ორი წიგნი.

ნ. ბარამიძემ, თავის მოწაფეებთან ერთად, 32-წლიანი შუალედით, ერთნაირი პროცედურით ჩაატარა საყურადღებო ლონგიტუდური კვლევა. აღმოჩნდა აქსელერაციის საპირისპირო მოვლენა – რეტარდაცია: XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენი ბავშვების ნებისყოფის განვითარება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება 30-35 წლის წინანდელ დონეს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ავტორის აზრით, ეკრანზე მიჯაჭვულობაა (ეკრანომანია).

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია ვულოცავთ ბატონ ნოდარს ღირსეულად განვლილ 75 წელს. წინ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. მისი უშრეტი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება იმის დასტურია, რომ იგი თავის სახელოვან ბიოგრაფიას კიდევ უფრო გაამდიდრებს ახალ-ახალი ნაშრომებით და დიდხანს იქნება ასე შემართული მეცნიერების, პედაგოგიური საქმიანობის და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გამოსათხოვარი

არნოლდ გეგეჭკორი



ქართულმა მეცნიერებამ, სამეცნიერო საზოგადოებამ დაკარგა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქვეყნის გულანთებული ჭირისუფალი, პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი.

მტკივნეული და ძნელად შესაგუებელია ადამიანის ამა სოფლიდან გასვლა, მაგრამ უსაზღვროა ტკივილი, როდესაც მიდის ღირსეული პიროვნება აქტიური შემოქმედებითი ძიების პროცესში.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბესთან“ (N19 2020 წ.) ინტერვიუში ბატონი არნოლდი ბრძანებს: „ადამიანის შემეცნების, აზროვნების უნარის მქონე ტვინი, მოგეხსენებათ, ფენომენთა ფენომენია. ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის 4 მილიარდი წლის განმავლობაში მას ანალოგი არ გააჩნია. მეცნიერებაში იგი სრულ სიმწიფეს 35-40 წლის ასაკში აღწევს (გამონაკლისს პოეტები და მათემატიკოსები წარმოადგენენ). მეცნიერებს 50 წლის ასაკში ხელეწიფება „მეცნიერების ტევრში“ შესვლა, 60 წლისა იგი ყველაზე ნაყოფიერია. 70-დან 80 წლამდე კი, თუ ჯანმრთელობა ხელს უწყობს, საუკეთესო დროა შემოქმედებითი საქმიანობისთვის.“

არ შეიძლება მისი ეს აზრი, მართებულად არ მიიჩნიო, როდესაც შენ წინ 80 წლის არნოლდ გეგეჭკორის ნაშრომები ძევს, რომელიც მას მარტო ამ ბოლო წელიწადში შესრულებია: „Biomes of the Caucasus, a comprehensive review“ (ინგლისურ ენაზე შესრულებული), იგი აშშ-ში გამოიცა, გამოსაცემად გამზადებულია ამ წიგნის II ტომი - „The Caucasus Ecoregion and its two refugia: colchis and tlyreonia“, რომელიც 2020 წლის დეკემბერში უნდა გადაეცა აშშ-ს „შპინგლერის“ გამომცემლობისათვის, რაც აღარ დასცადდა და არავინ იცის, რა ბედი ეწევა ამ მეტად საჭირო სოციალურ მონოგრაფიას. 2015 წელს გამოვიდა მისი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი-ალბომი „ეს არის საქართველო“, რომელშიც 2000 ფერადი ილუსტრაცია ავტორის შესრულებულია. ამ წიგნს რეცენზენტებმა „ქვეყნის სავიზიტო ბარათი“, „საქართველს პასპორტი“, „რენესანსული მასშტაბის წიგნი“ უწოდეს. ყველა მისი წიგნი და მათი რაოდენობა ძალზე შთამბეჭდავია (იგი 300-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 15 მონოგრაფიის, საშუალო სკოლის 5 და უმაღლესი სკოლის 2 სახელმძღვანელოს, პრესაში გამოქვეყნებული 700-მდე სტატიის ავტორია) დიზაინი, გაფორმება და ფოტოები ასევე მის მიერაა შესრულებული. ზოგიერთი წიგნი სამეცნიეროა და ყველა ენაზე ავტორის მიერაა დაწერილი.

პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის

წამორმადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი, ბიოლოგიის დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭოს წევრი ბრძანდებოდა.

ფართო სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა უცხოეთშიც: მელბურნის, მონაშის, სიდნეის, ოკლენდის, ნაირობის, გრეიფსვალდის და სხვა უნივერსიტეტებში (ყველას ჩამოთვლა ძნელია). მოწვეული მკვლევარის სტატუსით იმყოფებოდა კალიფორნიის, სიდნეის, მეხიკო-სიტიის, კიტოს, დარდეს-სალამის უნივერსიტეტებში, ტანზანიის ეროვნულ პარკში და სხვ.

მოვლილი და შესწავლილი აქვს დედამიწის ხუთივე კონტინენტი, ხუთ კონტინენტზე 112 ქვეყანაში მოუწია ყოფნა, მაგრამ წამიერადაც კი არ დაუშვა აზრი, ეცხოვრა საქართველოს მიღმა, მიეღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩემი გენომის, ინტელექტის, თუნდაც მეობის ან ცად აღვლენილი რწმენის განუყოფელი ნაწილია - აი ასე ფიქრობდა ეს დიდი კაცი და დიდი მამულიშვილი. რა პატრიოტული სულისკვეთებით, საქართველოს ბუნების როგორი სიყვარულით იყო გაჯერებული, როგორი პოპულარული იყო ბატონი არნოლდის სატელევიზიო გადაცემა „ბუნების კარი“, რომელიც 32 წელი არ ჩამოსულა ტელეეკრანიდან, რა აღფრთოვანებით უყურებდა მას დიდი თუ პატარა.

ბატონ არნოლდ გეგეჰკორს 70-მდე საერთაშორისო კონფერენციაში ჰქონდა მიღებული მონაწილეობა. უცხოეთში გამოქვეყნებული მისი სტატიებიდან ციტირება 2000-ს აღწევს. ამავე სტატიების ნაწილი შეტანილია გლობალური მასშტაბის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ინტერნეტ ბაზებში: Researchgate-ი და Sciencedirect-ი.

მის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი, პროფესორი თეიმურაზ გაგნიძე და ასევე უცხოელი კოლეგები: საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის პრეზიდენტი, ბრიტანელი პროფესორი ანნა ბატმენი, ქ. გრეიფსვალდის უნივერსიტეტის პროფესორი, გლობალური კლიმატის ცვლილებების კომისიის წევრი ჰანს ჯუსტენი და სხვები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი, როგორც ლექტორისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის განსაკუთრებული ოსტატობა: როგორც წესი, მსმენელებით გადაჭედული აუდიტორია... ლექციას საკუთრივ მისი სტუდენტების გარდა სხვა ფაკულტეტებიდან მოსული ახალგაზრდებიც ესწრებოდნენ. კიდევ უფრო მეტი დატვირთვით მუშაობდა იგი დოქტორანტებთან და მთელი მონდომებით გადასცემდა მათ თავის გამოცდილებას.

პროფესორ არნოლდ გეგეჰკორის მოღვაწეობა მრავალი სახელმწიფო ჯილდოთია აღნიშნული, მათ შორის: „ღირსების ორდენით“ (ორჯერ-1999 წ., 2013 წ.) „ბუნების დამცველის“ ორი ოქროს მედლით (1985 წ., 1994 წ.), ივ. ჯავახიშვილის მედლით (2000 წ.); ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სიგელითა და საიუბილეო ოქროს მედლით (2020 წ.). დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ცენტრმა (IBC) იგი 2000-2021 წლის საერთაშორისო პიროვნებად აღიარა, რაც აღინიშნა სათანადო დიპლომითა და ღირსების ვერცხლის მედლით. ბატონი არნოლდი დაჯილდოებულია სახელმწიფო, იაკობ გოგებაშვილის (I ხარისხის) და პეტრე მელიქიშვილის პრემიებით. იგი იყო ოთხი საზოგადოებრივი აკადემიის აკადემიკოსი, სხვადასხვა კულტურული და სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი.

პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ნათელი გონება, მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი აშკარად დააკლდება ქართულ მეცნიერებას, ქართველ ინტელიგენციას, იმ რჩეულ უმცირესობას, ვინც იცის მოღვაწის ფასი.

მადონა მეგრელიშვილი



ქართველ მეცნიერ-პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი სწავლული, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მადონა მეგრელიშვილი.

ქალბატონმა მადონა მეგრელიშვილმა საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. ქუთაისის პირველი საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, 1973-1975 წლებში, იგი სწავლობდა მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხოურ ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1978 წელს პროფესიული მომზადების კურსი გაიარა ოქსფორდის უნივერსიტეტში. 1984 წელს მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტშივე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორმა მადონა მეგრელიშვილმა აღიარება მოიპოვა არა მარტო მეცნიერული მიღწევებით, არამედ საზოგადოებამ ის გაიცნო, როგორც განათლების ორგანიზატორი. ქალბატონი მადონა 1975-1979 წლებში წარმატებით უძღვებოდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტს. 1988-1989 წლებში არჩეული იყო ქ. ქუთაისის სახალხო განათლების საქალაქო საბჭოს თავჯდომარედ, ხოლო 1994-1995 წლებში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა დასავლეთ ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) კათედრას. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა 1995-2006 და 2011-2014 წლებში პროფესორ მადონა მეგრელიშვილის საქმიანობა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგის თანამდებობაზე. სწორედ მისი ძალისხმევით შედეგად კათედრამ განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია.

პროფესორ მადონა მეგრელიშვილის ქვეყნის წამყვან ლინგვისტთა შორის ყოველთვის საპატიო ადგილი ეჭირა, როგორც სერიოზულ მკვლევარს. საქართველოსა და უცხოეთში ქართულ და უცხოურ ენებზე (რუსულად და ინგლისურად) გამოქვეყნებული აქვს 100 - ზე მეტი შრომა, მათ შორის 4 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო და ერთი ლექსიკონი. ქალბატონი მადონა ათეულობით სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი იყო. მისი, როგორც მეცნიერის და პედაგოგის, აღიარებაზე მეტყველებს წარმატებით დაცული დისერტაციები. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 27 სადოქტორო დისერტაცია (მათ შორის 3 საერთაშორისო); იგი იყო 37 დაცული სადოქტორო დისერტაციის ოფიციალური შემფასებელი (მათ შორის 7 საერთაშორისო).

პროფესორ მადონა მეგრელიშვილს უზომოდ უყვარდა თავისი ქალაქი. სწორედ ამიტომ მის სახელი ნებისმიერი თაობის ქუთაისელზე ყოველგვარი რეგალიის გარეშე ახდენდა უდიდეს შთაბეჭდილებას: სწავლის მოყვარულთათვის ის თავდადებული ლექტორი იყო, სიმართლის მოყვარულთათვის - ობიექტურობის ნიმუში, რეფორმატორებისათვის ინოვაციების მაძიებელი და ექსპერტი, კოლორიტული ქუთაისელებისათვის - კარგი გამორჩეული ოჯახისშვილი. ყველაზე გამოცდილი, ყველაზე მასშტაბური, ყველაზე უკომპრომისო, ყველაზე ორგანიზებული მენეჯერი.

ზნემაღალი პიროვნების, კეთილსინდისიერი მეცნიერის, ღირსეული მოქალაქის, ახალგაზრდების ერთგული დამრიგებლის, პროფესორ მადონა მეგრელიშვილის ღვაწლი და საქმე წარუშლელ კვალს დასტოვებს მისი აღზრდილების, მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში.

თამაზ ტატიშვილი



ჩვენი აკადემიის სამეცნიერო ჟურნალის წინა ნომერში (მომხმე, №19, 2020) დაბადების 80 წლისთავი მივულოცეთ ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას - ბატონ თამაზ ტატიშვილს. სიყვარულით, აღფრთოვანებითა და სიამოვნებით იწერებოდა ის წერილი. ვიცოდით, რომ ესიამოვნებოდა, გაიხარებდა, ნეტარად ჩაილიმებდა. ერთი წლის შემდეგ კი გამოსათხოვარის დაწერა გვიწევს და როგორ გვიძნელდება ტკივილის გამომხატველი სიტყვების პოვნა.

ბატონი თამაზი! წარმოსადგეი, მშვიდი, მოწესრიგებული, დახვეწილი ინტელიგენტი კოლექტივში მუდამ იმედის შემომტანი, ჭირის პირველი გამზიარებელი, კრიტიკული სიტუაციის განმმუხტავი, მაშველი სიტყვის მომგებელი იყო. ბატონი თამაზ ტატიშვილი გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობითა და საქმისადმი თავდადებით. ყველა მის ნამუშევარს ეტყობოდა საქმის მცოდნის, ოსტატისა და ესთეტის ხელი.

საშუალო სკოლა 1958 წელს დაამთვრა, 1963 წელს კი - ქ. თბილისის ა.ს.პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, იმავე წლის სექტემბრიდან თბილისის მე-9 საშუალო სკოლაში მათემატიკასა და ასტრონომიას ასწავლიდა მათემატიკის გაღრმავებული სწავლების კლასებში.

იმ დროს სკოლები მამაკაცი მასწავლებლის სიმცირეს განიცდიდნენ და ბატონი თამაზის მისვლა, კაცური გაგება და მხარდაჭერა ჰაერივით საჭირო აღმოჩნდა მოზარდებისათვის. კლასებს, რომლებსაც ის ასწავლიდა უმაღლეს დონეზე გამოცოცხლება, წესრიგი და საგნით დაინტერესება.

ენტუზიასტი და დაუზარელი, მოზარდის სულში წვდომის უნარის მქონე ახალგაზრდა მასწავლებელი ქალაქის 138-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ დააწინაურეს. მაძიებელმა პედაგოგმა სწორედ აქ, ამ სკოლაში თავის კოლეგასთან ერთად

პირველად შექმნა „ლასტოქას“ - ტიპის მოსწავლეთა შეფასების თვითნაკეთი ელექტრონული ხელსაწყო - პროგრამირებული სწავლების ახალი ინსტრუმენტი, რომლის პრეზენტაციამაც საგნობრივ პედაგოგიურ კონფერენციაზე რესპუბლიკის მასწავლებელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

1970 წელს მას ახალგაზრდა მასწავლებელთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ, ხოლო 1971 წელს თბილისის 142-ე საშუალო სკოლის დირექტორად დანიშნეს. 1972 წელი კვლავ კარიერული აღმასვლის წელიწადია-ენერგიული, მუდამ ახლის მაძიებელი დირექტორი ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ დაინიშნა, სადაც 1975 წლამდე იმუშავა. ამ რაიონის განათლების მუშაკთა ძველ თაობას კარგად ახსოვს მათი თავკაცი, უნარიანი და განათლების სისტემის ღრმად მცოდნე ხელმძღვანელი, წარჩინებული მუშაკი. 1975 წელს ბატონი თამაზი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა ინსტრუქტორად დაინიშნა. ამ ფართო ასპარეზზე საქმიანობას იგი უფრო მეტი პასუხისმგებლობითა და საკუთარი თავის მიმართ დიდი მომთხოვნელობით შეუდგა და ნაყოფიერად იღვაწა დედაქალაქის განათლების სისტემის განვითარებისათვის.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ბატონ თამაზ ტატიშვილის მოღვაწეობა საქართველოს განათლების სამინისტროში (1980-2004წ.წ.). იგი ჯერ სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო, შემდეგ ამავე სამმართველოს უფროსი; საშუალო და პროფესიულ ტექნიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე; 1992 წლიდან 2004 წლამდე კი განათლების მინისტრის მოადგილე. მრავალჯერ იყო სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენციებისა და პედაგოგიური კითხვების არა თუ მონაწილე, არამედ ორგანიზატორიც. მისმა სამეცნიერო ნაშრომები და ანალიტიკური ხასიათის გამოცემები განათლების მუშაკთა სამაგიდო წიგნებად იქცნენ.

იგი აქტიურად მონაწილეობდა განათლების სისტემაში გაეროს, UNESCO-ს, UNICEF-ის და ევროკავშირის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო ფორუმებში, რეგიონულ კონფერენციებსა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებში. იყო UNESCO-ს ექსპერტი ზოგადი საშუალო განათლების დარგში.

ამ ღვაწლისა და დამსახურების გათვალისწინებით 2012 წელს აკადემიკოს ნათელა ვასაძის რეკომენდაციით ბატონი თამაზი აირჩიეს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად, 2014 წლიდან-პრეზიდენტის წევრად, ხოლო 2016 წლიდან აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. იგი განათლების მეცნიერებათა აკადემიის მიერ შექმნილი სამეცნიერო შრომის „საქართველოს განათლების მატრიანე“-ს (2015წ.) ერთ-ერთი თანაავტორია.

ბატონი თამაზი დაჯილდოვებულია „ღირსების ორდენით“, „განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით“, სხვადასხვა მედლებითა და საპატიო სიგელებით.

ღირსსაცნობი მამულიშვილისა და მოღვაწის ბატონ თამაზ ტატიშვილის ნაამაგარი თვალსაჩინო ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოს განათლების ისტორიაში.

ნათელა მაისურაძე



დღეს მსოფლიო პანდემიის პირობებში სიკვდილით ვერავის გააკვირვებთ. ის ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი გახდა, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა წაბრძანება „ცათა შინა“ თავ-ზარდამცემია ოჯახისა და უახლოესი ადამიანებისათვის. ასეთი იყო პროფესორ ნათელა მაისურაძის გარდაცვალების ამბავი ჩვენთვის.

იგი იყო გამორჩეული თვისებების ადამიანი, ქალური კდემამოსილებით, ნიჭით, პროფესიონალიზმით, ინტელექტით და გულისხმიერებით დახუნძლული ქალბატონი, რომელიც ამშვენებდა ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებას.

გადაუჭარბებლად ნათელა მაისურაძე თბილი ალერსიანი და კარგი დედა იყო, – ამბობს მისი ქალიშვილი თეა კვაბზირიძე, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ქალბატონი ნათელა მაისურაძე გამოირჩეოდა ჩვენთან, სტუდენტობასთან, ურთიერთობის არაჩვეულებრივი დამოკიდებულებით, მისი ლექციის მოსმენის შემდეგ გვიადვილდებოდა წიგნზე მუშაობა და მასალის ათვისება, ძალიან გვებმარებოდა პირადი პრობლემების დაძლევაშიც, – ამბობს მისი ყოფილი სტუდენტი ელენე ებანოიძე.

იგი მოწოდებით პედაგოგი იყო, სიახლეების, პრობლემათა გადაწყვეტის ახალი ხერხებისა და საშუალებების, მეთოდოლოგიის მიებაში დროსა და ენერგიას არ ზოგავდა, გამოირჩეოდა დიდბუნოვნებით. თავის ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა სტუდენტ-ახალგაზრდობას, სინანულით იხსენებს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიას, აკადემიურ საზოგადოებას და სამეგობრო წრეს დააკლდა კიდეც ერთი გამორჩეული პიროვნება, პროფესორი ნათელა მაისურაძე ჟურნალ „ცხოვრება და კანონის“ აქტიური ავტორი. ვწუხვართ მისი უდროოდ გარდაცვალების გამო.

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის
წევრი, ჟურნალის „ცხოვრება და კანონი“ მთავარი
რედაქტორი, პროფესორი გივი ლოზჟანიძე**

P.S. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალ „მოამბის“ რედაქცია სინანულს გამოთქვამს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრის, პროფესორ ნათელა მაისურაძის გარდაცვალების გამო. ამასთან ერთად გამოვთქვამთ იმედს, რომ ზნემაღალი პიროვნების, კეთილსინდისიერი მეცნიერის, ღირსეული მოქალაქის, ახალგაზრდების ერთგული დამრიგებლის, ჩინებული მეოჯახის, პროფესორ ნათელა მაისურაძის ღვაწლი ღირსეულ კვალს დატოვებს მისი აღზრდილების, მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი პედაგოგიკა

იმერი ბასილაძე, ნინო მამრიკიშვილი - სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობა მოზარდთა შორის ძალადობის რისკების შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი	4
ლია მენთეშაშვილი - თვითაღზრდა – აქტუალური პრობლემა	13
კონსტანტინე რამიშვილი - პედაგოგიური ინოვაციკის ჩასახვა და განვითარება	24
გელა ცაავა - აფხაზური განათლება პანდემიის პირობებში: კრიზისი და მისი დამლევსი შესაძლო გზები	25
დავით მახაშვილი, ნინო მოდებაძე - ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეთა კურიკულუმის აკომოდაცია და მოდიფიკაცია	32
ლელა რამიშვილი - სკოლის აღმზრდელობითი სისტემის ფორმირების თეორიული საფუძვლები	38

დაწყებითი სკოლა

გიორგი ბერძულიშვილი, თამარ დოგრაშვილი, ირინე გოგიბერიძე - გრაფები დაწყებითი კლასების მათემატიკის სასკოლო კურსში	44
იაგორ ბალანჩივაძე - განმავითარებელი შეფასებისა და ინტერვენციის მნიშვნელობა დაწყებით კლასებში	50
შორენა გიორგაძე - კითხვის სწავლების სირთულეები და მათი მოგვარების ხერხები აღმავალი და დაღმავალი მოდელების გამოყენებით	55

საგანთა სწავლების მეთოდოდიკა

თამარ ღვინიაშვილი - ლექსის შესახებ თეორიული ცოდნის ათვისებისა და ზეპირად დასწავლის საკითხისათვის	60
გიორგი ბერძულიშვილი, ბაკურ ბაკურაძე, გიორგი ბრეგაძე - სამიუზო და საოლიმპიადო ამოცანები რიცხვთა გაყოფადობასა და ნაშთებზე.....	64

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

მაია ახვლედიანი, სოფიო მორალიშვილი, ლალი აბდალაძე - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება	72
ავთანდილ ასათიანი - უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პედაგოგიზაციის საკითხისათვის	79

პედაგოგიკის და განათლების ისტორია

ნათელა მაღლაკელიძე - დედაენა და ანბანის სახელმძღვანელოები	84
აკაკი ზოიძე - „დაილოცოს „დედაენის“ შემოქმედი	91
ავთანდილ ასათიანი - კონფესიური სკოლების აღმოცენება და ბავშვთა აღზრდა პირველქრისტიანულ ოჯახში	98

იმერი ბასილაძე, გიგა ბასილაძე - ანტონ I საგანმანათლებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა	106
---	-----

პოლემიკა

ზურაბ ცუცქერიძე - პედაგოგიკის ჩაგვრა	113
--	-----

მეცნიერის გახსენება

ლია მენტეშაშვილი - ვლადიმერ გაგუა და ქართული პედაგოგიური მეცნიერება	123
---	-----

ჩვენი იუბილარები

ნოდარ ბასილაძე	129
ომარ ცხადაძე	131
ნოდარ ბარამიძე	132

გამოსათხოვარი

არნოლდ გეგეჭკორი	135
მადონა მეგრელიშვილი	137
თამაზ ტატიშვილი	138
ნათელა მაისურაძე	140

Contents

GENERAL PEDAGOGY

Imeri Basiladze, Nino Mamrikishvili - School-family collaboration One of the factors in reducing the risks of violence among adolescents	12
Lia Menteshashvili - Self – upbringing – Actual Problem	17
Konstantin RamiSvili - The Origin and Development of Pedagogical Innovation	24
Cela Tsaava - Abkhazian Education in a Pandemic: the Crisis and Possible Ways to Overcome	31
Davit Makhashvili, Nino Modebadze - Accommodation and Modification of the Curriculum of the Students Having Disabilities in Intellectual Development	37
Ramishvili Lela -Theoretical foundations of the educational system of the school	43

ELEMENTARY SCHOOL

Giorgi Berdzulishvili, Tamar Dograshvili, Irine Gogiberidze - Graphs in elementary school math studying course	49
Iagor Balanchivadze - The importance of developmental assessment and intervention in the primary grades	54
Shorena Giorgadze - Difficulties in Teaching Reading and Ways to Solve Them Using Synthetic and Analytic	59

METHODOLOGY OF TEACHING DISCIPLINES

Tamar Ghvinianidze - Assimilation Issues of mastering theoretical knowledge about verse and oral learning	63
Giorgi Berdzulishvili, Bakur Bakuradze, Giorgi Bregadze - Exploratory and Olympiad tasks on division of numbers and remains	71

HIGHER EDUCATION PEDAGOGY

Maia Akhvlediani, Sophio Moralishvili, Lali Abdaladze Associate Professor - Student-centered teaching	78
Avtandil Asatiani - “Pedagogisation” of academic and administrative staff of universities	83

HISTORY OF PEDAGOGY ND EDUCATION

Natela Maglakelidze - Mother Tongue and Georgian Alphabetic Books	90
Akaki Zoidze - Bless the Creator of the "Mother Tongue"	97
Avtandil Asatiani - The emergence of confessional schools and the upbringing of children in the early Christian family	105
Imeri Basiladze, Giga Basiladze - Educational and pedagogical activity of Anton I	112

Controversy

Zurab Tsutskiridze - Oppression of pedagogy.....	113
--	-----

Remembering the scientist

Lia Menteshashvili - Vladimer Gagua and Georgian Pedagogical Science	128
--	-----

JUBILEES

Nodar Basiladze	129
Omar Tskhadaze	131
Nodar Baramidze	132

FAREWELL

Arnold Gegechkori	135
Madona Megrelishvili	137
Tamaz Tatishvili	138
Natela Maisuradze	140

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ არის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი. რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ რეფერატულ ჟურნალში და სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИРАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში. შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამოიწვევს სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექნიკურ და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (8-10 სტრიქონი) და საკვანძო სიტყვები (4-8) სტატიის და რეზიუმეს ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური თანამდებობა და სამუშაო ადგილი.
- ლიტერატურა მოცემული უნდა იყოს ორიგინალის ენაზე საერთაშორისო APA-ს სტილის მიხედვით. ლიტერატურის სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური პრინციპით. თავდაპირველად ქართულენოვანი ლიტერატურა, შემდეგ ევროპულ და რუსულ ენებზე.
- ნაშრომი უნდა იყოს აწეობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყება Sylfaen შრიფტით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყება Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.
- ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელები-სა) და რეზიუმეების ჩათვლით;
- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომი უნდა მოგვაწოდოს CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი;
- სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის შეტყობინება ხდება წარდგენიდან 3 თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 5 95 44 91 21

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, თბილისი, 0186, პოლიტკოვსკაიას ქ. №61
ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
ელ-ფოსტა: ganatlebisakademia@gmail.com
ვებ-გვერდი: www.sgma.ge

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
Politkovskaya Str.61, 0186, Tbilisi, Georgia
Tel: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com
WEB-page: www.sgma.ge

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA